ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

ელენე გვენცაძე

დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი -
სამართლის დოქტორი,
პროფესორი ნინო გვენეტაძე

თბილისი 2012

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

შესავალი 3

თავი I. დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტის ისტორიული მიმოხილვა 5

§1. დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტი ძველქართულ სისხლის სამართალში 5

§2. დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტი ადრინდელ სამართლებრივ სისტემებში 8

§3. დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტი საბჭოურ სისხლის სამართალში 15

თავი II. დანაშაულში თანამონაწილეობის სისტემური კვლევა 21

§1. სისტემური კვლევის არსი 21

§2. დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება 25

§3. დანაშაულში თანამონაწილეობის ნიშნების დახასიათება..... 29

§4. თანამონაწილის სახეები 34

§5. დანაშაულის წამქეზებლობისა და დანაშაულის პროვოკაციის გამიჯვნა 39

§6. ამსრულებლის ექსცესი 46

§7. ბრალი თანამონაწილეობის დროს 50

§8. დანაშაულის მოტივი და მიზანი 63

თავი III. დანაშაულში თანამონაწილეობის ბუნება 72

§1. თანაბრალეულობისა და თანაამსრულებლობის ზოგადი დახასიათება..... 72

§2. ამსრულებლისა და თანამონაწილეთა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები..... 74

თავი1V. თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის თანაფარდობა 82

§1. თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის თანაფარდობის ზოგადი დახასიათება 82

§2. ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის კრიტერიუმები 88

§3. თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის სქემა 92

თავი V. დანაშაულში თანამონაწილეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები 94

§1. დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგია 94

§2. ჯგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათება 95

§3. ჯგუფური დანაშაულის ფსიქოლოგიური თავისებურებანი.... 98

თავი VI. დანაშაულში თანამონაწილეობა ცალკეული ქვეყნის სისხლის სამართლის მიხედვით 103

§1. დანაშაულში თანამონაწილეობა საერთაშორისო სისხლის სამართალში 103

§2. დანაშაულში თანამონაწილეობა ინგლისის სისხლის სამართალში 108

§3. დანაშაულში თანამონაწილეობა აშშ-ს სისხლის სამართალში 115

§4. დანაშაულში თანამონაწილეობა საფრანგეთის სისხლის სამართალში 124

§5. დანაშაულში თანამონაწილეობა იტალიის სისხლის სამართალში 135

§6. დანაშაულში თანამონაწილეობა გერმანიის სისხლის სამართალში 138

§7. დანაშაულში თანამონაწილეობა იაპონიის სისხლის სამართალში 142

დასკვნა 146

აბრევიატურები 154

ბიბლიოგრაფია 155

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დანაშაულში თანამონაწილეობა მისთვის დამახასიათებელი სოციალურ და სამართლებრივ თავისებურებათა გათვალისწინებით ერთერთი რთული ინსტიტუტია სისხლის სამართალში. ჯერ კიდევ 1902 წელს, ცნობილი რუსი მეცნიერი ნ.ს.ტაგანცევი წერდა, რომ დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტი ქაოტურ მდგომარეობაშია.[1] მდგომარეობა არ შეცვლილა წინა საუკუნის 80-იანი წლების შემდეგაც, მაგალითად, ფ.გ.ბურჩაკი კონსტანტირებს, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა, ამ საკითხზე შემუშავებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურის მიუხედავად, საკამათოა.[2] საქართველოში თანამონაწილეობის საკითხებს მიეძღვნა პროფ. თ.წერეთლის და პროფ. ო.გამყრელიძის მონოგრაფიები.[3]

მეცნიერების ნებისმიერ სფეროში არის პრობლემები, რომელთა მიმართ ინტერესი მუდმივია და არ არის დამოკიდებული თეორიული ორიენტაციებისა და პარადიგმების ცვლაზე. სისხლის სამართალში კი ერთერთ ასეთს წარმოადგენს დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხი. თითქმის ყველა ავტორი, რომელიც ეხება თანამონაწილეობის პრობლემას, თანხმდება ამ ინსტიტუტის ძირითად ასპექტებზე, თუმცა გამოკვეთს ცალკეულ დამახასიათებელ თავისებურებებს. ვინაიდან დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის პრობლემა დღემდე სრულად არ არის გადაწყვეტილი, წარმოიშობა სირთულეები თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულთა სწორი კვალიფიკაციის, პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისა და სასჯელის დაკისრებისას.

დღესდღეობით სამართალდამცავი ორგანოების სტატისტიკა ადასტურებს, რომ საქართველოში დანაშაულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ჩადენილია თანამონაწილეობით, რაც განაპირობებს მათ მომეტებულ საშიშროებას. უფრო მეტიც, ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულისათვის დამახასიათებელია თანამონაწილეობით ჩადენის ზრდის ტენდენცია.

გასული საუკინის 60-80-იან წლებში, გამოცემულ იქნა მთელი რიგი მონოგრაფიული კვლევებისა, მაგრამ ისინი ეფუძნებოდა აწ უკვე ძალადაკარგულ კანონმდებლობას და გამოხატავდნენ იმდროინდელ თეორიასა და პრაქტიკას.

საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია იმითაც, რომ 2000 წლის 1 ივნისიდან ძალაში შესულმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა[4] არსებითად სრულყო დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტი. ადრე მოქმედ კოდექსთან[5] შედარებით, დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება დაკონკრეტებულია, კერძოდ: სსსკ-ის 23-ე მუხლის თანახმად: „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან

---

1 იხ., Таганцев Н.С., Русское уголовное право, Лекции, С. Петербург, 1902.

2 იხ., Бурчак Ф.Г., Соучастие: социальные, криминологические и правовые проблемы, Киев, 1986.

3 იხ., წერეთელი თ., თანამონაწილეობა დანაშაულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1965; გამყრელიძე ო., დანაშაულის შეალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1974.

4 2000 წლის 1 ივნისის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

5 1960 წლის 30 დეკემბრის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში“. ამით ხაზგასმულია, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა გაუფრთხილებლობით გამორიცხულია, ამსრულებელი აღარ არის თანამონაწილის სახე თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე და აღიარებულია სამი სახის ამსრულებლობა: 1) უშუალო ამსრულებლობა, 2) თანაამსრულებლობა და 3) შუალობითი ამსრულებლობა.

სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან შედარება ცხადყოფს, რომ დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის ამსრულებლობისა და დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით სრულყოფილი და სისტემურად დამუშავებულია; მაგრამ ბუნებრივია, სრულყოფის პროცესი არ შეიძლება დასრულებულად განიხილებოდეს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს სწორედ დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების განხილვას. უპირველეს ყოვლისა, შემოთავაზებულია თანამონაწილეობის ინსტიტუტის სისტემური კვლევა, თანამონაწილეობის ინტეგრაციულ თვისებათა გამოვლენა და თანამონაწილეთა შორის კავშირის ძიება.

შემდგომ, განიხილება თანამონაწილეობის ისეთი პრობლემური საკითხები, როგორიცაა დანაშაულში თანამონაწილეობის ბუნება და თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის ნიშნები – ბრალი, მიზანი და მოტივი. ამ საკითხებზე მკაფიო პოზიციის ჩამოყალიბების პარალელურად თანამონაწილეობა წარმოჩენილია, როგორც სოციალური ურთიერთქმედების ფენომენი, ვინაიდან მისი ინტეგრირებული თვისებები არ არის დამახასიათებელი ცალკე რომელიმე თანამონაწილისათვის.

ნაშრომის დასკვნითი ნაწილი ეძღვნება დანაშაულში თანამონაწილეობის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას ცალკეული ქვეყნის მაგალითზე, რაც იძლევა კვლევის სხვა ნაწილებში მიღებული შედეგების საერთაშორისო გამოცდილების ჭრილში გადამოწმებისა და მათთან მიმართების გამოკვეთის შესაძლებლობას.

ნაშრომის ცალკეულ თავში დასმული პრობლემის გამოსაკვლევად ძირითადად გამოყენებულია ისტორიული, სისტემური, შედარებით-სამართლებრივი, ფორმალურ-ლოგიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები.

თავი I. დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტის ისტორიული მიმოხილვა

§1. დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტი ძველქართულ სისხლის სამართალში

თანამონაწილეობის ინსტიტუტის კვლევა შეუძლებელია ისტორიული ექსკურსის გარეშე; სამეცნიერო ნაშრომების თანამიმდევრულ კვლევებზე დაყრდნობა საშუალებას მოგვცემს, უფრო სრულყოფილად აღვიქვათ თანამონაწილეობის ბუნება.

ივ.ჯავახიშვილს „ქართული სამართლის ისტორიაში“ შეკრებილი აქვს მასალა, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ძველქართულ სამართალს დამუშავებული სახით სცოდნია თანამონაწილეობის ინსტიტუტი. „გარდამავლობითი მოქმედება შეიძლება მარტო ერთს-კი არ ჰქონოდა ჩადენილი, არამედ შესაძლებელია ბოროტმოქმედებაში, თუ დანაშაულობაში, ორსა და მეტსაც მიეღო მონაწილეობა.“[6] ეს ისეთი შემთხვევა იყო, როცა ჩხუბი დაიწყებოდა, რომელშიც ორი იღებდა მონაწილეობას, რომ „ორთაჲვე არნ ბრალი“, „ორთავე იყოს ბრალი და ორკერძოვე ცხად-იყრს მეშფოთეობაჲ“[7]. ვინაიდან, მასში ორი მხარე იღებდა მონაწილეობას, პასუხისმგებლობაც ორივესთვის თანაბარი იყო. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთ შემთხვევებში თანამონაწილეობასთან – კი არა გვაქვს საქმე, არამედ „ორკერძოვე დანაშაულობა“-სთან.[8]

შესაძლებელი იყო, რომ დანაშაულის ჩადენაში რამოდენიმეს მიეღო მონაწილეობა, მათგან კი ერთი ყოფილიყო მისი წამომწყები, ხოლო დანარჩენებს მხოლოდ მის განხორციელებაში მიეღოთ მონაწილეობა ან დანაშაულის ჩადენა რამოდენიმეს ერთდროულად განეზრახა.

გ.მერჩულეს მაგ. მოთხრობილი აქვს, რომ ვინმე ცქირმა, ტფილისის ამირას ნამოციქულარმა და ამირას შუამდგომლობით უკანონოდ ანჩის ეპისკოპოზად გამხდარმა, თავისი ასეთი უწესო საქციელისათვის მამხილებელის გრიგოლ ხანძთელის სამუდამოდ თავითგან მოსაშორებლად „ფარულად მოუწოდა ერისკაცსა, ანჩელსა, ლირბსა და გლახაკსა და მაგრიადმოისარსა, და აღუთქვა მიცემად სამი გრივი ფეტვ და ხუთნი თხანი და წარავლინა ხანძთად მოკლვად მამისა გრიგოლისსა“-ო.[9]

ამ მონათხრობიდან ირკვევა, რომ მკვლელობა ცქირს განუზრახავს, ამსრულებლად-კი ანჩელი კაცი გაუგზავნია. იმ პირს, რომელსაც ბოროტი აზრი და განზრახვა დაებადა და სხვისი დახმარებით განხორციელებაც თითონვე ნაკისრები ჰქონდა „გამზრახი“ ეწოდებოდა.[10]

---

[6] ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.V11, 1984, გვ. 206.

[7] (ვაჰანის მონ. განწ. 36. იხ. აგრეთვე გ.მთაწმინდელის ც′აი′ესი და ეფ′თმსი 39), ციტირებულია: ჯავახისვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.V11, 1984, გვ. 207.

[8] იქვე.

[9] (ც′ჲ გგ′ლი ხნ′ძთლსჲ გვ. ჲვ). ციტირებულია: ჯავახისვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.V11, 1984, გვ. 207.

[10] ფრანგულს ეწოდებოდა: l′auteur de l′infraction, გერმანულს - der Anstifter-ს.

დანაშაულობის ერთდროული თანამონაწილეობის შემთხვევა გ.ხუცესმონაზონს აქვს აწერილი, რომლის სიტყვითაც ძმანი აბაზაძს ძენი „ხუთნი ერთობით“ ბაგრატ IV-ის მეფობის წინააღმდგომნი“ ყოფილან და „შეპყრობაჲ მეფისა ეგულებოდათ“ კიდეც.[11]

თანამონაწილეობაში შესაძლებელია სხვადასხვა პირობები ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ბოროტმოქმედების თანამონაწილეობის შესახებ არც შჯულის კანონში და არც შეცოდებულთა კანონებში თითქმის არაფერია ნათქვამი. მაგრამ სათანადო უხვი და მრავალმხრივ დამახასიათებელი ქართული ტერმინოლოგიის არსებობა იმის მანიშნებელია, რომ საქართველოში სისხლის სამართლის ეს საკითხი გულდასმით ყოფილა შესწავლილი.[12]

ბოროტმოქმედთა ურთიერთ შორის განზრახულ საქმეზე მოლაპარაკება-შეთანხმებას „შეზრახება“ ეწოდებოდა. მატიანე ქართლისაჲს სიტყვით მაგ. მეფის წინააღმდეგ განდგომილების მოსაწყობად „შეეზრახნეს აზნაურნი“ ქართლელნი და „მათ თანა კახნი“ და „მათთანაორმოცდაათიაზნაური სხუა“ და ბრძოლა დაიწყესო. ჟამთააღმწერელის ცნობითაც, „ღალღურ (თუ იალხურ) და რაჭისა ერისთავი კახაბერი შეიზრახნეს ურთიერთს, რათა განუდგეს მეფესა“-ო.[13]

შეზრახების თითოეულ მონაწილეს „თანამზრახველი“, ან „თანაგამზრახი“ ეწოდებოდა. მაგრამ შესაძლებელია ადამიანი ბოროტმოქმედების განზრახვის, ან შეზრახების თავდაპირველი მონაწილე ან მოთავეთაგანი არ ყოფილიყო, არამედ მხოლოდ შემდეგში, განზრახვისა, თუ შეზრახების საიდუმლოების გაგების მერმე, განზრახულ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება მოესურვა. ამისთვის, რასაკვირველია, საჭირო იყო მიზნისა და გეგმის გაზიარება, რასაც „თანაწამება“ ჰრქმევია. ჟამთააღმწერელის სიტყვით, მონღოლთა ყაენის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდების გამო დიმიტრი თავდადებულს მონღოლთა უზენაეს სასამართლოში „ჰკითხვიდეს, უკეთუ თანაეწამა განზრახვასა... ბუღასასა და ვერა ბრალი პოვეს“-ო.[14] როცა ვინმე განდობილ განზრახვას „თანაეწამებოდა“ და განზრახულ საქმეში მონაწილეობის მიღებას მოისურვებდა და თანხმობას განაცხადებდა, ამას „მიერთება“ ეწოდებოდა ან „თანაშედგომა“ და „მიმდგომობა“, ხოლო თვით იგი უკვე „მიმდგომი“, მომხრე იყო[15].

განზრახული დანაშაული შეიძლებოდა სხვადასხვა გეგმით განხორციელებულიყო: ერთ შემთხვევაში თავად, დახმარების გარეშე ჩაედინა ბოროტმოქმედება, ხოლო მეორე შემთხვევაში – კი სხვა გამოეყენებინა მის ჩასადენად. ზემოთ განხილული მაგალითიდანაც ნათლად ჩანს, რომ გრიგოლ ხანძთელის მკვლელობა ცქირს ქონია განზრახული, ხოლო მის მოსაკლავად კი მკვლელი დაუქირავებია.

---

[11] (ც'იგ'ი მთწმ'დლსი 319) ციტირებულია: ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბილისი, 1984, გვ. 207.

[12] იქვ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII. თბილისი. 1984. გვ. 207.

[13] (*456, გვ. 232). (*868, გვ.712) ციტირებულია: ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბილისი, 1984, გვ. 207.

[14] (*900, გვ. 740), ციტირებულია: იქვე.

[15] (მტ' ნე ქ'ი *456, გვ. 233), (იქვე *453, გვ. 230), ჟამთააღ. *809, გვ. 652), (იქვე *898, გვ.739), ციტირ.: იქვე.

დავით აღმაშენებლის მოსაკლავად მოწყობილი შეთქმულების დროს, როდესაც თურმე არა ერთხელ, არამედ „რაოდენ გზის ყივჩაყთა ყოველთა განიზრახეს ღალატი“, განმზრახველებმა „განაჩინნეს კაცნი მჯნენი, რომელნიმე ჯრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხუანი ისრითა“-ო.[16]

ყოველგვარ მონაწილეობასა და დახმარებას „თანადგომა“ შველა და „ასაბიობა“ ეწოდებოდა. ხოლო თვით ბოროტმოქმედების განხორციელების მონაწილეს „მეშუელი“ და „ასაბია“ იქვე და ვაჰანის (მონ. განწ. 35-36) ერქვა. პირველი თუ ნამდვილი ქართული ტერმინია და ჩვენი კანონმდებლობით შეესაბამება „დამხმარეს“, მეორე - უცხო სიტყვაა და არაბული „ასაბიუნ“-ისაგან არის წარმომდგარი. არაბულად ეს სიტყვა თანამოგვარის, ან თანამოდასის დამცველსა და ბრძოლის მონაწილესა ჰნიშნავდა, მაშასადამე, მნიშვნელობით ოდნავ ქართულ მეშველს უახლოვდებოდა.[17]

ქართულ იმდროინდელ მწერლობასა და სამართალს თანადგომისა და მეშველობისთვისაც რამოდენიმე განსხვავებული ცნების გამომხატველი ტერმინი შეუქმნია: „თანაშემწე“, „ძალმცემელი“ და „შინათგამცემელი“[18].

ტერმინები – „თანაშემწენი“ და „ძალმცემელი“ ნახმარია მცირე სჯულისკანონის ეფთჳმე მთაწმინდელის ქართულ თარგმანში.[19] ტერმინი – „ძალმცემელი“ დამხმარეს უნდა ნიშნავდეს ანუ ისეთ პირს, რომელიც დანაშაულს უშუალოდ არ ახორციელებს, მაგრამ მის განხორციელებას ხელს უწყობს სხვადასხვა ხერხებისა თუ საშუალებების გამოყენებით.

ტერმინი – „შინათგამცემელი“ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაშიც იხსენიება, სადაც დასახელებული არიან ივანე ვარდანის ძე და შოთა ართოვაჩის ძე, რომელნიც დემნა უფლისწულის განდგომილების მონაწილენი ყოფილან „ვითარცა შინათგამცემელნი განზრახ განგებითა“[20]. ჟამთააღმწერელის სიტყვითაც ჯალალ-ედ-დინი რომ ტფილისს მოადგა, ტფილისში მცხოვრებ სპარსელებთან ხვარაზმშაჰის წინასწარი შეზრახებით „შინათგანცემა“ იყო ქალაქისა. იმავე ავტორს აღნიშნული აქვს, რომ მონღოლებმა სიკვდილად დასჯილი დიმიტრი თავდადებულის „წარიღეს ყოველი (სიმდიდრე), არა რა დაშთა, რამეთუ მოქალაქეთაცა უწყოდეს საგანძურნი მეფისანი და შინათგამცემელ იქმნეს“-ო[21]. ყოველივე აქედან გამომდინარე, ტერმინი – „შინათგამცემელი“ გულისხმობდა ისეთ თანამდებობის პირს, რომელმაც თანამდებობიდან გამომდინარე საიდუმლო იცოდა და ამის საფუძველზე დანაშაულის ჩადენას აადვილებდა. „თანაშემწე” – პირი, რომელიც ვისამე ეხმარება საქმეში და მასვე ექვემდებარება.[22]

---

[16] (ც'ამ'ფსა დ'ვთსი *565, გვ. 333), ციტირებულია: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, 1984, გვ. 208.

[17] (მტ'ნე ქ'ჲ *453, გვ. 130), (რკონის 1259წ. სიგელი: ქ'კბი 11, 136), (გ.მთაწმინდელიც'ა ი'ესი და ეფ'თმსი 39), (იქვე და ვაჰანის მონ. განწ. 35-36), ციტირებულია: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, 1984, გვ. 208.

[18] ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, 1984, გვ. 208.

[19] (იხ. ვ.124, §ოზ). ციტირებულია: იქვე.

[20] (ის'ტრნი და აზ'მნი *615, გვ. 388), ციტირებულია: იქვე.

[21] (*749, გვ. 576), (*898-899, გვ. 739), ციტირებულია: იქვე.

[22] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა, თბილისი, 1986, გვ. 237.

§2. დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტი ადრინდელ სამართლებრივ სისტემებში

ქართული სამართლისაგან განსხვავებით, რომის სამართალი ასხვავებდა დამნაშავეებსა (rei, reiprincipales) და დამხმარეებს (ministri participes, satellites), წამქეზებლებს კი ცალკე მოიხსენიებდა; თუმც, მათ შორის სხვაობას არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, ვინაიდან ზოგადი წესით, ყველა მონაწილეს თანაბარი სასჯელი ეკისრებოდა ჩადენილი დანაშაულისათვის. მხოლოდ მოგვიანებით, საიმპერატორო პერიოდში, ცალკეული დანაშაულებისათვის, ისიც გამონაკლისის სახით, დაიშვებოდა მონაწილეთა პასუხისმგებლობის შემცირება.[23]

ზოგიერთ, ადრინდელ სამართლებრივ სისტემებში, თანამონაწილეობის იდეა საერთოდ უარყოფილი იყო. იუდეველები ემხრობოდნენ შემდეგ წესებს: „დანაშაულის საკითხთან დაკავშირებით არავინ არ შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა პირად“. ასეთმა მსჯელობამ ისინი მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე: დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებულ დამღას ასვამს დამნაშავეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ხელი „გასვრილია“ დანაშაულში; დახმარების აღმოჩენა, რჩევის მიცემა და მითითება, მართალია აიოლებს დანაშაულის ჩადენის პროცესს, მაგრამ იუდეველები ამ შინაარსით არ ტვირთავენ თანამონაწილეს.[24]

ფრანგული სამართალი (ორდონანსები, კოდექსები 1791 და 1810 წლების) სასჯელს აკისრებდა ყველა თანამონაწილეს. ლუდოვიკო IX-ის ორდონანსით, ბანდებში მონაწილე ქალები და მამაკაცები ისჯებოდნენ სხვადასხვაგვარად: ქალებს – წვავდნენ, კაცებს კი – ახრჩობდნენ.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, პირველ ყოვლისა, ასხვავებდა დანაშაულის ფიზიკურ ან უშუალო და პირდაპირ ამსრულებლებს და თანამონაწილეებს. ამ უკანასკნელებს მიეკუთვნებოდნენ: ა) ეგრეთ წოდებული ინტელექტუალური მონაწილენი, ანუ კანონში მითითებული ხერხებით დანაშაულის წამქეზებლები ან დანაშაულის ჩასადებად რჩევებისა და მითითებების მიმცემნი; ბ) ისინი, ვინც შეგნებულად აწვდიდნენ დანაშაულის ჩასადენად აუცილებელ საშუალებებს; გ) ისინი, ვინც შეგნებულად ეხმარებოდნენ დამნაშავეს დანაშაულის მომზადებასა და განხორციელებაში. თანამონაწილეებს სასჯელი ეკისრებოდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავეები ჩაიდენდნენ დანაშაულებრივ ქმედებას ან მის მცდელობას; ზოგადი წესის თანახმად, თანამონაწილენი ისჯებოდნენ ისევე, როგორც დამნაშავენი. თანაბარი სასჯელის ეს მოთხოვნა რამდენადმე შემსუბუქდა, პირველ რიგში, სასამართლო წესით ან ნაფიც მსაჯულთა მიერ თითოეული ბრალდებულის შეწყნარებისას პასუხისმგებლობის შემცირებით; მეორეც, ცალკეულ დანაშაულებთან დაკავშირებული სპეციალური გამონაკლისებით.[25]

1810 წლის საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსმა, თანამონაწილეობა განსაზღვრა ობიექტური და სუბიექტური ნიშნებით;

---

[23] Rein., Das Kriminalrecht der Römer, 1844, გვ. 183.

[24] Флетчер Дж., Наумов А.В., Основные концепции современного уголовного права, М., 1998, გვ. 450.

[25] Trebutien, Cours de droit criminel, Paris, 1854, ტ. I, გვ.180

იმავე სუბიექტურით განსაზღვრა თანამონაწილეობის ფარგლებიც, გამორიცხა რა დანაშაულთან შემხებლობაში, ნებისმიერი ფორმა, მათ შორის შეუტყობინებლობაც და დაფარვაც. სახელდობრ, ამით იქნა გადაწყვეტილი თანამონაწილეობის ძირითადი პრობლემა.[26]

უფრო მეტიც, სწორედ 1810 წლის საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონში იყო ფორმულირებული შედარებით სრულყოფილი შეხედულება თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების შესახებ, თუმც საწყისი ამისა მოდიოდა საფრანგეთის რევოლუციის ეპოქიდან (XVIIIს.) და პირველი საკანონმდებლო ფორმულირება მოცემული იყო 1791 წლის საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ საკანონმდებლო აქტებში, თანამონაწილის ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება განისაზღვრებოდა ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის შეფასებიდან და მასზე იყო დამოკიდებული. ასე, მაგ., თუ ამსრულებელი ჩაიდენდა დამთავრებულ დანაშაულს, მაშასადამე ამისათვის პასუხს აგებდნენ თანამონაწილენიც. თუ ამსრულებელი ჩაიდენდა, მაგ., მხოლოდ დანაშაულის მცდელობას, მაშინ სხვა თანამონაწილენიც პასუხისმგებელნი იყვნენ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. თუ ამსრულებელის ქმედება არ ექვემდებარებოდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაშინ არც სხვა თანამონაწილეებს დაეკისრებოდათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[27]

რომაულ-ფრანგული სამართლისაგან განსხვავებით, გერმანულ სამართალში არსებობდა პასუხისმგებლობის განსხვავებული სისტემა. ამაზე მეტყველებენ გერმანული ანდაზებიც: „mitgegangen – mitgehangen (სიტყვა-სიტყვით: „ერთად სიარული – ერთად ჩამოხრჩობა“), mitgestohlen - mitgehenkt“ (სიტყვა-სიტყვით: „ერთად ქურდობა – ერთად ჩამოხრჩობა“), der Hehler ist sogut, wie der Stehler“ (სიტყვა-სიტყვით: „ქურდის დამფარავიც – ქურდიაო).

მხოლოდ XIX საუკუნის გერმანულ კოდექსებში გამოჩნდა მონაწილეთა სახეებად დაყოფის სრული სისტემა. ასე, მაგ., 1813 წლის ბავარიის დებულებამ (მუხლები 44-46) მთლიანად გაიზიარა ფოიერბახის შეხედულება, ძირითად დამნაშავედ აღიარა რა ისინი, რომლებიც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში იყვნენ დანაშაულთან (უშუალოდ ან შუალობით), ხოლო დამხმარეებად ისინი, ვინც დანაშაულის დამატებით მიზეზს წარმოადგენდნენ. მოგვიანებით ბრაუნშვეიგის (41-54), ბადენის (119-147), საქსონიის (50-72) კოდექსებმა თანამონაწილეობას მიუძღვნეს ათობით მუხლი.[28]

1851 წლის პრუსიის კოდექსმა გერმანიაში გადაიტანა ფრანგული სისტემა, რომელიც ასხვავებდა მხოლოდ დამნაშავეებსა და დამხმარეებს, აკისრებდა რა მათაც და სხვებსაც ერთნაირ სასჯელს, ხოლო შემდეგ მათ ნაწილობრივ შეუერთდა 1861 წლის ბავარიის დებულება (52.66). ეს ორივე კოდექსი იმით განსხვავდებოდა საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსისაგან, რომ თუ დახმარება არ იყო არსებითი,

---

[26] Флетчер Дж., Наумов А.В., Основные концепции современного уголовного права, М., 1998, გვ. 471-472.

[27] Флетчер Дж., Наумов А.В., Основные концепции современного уголовного права, М., 1998, გვ. 463.

[28] Geyer I., Holtzendorfs Handbuch, 1859, გვ. 37.

მისთვის სასჯელს ამცირებდა: სიკვდილით დასჯის ან სამუდამო პატიმრობის ნაცვლად ინიშნებოდა განსაზღვრულვადიანი სასჯელი, ხოლო სხვა შემთხვევებში პასუხისმგებლობა მცირდებოდა. 1872 წლის გერმანული დებულება (47-50) განასხვავებდა, პირველ რიგში ამსრულებლებს, რომელთაც მიაკუთვნებდა დანაშაულის ყველა ერთობლივ განმახორციელებელს; მეორეც, წამქეზებლებს, განზრახ სხვის დამყოლიებელს დანაშაულის ჩასადენად; მესამეც, დამხმარეებს, რჩევით ან საქმით დამნაშავისათვის დანაშაულის ჩადენაში ხელის შემწყობებს. ამასთანავე წამქეზებლები და ამსრულებლები ერთნაირად ისჯებოდნენ, ხოლო დამხმარეები კი – უფრო მცირე ზომის სასჯელით, იმის მიხედვით, რასაც კანონი ითვალისწინებდა დანაშაულის მცდელობისათვის.

საერთო ჯამში შეიძლება კონსტატირება, რომ განხილული კანონმდებლობები, თანამონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით, წარმოადგენენ ორ სახეს. ერთნი აღიარებდნენ დანაშაულის მონაწილეთა თანაბარ პასუხისმგებლობას (საფრანგეთის, ინგლისის სამართალი), სხვანი განსხვავებულად სჯიდნენ მთავარ დამნაშავეებსა და დამხმარეებს (გერმანული კოდექსი). რუსეთის სამართლის სისტემა მიუერთდა გერმანულს, დაუშვა რა, ნ.ს.ტაგანცევის აზრით, დანაშაულში თანამონაწილეთა მრავალი სახე.[29]

კანონთა კრებული (მუხ. 11-15, 1842 წლის გამოცემა) განასხვავებდა შემდეგი კატეგორიის მონაწილეებს: 1) თანამონაწილეებს, რომლებიც ერთობლივი ქმედებით ჩადიან დანაშაულს; 2) მოთავეებს, რომლებიც სხვებთან ერთად მოქმედებდნენ, მაგრამ მანამდე მათ განიზრახეს და დაითანხმეს სხვები ან პირველებმა მისცეს დანაშაულის ჩადენის მაგალითი (პირველ წამომწყებნი ან შემგულიანებელნი); 3) დამხმარეებს ან მონაწილეებს, რომლებიც ზეპირსიტყვიერად ან წერილობით ხელს უწყობდნენ დანაშაულის ჩადენას (ამასთანავე კრებული მოითვლიდა 6 კატეგორიის დამხმარეს); 4) დამფარავთ, რომლებიც მალავენ დამნაშავეებს.

თანამონაწილეთათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად კრებული (მუხ. 129-130) ადგენდა: „ყველა დანაშაულისათვის, თუ კანონით არ არის დადგენილი განსაკუთრებული გამონაკლისი, მოთავე ან ძირითადი დამნაშავე ექვემდებარებიან უმკაცრესად დასჯას, ვიდრე მათი ბრძანებების შემსრულებელი თანამონაწილენი. აქ იგულისხმება ისეთი სახის დანაშაულები, რომლებიც კანონითაა დადგენილი, და ყველა მათში მონაწილენი ექვემდებარებიან თანაბრად დასჯას“.

დებულება (1866 წლის გამოცემა) ასხვავებდა: 1) თანამონაწილეობა წინასწარი შეთანხმებით (შეთქმულება); 2) წინასწარი შეთანხმების გარეშე (დაჯგუფება); ამასთანავე, ორივე შემთხვევაში, შეთანხმება მიმართულია ერთი ან რამდენიმე განსაზღვრული დანაშაულის ჩასადენად.

ამასთან ერთად დებულების კერძო ნაწილი იხსენიებს თანამონაწილეობის მესამე სახესაც – ჯგუფს. ჯგუფი გულისხმობს წინასწარ შეთანხმებას რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად, ზუსტად

[29] Таганцев Н.С., Русское угаловное право, часть общая, ტ. I, изд. „Автограф“, 2001, გვ. 30-31.

განუსაზღვრელს, ან ერთიანი სახეობის ქმედებებს ერთი ან სხვადასხვა სახისას, და ამასთანავე თანხმობას არა პერიოდულად განმეორებადს, და საერთოდ მუდმივ დანაშაულებრივ საქმიანობას.[30]

აუცილებელია აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნიდან წარმოიშვა თანამონაწილეობის სამი თეორია: ობიექტური, სუბიექტური და შერეული. რამდენადაც ამ ყოველივეს მოიცავდა განზრახ დანაშაულებრივი ქმედება, განსხვავება მთავარ და მეორეხარისხოვან თანამონაწილეთა შორის შეიძლებოდა მომხდარიყო ან მათ მიერ განხორციელებული ქმედების, ან მათი ბრალეულობის, ან დანაშაულის ამა თუ იმ მხარისათვის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით.

ერთ-ერთი პირველი მცდელობა მთავარ და მეორეხარისხოვან მონაწილეებად დაყოფისა ატარებდა ობიექტურ ხასიათს და ფორმულირებული იყო ა.ფოიერბახის მიერ.[31]

ა.ფოიერბახი მთავარ დამნაშავედ თვლიდა მას, ვინც ძირითადი (საკმარისი) მიზეზი იყო დანაშაულისა, ანუ ვისი ქმედებითაც სრულად განხორციელდა დანაშაული, ყველა დანარჩენი მონაწილენი კი იყვნენ დამხმარეები, რამდენადაც ისინი ხელს უწყობდნენ მხოლოდ შედეგის დადგომას, ე.ი. იყვნენ მეორეხარისხოვანნი (დამატებითი). ამიტომ დამხმარეებს მიეკუთვნებოდნენ მაგ., მკვლელობისას მსხვერპლის დამკავებელი. თავის დროზე, ა.პ.ჟირიაევმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „თუ დამნაშავეა ის ვინც საკმარისი (ძირითადი) მიზეზია დანაშაულისა, მაშასადამე დამხმარეები არიან მხოლოდ ისინი, ვისი დახმარებაც არ არის საჭირო ან ზედმეტია“.[32]

ნ.ს.ტაგანცევი, აფასებდა რა ა.ფოიერბახის მცდელობას გამოეკვლია თანამონაწილეთა განსხვავება შედეგ-მიზეზობრივი კავშირის მიხედვით, უდავოდ დაუსაბუთებელია, რამდენადაც იგი ერთნაირად ეწინააღმდეგება როგორც მიზეზობრიობის იდეას, ისე თანამონაწილეობის ძირითად მახასიათებლებს. ბუნებით ერთიანი მიზეზობრიობის ცნების ფაქტად შერაცხვა პირისათვის, და მიზეზთა განსხვავება „ძირითადად“, „საკმარისად“, „გაბატონებულად“, ლოგიკურადაც და პრაქტიკულადაც უსაფუძვლოა.[33] იმავდროულად, ნ.ს. ტაგანცევი სოლიდარობას უცხადებდა ტრებუტენის ობიექტურ თეორიას, რომელიც მთავარ დამნაშავეებად აღიარებდა მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ახორციელებდნენ დანაშაულის ძირითად ან არსებით აქტს (მაგ., მკვლელობისას სასიკვდილო დარტყმის მიმყენებელი), ხოლო ყველა დანარჩენ მონაწილეებს მიაკუთვნებდა დამხმარეებს. ამასთან დაკავშირებით ნ.ს.ტაგანცევი აღნიშნავდა: „ეს პირველ ყოვლისა სავსებით პრაქტიკულია. საქმე იმაშია, რომ თუ ჩვენ ვიტყვით, რომ მხოლოდ ის პირი, რომელმაც სასიკვდილოდ დაარტყა ან მიითვისა ქონება, ითვლება მთავარ დამნაშავედ, ხოლო ყველა დანარჩენი დამხმარეებად, ან პირიქით, დამხმარეებად ჩავთვლით მხოლოდ მათ, ვინც მისცა ან იყიდა იარაღი

---

30 Конспект по уголовному праву и процессу, составленный по лекциям профессоров Фойницкого, Случевского, Сергеевского и др., Одесса, 1898, გვ. 102.

31 Feurbach A., Lehrbuch gemeinen in Deutschland gultigen Peinlichen Rechts, Gisen, 1828, გვ. 44-45.

32 Жиряев А.П., О стечении нескольких преступников при одном и том же преступлений, СПБ., 1850, გვ. 33.

33 იხ. Таганцев Н.С., Русское угаловное право, часть общая, ტ. I, изд. „Автограф“, 2001, გვ. 55.

მკვლელობისათვის, მოწამლა ეზოს ძაღლი და ა.შ., ხოლო ყველა დანარჩენ მონაწილეს ჩავთვლით მთავარ დამნაშავეებად, მაშინ უეჭველია, რომ ასეთი განსხვავება ზუსტად დადგინდება“.

ნ.ს.ტაგანცევი არ მიიჩნევდა საჭიროდ თანამონაწილეთა დაყოფას. იგი წერდა: „ამ დაყოფის არაპრინციპული ხასიათი კიდევ უფრო თვალსაჩინოა, თუ ჩვენ საკითხს დავსვამთ ორივე კატეგორიის დამნაშავეთა დასჯასთან დაკავშირებით. შეგვიძლია ჩვენ ვამტკიცოთ, რომ დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ქმედების განმხორციელებელი პირი უფრო დიდ სასჯელს იმსახურებს, ვიდრე ის პირი, რომელმაც საწამლავი მოამზადა?“[34]

თანამონაწილეობის სუბიექტური თეორიის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ თანამონაწილეთა განსხვავებას ობიექტური მხარის მიხედვით მივყავართ მხოლოდ მათთვის თანაბარი პასუხისმგებლობის დაკისრებამდე, ამიტომ აუცილებელია ყურადღება მიექცეს შინაგან მხარეს, განზრახვის ხასიათს, იმის განსაზღვრას თუ ვისი ინტერესით მოქმედებს დამნაშავე.[35]

მთავარი დამნაშავეა ის, ვინც მოქმედებს საკუთარი მიზნით, ან ის, ვინც ჩადის რა დანაშაულს, მას საკუთარ საქმიანობად აღიქვამს; დამხმარეა ის, ვინც ხელს უწყობს სხვისი განზრახვის განხორციელებას. პირს, რომელსაც არ გააჩნია დანაშაულის ჩადენის უშუალო ინტერესი, მაშინ იგი არ იქცევა მთავარ დამნაშავედ, როდესაც დანაშაულის ძირითად აქტს ახორციელებს.[36]

მთავარ დამნაშავეებად იწოდებიან ის პირები, რომელთა განზრახვაც მიმართულია დანაშაულის შემადგენლობის განსახორციელებლად, ხოლო დამხმარეებად ისინი, ვისაც შეგნებული აქვთ მხოლოდ ხელის შემწყობი ქმედებების განხორციელება.[37]

შერეული თეორიის წრმომადგენლები (როსი) თვლიდნენ, რომ მთავარი დამნაშავე არის ის, ვინც პირველ-რიგში იყო დანაშაულებრივი განზრახვის შემოქმედი; და მეორეც, ვინც განახორციელა მთავარი ქმედება. დამხმარეები არიან ისინი, ვინც ხელი შეუწყო მთავარ დამნაშავეებს ან განზრახვის ჩამოყალიბებაში ან მის განხორციელებაში. რუსი კრიმინალისტებიდან ა.პ.ჟირიაევი[38] აღნიშნავდა, რომ ორივე შეხედულება (ობიექტურიც და სუბიექტურიც) მცდარია და ამიტომ საჭიროა მათი შეერთება. მასვე ეთანხმებოდა ვ.დ.სპასოვიჩიც.[39]

ნ.ს. ტაგანცევი მონაწილეთა განსხვავების ყველა ამ მცდელობას წარუმატებლად თვლიდა საკითხის არასწორად დასმის გამო. მისი აზრით, ამ განსხვავებას მნიშვნელობა აქვს თანამონაწილეობის თეორიული შესწავლისათვის, თუმც მნიშვნელობა არ აქვს სასჯელის

---

[34] Таганцев Н.С., Русское угаловное право, часть общая, ტ. I, изд. „Автограф“, 2001, გვ. 55.

[35] Wachter., Lehrbuch des römisch-deutschen Strafrechts, Stuttgart, 1825, გვ. 88; Henke., Handbuch des Kriminalrechts, Berlin, 1823, გვ. 45.

[36] Kestlin R., Neue Revision, Tubungen, 1858, გვ. 465-470.

[37] Hallschner., Gerichtssaal, 1873, გვ. 98.

[38] Жиряев А.П., О стечении нескольких преступников при одном и том же преступлений, СПб., 1850, გვ. 58-59.

[39] Спасович В.Д., Учебник уголовного права, СПб., 1863, ტ. I, გვ. 161-167.

დაკისრებისათვის, რომელსაც ამასთანავე ითვალისწინებდნენ ამ პრინციპული დაყოფის მომხრეები.[40]

ამასთანავე ნ.ს.ტაგანცევი თვლიდა: „შეიძლება დანაშაულის მონაწილეთა თანაბარი შერაცხვის პრინციპიდან გამომდინარეობდეს თანაბარი სასჯელის პრინციპიც? დადებითი პასუხი – დაარღვევდა კი სამართლიანი დასჯის ყველაზე პრიმიტიულ გაგებებს“.[41] გარდა ამისა, იგი ემხრობოდა პოზიციას, რომ ყოველგვარი მცდელობა, სასჯელის ინტერესთა აპრიორიდან გამომდინარე, მონაწილეთა როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ კატეგორიებად დაყოფისა, უსაფუძვლო აღმოჩნდა; ასეთი გამოყოფა ნაკლებმნიშვნელოვანი მონაწილეებისა მთავარი მონაწილეებისაგან, შესაძლოა გაკეთდეს სასამართლოს მიერ შესაბამისად თითოეული მონაწილის მიერ ინდივიდუალურად განხორციელებული ქმედებიდან გამომდინარე.[42]

რაც შეეხება თანამედროვე სამართლებრივ სისტემებს, ერთ ნაწილთან მოქმედებს „ექვივალენტურობის“ თეორია, რომლის თანახმადაც ყველა თანამონაწილე დანაშაულის ამსრულებელია და ამიტომ ექვემდებარებიან ერთნაირ პასუხისმგებლობას; მეორე ნაწილთან კი (სსკ გერმანიის, რუსეთის), განისაზღვრება, რომ თანამონაწილეებს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ მათი წვლილის შესაბამისად.

ასე, მაგ., ინგლისის სისხლის სამართლის თეორიით, თანამონაწილეობად (complicity in the crime) იგულისხმება ორი ან მეტი პირის მონაწილეობა (partnership) დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაში.[43]

ამჟამად, ინგლისელი კრიმინალისტები გამოყოფენ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეთა (parties to the crime) ორ კატეგორიას: ამსრულებლებს (principals or perpetrators) და დამატებით მონაწილეებს (secondary parties).[44]

ამასთან დაკავშირებით ა.ვ.ჩერნიხი აღნიშნავს: „თუმც ინგლისის სისხლის სამართლის თანახმად, თანამონაწილეებად ითვლებიან ამსრულებლები და დამატებითი მონაწილენი, ძირითადი ყურადღება თანამონაწილეობის საკითხის გამოკვლევისას ეთმობა დამატებით მონაწილეობას“.[45]

ინგლისის სისხლის სამართლის სისტემაში – თანამონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით, ბოლო რეფორმები შეეხო პროცესუალურ საკითხებს; ძირითადი ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ სამართალწარმოების გამარტივების მიზნით, დანაშაულის ამსრულებლებისა და დამატებით მონაწილეთა შორის სხვაობის ნიველირება მოხდეს.[46]

---

40 Таганцев Н.С., Русское угаловное право, часть общая, ტ. I, изд. „Автограф“, 2001, გვ. 58.

41 იქვე, გვ. 59.

42 იქვე, გვ. 52.

43 Gillies P., The Law of criminal complicity, Sydney, 1980, გვ. 1.

44 Halsbury's., Laws of England, London, 1976, გვ. 34.

45 Черных А.В., Участники совершения преступления по английскому уголовному праву, Правоведение, 1985, №3, გვ. 96.

46 Gillies P., The Law of criminal complicity, Sydney, 1980, გვ. 22.

დანაშაულის ჩადენაში დამატებით მონაწილეთა სისხლის-სამართლებრივი დეფინიციაც კი არ არსებობს. ისინი ექვემდებარებიან ისეთსავე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როგორსაც ამსრულებელი. „დამატებით მონაწილეებს“ პასუხისმგებლობა ეკისრებათ, იმ შემთხვევაში, თუ ამსრულებელმა, რომელსაც მხარი დაუჭირეს, ჩაიდინა დანაშაული და დამხმარის ან წამქეზებლის ქცევა მოიცავდა „დახმარებას, წაქეზებას, რჩევის მიცემას ან უზრუნველყოფას“.[47]

საფრანგეთში თანამონაწილეობის საკანონმდებლო განსაზღვრება არ არსებობს. 1992 წლის საფრანგეთის სსკ (1810 წლის კოდექსის შემდეგ მიღებული) ასახელებს მხოლოდ თანამონაწილეთა სახეებს. თანამონაწილეს პასუხისმგებლობა ეკისრება ამსრულებელთან ერთად. თანამონაწილედ იცნობა პირი, რომელმაც უშუალო დახმარებით შეამსუბუქა დანაშაულის მომზადება ან განხორციელება, ან ჩაიდინა წამქეზებლობა.[48]

თანამონაწილის პასუხისმგებლობა დაფუძნებულია „ქმედების სესხების“ კონცეფციაზე. ამ კონცეფციის თანახმად, თანამონაწილე ნებაყოფლობით უერთდება რა დანაშაულს, თავისი ქმედებებით მთლიანად იღებს ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათს, და შესაბამისად, ამსრულებელთან ერთად ექვემდებარება სრულ პასუხისმგებლობას. რა თქმა უნდა, ასეთს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ თანამონაწილემ იცოდა ამსრულებლის განზრახვის შესახებ და აცნობიერებდა, რომ თავისი ქმედებით უერთდებოდა ამ განზრახვის განხორციელებას.[49]

გერმანიის სსკ არ შეიცავს თანამონაწილეობის განსაზღვრებას, მაგრამ გამოყოფს თანამონაწილეობის ორ ფორმას: 1) ამსრულებლობა და 2) წამქეზებლობა და დახმარება. დასავლეთგერმანული სისხლის სამართლის დოქტრინა, ისევე როგორც ფრანგული, აღიარებს თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას, ანუ თანაამსრულებლობის, წამქეზებლობის და დახმარების ამსრულებლის ქმედებაზე დამოკიდებულებას. აქცესორობა წარმოადგენს თანამონაწილეობის არსს.[50]

იმავდროულად, გერმანიის სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსი, ფრანგული სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, (29) „თანამონაწილეთა დამოუკიდებელი დასჯადობა“ ადგენს: „თითოეული თანამონაწილე, სხვისი ბრალისაგან დამოუკიდებლად, ისჯება შესაბამისად მისი ბრალისა“ (სსკ გერმანიის 2000. გვ. 18). „ძირითად ქმედებასთან“ თანამონაწილეობის დამოკიდებულებაზე აღნიშნავს მრავალი გერმანელი კრიმინალისტი.[51]

თანამონაწილეობის აქცესორობასთან დაკავშირებით, თავის დროზე წარმოიშვა ქმედების ფინალური თეორია. რ.მაურახი აღნიშნავს:

---

47 Черных А.В., Участники совершения преступления по английскому уголовному праву, Правоведение, 1985, №3, გვ. 102.

48 Крилова Н.Е., Новый Уголовный кодекс Франции, Государство и право, 1994, №12, გვ. 118.

49 Крилова Н.Е., Серебренникова А.В., Уголовное право зарубежных стран. М., 1998, გვ. 118.

50 იქვე, გვ. 125.

51 Gallas W., Beitrage zur Verbrechensehre, Berlin, 1968, გვ. 130;
Baumann J., Eirführung in die Rechtswissenschaft. Ein Studienbuch, München, 1967, გვ. 410.

„ქმედებაზე ბატონობა არის მოცული განზრახვით, მოვლენათა მიმდინარეობაზე ხელმძღვანელობით, შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობისა, რომელიც მოქმედს აძლევს შესაძლებლობას შეგნებულად მართოს ფინალურად განვითარებული დანაშაულის შემადგენლობა“.[52]

ფინალური მოძღვრების მომხრენი ამბობენ, რომ ამსრულებლობის საწინააღმდეგოდ, თანამონაწილეობის ნებისმიერი ფორმა (წამქეზებლობა და დახმარება) ხასიათდება იმით, რომ მასში არ არსებობს მონაწილეთა მხრიდან ქმედებაზე ბატონობა.[53]

ამგვარად, ამ კონცეფციის არსი იმაშია, რომ თანაამსრულებლად შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო ის პირი, რომელიც შედეგთან წმინდა თანა მიზეზობრივად მონაწილეა;[54] ამსრულებლად უნდა მივიჩნიოთ, ასევე დანაშაულის ჩადენის ხელმძღვანელი. ამასთან დაკავშირებით, მ.ი. კოვალიოვმა მიუთითა: „რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსში, თანამონაწილის ცნებაში მოიხსენიება მთავარი დამნაშავის ქმედება, მიუხედავად ამსრულებლობაში მისი ფორმალური როლისა. ამით საკმაოდ მარტივად წყდება ის პრობლემა, რომლის გადაწყვეტასაც ცდილობდა ქმედების ფინალური თეორია. დანაშაულის ორგანიზატორი, მიუხედავად მისი ფორმალური როლისა, დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის განხორციელებაში, არსებითად, უნდა ჩაითვალოს მთავარ ამსრულებლად და ამის შესაბამისად უნდა აგოს პასუხიც“.[55]

§3. დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტი საბჭოურ სისხლის სამართალში

ისტორიული მიმოხილვა არასრულყოფილი იქნებოდა საბჭოთა პერიოდში თანამონაწილეობის მოხსენიების გარეშე.

თანამონაწილეობის პირველი ნორმატიული განსაზღვრება მოცემული იყო რსფსრ-ს სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისებში (1919 წელი). ისინი ჯგუფურ დანაშაულებს მიაკუთვნებდნენ თანამონაწილეობას (ბანდა, ჯგუფი, მასა).

რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსები (1922 და 1926 წწ.) არ იძლეოდნენ თანამონაწილეობის ცნების განმარტებას, მაგრამ გამოყოფდნენ თანამონაწილეთა სახეებს: წამქეზებელი, ამსრულებელი, დამხმარე. სამწუხაროდ 30-იან წლებში, პოლიტიკური რეპრესიებისდა გამო, თანამონაწილეობის საზღვრები უსაზღვროდ ფართო იყო.

ა.ვ.ვიშინსკის აზრით „საერთო კავშირი“ თანამონაწილის ქმედებასა და შედეგს შორის, როცა ქმედებამ ამა თუ იმ ხარისხით, პირდაპირ ან ირიბად, დახმარებით ან უშუალოდ განსაზღვრა ანდა გააიოლა შედეგი,

---

52 Maurach R., Deutsches Strafrect, Allgemeiner Teil, Karlsruhe, 1958, გვ. 492.

53 Слободкин Ю.М., Соучастие по уголовному праву ФРГ, М., 1971, გვ. 11.

54 Jescheek H.H., Lehrbuch des Strafrechts. Allgemeiner Teil, 4 Aufl., Berlin: Dunker and Humbolt, 1988, გვ. 584.

55 Ковалев М.И., Соучастие в преступлении, Екатеринбург, 1999, გვ. 122.

ითვლება საკმარის საფუძვლად ასეთი „თანამონაწილისთვის“ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.[56]

საბჭოთა სისხლის სამართალში თანამონაწილეობის განსაზღვრება პირველად მოცემული იყო სახელმძღვანელო საწყისების 21-ე მუხლში, სადაც აღინიშნებოდა: „პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის (ჯგუფი, ბანდა), ისჯებიან როგორც ამსრულებლები, ასევე წამქეზებლებიც და დამხმარეებიც“. მოცემულ ტექსტში გამოიყოფოდა ორი ნიშანი: პირთა ჯგუფის არსებობა და მის მიერ დანაშაულის ერთობლივი ჩადენა. თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე მასში არ აღინიშნებოდა.

სპეციალურ ლიტერატურაში თანამონაწილეობა ვიწრო გაგებით განისაზღვრებოდა, მოიცავდა რა მხოლოდ ჯგუფურ ქმედებას;[57] თანამონაწილეობის ფარგლებს გარეთ რჩებოდა დამნაშავეთა ერთობლივი ქმედება, რომელიც არ ქმნიდა ჯგუფს. ამასთანავე იგი იყო ფართოც, რამდენადაც დანაშაულებრივ ჯგუფს უთანაბრებდა წესრიგის დამრღვევ ხალხთა მასას, დამანგრეველი ძალის მქონეს, მაგრამ სუბიექტურად შეუკავშირებელს.

თანამონაწილეობის ცნების პირველმა განსაზღვრებამ დადებითი როლი ითამაშა იმით, რომ მიუთითა მისი არსებობის მნიშვნელობაზე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. მისი არასრულყოფილება, ბუნებრივი საბჭოთა სისხლის სამართლის განვითარების საწყისი პერიოდისათვის, მეტყველებდა იმაზე, რომ ამ პრობლემის დაწვრილებით შესწავლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თეორიულად ღირებული და სასამართლო პრაქტიკისათვის ხელსაყრელი თანამონაწილეობის განსაზღვრების ფორმულირება.

საბჭოთა კავშირის 1922 და 1926 წლების სისხლის სამართლის კოდექსების ზოგად ნაწილში, თანამონაწილეობის ცნების განსაზღვრებისას შეიმჩნეოდა ორმაგი მიდგომა. მეცნიერთა ერთი ნაწილი თანამონაწილეობად თვლიდა „ორი ან მეტი პირის ერთობლივი ქმედებით ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენას“.[58] მათ განსაზღვრებაში უპირატესი ყურადღება ეთმობოდა ობიექტური მხარის ელემენტს – დანაშაულებრივი ქმედების ერთობლიობას. განსაზღვრებაში არ იყო მითითებული სუბიექტური მახასიათებლები, ამიტომ თანამონაწილეობა დაიშვებოდა გაუფრთხილებლობით დანაშაულებშიც. თანამონაწილეობის განსაზღვრების ასეთი მიდგომა გამოხატულია ა.ნ.ტრაინინის მონოგრაფიაში.[59]

საბჭოთა მეცნიერთა უმრავლესობა თანამონაწილეობას დასაშვებად თვლიდა მხოლოდ განზრახ დანაშაულებში. ამასთანავე, თანამონაწილეთა ერთიანობა არ იუარყოფებოდა, მაგრამ არც

---

[56] Вышинский А.Я., Вопросы Теории государства и права, М., 1949, გვ. 119.

[57] იხ.: Трайнин А.Н., Учение о соучастии, М., 1941, გვ. 47; Пионтковский А.А., Курс советского уголовного права, М., 1970, ტ. II, გვ. 450.

[58] იხ.: Ганин А.А., Угаловный кодекс РСФСР в вопросах и ответах, М., 1927, გვ. 26; Трайнин А.Н., Угаловное право, Общая часть, М., 1929, გვ. 339-346.

[59] Трайнин А.Н., Учение о соучастии, М., 1941, გვ. 77.

გამოიყოფოდა, როგორც თანამონაწილეობის საერთო ნიშანი.[60] ადრინდელი განსაზღვრებებიდან, თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის შედარებით სრულყოფილი დახასიათება მოცემულია ა.ა.პიონტკოვსკის მიერ. იგი თანამონაწილეობად თვლიდა „ორი ან მეტი პირის განზრახ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში“.[61]

მთლიანობაში ეს აღმოჩენები თანამონაწილეობის განსასაზღვრავად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო სახელმძღვანელო საწყისების 21-ე მუხლთან შედარებით. მასში საფუძველი ჩაეყარა თანამონაწილეობის ისეთ არსებით მახასიათებლებს, როგორიცაა დანაშაულებრივი ქმედების ერთობლიობა და განზრახი ხასიათი. მათი სისუსტე იმაში მდგომარეობდა, რომ ეს მჭიდროდ დაკავშირებული მახასიათებლები თანამონაწილეობის დასახასიათებლად გამოიყენებოდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართლის საფუძვლებმა განსაზღვრა თანამონაწილეობის ზოგადი ცნება. საფუძვლების მე-17 მუხლის თანახმად, „თანამონაწილეობად ითვლება ორი ან მეტი პირის განზრახი ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში“.

თანამონაწილეობის განსაზღვრება, გარდა სასამართლო პრაქტიკისა, ფართოდ გამოიყენებოდა ერთობლივ დანაშაულებრივ ქმედებაში ბრალდების სადავო საკითხების გადასაწყვეტად. ამასთანავე იგი თანამონაწილეობის პრობლემის თეორიული დამუშავების საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენდა.

მეცნიერთა უმრავლესობა, აღნიშნულთან დაკავშირებით, თვლიდა, რომ თანამონაწილეობის განსაზღვრებაში მითითებული ყოფილიყო დანაშაულებრივი ქმედების განზრახ ჩადენაზე.[62] ასეთი დამატება საკანონმდებლობო განსაზღვრებას კონკრეტიზირებულს გახდიდა და სასამართლო პრაქტიკას გაუადვილებდა თანამონაწილეობის გამიჯვნას, ობიექტურად დაკავშირებულ, მაგრამ სუბიექტურად შეუთანხმებელი მსგავსი გაუფრთხილებლობითი ქმედებებისაგან.

ფ.გ.ბურჩაკი მიუთითებდა კანონმდებლობაში თანამონაწილეობის ორმაგი განსაზღვრების ჩამოყალიბებაზე, რომელშიც ერთი მათგანი მოიცავდა ისეთ ნიშნებს, რომლებიც დამახასიათებელი იქნებოდა ყველა ფორმის ერთობლივი განზრახი დანაშაულებრივი ქმედებისათვის, მეორე კი – მხოლოდ როლების დანაწილებით თანამონაწილეობისათვის.[63] მოგვიანებით ეს წინადადება გაიმეორა ა.ვ.უშაკოვმა. მისი აზრით, თანამონაწილეობის განსაზღვრება გვარეობითია, იგი მოიცავს თანამონაწილეობის ყველა ფორმისათვის დამახასიათებელ ზოგად

---

60 იხ. Немировский Э.Я., Советское уголовное право, Одесса, 1926, გვ. 144; Г.К.Рогинский, Уголовный кодекс РСФСР, Л., 1928, გვ. 57; А.Я. Эстрин, Начала советского уголовного права, М., 1930, გვ. 81.

61 Пионтковский А.А., Уголовное право РСФСР, М., 1924, გვ. 183-186; მისივე, Уголовное право, Общая часть, 1938, გვ. 314.

62 იხ. Пионтковский А.А., Курс советского уголовного права, М., 1970, ტ. II, გვ, 452; Ковалев М.И., Соучастие в преступлении, ч.I, Свердловск, 1960, გვ. 130; Бурчак Ф.Г., Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, გვ. 58.

63 Бурчак Ф.Г., Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, გვ. 38.

ნიშნებს. თანამონაწილეობის ცალკეული ფორმები, საკანონმდებლო წესით, ჯერ-ჯერობით არ არის განსაზღვრული. თანამონაწილეობის ინსტიტუტის შემდგომი განვითარება, რასაკვირველია, უკვე იძლევა ასეთი განსაზღვრების შესაძლებლობას. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში ლოგიკურია იყოს ან თანამონაწილეობის ყველა ფორმის განსაზღვრება მის გვარეობით განსაზღვრებასთან ერთად, ანდა მხოლოდ თანამონაწილეობის გვარეობითი განსაზღვრება. ერთი ფორმის განსაზღვრებამ (თანამონაწილეობა სხვადასხვა როლების შესრულებით) – შეიძლება გაართულოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების გამოყენება. წარმოიშვება სირთულე ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედების ორი სხვადასხვა განსაზღვრების შეპირისპირებისას და წამოიჭრება კითხვა, თუ რატომ არის თანამონაწილეობის ერთი ფორმა კანონით განსაზღვრული, სხვები კი – არა.[64]

ი. პ. მალახოვი მომხრე იყო იმისა, რომ თანამონაწილეობად ჩათვლილიყო „ერთი პირის განზრახი მონაწილეობა მეორე პირის დანაშაულებრივ ქმედებაში“.[65] მისი განსაზღვრება გამომდინარეობს მხოლოდ ამსრულებლის ქმედებიდან და უშვებს დანარჩენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას „სხვა“ დანაშაულის შემადგენლობაში, რაც არ პასუხობდა სისხლის სამართლის იმდროინდელ თეორიას და გამართლებული იყო პრაქტიკაში არსებული წესით, რომელიც პირს პასუხისმგებლობას აკისრებდა მხოლოდ მისი ქმედებისათვის. მსგავსი განსაზღვრება უვარგისია თანამონაწილეობის ისეთი ფორმისათვის, როგორიცაა თანაამსრულებლობა, დანაშაულებრივი ორგანიზაცია, სადაც არ შეიძლება „სხვისი“ ქმედების გამოყოფა. ნაწილობრივ იგი გვაგონებს XIX საუკუნის დასაწყისში გაბატონებულ თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას, რომელიც, ამსრულებლის გარდა, დამოუკიდებელ მნიშვნელობას არ ანიჭებდა სხვა დანარჩენ თანამონაწილეთა ქმედებას; იმ თეორიას, რომელიც უარყოფილ იქნა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონით რიგ მოსაზრებათა გამო და უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ იგი არ გამორიცხავდა სხვის დანაშაულებრივ ქმედებაზე პასუხისმგებლობას.[66]

თანამონაწილეობის არსებული განსაზღვრების სრულყოფისათვის ზემოთ განხილულ ცდათა შორის ყველაზე მეტად კონსტრუქციულად წარმოგვიდგება ის წინადადება, რომელიც ნათლად მიუთითებს საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლში თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის განზრახ ხასიათზე. შემდგომ, თანამონაწილეობის განსაზღვრებაში უნდა მითითებულიყო დანაშაულში მონაწილე პირთა ერთობლივი ქმედების ურთიერთგაცნობიერება. ამ საკითხის გადაჭრაზეა დამოკიდებული დანაშაულის კვალიფიკაცია. ამასთან დაკავშირებით დისკუსია მივიდა იქამდე, რომ საჭირო გახდა მისი საკანონმდებლო წესით ლოგიკური შეჯამება. ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა

---

64 Ушаков А.В., Основание и пределы ответсевенности соучастников по советскому уголовному праву, автореферат канд. дисс., М., 1971, გვ. 8.

65 Малахов И.П., Соучастие в воинских преступлениях в свете общего учения о соучастии по советскому уголовному праву, М., 1960, автореферат канд. дисс., გვ. 15.

66 იხ. „Курс советского уголовного права. Часть общая“, М., 1969, გვ. 220.

შემდეგი განსაზღვრების ჩამოყალიბება – თანამონაწილეობად ითვლებოდა ორი ან მეტი პირის შეგნებული ერთობლივი ქმედება განზრახი დანაშაულის ჩასადენად. ამავე დროს თანამონაწილეობის არსებული გაგება უნდა ივსებოდეს და ზუსტდებოდეს განსაზღვრული მითითებით განზრახ დანაშაულში თანამონაწილეობის შესაძლებლობით, ორი ან მეტი პირის ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედების ურთიერთგაცნობიერების აღიარების აუცილებლობით და იმ აზრის უფრო მკაფიოდ გამოხატვით, რომ თანამონაწილეობა – ესაა განზრახ დანაშაულებრივი ქმედების თავისებური ფორმა.[67]

დანაშაულებრივი ხელყოფისაგან მართლწესრიგის დასაცავად თანამონაწილეობის ინსტიტუტი ასრულებს სპეციფიკურ როლს. ეს მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილეობის შესახებ ნორმებში: ა) მოცემულია ყველა ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ობიექტური და სუბიექტური ნიშნები; ბ) განსაზღვრულია დანაშაულებრივი ქმედებისათვის პასუხისმგებელ პირთა წრე; გ) როლების განაწილებით განზრახი დანაშაულის ჩადენისას პასუხისმგებლობის წესის დადგენა; დ) თანამონაწილეთათვის სასჯელის დაწესების თავისებურებათა მითითება.[68]

სისხლის სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია თანამონაწილეობის განსაზღვრების თანაფარდობის და სხვათა მდგომარეობის საკითხის გადაწყვეტა სსკ-ის მე-17 მუხლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ცალკეული შემთხვევებისას ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედების დროს. სპეციალურ ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, მოიაზრება აუცილებლობა კერძო ნაწილის ნორმის განმარტებისა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგადი ნაწილის საფუძველზე.[69] ნ.დ.დურმანოვი თვლიდა, რომ არ შეიძლებოდა კერძო ნაწილის მუხლების გამოყენება მათთვის შესაბამისი ზოგადი ნაწილის ნორმებიდან მოწყვეტით. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „კერძო ნაწილის ნორმა, ზოგადი ნაწილის ნორმის გარეშე ან საერთოდ არ არსებობს ან დამახინჯებულად აღიქმება“.[70]

ამასთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა მ.დ.შარგოროდსკიმ და განაცხადა, რომ თანაამსრულებლობასა და ჯგუფურ დანაშაულებრივ ქმედებას არა აქვთ საერთო თანამონაწილეობასთან. სსკ-ის ზოგადი და კერძო ნაწილის მუხლები, სადაც საუბარია პირთა ჯგუფის დანაშაულებრივ ქმედებებზე, ნიშნავს არა თანამონაწილეობას, არამედ უბრალოდ „რამოდენიმე პირის მიერ განსაზღვრულ პირობებში დანაშაულის ჩადენას“.[71] მსგავსი დანაშაულის ჩადენის იურიდიულ ბუნებაზე მ.დ.შარგოროდსკი არაფერს ამბობს. საკითხის ამგვარ დასმას შესაძლოა იგი მიეყვანა იმ ფაქტის აღიარებამდე, რომ პირთა ჯგუფის ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედება თავისი არსით იგივეა, რაც ორი

---

67 იხ. „Курс советского уголовного права. Часть общая“, Л., 1968, ტ. I. გვ. 582.

68 იქვე;

69 იხ. Кудрявцев В.Н., Общая теория квалификации преступлений, М., 1972, გვ. 43-50; Брайнин Я.М., Угаловный закон и его применение, М., 1967, გვ. 15-16, 45, 185; „Курс советского уголовного права, Часть общая“, Л., 1968, ტ. I, გვ. 70-71.

70 Дурманов Н.Д., Советский уголовный закон, М., 1967, გვ. 108.

71 Шаргородский М.Д., Некоторые вопросы общего учения о соучастии, „Правоведение“, 1960, №1, გვ. 84-97.

ან მეტი პირის მიერ განზრახ დანაშაულის ჩადენა, ე.ი. თანამონაწილეობა. ადრე მ.დ.შარგოროდსკი დანაშაულებრივ ჯგუფს და ბანდას, ყველა შემთხვევაში, მიაკუთვნებდა თანამონაწილეობას.[72]

მოგვიანებით ფ.გ.ბურჩაკმა გამოთქვა მოსაზრება რფ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის გავრცელების შესახებ მხოლოდ სხვადასხვა როლების განაწილებით თანამონაწილეობის შემთხვევაში.[73] შემდეგ რ.გალიაკბაროვმა აღიარა, რომ თანამონაწილეობის ჩარჩოები ვიწროა ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედების ზოგიერთი შემთხვევისათვის, რომელიც მოცემულია სსკ-ის კერძო ნაწილში.[74]

თანამონაწილეობის პრობლემა ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი, და არც შეიძლება იყოს გადაწყვეტილი. მეცნიერების პროგრესი მდგომარეობს ჩვენს მიერ გადასაწყვეტი პრობლემების სიღრმეში და არა უბრალოდ ცოდნის ფარგლებში. მეცნიერება პროგრესირდება ერთი პრობლემიდან მეორეში, უფრო ღრმაში, და შეცნობის პროგრესთან ერთად იზრდება ჩვენს წინაშე მდგომი პრობლემების რიცხვი და სიღრმე.[75]

საბოლოო ჯამში, შეიძლება შემდეგი დასკვნის ფორმულირება:

1. თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების საკანონმდებლო ფორმულირება მოცემულია 1810 წლის საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში.
2. 1810 წლის საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსმა გადაწყვიტა თანამონაწილეობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, გამორიცხა რა მისი შემადგენლობიდან შემხებლობის ნებისმიერი ფორმა (შეუტყობინებლობა, დაფარვა).
3. სამართლის არცერთი ისტორიული სისტემა არ იცნობდა ორგანოზატორის ფიგურას.
4. სასჯელის დაკისრებისათვის თანამონაწილეთა დაყოფა სამართლის სისტემათა უმრავლესობის მიერ უმნიშვნელოდ მიიჩნეოდა.
5. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრობლემა თანამონაწილეობისა არის თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა, რამდენადაც ამსრულებლის გარდა, არცერთი თანამონაწილე არ ასრულებს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს.[76]

---

[72] Шаргородский М.Д., „Вопросы общей части уголовного права“, Л., 1955, გვ. 67.

[73] Бурчак Ф.Г., Учение о соучастии по советскому уголовного праву, Киев, 1969, გვ. 34-38.

[74] Шаргородский М.Д., – ცნობს წამქეზებლობას გაუფრთხილებლობით დანაშაულში (იხ. Шаргородский М.Д., „Правоведение“, 1960, №1, გვ. 92).
Галиакбаров Р., „Советская Юстиция“, 1970, №20, გვ. 22.

[75] იხ. Логика научного иследования, Под ред. В.Н.Садовского, М., 1979, გვ. 25.

[76] Галиакбаров Р., „Советская Юстиция“, 1970, №20, გვ. 24.

თავი II. დანაშაულში თანამონაწილეობის სისტემური კვლევა

§1. სისტემური კვლევის არსი

თანამონაწილეობა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც სოციალური ურთიერთქმედების (ერთიანი, მთლიანი) ფენომენი. ამ ფენომენის ახსნა შესაძლებელია თანამონაწილეობის სისტემური კვლევის შედეგად.

დანაშაულის ჩადენის ადგილი და დრო განისაზღვრება ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის ადგილითა და დროით, ხოლო მაგ. დანაშაულის ორგანიზატორის ქმედება კვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმავე მუხლით, რითაც ამსრულებლის ქმედება, თანამონაწილეობის არა აქცესორულობის გამო. ამსრულებლის ექსცესისას, სხვა თანამონაწილეებს არ ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმიტომ კი არა, რომ მათი პასუხისმგებლობა დამოუკიდებელი ხასიათისაა, არამედ ყველა ჩამოთვლილი, სინამდვილეში, სისტემური ხასიათის გამომხატველია.

თანამონაწილეობის სისტემურობის პრობლემის დაყენება თავის თავში მოიცავს რიგ საკითხებს; პირველ რიგში, ეს იქნება კონცეპტუალურად სხვაგვარი წამოჭრა პრობლემისა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ახლებურად აღვიქვათ ობიექტი და ავსახოთ რეალობა, რომელიც კვლევას დაექვემდებარება; მეორეც, გარდაუვალი იქნება რიგი პირობების შესრულება, რომლებიც თანამონაწილეობის პრობლემის კვლევას აქცევს სისტემურად. ამ პირობებს შეიძლება მივაკუთვნოთ კვლევის ობიექტის მთლიანობა (ამის გარეშე თანამონაწილეობა არ არსებობს), თანამონაწილეობის ინტეგრაციულ თვისებათა გამოვლენა, თანამონაწილეთა ერთმანეთს შორის კავშირის ძიება, ობიექტის ურთიერთქმედება გარემოსთან.

თანამონაწილეობის არატრადიციული თვალსაზრისით კვლევისას, ჩვენ მას წარმოვიდგენთ როგორც რაღაც თვისებრიობას (სისტემას), რომელსაც „განვიხილავთ“ მოცემულ ობიექტში. შესაბამისად, თანამონაწილენი ჩვენს მიერ განიხილებიან როგორც ამ ობიექტის „კომპონენტები (ელემენტები)“.

ისტორიულად ისე ხდებოდა, რომ თავდაპირველად (და საკმაოდ ხანგრძლივად) რთული ობიექტების შესწავლისას გამოიყენებოდა ანალიზის არასისტემური საშუალებები და რაღაც დროის განმავლობაში მეცნიერება და პრაქტიკა ამით კმაყოფილდებოდა.

კვლევა ტარდებოდა უპირატესად ობიექტის ნაწილებად „დაშლით“ და ამ ნაწილების აღწერით.[77] არ არის რთული იმაში დარწმუნება, რომ თანამონაწილეობის ინსტიტუტის შესწავლა ზუსტად ამ გზით მიდიოდა. შესასწავლი ობიექტი (თანამონაწილეობა) იყოფოდა ნაწილებად (ამსრულებელი, ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე), რომლებიც აღიწერებოდნენ.

როგორც ლიტერატურაშია მითითებული, ელემენტარიზმი გამოდიოდა იმის რწმენიდან, რომ ყოველგვარ მოვლენაში აუცილებელია

---

[77] Карташев В.А., Система систем, М., 1995, გვ. 37.

პირველსაწყისის მოძებნა, საწყისი „აგურებისა“, რომლისგანაც იგი კანონის შესაბამისად აიგება. ამიტომაც, სირთულის პრობლემა არის რთულის მარტივამდე დაყვანა, მთელის – ნაწილამდე.[78]

XX საუკუნის მეორე ნახევარში, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთ-ერთი განსაკუთრებული მახასიათებელი აღმოჩნდა სისტემური მიდგომისა და სისტემურ კვლევათა იდეების საყოველგანო გავრცელება. სისტემური მიდგომა უარყოფს ცალმხრივ ანალიტიკურ, სწორხაზოვან-მიზეზობრივ კვლევის მეთოდებს და ძირითად აქცენტს აკეთებს ობიექტის მთლიან ინტეგრირებულ მახასიათებლების ანალიზზე, მისი სხვადასხვა სტრუქტურებისა და კავშირების გამოვლენით.[79]

ამასთან დაკავშირებით სისტემას განსაზღვრავენ „როგორც ობიექტთა ერთობლიობას, რომელთა ურთიერთკავშირი განაპირობებს ახალ ინტეგრირებულ თვისებათა არსებობას, მისი ნაწილებისა და კომპონენტებისათვის უჩვეულოს“.[80] სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეთანხმებული ურთიერთქმედება წარმოშობს ახალს, ინტეგრირებული ხარისხის შემცველს.

აქედან გამომდინარე, თანამონაწილეობა როგორც სისტემა (განსაზღვრული მთლიანობა) იძენს ახალ ხარისხობრივ თვისებებს, მისი ელემენტების თვისებებისაგან განსხვავებულს და ელემენტთა თვისებების ჯამის გადამჭარბებელს. ამის შედეგად სისტემა იღებს ქცევის საკუთარ კანონებს, რომლებიც არ შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ მისი ელემენტების ქცევის კანონებად. თანამონაწილეობის მახასიათებლები განისაზღვრება არა მხოლოდ და არა იმდენად ცალკეულ თანამონაწილეთა თვისებებით, რამდენადაც მთელი მისი სტრუქტურის თვისებებით, მისი განსაკუთრებული ინტეგრირებული კავშირებით. თანამონაწილეობას ახასიათებს ხარისხობრივად ახალი ნიშნები, რომლებიც არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ცალკე ნებისმიერ თანამონაწილეს.[81]

თანამონაწილეობის, როგორც სისტემის კვლევა ითვალისწინებს იმ ინტეგრირებულ ხარისხზე მითითებას, რომლებიც თანამონაწილეობას როგორც სისტემას ახასიათებენ. ეს, პირველ ყოვლისა, მისი (თანამონაწილეობის) ძირითადი დანიშნულებაა – დანაშაულის ჩადენა. შემდგომში უნდა განისაზღვროს უმართლობის ხარისხი, სტრუქტურა (სისტემის შიგნით მისი ერთიანობის უზრუნველმყოფი მყარი კავშირების ერთობლიობა და ნებისმიერი შინაგანი და გარეგანი ცვლილებებისაგან დაცულობა), ორგანიზებულობის ხარისხი (იერარქია, მართვა), თვითკმარობა (არსებობისათვის პირობების შექმნა, ბალანსირებულობა) და თვითრეგულაცია (შემადგენლობის მუდმივობა და იმავდროულად წევრთა ცვლა აუცილებლობის შემთხვევაში, რომ მუდმივად შენარჩუნდეს დინამიკური თანაფარდობა).

---

78 Блауберг И.В., Юдин Э.Г., Становление и сущность системного подхода, М., 1973, გვ. 168.

79 Блауберг И.В., Садовский В.Н., Юдин Э.Г., Системный подход: предпосылки, проблемы, трудности, М., 1969, გვ. 6.

80 Прангишвили И.В., Системный подход и общесистемные закономерности, М., 2000, გვ. 31.

81 Садовский В.Н., Основания общей теории систем, М., 1974, გვ. 5.

სისტემისათვის ობიექტური საფუძვლების სახით აუცილებელია: მთლიანობა – შეკავშირებულობა – ფუნქციონალურობა – შედეგი.[82]

ყოველგვარი სისტემური კვლევისათვის ამოსავალია შესასწავლი სისტემის მთლიანობის ცოდნა. აქედან გამომდინარეობს ორი დასკვნა: პირველ რიგში, სისტემა შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც რაღაც მთლიანი იმ შემთხვევაში, თუ იგი, როგორც სისტემა, უპირისპირდება თავის გარემოცვას. მეორეც, სისტემის დანაწევრებას მოსდევს ელემენტის ცნება – ერთეულები, რომელთა თვისებები და ფუნქციები განისაზღვრება მათი ადგილით მთლიანის ჩარჩოებში, თანაც ეს თვისებები და ფუნქციები წარმოადგენენ ურთიერთგანსაზღვრულს მთელის თვისებებთან მიმართებაში (ე.ი. მთელის თვისებები არ შეიძლება გაგებულ იქნეს თუნდაც ელემენტის ზოგიერთი თვისების გაუთვალისწინებლად და პირიქით).[83] გარემოს შესაბამისად სისტემა აღიქმება როგორც რაღაც ერთიანი.[84]

თუ სისტემამდელ კვლევებში, როგორც წესი, საუბარი იყო რთული ობიექტის აღწერაზე (მეცნიერება მიმართული იყო ობიექტის ცალკეულ თვისებათა შესწავლასა და გამოყენებისაკენ), მაშასადამე სისტემურ კვლევებს მიზნად აქვთ დასახული „ცხოვრების“ მექანიზმის გამოვლენა, ე.ი. ობიექტის ფუნქციონირება და განვითარება მის შინაგან და გარეგან (გარემოსთან მისი ურთიერთკავშირის შემცველი) მახასიათებლებში.[85]

აქედან გამომდინარე, თანამონაწილეობის ცნების ქვეშ იგულისხმება სისტემა, რომელიც წარმოადგენს ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული ელემენტების (თანამონაწილეების) სიმრავლეს (ორის ან მეტის), როგორც განსაზღვრულ მთლიანობას და ამ სახით გარემოზე ურთიერთმომქმედს.

მაშასადამე, მთლიანობა ახასიათებს თანამონაწილეობას, როგორც მასში განთავსებული ხარისხის მახასიათებლებით მოცული ერთობა.

კვლევის კონტექსტში მიზანმიმართულია ასევე პ.კ.ანოხინის მიერ შემოთავაზებული სისტემის განსაზღვრება: „სისტემა შეიძლება ვუწოდოთ შერჩევით ჩაბმულ კომპონენტთა ისეთ კომპლექსს, რომლის შემადგენელთა ურთიერთქმედება და ურთიერთდამოკიდებულება იძენს ურთიერთთანაქმედებას ფიქსირებული შედეგის მისაღწევად“.[86]

თანამონაწილეობა, როგორც სისტემა განცალკევებული კომპონენტების შემთხვევითი ერთობლიობა კი არ არის, არამედ „შერჩევით ჩაბმულთა“ ერთობლიობაა (კომპლექსი). ესაა განსაკუთრებული, სპეციალურად შერჩეული კომპონენტები (თანამონაწილენი), და არსებობს შერჩევის გასაგები მიზეზიც. თანამონაწილეებს გააჩნიათ ერთობლივად დანაშაულის განხორციელების სურვილი. ეს არის მათი გაერთიანების მოტივაციის მადომინირებელი.

---

82 Карташев В.А., Система систем, М., 1995, გვ. 395.

83 Блауберг И.В., Садовский В.Н., Юдин Э.Г., Системный подход: предпосылки, проблемы, трудности, М., 1969, გვ. 21.

84 Поспелов Г.С., Ириков В.А., Програмно-целевое планирование и управление, М., 1976, გვ. 21.

85 Блауберг И.В., Юдин Э.Г., Становление и сушность системного подхода, М., 1973, გვ. 169.

86 Анохин П.К., Теория функциональной системы // Успехи физиологических наук, ტ. I, 1970, გვ. 33.

თანამონაწილენი თავიანთი თავისუფლების ნაწილს კარგავენ, ან ზღუდავენ, ხდებიან რა განსაზღვრულად ერთმანეთზე დამოკიდებულნი, და იმავდროულად, თავიანთი ძალების გაერთიანებით, იფართოვებენ შესაძლებლობებს დასახული მიზნის მისაღწევად. თითოეული მათგანი საკუთარი ინტერესებისა და მიზნების მიღწევის შესაძლებლობას ერთობლივ ქმედებაში ხედავს. მათი ინდივიდუალური ინტერესები და მიზნები ტრანსფორმირდება ჯგუფში. ჯგუფური ინტერესები და მიზნები ერთდროულად აღიქმება როგორც საერთო, ისე პირადი. ეს არის მათი ურთიერთქმედების მიზეზი.

ამგვარად, ურთიერთქმედება გამოდის „სისტემაშემქმნელ ფაქტორად“ რომელიც განსაზღვრავს შერჩევით ჩაბმულ წევრებს და როლთა განაწილების პირობებს. სისტემაში და მხოლოდ ასეთ ურთიერთდამოკიდებულებაში შედიან მხოლოდ ის თანამონაწილენი, რომლებსაც გააჩნიათ კონკრეტული დანიშნულება საქმეში საჭირო შედეგის მისაღწევად, და უზრუნველყოფენ ამ სისტემის სიცოცხლისუნარიანობას.

სისტემა – ეს არის სტრუქტურირებული შემადგენლობა. სისტემა შედგება: ა) შემადგენლობისაგან და ბ) სტრუქტურისაგან.[87]

შემადგენლობა – ეს არის სისტემის ჩამომყალიბებელი კომპონენტების (ელემენტთა) ერთობლიობა. ნებისმიერი სისტემა წარმოადგენს სიმრავლეს, რომელიც შედგება მინიმუმ ორი კომპონენტისაგან. ამასთანავე ნებისმიერი სისტემა წარმოადგენს დახურულს – უცხო, ჰეტეროგენული ელემეტებისათვის. იმავდროულად, ნებისმიერი სისტემა ღიაა ჰომოგენური, მონათესავე ელემენტებისათვის, რომლებიც იქცევიან მის ელემენტებად.

სტრუქტურა – ეს არის კომპონენტთა ურთიერთობის, კავშირის და გამიჯვნის ერთობლიობა. სტრუქტურა – ესაა მოწესრიგებულობა, ეს არის ელემენტთა სუბორდინაციისა და კოორდინაციის ურთიერთობა.[88]

სისტემის სტრუქტურა გამოხატავს კანონზომიერ (განმეორებად) მაინტეგრირებელ კავშირებს ობიექტის მთლიანობაში.

მარტივი ერთობლიობა (მისი მაგალითი შეიძლება იყოს ქვების გროვა, ქუჩაში ადამიანების შემთხვევით შეკრება) მოკლებულია შიდა ორგანიზაციის რაიმე არსებით ნიშნებს. მის შემადგენლებს შორის კავშირები გარეგანი, შემთხვევითი, არაარსებითი ხასიათისაა. ერთიანობის თვისება მთლიანობაში, მისი არსით ემთხვევა იზოლირებულად აღებული მისი ნაწილების (შემადგენლების) თვისებათა ჯამს. მაშასადამე, ასეთი ერთობლიობა მოკლებულია სისტემურ ხასიათს.[89]

სისხლის სამართლის პრაქტიკიდან ასეთი ერთობლიობის მაგალითი შეიძლება იყოს რამდენიმე პირის თუმც ერთდროულად ერთსა და იმავე

---

[87] იხ.: Зеленов Л.А., Введение в общую методологию, Нижний Новгород, 2002, გვ. 79.

[88] იხ.: Зеленов Л.А., Введение в общую методологию, Нижний Новгород, 2002, გვ. 79, 116, 121.

[89] Блауберг И.В., Садовский В.Н., Юдин Э.Г., Системный подход: предпосылки, проблемы, трудности, М., 1969, გვ. 32.

ობიექტის ხელმყოფი, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედი პირების დანაშაულებრივ ქმედებათა დამთხვევა (მაგ. ფეხსაცმლის გატაცება გახსნილი ვაგონიდან ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე შემთხვევით გამვლელთა მიერ).

ამგვარად, თანამონაწილეობა, როგორც სოციალური ურთიერთქმედების ფენომენი წარმოადგენს „შერჩევით ჩაბმულ“ პირთა სისტემას, რომლებიც დარწმუნებულნი არიან ერთმანეთის არსებობაში, ურთიერთმოქმედებენ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად როგორც ჯგუფი, რომელიც იღწვის თავისი დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად.

§2. დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ნორმათა უმრავლესობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ერთი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. მაგრამ პრაქტიკაში ცნობილია მრავალი შემთხვევა, როცა დანაშაული ჩადენილია არა ერთი პირის, არამედ ორი და მეტი პირის მიერ. ასეთი შემთხვევები კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით ფასდება, როგორც დანაშაულში თანამონაწილეობა. ამ ცნების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ რამოდენიმე პირის, ხშირად წინასწარშეთანხმებული, ერთობლივი ქმედებით ჩაიდინება ერთიანი დანაშაული და მიიღწევა საერთო დანაშაულებრივი შედეგი. ხშირ შემთხვევაში ესა თუ ის დამნაშავე თუ იმოქმედებდა მარტო, შესაძლებელია, ვერ ჩაედინა დანაშაული, მაგ., დანაშაულის ჩადენის იარაღის და საშუალების უქონლობის, მერყეობის და ა.შ. გამო. მაგრამ, სხვა პირებთან გაერთიანებულს, შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში რჩევების მიცემით, იარაღის მიწოდებით, სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფით და სხვა ხერხებით.

თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის საშიშროება განისაზღვრება იმით, რომ რამდენიმე პირის მონაწილეობა დანაშაულში იძლევა დანაშაულებრივი საქმიანობის უფრო მეტად შენიღბვის შესაძლებლობას, რაც ხშირად სამართალდამცავ ორგანოებს უქმნის სირთულეებს მის დროულ გამომჟღავნებასა და აღკვეთაში. როგორც წესი, დანაშაულის თანამონაწილეობით ჩადენა წარმოადგენს მომეტებულ საშიშროებას ერთპიროვნულად ჩადენილ დანაშაულთან შედარებით. ეს იმით აიხსნება, რომ მონაწილეთა გაერთიანებული ძალებით ჩადენილი დანაშაული უფრო მეტად მოფიქრებულია, ხშირად იგი ხორციელდება პროფესიონალთა მიერ, დანაშაულის ჩადენის ხერხები დახვეწილია, ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ფიზიკური ზემოქმედების მომხდენია დაზარალებულზე, როგორც მაგ. ორგანიზებული ჯგუფის მიერ მძევლად ხელში ჩაგდებისას. ამასთანავე შესაძლებლობა მეტია ჩადენილი დანაშაულის კვალის დაფარვისა. ყოველივე ეს კი უადვილებს მონაწილეებს დანაშაულის ჩადენას და ხშირად უბიძგებს მათ განსაკუთრებით მძიმე და სასტიკი დანაშაულების ჩადენისაკენ.

გაერთიანებული ძალებით დანაშაულის ჩადენისაკენ სწრაფვა განსაკუთრებით არასრულწლოვან დამნაშავეებში ვლინდება. საკმაოდ ხშირად არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის ძირითადი მოტივი არა ინდივიდუალური მოთხოვნილებაა, არამედ სწორედ, რომ

ჯგუფის სრულწლოვანი პირების აზრი. არასრულწლოვანები ხშირად ერთიანდებიან ერთობლივად ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ჩასადენად და ისიც არც თუ ისე იშვიათად სრულწლოვანი დამნაშავეების ხელმძღვანელობით.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულებს, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ რამოდენიმე პირის გაერთიანების გზით: ბანდიტიზმი, მასობრივი არეულობა, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში.

დანაშაულში თანამონაწლეობა არის დანაშაულებრივი საქმიანობის სპეციფიკური ფორმა.

თანამონაწილეობით დანაშაული ჩაიდინება რამოდენიმე პირის მიერ ერთობლივად, ე.ი. თითოეული თანამონაწილე ახორციელებს დანაშაულის ჩასადენად აუცილებელ სხვადასხვა ხარისხისა და ხასიათის ქმედებას სხვა თანამონაწილეებთან ერთად. ამასთანავე, მათი როლები შეიძლება სხვადასხვა იყოს: ა) თითოეული მათგანი ახორციელებდეს ქმედების შემადგენლობის ობიექტურ მხარეს სრულად, ე.ი. იყვნენ დანაშაულის ამსრულებლები; ბ) ახორციელებს ქმედებას დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარისათვის ნაწილობრივ დამახასიათებელს – ერთი თანამონაწილის ქმედება ავსებს მეორისას; ასეთი თანამონაწილენი არიან თანაამსრულებლები, ისინი ახორციელებენ ობიექტურ მხარეს ერთობლივად; გ) ერთი თანამონაწილის ქმედება წარმოადგენს მეორე თანამონაწილის ქმედების წინაპირობას. უკანასკნელ ნიშანს არსებითი მნიშვნელობა გააჩნია სხვათა (ამსრულებლის და თანაამსრულებლის გარდა) როლების განხორციელებისას: ორგანოზატორის, წამქეზებლის, დამხმარის.

დანაშაულში თანამონაწილეობა გულისხმობს თანამონაწილეთა აქტიურ მოქმედებას, მაგრამ რიგ შემთხვევებში შესაძლებელია მისი განხორციელება უმოქმედობითაც. ასეთი შესაძლებელია, როდესაც ორი ან მეტი პირი ერთობლივად არ ასრულებენ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას და ამის გამო დგება მართლსაწინააღმდეგო შედეგი. მაგ. დაცვის თანამშრომელი დამნაშავეებთან წინასწარი შეთანხმებით განზრახ გაეცალა დასაცავ ობიექტს და შექმნა ძარცვის პირობა. დანაშაულში თანამონაწილეობის ობიექტური მხარის შემდეგი ნიშანია – ერთიანი დანაშაულებრივი შედეგი (მატერიალური შემადგენლობის დანაშაულისათვის). იგი მიიღწევდა თანამონაწილეთა ერთობლივი ძალებით, განურჩევლად მათი როლებისა – საერთო ქმედებას მივყავართ საერთო, ყველასთვის სასურველ, ერთიან დანაშაულებრივ შედეგამდე.

დანაშაულში თანამონაწილეობისას ხორციელდება ერთიანი სისხლისამართლებრივი უმართლობა, რომელიც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ უმართლობის ტიპზე დანაშაულში თანამონაწილეობის ობიექტური მხარის დაფუძნება წინგადადგმული ნაბიჯია ამ მხრივ მიზეზობრიობის პრინციპთან შედარებით. დანაშაულში ყველა

თანამონაწილე, მათ შორის ამსრულებელიც, ერთიან სისხლისამართლებრივ უმართლობას ახორციელებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შესაძლებელია ქმედების სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაცია. მაგალითად, გამორიცხული არ არის შემთხვევა, როდესაც ქმედების მოტივების მიხედვით ერთ თანამონაწილეს შეერაცხოს მარტივი მკვლელობა, ხოლო მეორეს – მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (მაგ. ანგარებით), როდესაც ეს მოტივი სხვა თანამონაწილისათვის ან ამსრულებლისათვის ცნობილი არ იყო. მაგრამ ამ შემთხვევაში მკვლელობის ტიპიური უმართლობა მაინც არსებობს და, მაშასადამე, არსებობს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძველი.[90]

თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის ლეგიტიმაცია სახელმძღვანელო ლიტერატურაში არ არის წამოწეული, ანდა მოკლედ არის ნათქვამი, რომ თანამონაწილეობა (Teilahme) დასჯადია, რამდენადაც თანამონაწილე სჩადის უმართლობას (Unrecht), ხოლო თანამონაწილეობის ინსტიტუტმა უნდა განსაზღვროს ამგვარი პასუხისმგებლობის ფარგლები. სახელდობრ ამიტომ სხვადასხვა ფორმულირებაში ასე თუ ისე აღიარებულია და მტკიცდება აქცესორობა (ვარიაციებით: წმინდა – კ.ლიუდერსენი; განსაზღვრული, ე.ი.ლიმიტირებული და ა.შ.).[91]

საქ. სსკ-ისაგან განსხვავებით გერმანიის სსკ არ მოიცავს თანამონაწილეობის ცნებას. გერმანიის სსკ-ში რეგლამენტირებულია წამქეზებლობა და განსაზღვრულია წამქეზებლის ცნება, ასევე დახმარება და დამხმარის ცნება და მათი დასჯის პირობები. ორგანიზატორს კი, როგორც დანაშაულში თანამონაწილის სახეს გერმანიის კოდექსი საერთოდ არ ცნობს.

ლიტერატურაში, ბუნებრივია, მოცემულია თანამონაწილეობის სხვადასხვა, მაგრამ ძირითადად მსგავსი ცნებები. პროფესორი კ.კიული თანამონაწილეობას განსაზღვრავს როგორც სხვის ქმედებაში მონაწილეობას, რომელსაც უწოდებს მთავარს და უმატებს: „მხოლოდ ამ მთავარი ქმედების საშუალებით არის დაკავშირებული თანამონაწილეობა შესაბამისი დელიქტის შემადგენლობასთან“.[92] პროფესორ ფ.კრეის თანამონაწილეობის ცნება გამოყავს თანამონაწილის, როგორც სხვის ქმედებაში ბატონობის გარეშე მონაწილის ცნებიდან.[93]

რამდენადმე სხვაგვარად განმარტავს თანამონაწილეობას კ.როქსინი. მისი აზრით, „თანამონაწილეობა – ესაა სამართლებრივი სიკეთის დამოუკიდებელი ხელყოფა, რომელიც თავისთავად არ წარმოადგენს თანაამსრულებლობას, რამოდენიმე პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას შესაბამისი ქმედების შემადგენლობაში, განზრახ მართსაწინააღმდეგო ქმედებაში“.[94]

თანამონაწილეობის არსებით ნიშნებად უნდა ჩაითვალოს იურიდიულ ლიტერატურაში სხვადახვა ავტორთა მიერ აღიარებული მახასიათებლები:

---

[90] ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, თავი XII, გვ. 187.

[91] Gropp W., Strafrecht, Allgemeiner Teil, 2. Aufl., Berlin: Springer, 2001, გვ. 355.

[92] Kühl K., Strafrecht, Allgemeiner Teil, 8. Aufl., München: C.H.Beck, 1998, გვ. 786.

[93] Krey V., Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, Stuttgart – Berlin – Köln: W.Kohlhammer GmbH, 2001, გვ. 76.

[94] Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, München: C.H.Beck, 1994, გვ. 127.

ა) შედარებით ინტენსიურად მოქმედ პირთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე ამსრულებლისა;

ბ) თანამონაწილეობის კავშირი სხვის ქმედებასთან; იგი სხვის ქმედებას მიეკუთვნება;

გ) უნდა იყოს განზრახი და მართლსაწინააღმდეგო, არ არის აუცილებელი სხვისი ქმედების ბრალეული ხასიათი (მხედველობაშია ქმედების შემადგენლობაში განზრახვის არსებობა და ბრალის როგორც დანაშაულის დამოუკიდებელი ნიშნის არ არსებობა);

დ) თანამონაწილეობის მთავარ ქმედებაზე დამოკიდებულება და ამავდროულად მისი აქცესორობა;[95]

ე) ლიმიტირებული დამოკიდებულება, რომელიც ვრცელდება მთავარი ქმედების მართლწინააღმდეგობაზე, და არა აუცილებლად მის ბრალზე, და ამიტომაც იგი ლიმიტირებულად აქცესორულია. როგორც კ.როქსინი წერს: „პრინციპს, რომლითაც ყოველგვარი თანამონაწილეობა გულისხმობს შესაბამისი ქმედების შემადგენლობის არსებობას და ამსრულებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას მისი ბრალის გარეშე, უწოდებენ ლიმიტირებული აქცესორობის პრინციპს“.[96]

აუცილებელი (notwendige) თანამონაწილეობა. ესაა სპეციფიკური კონსტრუქცია, რომელიც გამოხატავს შემადგენლობით გათვალისწინებულ ქმედებაში თანამონაწილის მონაწილეობის ობიექტურ აუცილებლობას. აღნიშნული თანამონაწილე ამ შემთხვევებში არ არის დასჯადი. მითითებული კონსტრუქცია არის, მაგ. §180 „დახმარება (ხელის შეწყობა) სექსუალურ ქმედებაში არასრულწლოვანისათვის“, რომლისთვისაც ისჯება პირი აქ ჩამოთვლილი ხერხებით უზრუნველმყოფი სექსუალური ქმედების 16 წლამდე ასაკის პირისა თავისთვის ან მესამე პირისთვის ან მესამე პრიის სექსუალური ქმედება 16 წლის პირთან მიმართებაში. ამ შემთხვევებში მცირეწლოვანი განიხილება როგორც აუცილებელი თანამონაწილე და არ გვევლინება დასჯადად.[97]

ე.წ. „შემხვედრი დელიქტებისას“, სადაც ერთი თანამონაწილე ამსრულებლის მხარეს იმყოფება, მეორე თანამონაწილე კი მსხვერპლის მხარეს დგას, ეს უკანასკნელი, როგორც თანამონაწილე, სისხლის სამართლის წესით არ დაისჯება, თუკი იგი აუცილებელი თანამონაწილეობის ფარგლებს არ გასცდება, ან – აღნიშნულის განხორციელებისას – თუკი სისხლის სამართლებრივი ნორმა სწორედ მის დაცვას ემსახურება.[98]

---

[95] იხ. ვრცლად: Joecks W., Steuerstrafrecht, Köln: Otto Schmidt Verlag, 2003, გვ. 131 და შემდგომნი.

[96] Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, München: C.H.Beck, 1994, გვ. 127.

[97] Wessels J., Beulke W., Strafrecht, Allgemeiner Teil, 32. Aufl., Heidelberg: C.F.Müller Verlag, 2002, გვ. 192.

[98] ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორი ი.დვალიძე, თბილისის უნივერსიტეტის გაგამომცემლობა, 2010, .გვ.339

§3. დანაშაულში თანამონაწილეობის ნიშნების დახასიათება

დანაშაულის საკანონმდებლო განსაზღვრება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მისი შემდეგი ნიშნები: ა) ორი ან მეტი პირის მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში; ბ) ამ მონაწილეობის ერთობლიობა; გ) მონაწილეობის განზრახი ხასიათი.[99]

სისხლის სამართლის თეორიაში მათ ტრადიციულად ყოფენ ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებად.[100]

ასეთი დაყოფა ძალიან პირობითია. ზოგიერთი ავტორი მოსაზრებას გამოთქვამს, მაგ. ერთობლიობის ობიექტურ-სუბიექტურ ხასიათზე.

აღნიშნულს გააჩნია ერთგვარი მნიშვნელობა, ამაში განსაზღვრული რეზონი არის, ამიტომ უმჯობესია თანამონაწილეობის რაოდენობრივი (ორი ან მეტი პირის არსებობა) და ხარისხობრივი (ერთობლიობა და ორი ან მეტი პირის განზრახვა - განზრახი დანაშაულის ჩადენაში) ნიშნების გამოყოფა.[101]

ერთობლიობა, რომელზედაც საუბარია კანონში, წარმოადგენს თანამონაწილეობის მთლიან, მაინტეგრირებელ მახასიათებელს, რომელიც არც ცალკე რომელიმე თანამონაწილისათვის არის დამახასიათებელი და არც თანამონაწილეთა თვისებების მარტივი ჯამია. ეს მთელის თვისებაა, რომელიც წარმოიშვება თანამონაწილეთა ურთიერთქმედების შედეგად და იძენს თავის მახასიათებელ თვისებებს. ამგვარად, ერთობლიობა - თანამონაწილეობის ხარისხობრივი ნიშანია.[102]

ნ.ს.ტაგანცევი დამაჯერებლად ასაბუთებდა თანამონაწილეობაში ერთობლიობის მიზეზს: „როგორც ორკესტრში არ შეიძლება მუსიკალური ნაწარმოების შესრულება დაეკისროს ერთ პირს, ასევე თანამონაწილეობაში შეუძლებელია გამოვყოთ საერთო შედეგის ერთადერთი გამომწვევი“.[103] ამასთანავე უნდა ვაღიაროთ, რომ თანამონაწილეობით დანაშაული ჩაიდინება არა თანამონაწილეთა ინდივიდუალური ქმედებების მექანიკური გაერთიანებით, არამედ მათი ქმედებების ინტეგრირების შედეგად.

იურიდიულ ლიტერატურაში ერთობლიობა სხვადასხვაგვარადაა გაგებული, მაგრამ ამასთანავე, ყველა მიუთითებს თანამონაწილეთა ცალკეულ ქმედებაზე, და არავინ გამოყოფს თანამონაწილეთა ქმედებების ინტეგრაციას, რითაც იგნორირებენ ახალი თვისებების გამოვლენას. პ.ი.გრიშაევი, მაგ., თვლიდა, რომ ერთობლიობა შედგება ოთხი ელემენტისაგან. პირველ რიგში, დანაშაული ჩაიდინება რამდენიმე პირის

---

99 Тельнов П.Ф., Ответственность за соучастие в проеступлении, М., 1974, გვ. 28.

100 იხ., Козлов А.П., Соучастие: традиции и реальность, СПб., 2001. გვ. 31. Иванов Н.Г., Понятие и формы соучастия в советском уголовном праве. Онтологический аспект. Саратов. 1991, გვ.62.

101 იხ., Бурчак Ф.Г., Учение о соучастии по советскому уголовного праву, Киев, 1969, გვ. 39. Тер-Акопов А.А., Преступление и проблемы нефизический причинности в уголовном праве. М., 2003. გვ. 135.

102 Тер-Акопов А.А., Преступление и проблемы нефизический причинности в уголовном праве. М., 2003. გვ. 138.

103 Таганцев Н.С., Русское угаловное право, ტ. I, СПб., 1902, გვ. 743.

საერთო, ერთობლივი ძალისხმევით. მეორეც, დანაშაულებრივი შედეგი ამ პირებისათვის საერთო, ერთიანია. მესამეც, დანაშაულში, თითოეული თანამონაწილის ქმედება აუცილებელი პირობაა სხვა თანამონაწილეებთან ერთად დანაშაულის ჩასადენად. და ბოლოს, მეოთხეც, დანაშაულებრივი შედეგი ან დანაშაულის ჩადენის ფაქტი მიზეზობრივ კავშირშია თითოეულ თანამონაწილეთა ქმედებასთან.[104]

ა.ა. ტერ-აკოპოვი ერთობლიობაში გულისხმობდა გაერთიანებული ძალისხმევის შედეგად წარმოშობილი მართლსაწინააღმდეგო შედეგს, ასევე თითოეული თანამონაწილის განზრახვას ერთობლივად დანაშაულის ჩასადენად (განზრახვის ერთიანობა).[105]

ერთობლიობას დეტალურად იკვლევდა ა.პ. კოზლოვი, რომლის აზრითად მონაწილეობის ერთობლიობა თავის თავში მოიცავს: 1) თანამონაწილეთა ქმედებებს, მათ სპეციფიკასა და ურთიერთდამოკიდებულებას; 2) თანამონაწილეთა ქმედებების შედეგს; 3) თანამონაწილის ქმედებებსა და შედეგს შორის ობიექტურ კავშირს.[106] ამასთანავე, ერთობლიობის პირველ საფუძვლად ავტორი ასახელებს ფუნქციონალურ კავშირს თანამონაწილეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში, რომელშიც იგულისხმება თითოეული თანამონაწილის სხვა თანამონაწილეების ქცევასთან ურთიერთგანპირობებულობა და რომელიც თავის თავში მოიცავს, პირველ რიგში, ცალკეულ თანამონაწილეთა ქცევის ცალკეულ აქტებს და, მეორეც, ყველა თანამონაწილის ფუნქციათა გაერთიანებას რომლის დამსახურებითაც თითოეული თანამონაწილე ასრულებს თავის ფუნქციებს სხვა თანამონაწილეთა ინტერესების გათვალისწინებით.[107]

გამოდის, რომ თანამონაწილეთა ქცევის აქტები და მათ შორის ფუნქციონალური კავშირები არ ავლენს ერთობლიობის შინაარსს. უფრო მეტიც, მაშინ საერთოდ შესაძლებელია უარის თქმა თანამონაწილეობაზე და თითოეული თანამონაწილის ქმედების სხვებისაგან იზოლირებულად კვალიფიკაცია. ასეთი მიდგომით ერთობლიობის საფუძველი გამოუსადეგარია თანამონაწილეობის ხარისხობრივი მხარის (არსის) ასახსნელად. ამას თავად ა.კოზლოვიც აღიარებს და მას მხოლოდ ერთობლიობის პირველ დონეს უწოდებს, ამასთან ერთად, ავტორი მიუთითებს, რომ არსებობს მეორე დონეც, რომელიც ყველა თანამონაწილის (ყველასი ერთად) ერთობლივი ქმედების შემცველია თავისი ორგანიზებულობითა და შეთანხმებულობით. მისი აზრით ეს უკანასკნელი ვერ პოულობდა გამოხატულებას კანონში (კერძო ნაწილში მაკვალიფიცირებელი გარემოებების გარდა, რომელიც მოხსენიებულია ორგანიზებულ ჯგუფად, როგორც დამამძიმებელი გარემოება), მაშინ, როდესაც იგი მოიცავს მნიშვნელოვან წილად თანამონაწილეობის არსს. კანონმდებელმა უნდა გაამყაროს ერთობლიობის მეორე დონე კანონში, როგორც ერთიანი ერთობლიობა.[108]

---

[104] Гришаев П.И., Кригер Г.А., Соучастие по уголовному праву, М., 1959, გვ. 17-18.

[105] Тер-Акопов А.А., Преступление и проблемы нефизической причинности в уголовном праве, М., 2003, გვ. 135-137.

[106] Козлов А.П., Соучастие: традиции и реальность, СПб., 2001, გვ. 54.

[107] Козлов А.П., Соучастие: традиции и реальность, СПб., 2001, გვ. 34.

[108] Козлов А.П., Соучастие: традиции и реальность, СПб., 2001, გვ. 51-52.

აღსანიშნავია, რომ ერთობლიობა, როგორც თანამონაწილეთა ინტეგრირებული ქმედება არ მიეწერება არც თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას, და არც თითოეული თანამონაწილის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის თეორიას. თანამონაწილეთა ინტეგრირებული ქმედება გაგებულ უნდა იქნეს არა როგორც თითოეული თანამონაწილის ფუნქციების განხორციელება სხვა თანამონაწილეთა ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ როგორც თანამონაწილეთა ფუნქციების დაკავშირება ერთ მთლიანთან. თანამონაწილეობა თავისთავად წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული თანამონაწილეების ერთობლიობას, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ერთიანი მიზნითა და ფუნქციონალური მთლიანობით, ამასთანავე, თანამონაწილეობის თვისებები არ დაიყვანება თანამონაწილეთა თვისებების ჯამამდე. მაშასადამე, საერთო შედეგი მიიღწევა არა ამსრულებლის ხელით (როგორც თანამონაწილეობის აქცესორული თეორია ამტკიცებს), არამედ თანამონაწილეთა ინტეგრირებული ქმედებებით. [109]

გარდა ამისა, საერთო შედეგი, მ.ბურის აზრით, წარმოადგენს განუყოფლად მთელს და ამიტომაც დანაშაულებრივი შედეგის ნაწილ-ნაწილ შერაცხვა შეუძლებელია. ცხადია, ნაწილ-ნაწილ დანაშაულის შედეგის შერაცხვა მისი განუყოფელობის გამო უაზრობაა. დანაშაულის შედეგი მთლიანად შეერაცხება ყველა თანამონაწილეს, მათი პასუხისმგებლობა არ ნაწილდება მათ შორის ნაწილ-ნაწილ, იმისდამიუხედავად, თითოეულმა მათგანმა ცალკე რამდენი გააკეთა დანაშაულის შედეგის დასადგომად. იმავდროულად, სოლიდარული პასუხისმგებლობა არ ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპს, რადგანაც ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში თითოეული თანამონაწილის მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი სპეციალურად არის გათვალისწინებული. ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც შეიძლება ერთი თანამონაწილე ფიზიკურად მოქმედებდეს, ხოლო მეორე ინტელექტუალურად... თანამონაწილენი შეიძლება სხვადასხვა მოტივითა და მიზნით მოქმედებდნენ... [110]

ვ.დ.სპასოვიჩი თვლიდა, რომ თანამონაწილენი სოლიდარულად პასუხს აგებენ დამდგარი დანაშაულებრივი შედეგისათვის: „თითოეული თანამონაწილე პასუხს აგებს ყველა დანაშაულისათვის სრული მოცულობით. თუ სამმა თანამზრახველმა ჩაიდინა მკვლელობა, თითოეული მათგანი უნდა დაისაჯოს მკვლელობისათვის და არა მკვლელობის ერთი მესამედისათვის“. თუ საერთო შედეგი არ შეიძლება დაიყოს ცალკეულ, დამოუკიდებელ ნაწილებად თანამონაწილეთა რაოდენობისდა მიხედვით, მაშინ შეუძლებელია თანამონაწილეთა ინტეგრირებულ ქმედებათა, როგორც თითოეულ თანამონაწილეთა დამოუკიდებელ ქმედებათა მექანიკურ ჯამად წარმოდგენა. მაშასადამე, თანამონაწილეობის ბუნება არ შეიძლება აიხსნას არც თითოეული თანამონაწილის დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედების პოზიციით. ამგვარად, ერთადერთ მისაღებს წარმოადგენს თანამონაწილეობის სისტემური კონსტრუქცია, რომელიც თანამონაწილეობას განიხილავს,

[109] Козлов А.П., Соучастие: традиции и реальность, СПб., 2001, გვ. 54.
[110] Колоколов Г.Е., О соучастии в преступлениию, М., 1881, გვ. 49.

როგორც ინტეგრირებული თვისებებით განსაზღვრულ მთლიანობას (სისტემას). [111]

ერთობლიობის მეორე დონესთან დაკავშირებით უნდა დაზუსტდეს, რომ თანამონაწილეთა ინტეგრირებული ქმედებები მიმართულია ყველა თანამონაწილისათვის საერთო დანაშაულებრივი შედეგის მიღწევისაკენ. ასეთი დაზუსტება პრინციპულია, ვინაიდან თანამონაწილენი ურთიერთქმედებენ ფოკუსირებული შედეგის დასადგომად. თანამონაწილეთა ინტეგრირებული ქმედებების მიმართულება ყველა თანამონაწილისათვის საერთო შედეგის მისაღწევად, თანამონაწილეობას ანიჭებს სუბიექტურ ხასიათს, რაც ბუნებრივია ნებისმიერი ადამიანური ქმედებისათვის.

ერთობლიობის მეორე დონედ უნდა ჩაითვალოს ყველა თანამონაწილის ინტეგრირებული ქმედებების მიმართულება საერთო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად. ყველა თანამონაწილე მოქმედებს ერთობლივად, მათი ქმედება მიმართულია რა ერთიანი შედეგისაკენ, თითოეული თანამონაწილე უნდა აცნობიერებდეს ამას.

ერთობლიობის მესამე დონედ უნდა ვაღიაროთ მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილის (და არა თანამონაწილეთა ცალკეული ქმედებების) ქმედებასა და საერთო დანაშაულებრივ შედეგს შორის.

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მიდგომები. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, თითოეული თანამონაწილის ქმედება მიზეზობრივ კავშირშია სხვა თანამონაწილის (ამსრულებლის) ქმედებასთან და შემდეგ - დანაშაულებრივ შედეგთან.[112]

გ.ე. კოლოკოლოვი აღნიშნავს: „თუ ერთი პირის ნება ეკუთვნის მეორის ნებას, როგორც შედეგის მიზეზი, მაშინ მეორის ნება უკვე აღარ არის ნება, იმიტომ რომ იგი არ იქნება თავისუფალი. მიზეზი აქცევს შედეგს გარდაუვლად; ნება კი არაფრით არ შეიძლება განისაზღვროს აუცილებლობით“.[113] უფრო მეტიც, მაგ., თუ ამსრულებლის ქმედება მიზეზობრივად განპირობებულია წამქეზებლის ქმედებებით, მაშინ ამას მივყავართ ქმედების როგორც ზნეობრივი შეფასების (თუ ამსრულებლის ქცევა მიზეზობრივად განპირობებულია, მაშინ როგორ მივცემთ მას ზნეობრივ შეფასებას?), ისე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის (რა უნდა გააკეთოს ამსრულებელმა, თუ მისი ქმედება მიზეზობრივად აუცილებლად წამქეზებლის მოქმედებითაა განპირობებული?) უარყოფამდე. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავეთანხმოთ ვ.ბ.მალინინს: „ერთი პირის ქცევის მეორე პირის ქცევის მიზეზად ცნობა - ნიშნავს ადამიანის შეგნებული ხასიათის უარყოფას“.[114]

ამსრულებელი თავისუფალია თავისი ქცევის არჩევანში - იგი იხრება წამქეზებლისაკენ დანაშაულის ჩასადენად (მაგრამ არა დაუყოვნებლივ) და ფიქრობს დაეთანხმოს თუ არა ამ უკანასკნელს, მაგრამ თავისუფალია, აწონ-დაწონის რა ყველაფერს, შეუძლია უარი თქვას წამქეზებლის წინადადებაზე. მეორე ვარიანტი არ არის იშვიათი.

---

[111] Спасович В.Д., Учебник уголовного права, ტ. I, СПб., 1863, გვ. 162.

[112] იხ., Гаухман Л.Д., Квалификация преступлений: закон, теория, практика, М., 2001, გვ. 193-194; Бородин С.В., Преступления против жизни, М., 1999, გვ. 279.

[113] ციტ.: Колоколов Г.Е., О соучастии в преступлении, М., 1881, გვ. 133.

[114] Малинин В.Б., Причинная связь в уголовном праве, СПб., 2000, გვ. 197.

სწორედ, რომ არა ნების თავისუფლება, ჩვენ არ გვექნებოდა შეუმდგარი წამქეზებლობა. ამგვარად, არ შეიძლება თანამონაწილის და ამსრულებლის ქმედებათა შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის შესახებ მტკიცება. აქ იგულისხმება არა თანამონაწილისა და ამსრულებლის ქმედებათა შორის მიზეზობრივი კავშირი, არამედ ამ ქმედებათა ინტეგრაცია.[115]

თანამედროვე დეტერმინიზმი მიზეზობრიობის ცნებაში რთავს გენეტიკურობას, კანონზომიერებასა და აუცილებლობას. მიზეზობრიობის საფუძველს წარმოადგენს „გენეტიკური კავშირი არსებულსა და წარმოშობილს შორის“.[116]

მიზეზობრივი კავშირი ეს არის მოვლენათა შორის ისეთი კავშირი, რომლის დროსაც განსაზღვრული მოვლენა წარმოიშვება წინამორბედი მოვლენის მოქმედების შედეგად, რაც წარმოადგენს აქტიურ საწყისს.[117] შემდეგ, კანონზომიერების პრინციპის თანახმად, არაფერი არ ხდება არაკანონზომიერად, თვითნებურად.[118]

თანამონაწილეობის სისტემური ბუნებიდან გამომდინარე დანაშაულში თანამონაწილეობის დროს მიზეზობრივ კავშირში იგულისხმება ობიექტურად არსებული გენეტიკური კავშირი თანამონაწილეთა ინტეგრირებულ ქმედებებსა და დამდგარ შედეგს შორის, როცა ასეთი ქმედებები წარმოადგენენ სისტემურ მიზეზს, შედეგი კი აუცილებლობით (და არა შემთხვევით) კანონზომიერად გამომდინარეობს ამ ქმედებებიდან.

აქედან გამომდინარეობს, რომ ცალკეული თანამონაწილის ქმედება არ განიხილება, როგორც საერთო შედეგის დამოუკიდებელი მიზეზი ან პირობა. თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილეთა თვით ინტეგრირებული ქმედებები სისტემური ხასიათისაა და ამიტომ წარმოადგენენ დამდგარი შედეგის სისტემურ მიზეზებს. თანამონაწილეთა ინტეგრირებული ქმედებებიდან ამსრულებლის (ან სხვა თანამონაწილის) ქმედებების ამორიცხვა მათი მხოლოდ მიზეზად დასახელებით - არ შეიძლება. დანაშაულებრივი შედეგის მიზეზია არა ცალკეული თანამონაწილის ქმედება, არამედ თანამონაწილეთა ურთიერთქმედება.

თანამონაწილეობის შემდეგი ხარისხობრივი ნიშანია ორი ან მეტი პირის განზრახვა, განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

თანამონაწილეობა არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა თანამონაწილენი მოქმედებენ განზრახ და ერთმანეთს შორის შეთანხმებულად. თითოეული თანამონაწილე უნდა აცნობიერებდეს, რომ საერთო შედეგი მიიღწევა ყველა თანამონაწილის ინტეგრირებული ქმედებებით, ხოლო განზრახვის რომელი სახით არის შესაძლებელია ეს საკითხი მოგვიანებით იქნება განხილული.

---

[115] Малинин В.Б., Причинная связь в уголовном праве, СПб., 2000, გვ. 135.

[116] Боголюбов Н.Н., Проблемы современной физики, №2, М., 1960, გვ. 53.

[117] Церетели Т.В., Причинная связь в уголовном правк, М., 1963, გვ. 167-168.

[118] Малинин В.Б., Философские, исторические и теоретические основы причинной связи в уголовном праве, СПб., 1999, გვ. 17.

§4. თანამონაწილის სახეები

საქ. სსკ-ის 24-ე მუხლის თანახმად, თანამონაწილეობის სუბიექტები არიან: ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე.

ორგანიზატორი. დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობა, ორგანიზატორს, როგორც თანამონაწილის სახეს, ცალკე არ გამოყოფს. მისი ქმედება კვალიფიცირდება ისე როგორც ამსრულებლის.

1958 წლის საფუძვლების გამოცემამდე საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსები ორგანიზატორს როგორც თანამონაწილის სახეს ზოგად ნაწილში არ იხსენიებდნენ. ორგანიზატორის პასუხისმგებლობაზე მითითებას ვხვდებით საბჭოთა ხელისუფლების ადრინდელ დეკრეტებში და ასევე ძველი სისხლის სამართლის კოდექსების კერძო ნაწილში.

სსკ 1958 წლის საფუძვლებით ორგანიზატორი თანამონაწილის დამოუკიდებელ სახედ იქნა გამოყოფილი და მისი ცნება ვიწროდ იქნა განსაზღვრული: „ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობს მის ჩადენას“ (მუხ. 17). ამ განსაზღვრების თანახმად, ორგანიზატორის საქმიანობა შეიძლება ორი სახის იყოს: ა) დანაშაულის ორგანიზაცია, რომელსაც ადგილი აქვს დანაშაულის უშუალო შესრულებამდე და ბ) დანაშაულის ხელმძღვანელობა მისი ჩადენის მომენტში.[119]

ორგანიზატორის ცნების აგებისას საჭირო გახდა არა მარტო ობიექტური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა, არამედ სუბიექტური ნიშნების მნიშვნელობა. ასეთი სუბიექტური ნიშანი, ჩვენი აზრით, არის გამიზვნა. ჩვენ ამ ელემენტს ვთვლით როგორც ორგანიზატორის ქმედების გენერალურ წარმართავად განსაზღვრული შედეგისაკენ. აღნიშნული არ არღვევს ორგანიზატორის ცნების ობიექტურ გაგებას, რამდენადაც, სუბიექტური ელემენტი გამიზვნა განსაზღვრავს ობიექტურად არსებულ ფაქტს, აძლევს ორგანიზატორის ქმედების შინაარსს და ამიტომ ეს დანაშაულის ორგანიზატორის ცნების განმსაზღვრელ ნიშანს წარმოადგენს. სწორედ გამიზვნაა ის, რაც განსაზღვრავს ორგანიზატორის მომატებულ საშიშროებას და აუცილებელს ხდის თანამონაწილეთა სახეებს შორის ორგანიზატორის დამოუკიდებელ სახედ არსებობას. დანაშაულის ორგანიზატორის ქმედების აუცილებელი ელემენტია გამიზვნა, მიზანსწრაფულობა, რომელზეც შემდეგ შენდება თანამონაწილეთა მოქმედებები.[120]

მოქმედი საქ. სსკ 24-ე მუხლის პირველი ნაწილი ორგანიზატორის ცნებას განმარტავს ფართო მნიშვნელობით, რომლის თანახმადაც ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.

ორგანიზატორის საქმიანობა მრავალმხრივია. იგი აწყობს დანაშაულის ჩადენას ე.ი. წინასწარ შეიმუშავებს დანაშაულის

---

[119] წერეთელი თ., თანამონაწილეობა დანაშაულში, 1965. გვ. 145.

[120] გვენეტაძე ნ., დანაშაულის ორგანიზატორი, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1994, გვ. 115-116.

განხორციელების გეგმას, ანაწილებს როლებს სხვა თანამონაწილეთა შორის, წარმართავს მათ ერთობლივ დანაშაულებრივ საქმიანობას. ორგანიზატორი ქმნის ორგანიზებულ ჯგუფს და ხელმძღვანელობს მას. რაც შეეხება ორგანიზებულ ჯგუფს მისი განმარტება მოცემულია სსკ 27-ე მუხლის მესამე ნაწილში, რომლის თანახმადაც – „დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრებიც წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონო მიღება.“

სუბიექტური მხრივ ორგანიზატორის ქმედება პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. თუმც, პროფ. თ.წერეთელი არ გამორიცხავს ორგანიზატორის ევენტუალური განზრახვით ქმედებასაც. ორგანიზატორი შეიძლება მოქმედებდეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით. თუ ვინმემ დაიქირავა მეორე პირი კაცის მოსაკლავად, იგი იმასაც ითვალისწინებს და უშვებს, რომ დაქირავებულმა მკვლელმა დაზარალებული შეიძლება გაძარცვოს. ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით მკვლელობის მიმართ და ევენტუალური განზრახვით გაძარცვის მიმართ.[121]

ამასთან დაკავშირებით მართებულად აღნიშნავს პროფ. ო.გამყრელიძე, რომ ძარცვა გამიზვნითი დელიქტია და ამიტომ თავისი ბუნებით ის ყოველთვის მოითხოვს პირდაპირ განზრახვას. ეს პრინციპი ვრცელდება არა მარტო ამსრულებელზე, არამედ თანამონაწილეზეც. მათ შორის ორგანიზატორზეც.[122]

ორგანიზატორს პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმ ქმედებისათვის, რომელსაც მოიცავდა მისი განზრახვა.

გამონაკლისის სახით, შესაძლებლად მიიჩნევს ევენტუალური განზრახვით ორგანიზატორის ქმედებას პროფ. გ.ნაჭყებია, რომელიც აღნიშნავს: დანაშაულის ორგანიზატორი, როგორც წესი, მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, რადგან მისი ორგანიზატორული საქმიანობა ევენტუალური განზრახვით შეუძლებელია, მაგრამ გამონაკლისის სახით შესაძლებელია იგი მოქმედებდეს ევენტუალრი განზრახვით, როდესაც ამ უკანასკნელს არა აქვს დაზუსტებული სავარაუდო ამსრულებლის მოქმედების ფარგლები და იგი შეგნებულად უშვებს ამსრულებლის მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი პასუხისმგებელია ამსრულებლის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი დანაშაულისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, ადგილი აქვს ამსრულებლის თვისებრივ ექსცესს.[123]

ის ფაქტი, რომ ორგანიზატორი, როგორც წესი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, ნიშნავს ორგანიზატორის ფსიქიკურ კავშირს თავისი ჯგუფის წევრებთანაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს ჯგუფის ყველა

---

[121] წერეთელი თ., თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 149.

[122] გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი 2005, გვ. 193.

[123] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, რედაქტორები გ.ტყეშელაძე, გ.ნაჭყებია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 208.

წევრის პირდაპირ კავშირს ორგანიზატორთან. პირიქითაც, აუცილებელი არ არის, რომ ორგანიზატორი ჯგუფის ყველა წევრს პირადად იცნობდეს. მითუმეტეს, რომ კონსპირაციის მიზნით ჯგუფის აქტიური წევრები საგანგებოდ მალავენ ორგანიზატორის ვინაობას. ორგანიზატორი მოქმედების მოტივის საკითხი კი ბრალის პრინციპის შესაბამისად გადაწყდება.

წამქეზებელი. საქ. სსკ-ის 24-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, წამქეზებელია ის ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

ქმედების როგორც წამქეზებლობის შეფასება გულისხმობს რიგი საკითხების გარკვევას, პირველ რიგში იმის, რას ნიშნავს:

ა) დარწმუნება (სსკ-ის მიხედვით – დაყოლიება), ე.ი. აქ აქცენტია ქმედებაზე;

ბ) დაყოლიება ქმედებაზე, ე.ი. ძირითად ქმედებაზე (აქ აქცენტია მიზანზე);

გ) სინამდვილეში ვინ არის წამქეზებლობის ადრესატი.[124]

წამქეზებლობითი ქმედება. წამქეზებელი სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფს ამსრულებლის მეშვეობით, ის იყოლიებს ამსრულებელს ქმედების ჩასადენად. კერძოდ ქმედება შეიძლება გამოიხატოს დარწმუნებაში, მუქარაში, გასამრჯელოს დაპირებაში, მცდარი მოტივაციის გაღვიძებაში და ა.შ. წამქეზებლობის მიმართულება უნდა იყოს განსაზღვრული, ე.ი. თავად ქმედება რომლის ჩასადენადაც აქეზებენ - უნდა იყოს კონკრეტული: ქმედების შედეგი – კერძო ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი ქმედების შემადგენლობის ჩასადენად განზრახვის „აღძვრა“ ან „წარმოშობა“.

წამქეზებლის ქმედებებში ვ.იოსკი გამოყოფს შემდეგ მოთხოვნებს:[125]

ა) ისინი უნდა წარმოშობდნენ ქმედების გადაწყვეტილებას;

ბ) აუცილებელია წამქეზებლის მიერ ამსრულებლის კომუნიკაციური დარწმუნება;

გ) წამქეზებელი უშუალოდ უნდა ზემოქმედებდეს ამსრულებლის ნებაზე.

წამქეზებლობის საშუალებები განისაზღვრება საკომუნიკაციო აქტის ბუნებიდან, მაგრამ გაბატონებული აზრით, ისინი შეიძლება იყოს სავსებით განსხვავებულნი.[126] განსაკუთრებული მნიშვნელობა, ცხადია გააჩნია მუქარის, რეპუტაციით ბოროტად სარგებლობას, ძალადობას, შეცდენას ან ცდომილების მხარდაჭერას.

განზრახვის შინაარსი განისაზღვრება განსაზღვრულ ქმედებაზე წამქეზებლობის მიმართულებით; გარემოებების ცოდნით, რომლებიც ქმედების მართლწინააღმდეგობას განაპირობებენ და რომლისკენაცაა პირი წაქეზებული; ქმედების დამთავრების სურვილით. წაქეზება

---

[124] Tröndle/Fischer, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 51 Aufl., München: C.H.Beck, 2003, გვ. 224.

[125] Joecks W., Steuerstrafrecht. Köln: Otto Schmidt Verlag, 2003, გვ. 135.

[126] Tröndle/Fischer, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 51 Aufl., München: C.H.Beck, 2003, გვ. 221.

შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. თუმც, ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ წაქეზება შესაძლებელია ევენტუალური განზრახვითაც. როგორც წესი, წამქეზებელი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, ე.ი. ითვალისწინებს, რომ მისი მოქმედების ზეგავლენით სხვა პირს შეიძლება აღეძრას დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება და სურს დაიყოლიოს იგი დანაშაულის ჩასადენად. ამავე დროს გამორიცხული არ არის შემთხვევა, როდესაც დამნაშავე პირდაპირ არ ისახავს ასეთ მიზანს, მაგრამ ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს დანაშუალის ჩადენა და გულგრილად ეკიდება ასეთ შედეგს.[127] აქვე თ.წერეთელი მიუთითებს პროფ. ნ.ტაგანცევის სიტყვებს: „თუ ვინმე, განსაზღვრული ქმედობის ჩადენისას ან განსაზღვრული ამბის მოყოლის დროს ითვალისწინებს, რომ მისი ნაამბობის შედეგად რომელიმე მსმენელმა შეიძლება მის მიერ აღწერილი დანაშაულებრივი ქმედობა ჩაიდინოს, და გულგრილად ეკიდება ამას, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია შევურაცხოთ მას სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაული იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც ვურაცხავთ ასეთი გულგრილობის შედეგს უშუალო ბრალეულს.“[128]

ევენტუალური განზრახვით წაქეზება შეუძლებელია, ვინაიდან წარმოუდგენელია დაიყოლიო პირი დანაშაულის ჩასადენად და იმავდროულად არ გსურდეს დანაშაულის ჩადენა.

იმ შემთხვევაში როდესაც წამქეზებელი (აგენტ-პროვოკატორი) სხვას დაიყოლიებს დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით, საქმე გვაქვს დანაშაულის პროვოკაციასთან (სსკ 145-ე მუხლი). აგენტ-პროვოკატორის პრობლემა სადავო იყო საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში და მისი მოქმედება წამქეზებლობად კვალიფიცირდებოდა.

დამხმარე. საქ. სსკ 24-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.

დახმარება (ხელის შეწყობა) შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით: ფსიქიკური და ფიზიკური დახმარება (ლამპის დაჭერა, კიბის მიტანა და ა.შ.) ფსიქოინტელექტუალური დახმარება (მოწონება, რჩევის მიცემა, გასამრჯელოს დაპირება) და ა.შ. დახმარების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ კონკრეტული დანაშაული. პირის დახმარება, რომელიც მიმართული არ არის მათ მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენაზე, არ ითვლება დახმარებად, მაგრამ შეიძლება წარმოშვას დამოუკიდებელი დანაშაული. გ.ტრონდლესა და ტ.ფიშერის კომენტარში გამოხატული გაბატონებული აზრით დახმარებად ითვლება ამსრულებლისათვის განზრახ გაწეული დახმარება, მიზეზობრივად დაკავშირებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად. ამსრულებლობისა და თანაამსრულებლობისაგან იგი განსხვავდება იმით, „რომ დამხმარე მხარს უჭერს სხვის ქმედებას, რომელზედაც ბატონობს ამსრულებელი, და არა დამხმარე“.[129]

---

[127] წერეთელი თ., თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 161.

[128] იქვე, გვ. 163.

[129] Tröndle/Fischer, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 51 Aufl., München: C.H.Beck, 2003, გვ. 225.

დახმარების შემადგენლობა მოიცავს: სუბიექტს, დახმარების ობიექტს; ობიექტურ შემადგენლობას; სუბიექტურ შემადგენლობას.

დახმარების ანალიზის სქემა.[130]

I. ობიექტური შემადგენლობა:

ა) ქმედება – დახმარების აღმოჩენა (Hilfeleisten); მიზეზობრივი კავშირი (მისი აუცილებლობა საკამათოა);

ბ) ქმედების შედეგი; ძირითადი ქმედება, განზრახი, მართლსაწინააღმდეგო.

II. სუბიექტური შემადგენლობა. ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანზე გავრცელებული – განზრახვა.

III. მართლწინააღმდეგობა.

IV. ბრალი.

დახმარების სუბიექტური შემადგენლობა

დამხმარეს უნდა სურდეს დანაშაულის ჩადენა. მისი ქმედება უნდა აადვილებდეს და ხელს უწყობდეს დანაშაულის განხორციელებას. სადავოა დამხმარედ იმ პირთა აღიარება, რომელთაც განახორციელეს „ჩვეულებრივი პროფესიული ქმედებები", მაგ. საბაჟოს თანამშრომლები, რომლებმაც განახორციელეს ოპერაცია – მოძრავი ნივთის გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში. ისევე როგორც სხვა მსგავს აუცილებელ თანამონაწილეობასთან დაკავშირებულ შემთხვევებში აქაც, როგორც ჩანს, არ არის დამუშავებული საწყისი პოზიცია. აღსანიშნავია, ზოგიერთი შეხედულება, რომლებსაც ეყრდნობა სასამართლო პრაქტიკა და ასახულია გ.ტრონდლესა და ტ.ფიშერის კომენტარებში. მათი აზრით, მხოლოდ სოციალური ანდა პროფესიული ქმედების ადეკვატურობის აღიარება არ არის საკმარისი დახმარების და დაუხმარებლობის გასამიჯნად, არამედ საჭიროა სუბიექტური შემადგენლობის დადგენაც. ეს ქმედებები შეიძლება ნეიტრალური ხასიათისანი იყვნენ, თუ ამსრულებლის ქმედება მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, ხოლო ჩვეულებრივ პროფესიული ქმედების განმხორციელებელმა პირმა იცის ამის შესახებ, და პირიქით, დახმარების განზრახვა არ არსებობს, თუ პირმა არ იცის, როგორ შეიძლება ასეთი დახმარება იყოს გამოყენებული ან ეს ნავარაუდევი იყოს ზოგადად.[131]

დახმარების აქცესორობა შეიძლება გამოკვლეულ იქნეს შინაარსის მიხედვით, რაც გულისხმობს ძირითადი ქმედებისადმი დამხმარის ქმედებათა დამოკიდებულებას. დროში: იგი გამორიცხულია ქმედების დამთავრების შემდეგ, მაგრამ შესაძლებელია განხორციელების შემდეგ; ადგილის მიხედვით: დახმარების განხორციელების ადგილი არის ძირითადი ქმედების ადგილი; ფაქტიურად შესრულებული ქმედებით, რაც ვლინდება ამსრულებლის ექსცესის იურიდიულ კონსტრუქციაში და პასუხისმგებლობა ამ ქმედებისათვის გამორიცხულია; და ბოლოს, ქმედების სამართლებრივ შეფასებაში (კვალიფიკაციაში) და სასჯელში.

---

[130] იხ.: Joecks W., Steuerstrafrecht. Köln: Otto Schmidt Verlag, 2003, გვ. 141; Schmidt R. Strafrecht, Allgemeiner Teil, Grundlagen der Strafbarkeit, Aufbau des strafrechtlichen Gutachten, 2 Aufl., Grasberg (bei Bremen), 2003, გვ. 406.

[131] Tröndle/Fischer, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 51 Aufl., München: C.H.Beck, 2003, გვ. 226.

§5. დანაშაულის წამქეზებლობისა და დანაშაულის პროვოკაციის გამიჯვნა

პროვოკაცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა "provocatio" და ნიშნავს გამოწვევას. უცხო სიტყვათა ლექსიკონში პროვოკაცია განმარტებულია, როგორც "ცალკეული პირის, პირთა ჯგუფების, ორგანიზაციების, სახელმწიფოების წაქეზება ისეთ მოქმედებაზე, რასაც მოჰყვება მათთვის მძიმე, ზოგჯერ დამღუპველი, შედეგები". იქვე მოცემულია პროვოკატორის განმარტება, რომელიც არის გამომწვევი ანუ "პირი, რომელიც გაცემის, ღალატის მიზნით იწვევს აკრძალულ მოქმედებას; წამქეზებელი".[132] ამ განმარტებიდან გამომდინარე დანაშაულის პროვოკაცია არის დანაშაულის ხელოვნური გამოწვევა.

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის ამ სახეს არ ითვალისწინებდა, ამდენად, დანაშაულის პროვოკაცია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ახალი ნორმაა. მანამდე კი ასეთი ქმედების ჩამდენი პირი პასუხს აგებდა, როგორც დანაშაულის წამქეზებელი.[133]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი ითვალისწინებს დანაშაულის პროვოკაციას, რომელიც არის – "სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით". "დანაშაულის პროვოკაცია" დასჯადია; უპირველეს ყოვლისა მაშინ, როცა პროვოკატორმა წააქეზა და ჩაადენინა დანაშაული სრულიად ალალმართალს, ვისაც დანაშაულის ჩადენა აზრადაც არ მოსვლია. არა აქვს მნიშვნელობა იმას, წაქეზებულმა დაასრულა დანაშაული თუ მცდელობის სტადიაზე შეჩერდა. რაც მთავარია, დანაშაულის პროვოკატორი არ შეიძლება დაისაჯოს იმ დანაშაულის თანამონაწილეობისათვის, რომლისთვისაც წააქეზეს ამსრულებელი, რადგან წამქეზებელი (პროვოკატორი) და პროვოცირებული (წაქეზებული) სხვადასხვა უმართლობას ახორციელებენ. მაგალითად, როცა პროვოკატორი აქეზებს ვინმეს ქურდობისათვის, პროვოკატორის, ესე იგი წამქეზებლის, მოქმედება ხელყოფს წაქეზებულის პიროვნებას, სურს იგი ციხეში ჩააგდოს, ხოლო წაქეზებული, ესე იგი პროვოცირებული, ხელყოფს სხვის საკუთრებას.[134]

პროვოკაციის მიზნით წაქეზებას ვერ უთანაბრებს წაქეზების ჩვეულებრივ შემთხვევებს თ. ებრალიძე, ანუ როცა ამსრულებელსა და წამქეზებელს შორის სრული თანხმობაა და მათი მოქმედება შეგნებულად მიმართულია ერთი და იმავე დანაშაულებრივი შედეგისაკენ.[135] ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად იმ განზრახვით, რომ შემდეგ ამხილოს და სამართალდამცავ ორგანოებს

---

[132] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, რედაქტორი: თ.შარაძენიძე, თბილისი, 1964, გვ. 315.

[133] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, (წიგნი 1), რედ. გ. ტყეშელიაძე, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2006, გვ. 231.

[134] გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005, გვ. 196.

[135] ებრალიძე თ., წამქეზებლის ფიგურა სისხლის სამართალში, "ადამიანი და კონსტიტუცია", 2003, N3, გვ. 95-103.

გადასცეს, სისხლის სამართლის ლიტერატურაში ცნობილია აგენტი-პროვოკატორის სახელწოდებით.[136]

დანაშაულის პროვოკაციის შეფასების პრობლემა რთულდება იმით, რომ სისხლის სამართლის თეორიაში აშკარად არასაკმარისადაა გამოკვლეული დანაშაულის ჩასადენად პირის მაპროვოცირებელ ქმედებათა არსი.

ი. დვალიძე მიიჩნევს, რომ პროვოცირება "მხოლოდ მაშინ უნდა იყოს დასაშვები, თუ ეჭვმიტანილთა დანაშაულებრივი საქმიანობა რომელიმე ერთ-ერთ პირობას აკმაყოფილებს: 1. თუ ეჭვმიტანილთა დანაშაულებრივი საქმიანობა სისტემატურ ხასიათს ატარებს. 2. დანაშაულებრივი საქმიანობა განგრძობად (ამ სიტყვის იურიდიული გაგებით) ხასიათს ატარებს. 3. ამა თუ იმ დანაშაულის მომზადების სტადიაზე მისი აღკვეთის და მისი ჩამდენის დაკავების მიზნით მოხდება პროვოცირება. მაგალითად აგენტ-პროვოკატორი მკვლელობის მომზადებისას მკვლელს შესთავაზებს, ერთობლივად განახორციელონ მკვლელობა.[137]

დანაშაულის პროვოკაცია უნდა განვასხვავოთ ოპერატიული ექსპერიმენტისაგან. მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება ნიშნავს მართლზომიერ და დანაშაულებრივ ქმედებათა ერთმანეთისაგან გამიჯვნას. ოპერატიული ექსპერიმენტი წარმოადგენს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ერთ-ერთ სახეს. მას არცთუ იშვიათად მიმართავენ სამართალდამცავი ორგანოები მექრთამეობის საქმეებზე, ნარკოტიკების, უაქციზო საქონლის რეალიზატორთა გამოსავლენად და ა.შ. ოპერატიული ექსპერიმენტი ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენელი ფლობს ინფორმაციას, რომ მზადდება, ხდება, ან მოხდა დანაშაული.[138]

პროვოკაციას წამქეზებლობის ერთ-ერთ ფორმად განიხილავს მ.ი. კოვალიოვი. მონოგრაფიაში "დანაშაულში თანამონაწილეობა" იგი წერს: "სავსებით დასაშვებია წამქეზებლობის შემთხვევა მცდარად გაგებული სამსახურებრივი ან რაიმე პირადი ინტერესებიდან, როდესაც წამქეზებლობა დანაშაულის პროვოკაციის ხასიათის მატარებელია და მიზნად ისახავს ამსრულებლის შემდგომში მხილებას ან თან სდევს იმედი იმისა, რომ ამსრულებელი დანაშაულის ჩადენის შემდეგ იქნება გამოაშკარავებული და დასჯილი, ხოლო მას – წამქეზებელს – არ დაეკისრება პასუხისმგებლობა.[139] ავტორის მიერ შემდეგ გამოთქმულ მოსაზრებებში შეინიშნება ზოგიერთი წინააღმდეგობა. მაგალითად, იგი მიუთითებს, რომ წამქეზებლობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რამდენადაც "წამქეზებლობის ევენტუალური განზრახვით აღიარების შესაძლებლობა სასამართლო პრაქტიკას ჩააყენებდა

---

[136] სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი; დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თავი XXII–XXIV) რედაქტორი გამყრელიძე ო., გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2008, გვ. 219.

[137] დვალიძე ი., დანაშაულის პროვოცირების პრობლემა სისხლის სამართალში, "ადამიანი და კონსტიტუცია", 2005, N1, გვ. 92-93.

[138] სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი; დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თავი XXII–XXIV) რედაქტორი გამყრელიძე ო., გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2008, გვ. 220.

[139] Ковалев М.И., Соучастие в пруступлении, ნაწ. 2: Виды соучастников и формы участия в преступной деятельности. Свердловск, 1962, გვ. 91.

უკიდურესად გართულებულ მდგომარეობაში, ვინაიდან გარდაუვალი გარკვეულობა და უტყუარობა წამქეზებელსა და წაქეზებულის დამოკიდებულებას შორის მხოლოდ დანაშაულის პირდაპირი განზრახვით ჩადენისას არის შესაძლებელი."[140] ავტორი იქვე (არც ისე უსაფუძვლოდ) თვლის, რომ "წამქეზებლის ქმედებაში ევენტუალური განზრახვის დამტკიცება ობიექტური ფაქტების საფუძველზე შეუძლებელია."[141]

ვ.დ.ივანოვმა დანაშაულის პროვოკაცია განსაზღვრა როგორც პირობების ხელოვნურად შექმნა კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩასადენად შემდგომში მისი გამოაშკარავების მიზნით. ავტორი პროვოკაციული საქმიანობის მართლწინააღმდეგობას ხსნის იმით, რომ პირი პროვოკატორის როლში, თავისი აქტიური ქცევით არა მხოლოდ აღუძრავს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას სხვა პირებს ან უბიძგებს მათ ამისკენ, არამედ ორგანიზებასაც უკეთებს მის ჩადენას. ამასთანავე პროვოკატორი გარეგნულად თავის ქცევას დემონსტრირებას უკეთებს, როგორც საზოგადოებრივად სასარგებლოს, მიმართულს სამართალდამცავი ორგანოებისათვის დახმარების აღმოჩენით დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსააშკარავებლად. მაგრამ ობიექტურად თავად იგი განსაზღვრავს და წარმართავს ამსრულებლის ქმედებას, გამოდის რა წამქეზებლის, ორგანიზატორის ან დამხმარის როლში."[142]

მითითებულ პოზიციას იზიარებს ა.ა. მასტერკოვი, რომელიც უარყოფს დანაშაულის პროვოკაციას, როგორც განსაკუთრებული მიზნებით წამქეზებლობის ნაირსახეობის ცალმხრივ განსაზღვრებას და გვთავაზობს დანაშაულის პროვოკაციის ცნება გავიგოთ როგორც სხვა პირის ჩაბმა დანაშაულის ჩასადენად შემდგომ მისთვის არაკეთილსასურველი შედეგის დადგომის მიზნით.[143]

აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ გამოდის ე.ვ. გოვორუხინა, რომელიც მიიჩნევს, რომ ა.ა. მასტერკოვის პოზიცია წინააღმდეგობრივია. იგი თვლის, რომ დანაშაულის პროვოკაციის მიჩნევას, როგორც პირის მხილებას დანაშაულის ჩადენაში, ავტორი არ უკავშირებს თანამონაწილეობის ინსტიტუტს და კონკრეტულად წამქეზებლობას, რამდენადაც წამქეზებლობა გულისხმობს დაყოლიებას დანაშაულის ჩადენაზე, რომელიც მხილებისაგან განსხვავებით, ყოველთვის მიმართულია ერთ ან რამოდენიმე კონკრეტულად განსაზღვრულ პირზე და მიმართულია ინდივიდუალურად განსაზღვრული მართლსაწინააღმდეგო ქმედების სურვილის აღძვრაზე, კონკრეტული ობიექტისათვის ზიანის მიყენებით. დანაშაულში მხილებისას კონკრეტულობის გარემოება არ არის სავალდებულო. დანაშაულში ჩაბმის ცნება უფრო ფართოა და დაყოლიების გარდა, თავის თავში მოიცავს აღძვრასა და იძულებას. გარდა ამისა, დანაშაულის ჩადენაში ჩაბმა, დაყოლიებისაგან განსხვავებით, შესაძლებელია მოტყუების გზითაც, როდესაც ჩაბმული (პროვოცირებული) არ აცნობიერებს თავის მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში, მაგალითად, მექრთამეობის

---

[140] Ковалев М. И., მითითებული ნაშრომი, გვ. 88.

[141] იქვე.

[142] Иванов В. Д ., Правовые последствия оперативного эксперимента // Северный Кавказ: борьба с преступностью. Ростов- на- Дону: РВШ МВД России, 1997, გვ. 86.

[143] Мастерков А. А., Уголовно правовые и криминологические аспекты провокационной деятельности: Автореф. дис …. канд. юрид. наук. Владивосток, 2000, გვ. 9.

პროვოკაცია. ამასთანავე რუსეთის კანონმდებელი დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმას არ უკავშირებს თანამონაწილეობის ინსტიტუტს, ამგვარ ქმედებას თვლის როგორც ცალკეულ დანაშაულთა ობიექტური მხარის წარმომქმნელს. ამიტომ ა.ა. მასტერკოვის შემოთავაზებული დანაშაულის პროვოკაციის კვალიფიკაცია სადავოა და ეწინააღმდეგება დანაშაულის პროვოკაციის ცნებას. შემდგომში ავტორი მიუთითებს, რომ დანაშაულის პროვოკაციის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა პირდაპირ დამოკიდებულია დანაშაულში თანამონაწილეობის არსებობაზე პროვოკაციისას და მოცემული ქმედების თანაფარდობაზე დანაშაულის ჩადენის წამქეზებლობასთან.[144]

ა.ვ. ოვრუცკის აზრით პირველ რიგში, პროვოკაცია არ არის ღია ზემოქმედება, იგი უფრო რაიმეს უხილავი აღძვრაა (წაქეზებით), ე.ი. პროვოცირებულისათვის პროვოკაციის მიზანი "კადრს მიღმა" რჩება, იგი როგორღაც გაუცნობიერებლად ყვება პროვოკატორს; მეორეც, პროვოკაცია სასურველია უკანასკნელისათვის და შესაბამისად საზიანოა პროვოცირებულისათვის.[145] ამაში უკვე შეიძლება დანახვა იმისა, რომ დანაშაულის პროვოკაცია პრინციპულად განსხვავდება წამქეზებლობისაგან, რამდენადაც წამქეზებლობა გულისხმობს გაცნობიერებულ დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად, სხვა პირის შთაგონებას კონკრეტული დანაშაულის სასურველობაზე, აუცილებლობაზე, საჭიროებაზე ან სარგებლიანობაზე, ე.ი. ამსრულებლის ნებასა და ინტელექტზე ზემოქმედების პროცესს. ამასთანავე მნიშვნელობა არა აქვს მონაწილეობდა თუ არა თავად წამქეზებელი დანაშაულის ჩადენაში როგორც მისი ამსრულებელი.

შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ ობიექტური პოზიციებით წამქეზებლობა და პროვოკაცია არ არის ერთი და იგივე. მათი სუბიექტური მახასიათებლების ანალიზსაც თანსდევს ასევე კატეგორიული მსჯელობები.

სუბიექტური მხრივ, წამქეზებლობა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. იგივეს თქმა შეიძლება დანაშაულის პროვოკაციაზეც. წაქეზებულის განზრახვა, ისევე როგორც პროვოცირებულის, არა თავისთავად, არამედ სხვა პირის ზემოქმედებით წარმოიშობა. ამასთანავე არა აქვს მნიშვნელობა, რა მოტივებით ხელმძღვანელობდა წაქეზებული, დათანხმდა რა დანაშაულის ჩადენას. ისინი შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს წამქეზებლის მოტივებისაგან.

ნ.ს. ტაგანცევის დამოკიდებულება პროვოკაციასა და წამქეზებლობასთან მიმართებაში წარმოებულია ზუსტად სუბიექტური კრიტერიუმებით. მისი აზრით, პირი, რომელიც სხვა პირს დაიყოლიებს დანაშაულის ჩასადენად, იმისთვის, რომ წაასწროს დანაშაულის ჩადენისას და გადასცეს იგი მართლმსაჯულებას, ჩადის არა მხოლოდ მმართველი ხელისუფლების ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებასთან შეუთავსებელ ქმედებას, არამედ პროვოკაციის ჩამდენი დაყავს წამქეზებლამდე. მის ქმედებაში თავსდება წამქეზებლობის ყველა არსებითი პირობა: იგი აცნობიერებდა, რომ იყოლიებდა მას დანაშაულებრივ ქმედებაში, იგი აცნობიერებდა, რომ

---

144 Говорухина Е. В., Понятие и правовые последствия провокации в уголовном праве России: Дис…. канд. юрид. наук. Ростов н / Д, 2002.

145 Овруцкий А. В., Психология провокации // Психопедагогика в правоохранительных органах, 1995, № 1, გვ. 91.

მისი დაყოლიების შედეგი იქნებოდა ან შესაძლებელი იქნებოდა პირი დანაშაულებრივ ქმედებაში ყოფილიყო ჩათრეული. გარდა ამისა, იგი არა მარტო აცნობიერებდა უკანასკნელ პირობას, არამედ სურდა კიდეც მისი დადგომა, და ამასთანავე ელოდებოდა ან გულგრილად ეკიდებოდა ასეთს. ტაგანცევი წერდა: "თუ გამოუცდელი, ცხელი გულით აქეზებს საიდუმლო კავშირში ჩართოს ან რაიმე ანარქიული ქმედება ჩაადენინოს პირს, მაშინ შეუძლებელია მას არ ჰქონდეს სურვილი, რომ ასეთი ქმედება დაუსჯელი დარჩება და ამ სასურველი შედეგის გარეშე მთელი მისი შრომა წყალში ჩაიყრება და ვერანაირ წახალისებასა და წარჩინებას იგი ვერ მიიღებს."[146]

გ.ა. კრიგერი ანვითარებდა ნ.ს. ტაგანცევის მოსაზრებას, იმაზე მითითებით, რომ წამქეზებელს შეუძლია ქმედების დასაწყისში კი არ სურდეს ამა თუ იმ ობიექტისათვის დანაშაულებრივი შედეგის მიყენება, არამედ სურდა მხოლოდ წაქეზებულის მხილება დანაშაულის ჩადენის მომენტში (და მაშინ მსგავსი ზემოქმედებით სხვის ინტელექტუალურ-ნებელობით საქმიანობაზე ყალიბდება პროვოკაცია). ასეთი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, პირადი მოტივებით იქნა მიღებული თუ დამნაშავე გამოდიოდა ცრუ სამსახურებრივი ინტერესებიდან, ითვლება დასჯადად.[147] ავტორი, ზემოთთქმულის საფუძველზე, ასეთ ქმედებებს აკუთვნებდა დანაშაულის ჩადენის წამქეზებლობას.

საბოლოო ჯამში შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ თავისი ბუნებით, ნაწილობრივ სუბიექტური ნიშნებით, პროვოკაცია გარეგნულად მსგავსია დანაშაულის ჩადენის წამქეზებლობისა. ამიტომ, სავსებით გასაგებია, ნახსენები იურისტები რატომ აკუთვნებდნენ პროვოკაციულ ქმედებებს წამქეზებლობას. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება დათანხმება მათი მოსაზრებებისა, რადგან წამქეზებლობა - ეს არის თანამონაწილეობის ერთ-ერთი სახე, ანუ მაშინ თანამონაწილეობის ნიშნები უნდა არსებობდეს პროვოკაციაშიც.

სისხლის სამართლის თეორიაში გამოყოფენ თანამონაწილეობის ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს. მისი ობიექტური ნიშნების კვლევისას, უპირველეს ყოვლისა უნდა შევჩერდეთ რაოდენობრივ ნიშანზე – დანაშაულში ორი ან მეტი პირის მონაწილეობაზე. ეს ნიშნავს, რომ თანამონაწილეობაში დანაშაულს სულ ცოტა ორი პირი ახორციელებს.[148] პროვოკაციის დროს დანაშაულში მონაწილეობს არა ნაკლებ ორი პირი (იმ პირობით, თუ ისინი შერაცხადები და კანონით დადგენილ ასაკს მიღწეულები არიან). ამასთანავე წარმოსახვითობა ორი ან მეტი პირის ერთობლივი ქმედებისა ნათელია, რამდენადაც მითითებულ პირთაგან თითოეულის ქმედების მიმართულება სხვადასხვაა, მაშინ როდესაც თითოეული თანამონაწილის ქმედება უნდა იყოს მიმართული ერთობლივი დანაშაულებრივი შედეგის მიღწევისაკენ.[149] ჩვენს შემთხვევაში (პროვოკაციისას), ამ ქმედების თითოეული მონაწილე ცდილობს არა მხოლოდ მიაღწიოს დამოუკიდებელ, არათანმხვედრ შედეგს, არამედ სრულიად საწინააღმდეგო შედეგსაც.

---

[146] Таганцев Н. С., Лекции, Часть общая, т. 1, М., 1994, გვ. 349.

[147] Гришаев П. И., Кригер Г. А., Соучастие по советскому уголовному праву, М., 1959, გვ. 149.

[148] Иванов Н. Г., Понятие и формы соучастия в советском уголовном праве, Саратов, 1991, გვ. 53.

[149] Иванов Н. Г., მითითებული ნაშრომი, გვ. 64.

მიუხედავად პროვოკაციისა და წამქეზებლობის მსგავსებისა, შინაგანად ისინი არსებითად განსხვავდებიან. თანამონაწილეობის სუბიექტური კრიტერიუმები გულისხმობს მხარეთა ურთიერთთანხმობას. დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ როგორც ერთი ისე მეორე მხრივ, ე.ი. დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილე პირები ურთიერთშეთანხმებულად უნდა აცნობიერებდნენ მოცემული დანაშაულის ჩადენას, ხოლო მათი ქმედებები კი - უნდა იყოს შეთანხმებული. ამ შემთხვევაში თანამონაწილეობის ნებელობითი ნიშანი (ორმხრივი ნებელობითი კავშირი) პრინციპში შეუძლებელია. მექრთამეობის პროვოკაციისას ადგილი აქვს მაპროვოცირებელი პირის ქმედების მიმართულების ამა თუ იმ პროვოცირებულის ქმედების მიმართულებასთან დამთხვევას. მაგრამ ამ ქმედებას არა აქვს ის ორგანული ნებელობითი კავშირი, რომელიც დამახასიათებელია თანამონაწილეობისათვის.

ანალოგიურ მოსაზრებას იზიარებს ს.ვ. კუგუშევი, რომელიც თვლის, რომ პირის დანაშაულის ჩადენის განზრახვა (მათ რიცხვში სხვა პირებთან თანამონაწილეობით) უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ინტელექტუალურ, არამედ ნებელობით მომენტსაც, რომელიც გამოიხატება განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგის სურვილში ან მის შეგნებულად დაშვებაში. გამოდის, რომ დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევაში პირის, მისი განმახორციელებლის, ნებელობითი მომენტი არ არსებობს, ისევე როგორც მისი სურვილი, პირველ რიგში, მიმართულია პირის სამხილებლად, რომელთან დაკავშირებითაც ხორციელდება პროვოკაცია, ანდა მის დასაშანტაჟებლად, მასზე დამოკიდებული მდგომარეობის შესაქმნელად. ამგვარად, დანაშაულის პროვოკაციის დროს, მისი განმახორციელებლისა და იმ პირის დამოკიდებულებაში, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება პროვოკაცია, ფაქტიურად პირთა განზრახვის ერთიანობა არ არსებობს, რაც ავტორის შეხედულებით, გამორიცხავს პროვოკატორის ქმედების თანამონაწილეობის ინსტიტუტის ჩარჩოებში კვალიფიკაციის შესაძლებლობას.[150]

ვიდრე არ არსებობდა ცალკე ნორმა, რომელიც გაითვალისწინებდა დანაშაულის პროვოკაციის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ამ ქმედებას აკვალიფიცირებდნენ, როგორც წამქეზებლობა. ეთიკურ-სამართლებრივი დისკუსიების ჩარჩოებშიც, როცა ავტორთა ნაწილი ცდილობდა გაემართლებინათ პროვოკაციული ქმედებები იმით, რომ მათ ახორციელებდნენ სახელმწიფო ორგანოები, იურისტთა უმრავლესობა პროვოკაციას მიაკუთვნებდა დასჯად ქმედებათა რიცხვს. უკანასკნელი პოზიცია უპირატესია.

დანაშაულის პროვოკაციის იურიდიული ბუნება, მათ რიცხვში მექრთამეობის ანდა კომერციული მოსყიდვის პროვოკაცია, კი არ განისაზღვრება თანამონაწილეობის ისეთი ნაირსახეობით როგორიცაა წამქეზებლობა, არამედ მას გააჩნია საკუთარი მახასიათებლები:

ა) გამოწვეულია სუბიექტის განზრახვით, რომ უზრუნველყოს იმ პროვოცირებული პირის მხრიდან სასურველი ქმედების მოდელის ცალმხრივი გამოვლენა, რომელსაც გააჩნია დანაშაულებრივი ქმედების მხოლოდ გარეგნული ნიშნები;

---

[150] Кугушев С. В., "Провокация преступления: проблемы уголовно - правовой квалификации " - статья, "Российский следователь ", № 10, 2005.

ბ) ხორციელდება დამნაშავე პირის ცალმხრივი განზრახი ქმედებით, არ არის პროვოცირებულის მიერ გაცნობიერებული პროვოკატორის განსაზღვრა;

გ) გულისხმობს პროვოცირებულის, ქმედების გამოყენებას არა ერთობლივი დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, არამედ დისკრედიტაციის მიზნით ხელოვნური მტკიცებულებების შექმნას ბრალდებისათვის;

დ) პროვოკატორის ქმედების მიზანია – პროვოცირებულისათვის მავნე შედეგების დადგომა;

ე) პროვოკატორის მხოლოდ პირდაპირი განზრახვის არსებობა, ამასთანავე ეს განზრახვა მიმართული უნდა იყოს არა დაყოლიებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სახეობასა და შედეგზე, არამედ თავად მისი ჩადენის ფაქტზე.[151]

ძირითადად, პროვოკატორს ის კი არ სურს, რომ პროვოცირებულმა დანაშაული დაასრულოს, არამედ იგი დაინტერესებულია იმით, რომ მან დაიწყოს დანაშაულებრივი ქმედება და ამით მიეცეს მისი სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში გადაცემის შესაძლებლობა.

ზოგიერთი სამართალი გამორიცხავს პროვოკატორის დასჯას. აღნიშნულის მაგალითია საფრანგეთი თავისი ცნობილი სასამართლო პრაქტიკით. 1994 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მოსამზადებელი სამუშაოების დროს დაისვა საკითხი უშედეგო პროვოცირების განცალკევებით დასჯის შესახებ, მაგრამ, საბოლოოდ, კანონმდებელმა უარყო იდეა, ვინაიდან რთულია პროვოცირების ფაქტის დადასტურება. სხვა სამართალში, პირიქით, გამორიცხულია დანაშაულის ნასესხობა ზოგადად და წაქეზება მაშინაც ისჯება, თუ მას შედეგი არ მოჰყვა. მაგრამ, იმ პირობით, რომ უნდა დადასტურდეს ორი ფიგურალური შემთხვევის არსებობა: წამქეზებელი ისჯება, მაგრამ დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის უფრო მსუბუქი ფორმით ისჯება ზოგჯერ კანონით ან სასამართლო პრაქტიკით. ინგლისური მართლმსაჯულების მიხედვით, პროვოცირება არის მესამე პირის სამოქმედო წახალისება, რაც ორ ელემენტს შეიცავს. პირველია ძალზე ფართო მნიშვნელობის მატერიალური ელემენტი: მოიცავს "დაყოლიებას, ცდუნებას, დადასტურებას, მოსყიდვას, მუქარას აშკარად გამოხატული სახით ან ფარულად." შემდეგია განზრახვის ელემენტი: წამქეზებელს უნდა ჰქონდეს ჩაფიქრებული დანაშაულის ჩადენის განზრახვა, ანუ უნდა იცნობდეს ამ დანაშაულის ყველა გარემოებას, აღმსრულებლის განზრახვის ჩათვლით, რის გარეშეც არ იარსებებს პროვოცირების ფაქტი. ამერიკული მართლმსაჯულება ასე სჯის: წაქეზების დანაშაულის არსებობისათვის "საკმარისია პროვოკატორის განზრახვა მესამე პირს ჩაადენინოს დანაშაული. იგი მას მიიტყუებს, წააქეზებს, უბრძანებს ან

[151] Кугушев С. В., "Провокация преступления: проблемы уголовно - правовой квалификации " - статья, "Российский следователь ", № 10, 2005

ამხნევებს დანაშაულის ჩასადენად, თუმცა არ არის აუცილებელი დანაშაული განხორციელდეს.[152]

დასკვნის სახით, შეიძლება დანაშაულის პროვოკაციის ცნების შემდეგი სახით ფორმულირება: ეს არის – დამნაშავის ცალმხრივი ქმედება, მიმართული სხვა პირის ქცევის ისეთ მოდელირებაზე, რომელსაც აქვს დანაშაულის ყველა გარეგნული ნიშანი, დისკრედიტაციის, შანტაჟის ან ბრალდებისათვის ხელოვნურ მტკიცებულებათა შექმნის მიზნით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლით დასჯადია – დანაშაულის პროვოკაცია. ჩვენი კანონმდებლის პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ ამ მუხლის ჩამოყალიბებით მიჯნავს პროვოკაციას წამქეზებლობისაგან.

§6. ამსრულებლის ექსცესი

ექსცესი (excessus) ლათ. სიტყვაა და ნიშნავს გადახრას, ე.ი. როდესაც ამსრულებლის ქმედება სცდება ერთიან დანაშაულებრივ განზრახვას და იგი ახორციელებს უფრო მძიმე დანაშაულს ვიდრე გათვალისწინებული იყო საერთო განზრახვით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლის მიხედვით:

1. ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა.

2. ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

სისხლის სამართლის თეორიაში ამსრულებლის ექსცესის ორ სახეს განასხვავებენ: რაოდენობრივ ექსცესს და თვისობრივ ექსცესს.[153]

რაოდენობრივი ექსცესი ნიშნავს, როდესაც ამსრულებელმა ჩაიდინა იმავე გვარის უფრო მძიმე დანაშაული ვიდრე თანამონაწილეთა განზრახვა მოიცავდა. მაგალითად, თანამონაწილეებს განზრახული ჰქონდათ ჯანმრთელობის დაზიანება, ამსრულებელმა კი ჩაიდინა მკვლელობა.

თვისობრივი ექცესი ნიშნავს, როდესაც ამსრულებელმა ჩაიდინა თვისობრივად სხვა დანაშაული ვიდრე თანამონაწილეთა განზრახვა მოიცავდა. მაგალითად, თანამონაწილეებს განზრახული ჰქონდათ ძარცვის ჩადენა და ამსრულებელმა კი ჩაიდინა მკვლელობა. პროფ. თ.წერეთლის მოსაზრებით, „თუ თანამონაწილე ითვალისწინებდა ექსცესის შესაძლებლობას და შეგნებულად უშვებდა მას, ე.ი. თუ თანამონაწილეს შედეგის მიმართ ევენტუალური განზრახვა ჰქონდა, იგი

---

[152] ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, გამოცემის მეცნიერული რედაქტორი თედო ნინიძე, 1995, გვ. 210.

[153] გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005, გვ. 204.

პასუხს აგებს ამ შედეგისთვის, თუნდაც მას სპეციალური შეთანხმება არ ჰქონდეს“.[154]

ეს საკითხი სულ მთლად ადვილი გადასაწყვეტი არ არის – აღნიშნავს პროფ. ო.გამყრელიძე. მაგალითად, ერთი შევიდა საქურდლად სხვის ბინაში, ხოლო მეორე დარჩა გარეთ მეთვალყურედ. თუ ის უშვებს, რომ ბინაში შესულმა, ქურდობის ნაცვლად, შეიძლება ძარცვა ჩაიდინოს, მაშინ არაპირდაპირი განზრახვა არ გვექნება, რადგან ძარცვა გამიზვნითი დელიქტია და მისი ჩადენა არაპირდაპირი განზრახვით გამორიცხულია. ასევე ითქმის ყაჩაღობის მიმართაც და სხვ. თუკი გარეთ მყოფი ამ შემთხვევაში პასუხს აგებს ძარცვის ან ყაჩაღობისათვის, მისი მოქმედება უნდა ჩაითვალოს პირდაპირი განზრახვით ჩადენილად. წინააღმდეგ შემთხვევაში თანამონაწილე პასუხს არ აგებს ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.[155]

ექსცესი შესაძლებელია თუ თანაამსრულებელი ან თანამონაწილე მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. თუ თანაამსრულებელი ან თანამონაწილე უშვებს ამსრულებლის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას, მაშინ ექსცესი არ არსებობს და ისინი პასუხს აგებენ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

თანაამსრულებელი ან თანამონაწილე პასუხს არ აგებს ამსრულებლის მიერ დაშვებული ექსცესისათვის, როდესაც თანამონაწილის წარმოდგენასა და ამსრულებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ ქმედებას შორის არსებითი სხვაობა არსებობს. არსებითი სხვაობა არსებობს, უპირველეს ყოვლისა, თვისობრივი ექსცესის დროს, ე.ი. როდესაც ამსრულებელმა თვისობრივად სხვაგვარი დანაშაული ჩაიდინა.[156]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 აგვისტოს განაჩენზე, სადაც მითითებულია, რომ ჩხოროწყუს რაიონული სასამართლო განაჩენით: მამუკა ზაქარაიამ შესთავაზა მასთან მყოფ ახალგაზრდებს, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თავს დასხმოდნენ ლიმო იზორიას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მამუკა ზაქარაია, პლატონ ქობალია, რუსლან პანინი და ბაჩანა ნარუაშვილი შევიდნენ ლიმო იზორიას ეზოში და მივიდნენ მის საცხოვრებელ სახლთან. მამუკა ზაქარაია და პლატონ ქობალია ავიდნენ საცხოვრებელი სახლის გვერდით მდებარე დამხმარე ნაგებობის სახურავზე, დასაკეცი დანის გამოყენებით გამოიღეს სახლის მეორე სართულის კედელში არსებული ფანჯრის მინა, გააღეს ფანჯარა, რის შემდეგაც მამუკა ზაქარაიამ, პლატონ ქობალიამ და რუსლან პანინმა უკანონოდ შეაღწიეს ლიმო იზორიას საცხოვრებელ სახლში, ხოლო ბაჩანა ნარუაშვილი დატოვეს გარეთ, რათა ვინმეს გამოჩენის შემთხვევაში გაეფრთხილებინა ისინი. აღნიშნულის შემდეგ მ.ზაქარაია, პ.ქობალია და რ.პანინი შევიდნენ ლიმო იზორიას საძინებელ ოთახში,

---

[154] წერეთელი თ., თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 204.

[155] გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005, გვ. 205.

[156] წერეთელი თ., თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 201.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით მოსთხოვეს მას ფულადი თანხის გადაცემა. ლიმო იზორიამ უთხრა თავდამსხმელებს, რომ ფულად თანხას ინახავდა სახლის პირველ სართულზე. დანაშაულის გაადვილების და მისი დაფარვის მიზნით, აგრეთვე იმისათვის, რომ ლიმო იზორიას არ დაეწყო ყვირილი და არ ეხმო დახმარებისათვის, მ.ზაქარაიამ, პ.ქობალიამ და რ.პანინმა გაკოჭეს ლიმო იზორია: თოკით შეუკრეს ხელ-ფეხი, ხოლო ფარდის ნაჭრით აუკრეს პირი, რითაც შეზღუდეს მისი სუნთქვის საშუალება. მ.ზაქარია, პ.ქობალია და რ.პანინი უშვებდნენ, რომ პირის აკვრას შეიძლებოდა გამოეწვია 81 წლის ლიმო იზორიას გაგუდვა, მაგრამ მიუხედავად ამისა გააგრძელეს ფულადი თანხის ძებნა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, სუნთქვის შეზღუდვის შედეგად ლიმო იზორია გაიგუდა და გარდაიცვალა, ხოლო მ.ზაქარია, პ.ქობალია და რ.პანინი გავიდნენ მისი სახლიდან. მათ ბაჩანა ნარუაშვილს უთხრეს, რომ ლიმო იზორია დაიღუპა, რის შემდეგაც დატოვეს იქაურობა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მ.ზაქარია, პ.ქობალია და რ.პანინი ცნობილი იქნენ დამნაშავეებად და დაეკისრათ პასუხისმგებლობა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით.

ბ.ნარუაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და დაეკისრა პასუხისმგებლობა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

საკასაციო პალატამ გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებულ ბ.ნარუაშვილის მიმართ შეიტანა ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საბრალდებულო დასკვნითა და I-ლი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მ.ზაქარაიამ შესთავაზა მასთან მყოფ ახალგაზრდებს, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავს დასხმოდნენ ლიმო იზორიას. პ.ქობალია, ბ.ნარუაშვილი და რ.პანინი დათანხმდნენ მ.ზაქარაიას წინადადებას და მასთან ერთად განიზრახეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ლიმო იზორიას. მ.ზაქარაიამ, პ.ქობალიამ, რ.პანინმა უკანონოდ შეაღწიეს ლიმო იზორიას საცხოვრებელ სახლში, ხოლო ბ.ნარუნაშვილი დატოვეს გარეთ, რათა ვინმეს გამოჩენის შემთხვევაში გაეფრთხილებინა ისინი.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა I-ლი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის მიცემულ სამართლებრივ შეფასებას, მაგრამ ამასთან, განაჩენით დადგენილად ჩაითვალა, რომ მსჯავრდებულები - მ.ზაქარაია, პ.ქობალია, რ.პანინი და ბ.ნარუაშვილი წინასწარ შეთანხმდნენ, რომ ჩაედინათ ქურდობა, მაგრამ ბინაში უკანონო შეღწევის შემდეგ მათი ქმედება გადაიზარდა უკვე ყაჩაღურ თავდასხმაში, ხოლო ბ.ნარუაშვილი დატოვეს გარეთ, რათა ვინმეს გამოჩენის შემთხვევაში გაეფრთხილებინა ისინი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - საქმე №789 აბ-09. ქ.თბილისი. 7 აპრილი, 2010წ.

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მსჯავრდებულების მხრიდან ადგილი ჰქონდა წინასწარ შეთანხმებას, ჩაედინათ ქურდობა, მაგრამ შემდგომში საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგინდა, რომ მათი ქმედება უკვე გადაიზარდა ყაჩაღურ თავდასხმაში.

საქართველოს სსკ-ის 26-ე მუხლის მიხედვით, ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა.

ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სახეზეა ამსრულებლების მ.ზაქარაიას, პ.ქობალიას და რ.პანინის მიერ ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელსაც არ მოიცავდა მათი თანამონაწილის - ბ.ნარუაშვილის განზრახვა, რომელიც იყო გარეთ, რათა გაეფრთხილებინა ისინი ვინმეს გამოჩენის შემთხვევაში და, ცხადია, მისთვის უცნობი იყო, თუ რა ხდებოდა მისი თანამონაწილეების მხრიდან ბინაში. მსჯავრდებულებს ჰქონდათ წინასწარი შეთანხმება ქურდობის ჩადენაზე და ამ განზრახვით შევიდნენ ლ.იზორიას საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც მ.ზაქარაიას, პ.ქობალიას და რ.პანინის ქმედება გადაიზარდა ყაჩაღურ თავდასხმაში.

ამდენად, ბრალდების აღნიშნულ ეპიზოდში ადგილი ჰქონდა ამსრულებელის ექსცესს და ბ.ნარუაშვილს მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ იმ ქმედებისათვის, რაზეც იყო წინასწარი შეთანხმება სხვა მსჯავრდებულებთან, რის გამოც ბ.ნარუაშვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებზე.

პრაქტიკაში რთულია თანაამსრულებლისა და დამხმარის გამიჯვნა. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ პირთა ჯგუფმა გადაწყვიტა ჩაედინა ყაჩაღობა, ჯგუფურ დანაშაულში ყველა თანაამსრულებელია (საქ. სსკ-ის 27-ე მუხლი I და II ნაწილები). ამ ჯგუფიდან ერთი მათგანი, კერძოდ ბაჩანა ნარუაშვილი არ შესულა ბინაში და არ მიუღია უშუალო მონაწილეობა ყაჩაღურ თავდასხმაში, არამედ იგი გარეთ ელოდებოდა დანარჩენ თავდამსხმელებს, რომ საფრთხის შესახებ ეცნობებინა მათთვის. ფორმალურ-ობიექტური თეორიის მიხედვით ბაჩანა ნარუაშვილი არის დამხმარე, ხოლო ფუნქციონალური თეორიით კი თანაამსრულებელი. ვინაიდან იგი კავშირშია ქმედების შემადგენლობის განხორციელებასთან. ფუნქციონალური თეორია გამოიყენება თანაამსრულებლისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად იმ შემთხვევაში როდესაც მას ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია.

ამ საკითხთან დაკავშირებით მართებული და მისაღებია მ.ტურავას მოსაზრება - „თანაამსრულებელთა პასუხისმგებლობის დასაბუთება ე.წ.

ფუნქციონალური თეორიით, რომელსაც ნაწილობრივ ქართული სასამართლო პრაქტიკაც იზიარებს, არ ეწინააღმდეგება სსკ-ი 22-ე მუხლის პირველ ნაწილს: „ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში...“ და იქვე განაგრძობს - ამ ნორმის ინტერპრეტაცია შეიძლება ფორმალურ-ობიექტურად რომლის მიხედვითაც ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც უშუალოდ ახორციელებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას, ხოლო ის ვინც ფუნქციონალურად არის დაკავშირებული შემადგენლობის განხორციელებასთან, შეიძლება იყოს მხოლოდ დამხმარე. ეს ინტერპრეტაცია ვფიქრობ მოძველებულია. ჩემი აზრით, დანაშაულის ჩადენაში უშუალოდ მონაწილეობს ასევე ის პირი, ვინც დანაშაულის ჩადენის უშუალო პროცესში ხელს უწყობს ამსრულებელს და უადვილებს მას ქმედების შემადგენლობის განხორციელებას. ასეთი პირი არ შეიძლება იყოს მხოლოდ დამხმარე, არამედ იგი ფუნქციონალური თანაამსრულებელია“.[157]

იმ შემთხვევაში კი, თუ დავეთანხმებით საკასაციო პალატის გადაწყვეტილებას ამსრულებელის ექსცესთან დაკავშირებით, მაშინაც კი კვალიფიკაცია არასწორია, ვინაიდან - ყაჩაღობა არის ფორმალური დანაშაული და დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, ხოლო ქურდობა კი მატერიალური და შესაბამისად მოითხოვს შედეგის დადგომას მისი დამთავრებულად ცნობისათვის. ამ შემთხვევაში შედეგი არ დამდგარა ქონებრივი ზიანის სახით. აქედან გამომდინარე ბ.ნარუაშვილისათვის პასუხისმგებლობა უნდა დეკისრებინა არა დამთავრებული ქურდობისათვის, არამედ ქურდობის მდელობაში თანამონაწილეობისათვის.

§7. ბრალი თანამონაწილეობის დროს

თანამონაწილეობის პრობლემის არსებითი ასპექტი არის თანამონაწილეთა ქმედების სუბიექტური შინაარსის გამოკვლევა, ბრალის მოცულობიდან გამომდინარე შერაცხვის ფარგლები და სუბიექტური მხარის მიხედვით კვალიფიკაციის საკითხები.

სისხლის სამართლის მეცნიერებამ გაიარა საკმაოდ ხანგრძლივი ეტაპი გაუფრთიხლებლობით თანამონაწილეობის საკითხის განსჯისა და საერთო ჯამში მივიდა უარყოფით პასუხამდე. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა 1958 წლის საფუძვლების მიღებამდე თანამონაწილეობის ცნების განსაზღვრებას არ განმარტავდა და ამიტომ თანამონაწილეთა ბრალის შესახებ საკითხი სადავო იყო. კრიმინალისტთა უმრავლესობა უარყოფდა გაუფრთხილებელ თანამონაწილეობას. ამ მხრივ გამონაკლისები იყვნენ ცნობილი მეცნიერები ა.ტრაინინი და მ.შარგოროდსკი, რომლებსაც განსაზღვრულ შემთხვევებში შესაძლებლად მიაჩნდათ გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა.[158] პროფ. ა.ტრაინინი ზღუდავდა გაუფრთხილებელი

---

[157] ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეშვიდე გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 289-290.

[158] იხ.: Трайнин А.Н., Учение о соучастии, М., 1941, გვ. 111-118; Шаргородский М.Д., Вопросы общей части уголовного права, Изд. Ленинградского университета, 1955, გვ. 142-143.

თანამონაწილეობის სფეროს ისეთი შემთხვევებით, როდესაც ყველა თანამონაწილე მოქმედებს გაუფრთხილებლად. მისი აზრით, „თანამონაწილეობა არ არსებობს, როდესაც ამსრულებელი მოქმედებს განზრახ, ხოლო მისი დამხმარე პირები – გაუფრთხილებლად. თანამონაწილეობა არ არსებობს აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც განზრახ მოქმედებენ მესამე პირები, ხოლო ამსრულებელი მოქმედებს გაუფრთხილებლად. მაგრამ თანამონაწილეობა არსებობს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე პირი ერთად იდენს ერთსა და იმავე გაუფრთხილებელ დანაშაულს“.[159]

1958 წლის საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საკანონმდებლო საფუძვლებით დაიკარგა ნორმატიული საფუძველი მსგავსი დისკუსიებისა, რამდენადაც თანამონაწილეობა ლეგალურად განისაზღვრა, როგორც „ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში“.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა თანამონაწილეობას განსაზღვრავს რა, როგორც ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში (სსკ მუხ. 23), ხაზს უსვამს თანამონაწილეთა მოქმედების (უმოქმედობის) განზრახ ხასიათს. ეს განსაზღვრება გამორიცხავს გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობის შესაძლებლობას, ამიტომ სისხლის სამართლის მეცნიერება ცნობს თანამონაწილეობას მხოლოდ განზრახ დანაშაულებში, ხოლო თანამონაწილეობისას განზრახვის სახეებთან დაკავშირებით მეცნიერები გამოთქვამენ განსხვავებულ მოსაზრებებს. მათი უმრავლესობა დანაშაულში თანამონაწილეობას შესაძლებლად მიიჩნევს ორივე სახის (პირდაპირი და ევენტუალური) განზრახვით, მაგრამ ბოლო წლებია, რაც ფართო გავრცელება ჰპოვა მოსაზრებამ იმასთან დაკავშირებით, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ამ საკითხთან დაკავშირებით ცალკეულ მეცნიერებს უჭირავთ არასაკმარისად თანმიმდევრული პოზიცია. ასე მაგ., ფ.გ.ბურჩაკი წერს: „თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის ამსრულებლის განზრახვის ხასიათის საკითხი, და წამქეზებლისა და დამხმარის განზრახვის ხასიათი უნდა გადაწყდეს თანამონაწილეობის ინსტიტუტის ცნების ზოგადი გაგებიდან გამომდინარე. ზევით უკვე ხაზგასმულია, რომ თანამონაწილეებს აერთიანებს განზრახვისა და მიზნის ერთიანობა. ასეთი ერთიანობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებში. აქედან გამომდინარეობს, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებში“.[160]

აღნიშნული მსჯელობა არსებითად არ იწვევს დავას, მიუხედავად არსებული სწორი ამოსავალი წანამძღვრისა იმის შესახებ, რომ თანამონაწილეთა განზრახვის შინაარსი აუცილებლად უნდა გამოხატავდეს თავად თანამონაწილეობის ინსტიტუტის არსს, ავტორს არ გადაუდგამს ლოგიკური თანამიმდევრული ნაბიჯი განზრახვის ფორმულის კონსტრუირებისა თანამონაწილეობასთან მიმართებაში, ანუ ფორმულისა, რომელშიც აისახებოდა მოცემული ინსტიტუტის

[159] Трайнин А.Н., Учение о соучастии, М., 1941, გვ. 114.

[160] Бурчак Ф.Г., Учение о соучастии по советскому уголовного праву, Киев, 1969, გვ. 120.

სპეციფიკური არსი. არ გადადგა რა ეს ნაბიჯი, ფ.გ.ბურჩაკი წინააღმდეგობაში აღმოჩნდა თავის ამოსავალ დებულებასთან, „დაუშვა წამქეზებლობის შესაძლებლობა ირიბი განზრახვით ცალკეულ, შედარებით იშვიათ შემთხვევებში, როცა წამქეზებელი თავის ინტერესს ხედავს მხოლოდ იმაში, რომ ამსრულებელმა ჩაიდინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მართლსაწინააღმდეგო შედეგთან მიმართებაში კი გულგრილია.[161]

ორიგინალური და საკმაოდ საწინააღმდეგო პოზიცია თანამონაწილეობისას განზრახვის სახეებთან დაკავშირებით აქვს ა.პ.კოზლოვს დანაშაულის თანამონაწილეობით კვალიფიკაციის ზოგადი წესების ფორმულირებისას, ერთ-ერთი მათგანი გადმოსცა შემდეგი სახით: „ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი თანამონაწილეობის შესახებ საჭიროებს წანამძღვარს თანამონაწილის ქცევაზეც, რომელიც მოქმედებს ევენტუალური განზრახვით, რამდენადაც დანაშაულებრივი ჯგუფის სავალდებულო ნიშნად ითვლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვის არსებობა, აქედან გამომდინარე ევენტუალური განზრახვა ქმნის მხოლოდ ელემენტარულ თანამონაწილეობას შესაბამისი კვალიფიკაციით. გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობის შესაძლო აღიარებისას, იგი უნდა მივაკუთვნოთ ელემენტარულ თანამონაწილეობას და დავაკვალიფიციროთ სისხლის სამ. კოდექსის თანამონაწილეობის მუხლზე მითითებით.“[162]

ა.პ.კოზლოვის პოზიციის წინააღმდეგობრიობა მდგომარეობს შემდეგში: პირველ რიგში არალოგიკურია, მხოლოდ როლების განაწილებით თანამონაწილეობისას დაუშვა თანამონაწილეობა ევენტუალური განზრახვით, მაგრამ გამორიცხო ევენტუალური განზრახვა დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულში, რომელსაც ა.პ.კოზლოვი არ ცნობს თანაამსრულებლობად.[163]

მეორე რიგში, სისხ. სამ.კოდექსის თანამონაწილეობის მუხლზე მითითების აუცილებლობა კანონის შესაბამისად დამოკიდებულია თანამონაწილის მიერ განხორციელებული როლიდან, და არა განზრახვის სახიდან, რომლითაც იგი მოქმედებს.

მესამეც, ავტორი არ იძლევა მითითებას, სისხ. სამ. კოდექსის თანამონაწილეობის მუხლის რომელ ნაწილზეა მითითება საჭირო ევენტუალური განზრახვით მოქმედი თანამონაწილის შეფასებისას.

კანონში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე გამოხატულია შემდეგი სიტყვებით - „დანაშაული ჩაიდინება განზრახ და ერთობლივად“. ამ ფორმულირების თანახმად: 1) თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულებში; 2) დანაშაულის ჩადენაში ყველა მონაწილე (ყველა თანამონაწილე) მოქმედებს განზრახ, მათ აქვთ ერთიანი განზრახვა.

ეს ნიშნები საჭიროებენ განსაზღვრული კონკრეტიზაციას. დანაშაულში თანამონაწილეობისას არა მარტო დანაშაული უნდა იყოს განზრახი, არამედ ყველა თანამონაწილე ასევე უნდა მოქმედებდეს

---

[161] Бурчак Ф.Г., Учение о соучастии по советскому уголовного праву, Киев, 1969, გვ. 123.

[162] Козлов А.П., Соучастие: традиции и реальность, СПб., 2001, გვ. 318.

[163] Козлов А.П., Соучастие: традиции и реальность, СПб., 2001, გვ. 321.

განზრახ. აქედან გამომდინარე თუ ერთი პირი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, ხოლო მეორე იყენებს რა ამას და მოქმედებს განზრახ, თანამონაწილეობა გამორიცხულია. მაგ. პოლიციის თანამშრომელმა დაუდევრად დატოვა იარაღი უადგილო ადგილზე და ვიღაცამ გამოიყენა ეს შემთხვევა, დაეუფლა იარაღს და ჩაიდინა განზრახ მკვლელობა. ამ შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელი პასუხს აგებს ცეცხლსასროლი იარაღის (მათ შორის, გლუვლულიანი სანადირო თოფის) დაუდევრად შენახვისათვის (სსკ მუხ. 238), ხოლო იარაღის გამომყენებელი კი – განზრახ მკვლელობისათვის (სსკ მუხ. 108).

რას ნიშნავს დანაშაულში თანამონაწილეობის დროს განზრახი ქმედება? თანამონაწილეობისას განზრახვა, ისევე როგორც ერთი პირის მიერ ჩადენილ დანაშაულში, მოიცავს ინტელექტუალურ და ნებელობით ელემენტებს. მაგრამ რამდენადაც თანამონაწილეობისას დანაშაული ჩაიდინება ორი ან მეტი პირის მიერ, განზრახვის ორივე ელემენტს გააჩნია თავისებური სპეციფიკა.[164]

ინტელექტუალური ელემენტის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილე აცნობიერებს არა მხოლოდ მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობას, არამედ ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობასაც. თანამონაწილე ამასთანავე ითვალისწინებს ამსრულებლის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგს. სხვაგვარად, რომ ვთქვათ თანამონაწილე ითვალისწინებს, რომ ამსრულებლის ქმედება გამოიწვევს მათ მიერ განზრახული დანაშაულის შედეგს.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, თანამონაწილე უნდა აცნობიერებდეს ამსრულებლის დანაშაულებრივ განზრახვას და მის განზრახ ქმედებას. ამგვარი გაცნობიერება თანამონაწილეობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია. ასე, მაგ. თუ პირმა გადაწყვიტა მსხვერპლის მოკვლა და მეზობელს თხოვს იარაღს სანადიროდ, და მეზობელი აძლევს იარაღს, რის შედეგადაც განხორციელდება მკვლელობა, თანამონაწილეობა გამორიცხულია, რადგან მეზობელი იარაღის მიცემისას არ აცნობიერებდა და არ იცოდა მკვლელის ნამდვილი განზრახვის შესახებ. თუ ასეთი იარაღი ამსრულებელს მიეცემოდა მკვლელობის ჩასადენად, მაშინ ადგილი ექნებოდა თანამონაწილეობას, რადგან ის ვინც იარაღი მისცა, მოქმედებს ამსრულებელთან შეთანხმებულად და აცნობიერებს მის მიერ დანაშაულის ჩადენის განზრახვას.[165]

რა არის ნებელობა? ნებელობის აქტში სუბიექტის მომავალი ქცევისადმი დამოკიდებულება გამოიხატება, რომელიც შეიცავს: 1) გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდს; 2) თვითონ გადაწყვეტილების პერიოდს და, 3) გადაწყვეტილების შესრულების პერიოდს. ნებელობა მხოლოდ იმას ეხება, რისი შესრულებაც ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული. იმისთვის რომ ის, რაც გადაწყვეტილია, შესრულდეს, აუცილებელია გადაწყვეტილება შეურყეველი დარჩეს, რათა ქცევა ბოლომდე თავისდა შესაფერისად წარიმართოს, ასეთ სტაბილიზებულ გადაწყვეტილებას განზრახვა ეწოდება.[166]

---

[164] Козлов А.П., Соучастие: Традиции и реальность СПБ, 2001, გვ. 323.

[165] იქვე, გვ. 324.

[166] უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 147.

ნებელობის შემთხვევაში ადამიანში ისეთი პროცესი ხდება, რომ იგი აქტიურადაც უნდა განიცდიდეს თავს და პასიურადაც. ამასთან არის დაკავშირებული ნებელობის თავისუფლების პრობლემა. ამ საკითხის გადაწყვეტის ორი მოპირდაპირე ცდა არის ცნობილი ერთი დადებითი და მეორე უარყოფითი: ინდეტერმინიზმი, რომელსაც ნებელობა თავისუფალ ძალად მიაჩნდა, ძალად, რომელიც მიზეზობრიობის საყოველთაოდ გავრცელებულ კანონს არ ემორჩილება, და დეტერმინიზმი, რომელსაც პირიქით, ნებელობის დამოუკიდებლობა, თავისუფლება, მიზეზობრივი რკალის გარეშე მოქმედების უნარი არ სწამდა. ნებელობის აქტის დამოკიდებულება მოტივზე, ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის მოტივირებული უნდა იყოს, თითქოს საბოლოოდ უნდა ამტკიცებდეს ინდეტერმინიზმის უსაფუძვლობას, მიუხედავად ამისა, ნებელობის თავისუფლებაზე ლაპარაკის აღკვეთა სრულად შეუძლებელია. ფაქტია, რომ მოტივაციის გარეშე ნებელობის აქტი არ ხდება. მაშასადამე, დეტერმინიზმი მართალია: ნებელობის აქტს მოტივი განსაზღვრავს. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ერთიდაიგივე მოტივი ყოველთვის ეთსადაიმავე აქტს არ იწვევს: ერთხელ რომ იგი ერთს შედეგს იძლევა, მეორეჯერ მის მიმართ სრულიად უძლური რჩება. მიზეზობრიობის ცნებას ასეთი ფაქტები სრულიად არ ეგუება: მიზეზი განსაზღვრულ პირობებში ყოველთვის განსაზღვრულ შედეგს იწვევს. ამიტომაც შეუძლებელია, რომელიმე გარკვეული მოტივი ან მოტივთა ჯგუფი კაუზალურად დაუკავშირო გარკვეულს ნებელობის აქტს. მაშასადამე დეტერმინიზმი მაინც არ არის მართალი.[167]

ყოველივე აქედან გამომდინარე კი ნებელობის თავისუფლების პრობლემის გადაწყვეტის ორივე ცდა – ინდეტერმინისტული და დეტერმინისტული ცალკე აღებული უსაფუძვლოა. „ნებელობა თავისუფალია, აღნიშნავს დ.უზნაძე, რამდენადაც აქტუალური სიტუაციის გავლენას არ ემორჩილება, რამდენადაც აქედან გამომდინარე იძულებას არ განიცდის. იგი თავისუფალია, რამდენადაც მასზე მოქმედი სიტუაცია წარმოსახვითია, მაშასადამე, სუბიექტის მიერაა გაცნობიერებული. მაგრამ იგი დეტერმინირებულია, არაა თავისუფალი, რამდენადაც, თუმცა წარმოსახულით, მაგრამ მაინც სიტუაციითა პირობადადებული“.[168]

განზრახვის ნებელობითი ელემენტი თანამონაწილეობის დროს, უწინარეს ყოვლისა შეიცავს შედეგის დადგომის სურვილს, როდესაც ყველა თანამონაწილეს სურს შედეგის დადგომა, რომელსაც ამსრულებელი თავისი უშუალო მოქმედებით ცდილობს მიაღწიოს. ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებში თანამონაწილეებს სურთ ამსრულებელმა განახორციელოს მათ მიერ განზრახული დანაშაულებრივი ქმედება.

თანამონაწილეობის დროს განზრახვაზე საუბრისას, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავტორთა დიდი ნაწილი აღიარებს, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით, მაგრამ ყველა არ ეთანხმება იმას, რომ შესაძლებელია ევენტუალური განზრახვითაც.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ თავად კანონი (მუხ. 23 სსკ) დანაშაულში თანამონაწილეობის დროს განზრახვაზე საუბრისას,

---

[167] უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 176-177.
[168] უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 178.

არაფერს ამბობს განზრახვის სახეებზე, ამით კი უშვებს, რომ იგი შესაძლებელია იყოს როგორც პირდაპირი ისე ევენტუალური. თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულებში ქმედებისათვის ტიპიურად დამახასიათებელია პირდაპირი განზრახვა. თანამონაწილეობისას პირდაპირი განზრახვის შინაარსი სპეციფიკურია. პირი აცნობიერებს თავისი მოქმედების (უმოქმედობის) მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, ასევე ერთიანი დანაშაულის ჩადენაში მონაწილეთა (თუნდაც ერთის) მოქმედების (უმოქმედობის) მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, ითვალისწინებს თავისი ქმედების ურთიერთკავშირს დაგეგმილ ან უკვე ჩადენილ დანაშაულთან და სურს მასში მონაწილეობა სხვა თანამონაწილეებთან ერთობლიობაში. თანაამსრულებლობისას პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური ელემენტი მოიცავს ასევე მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გათვალისწინებას ან ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას (მატერიალური შემადგენლობის დანაშაულის ჩადენისას). ნებელობითი ელემენტი ხასიათდება შედეგის დადგომის სურვილით.[169]

როგორც ჩანს, პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის შინაარსი თანამონაწილეობის დროს უფრო ფართოა შედარებით ერთი პირის მიერ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულთან. იგი მოიცავს სხვა პირებთან ერთობლივად დანაშაულის ჩადენის გათვალისწინებას და თანამონაწილეობის ზოგიერთი ფორმის შემთხვევაში ყველასათვის საერთო დანაშაულებრივი შედეგის გათვალისწინებას (მატერიალური შემადგენლობის დანაშაულებში). მაშასადამე, თანამონაწილეობის სუბიექტური ნიშნები ხასიათდება ერთობლივად ჩადენილი დანაშაულის ურთიერთგაცნობიერებით. ზოგიერთი ავტორი მართებულად უწოდებს თანამონაწილეთა ურთიერთგათვალისწინებას ორ ან მრავალმხრივ სუბიექტურ კავშირს. „პირი ითვალისწინებს, რომ მოქმედებს არა მარტო, არამედ სხვა თანამონაწილეებთან ერთად. ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში ურთიერთგათვალისწინება სხვადასხვაგვარად გამოვლინდება თანამონაწილეობის სხვადასხვა ფორმაში. მაგრამ ერთი ზოგადად დადგენილი მოთხოვნაა, რომ თანამონაწილეებმა (ან ერთმა თანამონაწილემ) იცოდნენ ამსრულებლის შესახებ და მათ მიერ განსახორციელებელი დანაშაულის შესახებ. თანამონაწილეობის ნებისმიერი ფორმის დროს პირდაპირი განზრახვის ნებელობითი ელემენტის შინაარსი ხასიათდება განზრახი დანაშაულის ჩადენაში სხვა პირებთან ერთად მოქმედების სურვილით“.[170]

აღსანიშნავია, რომ მეცნიერ იურისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღიარებს თანამონაწილეთა ქმედებებში ევენტუალური განზრახვის შესაძლებლობას, ამის არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ ზოგიერთი მათგანი შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგს.[171]

მოცემული მოსაზრება არ არის მისაღები რამდენიმე საფუძვლით. ამ ფორმულირების ხარვეზი არის ის, რომ იგი არ არის უნივერსალური.

---

[169] Иванов Н.Г., Понятие и формы соучастия в советском уголовном праве, М., 2007, გვ. 87.

[170] Иванов Н.Г., Понятие и формы соучастия в советском уголовном праве, М., 2007, გვ. 89.

[171] იხ.: Рарог А.И., Уголовное право Российской Федерации, Общая часть, Учебник, М., 2007, გვ. 259. Козлов А.П., Соучастие: традиции и реальность, СПб., 2001, გვ. 66.

აღნიშნული პოზიციის მომხრეების მიერ შემოთავაზებული ევენტუალური განზრახვის შინაარსის კონსტრუქციაში მცდარობა აშკარა ხდება, თუ თანამონაწილეთა შორის წინასწარი შეთანხმების საგანი იქნება ფორმალური შემადგენლობის დანაშაულის ჩადენა. ამგვარი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგი შემადგენლობის ჩარჩოებს მიღმა რჩება, განუსაზღვრელი ხასიათის მატარებელია, ამიტომ ამ პირთა პირდაპირი განზრახვის შინაარსის განსაზღვრისას საჭიროა თანამონაწილეთა მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულების გარკვევა ქმედების მიმართ, და არა ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მიმართ. სავსებით ნათელია, რომ ამ შემთხვევაში თანამონაწილეთა ქმედება ჩაიდინება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.[172]

მატერიალური შემადგენლობის დანაშაულის ჩადენისას, მაგ. მკვლელობა, თითოეული თანამონაწილე (თანაამსრულებელი, დამხმარე, წამქეზებელი) მოქმედებს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, სხვაგვარად ქრება თანამონაწილეობის აუცილებელი ნიშანი – ქმედების ერთობლიობა და განზრახვის ერთიანობა. ერთიანი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არ შეიძლება იმოქმედო და იმავდროულად წარმართო საკუთარი ძალისხმევა სხვადასხვა შედეგის მიღწევისაკენ, ამასთანავე გულგრილად ეკიდებოდე სხვა პირთა ქმედების შედეგებს. მაშინ იქნება სხვადასხვა პირთა ქმედების უბრალოდ დამთხვევა დროსა და ერთ ადგილზე, რაც არ შეიძლება თანამონაწილეობად ვაღიაროთ. ურთიერთქმედება როგორც თანამონაწილეობის ნიშანი მიიღწევა მხოლოდ მიზნის ერთიანობისა და თანამონაწილეთა მისწრაფების საფუძველზე.[173]

არ არის გასაზიარებელი ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობის მომხრეთა პოზიცია პრაქტიკული თვალსაზრისით. წამქეზებლისა და დამხმარის ქმედებათა სუბიექტური მხარის დახასიათებისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ მათი ქმედება პირდაპირ არ არის დაკავშირებული ამსრულებლის მიერ დანაშაულებრივი ქმედების შედეგთან. არის კიდევ რაღაც შუალედური რგოლი მიზეზობრივ კავშირში მათ ქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის, რისაც არ ითვალისწინებენ ევენტუალური განზრახვის მომხრენი – ეს არის ამსრულებლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა. და ზუსტად ეს ფაქტი არასდროს არ იქნება სულერთი დამხმარისა და წამქეზებლისათვის. დამხმარეს, მოამზადა იარაღი და გადასცა რა ამსრულებელს შემდგომი შეიარაღებული თავდასხმისათვის, არ აინტერესებს იარაღის გამოყენების დეტალები: ამსრულებელი მოკლავს ამ იარაღით ვინმეს ან დაჭრის დაზარალებულს ან მხოლოდ დაემუქრება მას ქონების დაუფლების მიზნით, ამიტომ დამხმარეს არ შეუძლია გაითვალისწინოს ერთობლივი დანაშაულებრივი შედეგი, რაც მნიშვნელოვანია ევენტუალური განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის დასახასიათებლად. იგი ითვალისწინებს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ მის მიერ დამზადებული იარაღი კონკრეტულ ამსრულებელს პირობას უქმნის დანაშაულის ჩასადენად. დამხმარე აცნობიერებს, რომ ეხმარემა მას, ითვალისწინებს, რომ იარაღი გამოყენებული იქნება

---

[172] იხ.: Рарог А.И., Уголовное право Российской Федерации, Общая часть, Учебник, М., 2007, გვ. 270.

[173] იქვე, გვ. 272.

დანაშაულებრივი მიზნებისათვის, და სურს ამ ქმედებათა ჩადენა, ე.ი. ამსრულებლის დახმარება.[174]

გარდა ამისა, მოცემული თეორიული პოზიცია წინააღმდეგობრიობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან. საქ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მესამე ნაწილში ევენტუალური განზრახვის ნებელობითი ელემენტის დახასიათებისას მითითებულია, რომ პირი არა უბრალოდ შეგნებულად უშვებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არამედ უწინარეს ყოვლისა, პირს არ სურს ეს შედეგი, რაც რა თქმა უნდა მტკიცდება მისი ქცევით. თუ კონკრეტულად განვსაზღვრავთ ევენტუალური განზრახვის შინაარსს, ჩავრთავთ ინტელექტუალურ ელემენტს დამხმარისა და წამქეზებლის კონკრეტული ქმედებების დასახასიათებლად, და ნებელობით ელემენტს განვსაზღვრავთ სსკ მე-9 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყალიბდება უაზრო ფორმულირება. ერთის მხრივ, დამხმარე აცნობიერებს, რომ ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას თავისი რჩევებით, იარაღის მიცემით ან სხვა ხერხებით ეხმარება ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში, და მეორეს მხრივ, არ სურს, რომ ამსრულებელმა ჩაიდინოს დანაშაული. კიდევ უფრო უაზრო ხდება წამქეზებლის ქმედება, რომელიც აცნობიერებს, რომ აქეზებს სხვა პირს დანაშაულის ჩასადენად და იმავდროულად არ სურს, რომ მის მიერ დაყოლიებულმა პირმა ჩაიდინოს დანაშაული.

ამგვარად, ნებისმიერი თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული, პირველ ყოვლისა გულისხმობს ყველა თანამონაწილის მხოლოდ პირდაპირ განზრახვას.

„თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულში. მაშასადამე, დანაშაულში თანამონაწილენი, მათ შორის ამსრულებელი, მოქმედებენ განზრახ და ამასთან განზრახ დანაშაულში, როგორც წესი, იგულისხმება პირდაპირი განზრახვა. ამ დებულებაზე ისიც მიუთითებს, რომ დანაშაულში თანამონაწილეებს ერთიანი მიზანი ანუ მიზნის ერთიანობა ახასიათებთ. მაგრამ შესაძლებელია დანაშაულში თანამონაწილეობა ევენტუალური განზრახვითაც. მხედველობაშია ამსრულებლის ექსცესთან დაკავშირებული ვითარება, როდესაც ამსრულებელს ეძლევა მოქმედების თავისუფლება. იგულისხმება, რომ დანაშაულის თანამონაწილეებს არა აქვთ დაზუსტებული ამსრულებლის მოქმედების ფარგლები. ასეთ შემთხვევაში თანამონაწილენი უშვებენ ამსრულებლის მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას და, მაშასადამე, თანამონაწილენი მოქმედებენ ევენტუალური განზრახვით, მაშინ როდესაც ამსრულებელი ამ ვითარებაში მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, ამ შემთხვევაში ამსრულებლის ექსცესი გამორიცხულია, რაკი თანამონაწილენი შეგნებულად უშვებენ ამსრულებლის მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას.“[175]

---

[174] Рарог А.И., Уголовное право Российской Федерации, Общая часть, Учебник, М., 2007, გვ. 273.

[175] ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, თავი XII, გვ. 193.

ავტორი დასაწყისში მართებულად აღნიშნავს, რომ თანამონაწილეებს ერთიანი მიზანი ანუ მიზნის ერთიანობა ახასიათებთ და მიუთითებს პირდაპირ განზრახვაზე, თუმც იქვე დასძენს, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელიაო ევენტუალური განზრახვითაც. თუ არსებობს მიზნის ერთიანობა, მაშინ როგორ არის შესაძლებელი არ გსურდეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა მის დადგომას? მიზნის ერთიანობა დამახასიათებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში მართალია თანამონაწილეებს არა აქვთ დაზუსტებული ამსრულებლის მოქმდების ფარგლები და უშვებენ ამსრულებლის მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას, რომელიც მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინიც მოქმედებენ პირდაპირი განზრახვით, იმიტომ, რომ დანაშაულში თანამონაწილეობისას განზრახვის სახე განისაზღვრება ნებელობითი დამოკიდებულებით არა დანაშაულის შედეგისადმი, არამედ დანაშაულის ერთობლივად ჩადენის ფაქტისადმი და შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ სურვილში, ანუ პირდაპირ განზრახვაში და არა ევენტუალურში. ამ ხაზის გაძლიერებით კი შესაძლებელია გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობის უარყოფილი თეორიებიც გავააქტიუროთ, რაც ყოვლად გაუმართლებელია.

მეცნიერები, რომლებიც თვლიან, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია ევენტუალური განზრახვით, ძირითადად, მექანიკურად იყენებენ განზრახვის საკანონმდებლო ფორმულირებას თანამონაწილეობის დროს ბრალის შინაარსის დასადგენად, არ ითვალისწინებენ რა თანამონაწილეობის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების განსაკუთრებული ფორმის ხარისხობრივ სპეციფიკას.

პ.ფ.ტელნოვი წერდა: „თანამონაწილის განზრახვის ინტელექტუალური ელემენტი მოიცავს: ა) საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებას; ბ) სხვა თანამონაწილეთა (მინიმუმ კიდევ ერთის) ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გაცნობიერებას; გ) ერთობლივი დანაშაულებრივი შედეგის წინასწარ განჭვრეტას. განზრახვის ნებელობითი ელემენტი ქმნის ერთობლივად დანაშაულებრივი შედეგის მიღწევის სურვილს ან შეგნებულად უშვებს მის დადგომას“.[176]

აღნიშნული მოსაზრებიდან ჩანს, რომ ავტორი, ისევე როგორც სხვა მეცნიერები, რომლებიც უშვებენ თანამონაწილეობას ევენტუალური განზრახვით, ეყრდნობიან თანამონაწილეთა ნებელობით დამოკიდებულებას ერთობლივად ჩადენილი დანაშაულის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომისადმი, აშკარად მათი მნიშვნელობის გადაფასებით თანამონაწილეობის დასახასიათებლად. ზოგიერთი მკვლევარის მიერ შედეგის ამგვარ გადაფასებას მივყავართ დანაშაულის შედეგის, როგორც ობიექტური ნიშნის დაუშვებელ გათანაბრებამდე, თანამონაწილის მიზანთან, როგორც თანამონაწილეობის სუბიექტურ ნიშანთან.[177]

თანამონაწილეობისას ევენტუალური განზრახვის კონსტრუქციის ძირითადი ნაკლოვანება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არ გამოხატავს

[176] Тельнов П.Ф., Ответственность за соучастие в преступлении, М., 1974, გვ. 42-43.
[177] Козлов А.П., Соучастие: традиции и реальность, СПб., 2001, გვ. 74

ფსიქიკურ დამოკიდებულებას (ინტელექტუალურს – თითქმის, ხოლო ნებელობითს – სრულად) თანამონაწილეობის მთავარ ნიშანთან, რომელიც ამ ინსტიტუტის სპეციფიკური თავისებურებაა, სახელდობრ კი რამოდენიმე პირის გაერთიანების ფაქტს ერთობლივად ერთიდაიმავე დანაშაულის ჩასადენად. გარდა ამისა იგი უყურადღებოდ ტოვებს თანამონაწილეობას ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებში, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ.[178]

ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობის ზოგიერთი მომხრე გამოდის იქიდან, რომ თანამონაწილის განზრახვის სახეს განსაზღვრავს მისი ფსიქიკური დამოკიდებულებით არა მართლსაწინააღმდეგო შედეგისადმი, არამედ ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედებისადმი, რომელიც მათი აზრით, შეიძლება იყოს ან სასურველი, ან შეგნებულად დასაშვები.[179] მაგრამ ეს შეხედულებაც არ ითვალისწინებს თანამონაწილის ფსიქიკურ დამოკიდებულებას, თანამონაწილეობის ინსტიტუტის მთავარ თავისებურებას – თანამონაწილეთა დანაშაულებრივი ქმედების ერთობლიობას.

„თანამონაწილეთა განზრახვის კონსტრუქციულ ელემენტს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის ან მის ჩადენაში მონაწილეობის განზრახვა... ამიტომ ერთხელ კიდევ ხაზგასასმელია: სხვა პირისათვის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების განზრახვა ან ხელის შეწყობა მოტივისა და მიზნის მიუხედავად, ყოველთვის ადასტურებს პირდაპირი განზრახვის არსებობას“.[180]

დანაშაულში თანამონაწილეობის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ამსრულებლის დანაშაულებრივ ქმედებას უერთდება სხვა თანამონაწილეთა ქმედება, რომელიც ასევე დანაშაულებრივი ხასიათის მატარებელია. ამიტომ „დანაშაულებრივი შედეგისადმი ნებელობითი დამოკიდებულების პირდაპირი და ევენტუალური განზრახვით გამიჯვნა არ შეიძლება არსებითად იქნეს ცნობილი თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის საკითხის გადასაჭრელად.“[181] თანამონაწილის განზრახვის სახე უნდა განისაზღვროს ნებელობითი დამოკიდებულებით დანაშაულებრივი ქმედებისათვის გაერთიანების ფაქტით, ანუ ფაქტისადმი, რომელიც გამოხატავს თანამონაწილეობის იურიდიულ არსს. ერთობლივად ჩასადენ დანაშაულში გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი სურვილით. „სუბიექტი აცნობიერებს რა რომ მისი ქმედება სხვა პირს აღუძრავს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, ან უმყარებს ამ გადაწყვეტილებას, ან ხელს უწყობს ამ გადაწყვეტილების მასში გამომუღავნებას, მოქმედებს ასე და არა სხვაგვარად მხოლოდ იმიტომ, რომ მას სურს ასე მოქმედება. სუბიექტი რაც არ უნდა შინაგანად უარყოფითად იყოს განწყობილი ამსრულებლის ქმედებისადმი, შეგნებულად ხელს უწყობს რა დანაშაულის ჩადენას, მას სურს ეს ხელშეწყობა“.[182]

---

[178] Козлов А.П., Соучастие: традиции и реальность, СПб., 2001, გვ. 76.

[179] Сергеев В.В., Косвенный умысел при соучастии // Вестник МГУ, Серия II, Право, М., 1971, გვ. 65-67;

[180] Ковалев М.И., Соучастие в преступлении, 2001, გვ. 86.

[181] Злобин Г.А., Никифоров Б.С., Умысел и его формы, М., 1972, გვ. 88.

[182] Ковалев М.И., Соучастие в преступлении, ნაწ., I, 1960, გვ. 277.

ამგვარად, თანამონაწილეობისას განზრახვის სახე განისაზღვრება ნებელობითი დამოკიდებულებით არა დანაშაულის შედეგისადმი, არამედ დანაშაულის ერთობლივად ჩადენის ფაქტისადმი და შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ სურვილში, ანუ მეტყველებს პირდაპირ და არა ევენტუალურ განზრახვაზე. მისი ინტელექტუალური ელემენტი მოიცავს: 1) მისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას; 2) დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობის ხერხის ან ამსრულებელზე ზემოქმედების ხერხის გაცნობიერებას (ანუ სხვა პირებთან ერთად დანაშაულში მონაწილეობის ფაქტს და ხასიათს; 3) ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გაცნობიერებას (რაც მოიცავს ასევე მატერიალური შემადგენლობის დანაშაულებში მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინებას). თანამონაწილეთა განზრახვის ნებელობითი ელემენტი მდგომარეობს მხოლოდ სურვილში ზუსტად არჩეული ხერხით მიიღონ მონაწილეობა მოცემული დანაშაულის ერთობლივად ჩადენაში.[183]

დანაშაულში თანამონაწილეობის დროს ევენტუალური განზრახვის კონსტუირებისას განზრახვის ნებელობითი ელემენტი ხშირად „იცვლება თანამონაწილის ემოციური დამოკიდებულებით დანაშაულებრივი ქმედებისა და ამსრულებლის ქმედების შედეგისადმი... არ შეიძლება სუბიექტის ემოციის არევა მის ნებასთან. თანამონაწილეს შეუძლია აღშფოთება და განსჯა ან, პირიქით, გახარება და წახალისება ამსრულებლის ქმედებისა, მაგრამ თუ იგი შეგნებულად ხელს უწყობს მის დანაშაულებრივ ქმედებას, მაშინ იგი ამას აკეთებს პირდაპირი განზრახვით.“[184] ამიტომ შეუძლებელია არ დავეთანხმოთ მ.ი.კოვალიოვს, რომელიც თვლის, რომ თანამონაწილის განზრახვის ნებელობითი ელემენტი ხასიათდება მხოლოდ დანაშუალის ჩადენის სურვილით, „ე.ი. თანამედროვე დოქტრინა და კანონმდებლობა უნდა გამორიცხავდეს თანამონაწილეობას ევენტუალური განზრახვით“.[185]

თანამონაწილეობის პრობლემათა შორის მნიშვნელოვან ასპექტთა რიცხვს განეკუთვნება თითოეული თანამონაწილისათვის იურიდიულად მნიშვნელოვანი გარემოებების შერაცხვის ფარგლების საკითხი ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში. ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა ბრალის მოცულობის დადგენა; ცალკეულ თანამონაწილეს შეიძლება ბრალი დაედოს მხოლოდ იმ იურიდიულად არსებული გარემოებებით, რომელთაც მოიცავდა მისი ცნობიერება. ამ გარემოებებიდან პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულებრივი ქმედების ერთობლივად განხორციელების ფაქტს. თანამონაწილეობაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის თითოეული მონაწილე აცნობიერებს იმას, რომ დანაშაული ჩაიდინება მათ მიერ არა მარტო, არამედ სხვა პირებთან ერთად. მხოლოდ ზოგიერთი მეცნიერის მიერ აღნიშნული მოთხოვნა განიხილება როგორც არა სავალდებულო ყველა თანამონაწილისათვის. ასე მაგ, ფ.გ.ბურჩაკის, ბ.ა.კურინოვის, გ.ა.კრიგერის, ვ.ს.კომისაროვის,

---

183 Ковалев М.И., Соучастие в преступлении, 1999, გვ. 82.

184 იქვე, გვ. 84.

185 იქვე, გვ. 83.

ა.პ.კოზლოვის[186] და სხვათა მიერ, დანაშაულის ჩადენაში მონაწილეთა მიერ სხვა პირთა დანაშაულებრივი ქმედების ურთიერთგაცნობიერება წარმოადგენს აუცილებელს მხოლოდ თანაამსრულებლობისას. თანამონაწილეობის სხვა ფორმებისას საკმარისია, „რომ წამქეზებელმა და დამხმარემ იცოდნენ დანაშაულის შესახებ, რომელიც მზადდება ამსრულებლისათვის ჩასადენად, შეგნებულად აქეზებდნენ და ხელს უწყობდნენ მის ჩადენას. რაც შეეხება ამსრულებლის მიერ წამქეზებლის, დამხმარის და ორგანიზატორის ქმედებათა გაცნობიერების მოთხოვნას, ასეთი პირობა არ დევს თანამონაწილეობის ინსტიტუტის იურიდიულ ბუნებაში.“[187]

როგორც ჩანს თანამონაწილეობა ცალმხრივი სუბიექტური კავშირისას შეუძლებელია. საკანონმდებლო განსაზღვრებიდან ჩანს, რომ თანამონაწილეობად ითვლება მხოლოდ განზრახი ერთობლივი ქმედება, ანუ შეთანხმებული ქმედება. შეთანხმების არარსებობისას ასეთი ქმედება არ ითვლება ერთობლივად, „თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის საკანონმდებლო დახასიათება არ იძლევა უფლებას დანაშაულებრივი ქმედების ამ ფორმას მივაკუთვნოთ შემთხვევა, როცა დამნაშავენი ფაქტიურად ურთიერთქმედებენ დანაშაულის ჩადენისას, მაგრამ არ აცნობიერებენ ამ ურთიერთქმედებას“.[188] ასეთი ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ცალკე ჩადენილი დანაშაული. ამსრულებელს შეერთებული პირის ქმედება, რომელმაც არ იცის ამის შესახებ, ნიშნავს არსებითად დანაშაულის ჩადენისათვის განზრახ პირობების შექმნას, ანუ დანაშაულისათვის მომზადებას.[189]

თანამონაწილეობაში ბრალდება დასაბუთებულია იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია, რომ ბრალდებული ობიექტურად ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენას, უშუალო ამსრულებელთან ჰქონდა ერთიანი განზრახვა, საერთო მიზანი და დანაშაულებრივი ქმედების ურთიერთგაცნობიერება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება – ცოდნა, რომელიც შედის თანამონაწილეთა განზრახვის შინაარსში, წარმოადგენს ერთობლივად ჩადენილი დანაშაულის შინაარსს. „თანამონაწილის ქმედების სისხლის-სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია დადგინდეს, რომ პირმა იცოდა არა მარტო დანაშაულის ჩადენის ფაქტის შესახებ, არამედ ასევე მისი მნიშვნელოვანი რიგი თავისებურებები. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის ჩადენის ეს ის გარემოებებია, რომლებიც ქმნიან ქმედების შემადგენლობის

---

[186] იხ. Бурчак Ф.Г., Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, გვ. 42-45; Куринов Б.А., Квалификация преступлений, совершенных в соучастии, М., 1984, გვ. 147-149; Гришаев П.И., Кригер Г.А., Соучастие по уголовному праву, М., 1959, გვ. 44-46; Российское уголовное право, Общая часть, под ред., Рарога А.И., (автор главы – В.С. Комиссаров), М., 2005, გვ. 259; Козлов А.П., Соучастие: традиции и реальность, СПб., 2001, გვ. 70-74.

[187] Куринов Б.А., Квалификация преступлений, совершенных в соучастии, М., 1984, გვ. 148.

[188] Тельнов П.Ф., Ответственность за соучастие в преступлении, М., 1974, გვ. 50; იხ. ასევე: Шнейдер М.А., Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, გვ. 11; Галиакбаров Р.Р., Групповое преступление, Свердловск, 1979, გვ. 71.

[189] Тельнов П.Ф., Ответственность за соучастие в преступлении, М., 1974, გვ. 52.

მახასიათებლებს. სხვა სიტყვებით კი ყველაფერი რაც თანამონაწილეს ბრალად ერაცხება, მისი განზრახვით უნდა იყოს მოცული.[190]

თანამონაწილეობა ესაა დანაშაულებრივი ქმედების სპეციფიკური ფორმა, რომელიც მიმართულია განსაზღვრული კონკრეტული დანაშაულის ჩადენისაკენ.

თეორიულად საინტერესოს და პრაქტიკაში მნიშვნელოვანს წარმოადგენს ბრალის ორმაგი ფორმით დანაშაულში თანამონაწილეობის შესაძლებლობის საკითხი, რომელშიც პრაქტიკა სცდება თეორიას. სისხლის სამართლის მეცნიერები ასეთ შესაძლებლობას პრინციპულად უარყოფენ. დანაშაულის მცდელობა ბრალის ორმაგი ფორმით აღიარა რა შეუძლებლად რ.ი. მიხეევმა იქვე დასძენს: „ასევე უნდა ითქვას თანამონაწილეობაზე: აღნიშნული შედეგი შეიძლება ინკრიმინირებული იქნას მხოლოდ მათ ფაქტიურ მიმყენებლებზე (ამსრულებლებზე), ხოლო ორგანიზატორს, წამქეზებელს და დამხმარეს არ შეიძლება დავაკისროთ პასუხისმგებლობა, რამდენადაც ამ შედეგს არ მოიცავდა მათი განზრახვა (ანალოგიურად, როგორც ამსრულებლის ექსცესისას)“.[191]

აღნიშნული მოსაზრებიდან ჩანს, რომ მეცნიერი არსებითად არ უარყოფს დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას ბრალის ორმაგი ფორმით თანაამსრულებლობის დროს. უფრო არგუმენტირებულ მოსაზრებას დანაშაულში თანამონაწილეობის დროს ბრალის ორმაგი ფორმის შესაძლებლობის საწინააღმდეგოდ გამოთქვამდა პ.ფ.ტელნოვი, წერდა რა: „სუბიექტური ბუნებიდან გამომდინარე მოცემული დანაშაულები საერთო ჯამში ლოგიკურია ჩავთვალოთ განზრახ დანაშაულად, რამდენადაც ძირითადი შედეგი განზრახია. კერძოდ, ამაშია ჩადებული მოჩვენებითი შესაძლებლობა თანამონაწილეობისა ამგვარი დანაშაულების კვალიფიციურ შემადგენლობებში. მაგრამ ესაა უფრო წარმოსახვითი შესაძლებლობა. მისი აზრის შეუსაბამობა კანონთან მჟღავნდება აღნიშნული ნორმების სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შეპირისპირებისას თანამონაწილეობის საკანონმდებლო განსაზღვრებასთან. გაუფრთხილებლობით დანაშაულის შედეგის დადგომა სცდება თანამონაწილეობის ფარგლებს“.[192] თუმც მოყვანილ ციტატაში თითქოს პირდაპირ არ არის უარყოფილი თანაამსრულებლობის შესაძლებლობა, მაგრამ ავტორის მსჯელობა მიუთითებს იმაზე, რომ იგი პრინციპულად არ ცნობს ბრალის ორმაგი ფორმით დანაშაულში თანამონაწილეობის შესაძლებლობას, როგორც თანაამსრულებლობის სახით, ისე ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის ქმედებათა სახით. თუმც დიფერენცირებული მიდგომის გარეშე ამ პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია.

უპირველეს ყოვლისა, თანამონაწილეობა ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის ქმედებათა სახით, პრინციპში შეუძლებელია ბრალის ორმაგი ფორმით დანაშაულის ჩადენისას. მაკვალიფიცირებელი შედეგი მიზეზობრივად კავშირშია მხოლოდ ამსრულებლის ქმედებასთან და არ შეიძლება ჩაეთვალოს უშუალოდ ორგანზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს. ამსრულებელზე

---

[190] Куринов Б.А., Квалификация преступлений, совершенных в соучастии, М., 1984, გვ. 153, 154.

[191] Наумов А.В., Российское угаловное право, Курс лекций, ტ.1, Общая часть, М., 2004, გვ. 428.

[192] Тельнов П.Ф., Ответственность за соучастие в преступлении, М., 1974, გვ. 61.

ზემოქმედებისას მათი განზრახვა არ მოიცავს ამ შედეგებს, ამიტომ არ შეიძლება შეერაცხოს არავის გარდა უშუალო ამსრულებლისა.

მეორეც, დანაშაულის ჩადენისას, ძირითადი შემადგენლობა მატერიალურია და მოიცავს განზრახ შედეგის დადგომას, ხოლო კვალიფიციური შემადგენლობა მოიცავს უფრო მძიმე შედეგს, რომელთან დამოკიდებულებაც ხასიათდება გაუფრთხილებლობითი ბრალით, თანამონაწილეობა ნამდვილად შეუძლებელია თუნდაც თანაამსრულებლობის სახით. თუ მაკვალიფიცირებელი შედეგი გაუფრთხილებლობით დგება თანაამსრულებელთაგან ერთ-ერთის მიერ რამაც გამოიწვია განზრახული ძირითადი შედეგი, მაშინ მხოლოდ მისი ქმედება კვალიფიცირდება ნორმით, რომელიც ითვალისწინებს ბრალის ორმაგი ფორმით დანაშაულს, ხოლო სხვა თანამონაწილეთა ქმედება – იმ ნორმით, რომელიც ითვალისწინებს განზრახ შედეგის დადგომას მაკვალიფიცირებელი შედეგის დადგომის გაუთვალისწინებლად.

მესამეც, თანამონაწილეობა თანაამსრულებლობის სახით პრინციპულად შეუძლებელია აგრეთვე იმ დანაშაულთა ჩადენისას, რომელთა ძირითადი შემადგენლობა ფორმალურია და მათი ობიექტური მხარე არ მოიცავს რაიმე შედეგებს, ხოლო კვალიფიციური შემადგენლობა მოიცავს გაუფრთხილებლობით გამოწვეულ მძიმე შედეგებს. თანამონაწილეობა ასეთ დანაშაულებში შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ მაკვალიფიცირებელი შედეგები მიზეზობრივად განპირობებულია ყველა თანამონაწილის (ან რამოდენიმეს) ერთობლივი განზრახი ქმედებებით, და არ აღმოჩნდა ამსრულებლის ექსცესის შედეგი. თანამონაწილეთა განზრახვა მოიცავს მხოლოდ ერთობლივი ქმედების განხორციელებას, რომელიც ქმნის დანაშაულის ძირითადი შემადგენლობის ობიექტურ მხარეს, და არ ვრცელდება მაკვალიფიცირებელ შედეგზე. მაშასადამე, თანამონაწილეობა მთავრდება განზრახ ერთობლივი დანაშაულის ჩადენით მაკვალიფიცირებელი შედეგის გარეშე.

§8. დანაშაულის მოტივი და მიზანი

იურიდიულ ლიტერატურაში დიდი ყურადღება ექცევა დანაშაულის მოტივისა და მიზნის საკითხს: მათ ცნებას, ბრალთან და მის ცალკეულ ფორმებთან კავშირს, კლასიფიკაციას, იურიდიულ მნიშვნელობას და ზოგიერთ სხვა ასპექტს. თუმცა, მეცნიერთა უმრავლესობა, ნებით თუ უნებლიეთ, აქცენტს აკეთებდა ზოგადად ადამიანის ქცევის მოტივაციაზე არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ასპექტით. უფრო მეტიც, ცალკეული მკვლევარები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მოტივის (ისევე როგორც მიზნის) სამართლებრივი განმარტების ჩამოყალიბებისკენ სწრაფვა ხელოვნური და არამეცნიერულია.[193] ამჟამად ითვლება, რომ მოტივი და მიზანი არსებობს და უნდა დადგინდეს ნებისმიერი დანაშაულის დროს, იმისდა მიუხედავად, ისინი ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, ასევე შესულია თუ არა მოტივი და მიზანი შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობის მახასიათებელთა რიცხვში.

[193] Харазишвили Б.В., Вопросы мотива поведения преступника в советском праве, Тбилиси, 1963, გვ. 4.

გაუფრთხილებლობით დანაშაულებში მოტივისა და მიზნის არსებობას ჩვეულებრივ თან ახლავს გამონათქვამები იმის შესახებ, რომ ამ ნიშნებს გაუფრთხილებლობით ქმედებისას გააჩნიათ ხარისხობრივად სხვა შინაარსი, ხასიათი, ინტერპრეტაცია და ქცევაზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური მექანიზმი, განსხვავებით განზრახი დანაშაულის მოტივებისა და მიზნებისაგან. მაგ., რ.ი. მიხეევი აღნიშნავდა, რომ გაუფრთხილებლობით დანაშაულის მოტივი და მიზანი არ ვრცელდება კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგზე: „გაუფრთხილებლობით დანაშაული მოტივაციითა და მიზანმიმართულების სტრუქტურით ხასიათდება მოტივისა და მიზნის წყვეტით სუბიექტის ქცევასა და ფაქტიურად დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის. ეს შედეგი არ „აქარვებს“ მოტივს (უფრო ზუსტად მისი მოთხოვნილების საფუძველს)“.[194] ეს აზრი უფრო მეტად რელიეფურადაა გამოხატული ვ.ე.კვაშისის მიერ, რომლის აზრითაც, „გაუფრთხილებლობით ქმედების შედეგი სუბიექტის ნებით კი არ დგება და მისი მოტივისა და მიზნის შინაარსში კი არ შედის, არამედ პირიქით, უფრო ხშირად ეწინააღმდეგება მისი ქმედების მიმართულებას“.[195]

მეცნიერები, რომლებიც ამტკიცებენ გაუფრთხილებლობით დანაშაულში მოტივისა და მიზნის არსებობას, უშვებენ სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური მიდგომების აღრევას ამ მოვლენებთან მიმართებაში. კრიმინოლოგიას საქმე აქვს ასე თუ ისე დანაშაულთან დაკავშირებულ, ადამიანის ქცევის სხვადასხვა ფორმებთან, ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ კრიმინოლოგიური ანალიზის საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ კრიმინალური, ასევე პრეკრიმინალური და პოსტკრიმინალური ქცევის მოტივი. რამდენადაც სისხლის სამართალი იკვლევს მხოლოდ დანაშაულებრივ ქმედებას, ამდენად ყველა მოტივებიდან, რომლებითაც განისაზღვრება კონკრეტული პირის სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევა, სისხლის სამართლისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ისინი, რომლებმაც აღუძრეს მას დანაშაულის ჩადენა და წარმოშვეს მასში დანაშაულებრივი მოტივები ან უფრო ზუსტად – დანაშაულის მოტივები.[196]

მოტივი ფსიქოლოგიაში განზრახული მოქმედებისა და მისი მიზნების დასახვის მასტიმულირებულია, ე.ი. ის, რის საფუძველზეც ადამიანი განიზრახავს ამა თუ იმ მოქმედების შესრულებას. რამდენადაც მოქმედების შესრულების გადაწყვეტილების მიღებისას ადამიანი რაიმე მოტივით ხელმძღვანელობს, ამდენად ეს უკანასკნელი საფუძველია შეგნებული, მიზანდასახული, ნებისმიერი, არაიმპულსური მოქმედებისა. მოტივის საბოლოო საფუძველი, მისი წყარო, ადამიანის ზოგადი, პიროვნული მოთხოვნილებებია. მოტივი უნდა განვასხვავოთ

---

194 Наумов А.В., Российское угаловное право, Курс лекций, ტ.1, Общая часть, М., 2004, გვ. 437.

195 Квашис В.Е., Преступная неосторожность, Социально-правовые и криминологические проблемы, Владивосток, 1986, გვ. 51.

196 Рарог А.И., Настольная книга судьи по квалификации преступлений: Практическое пособие, М., ТК Велби, Изд-во Проспект, 2006, გვ. 106.

ლტოლვისაგან, ანუ უშუალო სწრაფვისაგან, რაც იმპულსური, უნებლიე მოქმედების მამოძრავებელია. [197]

ნებისმიერი მოქმედების პერიოდებია:

1) შესაძლო მოქმედებათა გათვალისწინება და მათი შეფასება;
2) გადაწყვეტილების გამოტანა – გარკვეული მოქმედების შესრულების განზრახვის შემუშავება;
3) გადაწყვეტილების შესრულება – მოქმედება მიზნის მისაღწევად.

დ.უზნაძის კონცეფციით ნებისყოფის აქტების საფუძველია ადამიანისათვის დამახასიათებელი ზოგადი, მაღალი მოთხოვნილებები, რომლებიც ქმნიან მოქმედების მოტივს, რის საფუძველზედაც სუბიექტი სათანადო სიტუაციის წარმოდგენით ქმნის შესასრულებელი მოქმედების განწყობას (იხ. „განწყობის ფსიქოლოგია”).[198]

პრაქტიკულად ყველა მეცნიერი სწორად უდგება იმას, რომ ყოველგვარი შეგნებული ქცევა ითვლება მოტივირებულად და მიზანმიმართულად.

დანაშაულის მოტივი – ესაა განსაზღვრული მოთხოვნებითა და ინტერესებით განპირობებული განზრახვა, რომელიც პირს უმყარებს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას და აღიძვრება მასში. რამდენიმე ათწლეულის წინ, სისხლის სამართლის მეცნიერებაში მოტივის განსაზღვრისას ყოველთვის ხაზი გაესმოდა იმას, რომ ასეთად იცნობოდა გაცნობიერებული განზრახვა.[199] მაგრამ მას შემდეგ ფსიქოლოგიურმა მეცნიერებამ და სამართალმა აღიარეს, რომ „მოტივს შეიძლება ჰქონდეს როგორც გაცნობიერებული, ასევე ქვენაგრძნობითი (გაუცნობიერებელი) ხასიათი.[200]

სურვილის ფორმირების პროცესის განხილვისას, მეცნიერები მასში გამოყოფენ რამდენიმე ეტაპს: 1) განსაზღვრული მოთხოვნილებების შეგრძნება; 2) განზრახვის ქმედებაში გადაყვანა, ე.ი. მოტივში; 3) მიზნის დასახვა, რომლის მიღწევაც პირდაპირ უნდა აკმაყოფილებდეს მის მოთხოვნილებას ან მისი დაკმაყოფილების საშუალებას უნდა ემსახურებოდეს; 4) სურვილი (ნდომა) დასახული მიზნის მიღწევისა. ამ ეტაპთა რიცხვში მკაფიოდ ჩანს დანაშაულის ყველა სუბიექტური ნიშნის ურთიერთკავშირი: მოტივი იბადება მოთხოვნილებიდან და განსაზღვრული წესით ხელს უწყობს მიზნის ფორმულირებას, ხოლო მიზანი მოტივთან ერთად წარმოშობს სურვილს განსაზღვრული ხერხებით სასურველი შედეგის მისაღწევად. ადამიანის ქცევის მოტივი მხოლოდ მაშინ იქცევა დანაშაულის მოტივად, როდესაც იგი მოიცავს დანაშაულებრივი ქმედების მახასიათებლებს, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულებში.[201]

---

[197] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთ. რედაქტორი ირ. აბაშიძე, ქ.თბილისი, ტ. VII, 1984, გვ. 146.

[198] იქვე, გვ. 360.

[199] იხ.: Угаловное право Российской Федерации, Общая часть / под. ред., Р.Р.Галиакбарова, Саратов, 1997, გვ.209; Безверхов А.Г., Имущественные преступления, Самара, 2002, გვ.155-156.

[200] Наумов А.В., Российское угаловное право, Курс лекций, ტ.1, Общая часть, М., 2004, გვ. 433.

[201] Наумов А.В., Российское угаловное право, Курс лекций, ტ.1, Общая часть, М., 2004, გვ. 441.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის ნორმაში სპეციალური მოტივის ჩართვა ნიშნავს ასეთი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.[202] თუმც ასეთ კატეგორიულ მოსაზრებას არ გააჩნია საკმარისი საფუძველი.

სპეციალური მოტივის კანონში მითითება ნამდვილად მეტყველებს განზრახი ბრალის ფორმაზე, მაგრამ განზრახვის სახეს არ გამოყოფს. ამიტომ დანაშაულის ჩადენა სისხლის სამართლის ნორმაში მოტივის მითითებით ჩვეულებრივ შესაძლებელია განზრახვის ნებისმიერი სახით. კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის მიხედვით განზრახვის სახე განისაზღვრება მათი კონსტრუქციით.

ფორმალური შემადგენლობის დანაშაული საერთოდ არ შეიძლება ჩადენილ იქნეს ევენტუალური განზრახვით, იგი შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ამას შეიძლება დავუმატოთ, რომ ქმედების განხორციელება, რომლის მართლწინააღმდეგობა კანონმდებლის მიერ არ არის კავშირში ამა თუ იმ შედეგის დადგომასთან, საშუალებაა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა, რომელიც საფუძველია დანაშაულებრივი მოტივისა (გაუპატიურება – სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებით). მაშასადამე, ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაულის მოტივი მეტყველებს იმაზე, რომ ასეთი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

ასე ერთმნიშვნელოვნად არ წყდება განზრახვის სახეთა საკითხი, მატერიალური შემადგენლობის მქონე დანაშაულის ჩადენის დროს, კანონში მითითებული მოტივის არსებობისას.

მატერიალური შემადგენლობის დანაშაულთა ჩადენისას სპეციალური მოტივების ჩამოთვლა კანონში ზოგადი წესით შეიძლება შეეწყოს როგორც პირდაპირ, ისე ევენტუალურ განზრახვას. მაგ., განსაზღვრული მოტივის შეთავსება არაკონკრეტიზირებული ევენტუალური განზრახვით შესაძლებელია მკვლელობისას ან ჯანმრთელობის დაზიანებისას ხულიგნური ქვენაგრძნობით, შურისძიების მოტივით მკვლელობის დროს დაზარალებულის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და ა.შ. ჩამოთვლილ მოტივთა საფუძველია დამნაშავის „მოთხოვნილება“ დაზარალებულთან ანგარიშსწორებისა. ამ „მოთხოვნილების“ დაკმაყოფილების საშუალებას წარმოადგენს თვით ანგარიშსწორების პროცესი, რომელშიც დამნაშავე შეგნებულად უშვებს განუსაზღვრელი ხასიათის ზიანის მიყენებას.[203]

მატერიალური შემადგენლობის დანაშაულის ჩადენა სპეციალური მოტივით განზრახვის ნებისმიერი სახისას არ ვრცელდება ანგარებით ჩადენილ დანაშაულებზე. ამ შემთხვევაში მოტივის საფუძველია „მოთხოვნილების“ დაკმაყოფილება მხოლოდ მატერიალური გამორჩენის მიღებით ზუსტად დაზარალებულის სიკვდილის შედეგად და მხოლოდ მისი დადგომის შემდეგ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დანაშაულის ჩადენა ანგარებითი მოტივით ყოველთვის განპირობებულია მატერიალური

---

[202] Гаухман Л.Д., Насилие как средство совершения преступления, М., 1974, გვ. 125.

[203] Гаухман Л.Д., Насилие как средство совершения преступления, М., 1974, გვ. 136.

გამორჩენის მიღების ან მატერიალური დანახარჯებისაგან განთავისუფლების მიზნით.

ასე, მაგ., ა.ნ.პოპოვი ამასთან დაკავშირებით წერს: „დასკვნის გამოტანა იმაზე, რომ რამდენადაც ხერხი ითვლება განუყოფელ ნიშნად მიზნის მიღწევისა, მკვლელობა წარმოადგენს აუცილებელ შედეგს, რომლისკენაც მიისწრაფვის დამნაშავე – ითვლება მცდარად. ანგარებითი მიზნის მიღწევის საშუალებად ითვლება არა დაზარალებულის მკვლელობა, არამედ ის ძალადობა, რომელსაც დამნაშავე იყენებს მასზე. უსაფუძვლოა მტკიცება იმისა, რომ ანგარებითი მკვლელობა არ შეიძლება ჩადენილ იქნეს ევენტუალური განზრახვით. ზოგიერთ შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია სიტუაცია, როდესაც დამნაშავე ანგარებითი მიზნით იღწვის დაზარალებულზე ფიზიკური ძალადობის გამოყენებით და გულგრილად ეკიდება ან შეგნებულად უშვებს მის სიკვდილს. ამ შემთხვევაში ჩადენილი უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც მკვლელობა ანგარებით, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე არ გეგმავს დაზარალებულის სიკვდილს“.[204]

ა.ნ.პოპოვი შემდეგნაირად ხსნის ანგარებითი მოტივის არსს: „ანგარება მკვლელობის ჩადენისას – ესაა დამნაშავის სწრაფვა მატერიალური სიკეთის დასაუფლებლად ან მატერიალური სიკეთის არ დაკარგვის სურვილი (მატერიალური გახარჯვის შემთხვევაში) თავისთვის და (ან) სხვა პირებისათვის, როდესაც დაზარალებულზე ხელყოფა წარმოადგენს ამ მიზნის მიღწევის საშუალებას“.[205]

აღსანიშნავია, რომ ა.ნ.პოპოვამდე ანგარებითი მოტივით მკვლელობის ევენტუალური განზრახვით ჩადენის შესაძლებლობაზე მოსაზრებას გამოთქვამდა ტ.ვ.კონდრაშოვა, რომელიც წერდა: „ანგარებითი მოტივით მკვლელობა უპირატესად ჩაიდინება პირდაპირი განზრახვით, მაგრამ, იშვიათად, შესაძლებელია ევენტუალური განზრახვითაც. მაგ., გარკვეული დროის განმავლობაში კრედიტორის ცემა იმ მიზნით, რომ აიძულოს იგი – უარი თქვას ვალის ამოღებისაგან, როდესაც დამნაშავე უშვებს მის სიკვდილს და გულგრილად ეკიდება“.[206]

ამგვარად, სისხლის სამართლის ნორმაში მითითებული სპეციალური მოტივები შეიძლება მიესადაგოს ფორმალური შემადგენლობის პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებს და, როგორც წესი, განზრახვის ნებისმიერი ფორმით ჩადენილ მატერიალური შემადგენლობის დანაშაულებს. გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებში ადამიანის ქცევის მოტივირებულობა არასდროს არ ვრცელდება მართლსაწინააღმდეგო შედეგზე, რამდენადაც ისინი არ წარმოადგენენ გაუთვალისწინებელი ქცევით მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებებს. ხოლო თავად გაუთვალისწინებელი ქცევის მოტივები დევს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობის ჩარჩოებში, ამიტომ კანონმდებლობის მიერ არასდროს არ შედის გაუფრთხილებლობით დანაშაულებში და არ წარმოადგენენ დანაშაულებრივ მოტივებს.

---

[204] Попов А.Н., Убийства при отягчающих обстоятельствах, СПб., 2003, გვ. 718-719.

[205] იქვე, გვ. 711.

[206] Кондрашова Т.В., Проблемы уголовной ответственности за преступления против жизни, здоровья, половой свободы и половой неприкосновенности, Екатеринбург, 2000, გვ. 103-104.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს დანაშაულის მოტივთა კლასიფიკაციას, რამდენადაც რიგ შემთხვევებში ისინი განსაზღვრავენ დანაშაულის კვალიფიკაციას და ყოველთვის ზეგავლენას ახდენენ სასჯელის დანიშვნისას. იგი საკმაოდ ზედმიწევნითაა გამოკვლეული როგორც საბჭოთა, ისე თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში.[207] დანაშაულის მოტივების შედარებით მისაღები კლასიფიკაცია პრაქტიკული მიზნებით არის კლასიფიკაცია, დაფუძნებული მათ ზნეობრივ და სამართლებრივ შეფასებაზე. ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით ო.ს. ივჩენკო მკვლელობასთან მიმართებაში გამოყოფს მოტივთა და მიზანთა სამ ჯგუფს:

1) მოტივები და მიზნები, რომელთაც სისხლის სამართლის კანონი უკავშირებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას კონკრეტული ქმედებისათვის;
2) მოტივები და მიზნები, რომელთაც სისხლის სამართლის კანონი უკავშირებს სასჯელის გამკაცრებას;
3) მოტივები და მიზნები, რომელთაც სისხლის სამართლის კანონი უკავშირებს სასჯელის შემსუბუქებას.[208]

შემოთავაზებული კლასიფიკაცია მისი აგებულებით არ იწვევს დავას, თუმც არ არის სრულყოფილი, რამდენადაც ჩარჩოებს მიღმა რჩება მოტივთა დიდი ჯგუფი, რომლებიც არ წარმოადგენენ ქმედების დასჯადობის აუცილებელ პირობას, არ აფუძნებენ არც სასჯელის გამკაცრებას და არც სასჯელის შემსუბუქებას.

შედარებით სრულყოფილი და დასაბუთებულია მოტივთა კლასიფიკაცია, მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით, ა.გ. მუსტაფაზადეს მიერ შემოთავაზებული, რომელიც გამოყოფს მოტივთა სამ ჯგუფს: 1) ქვენაგრძნობით; 2) სოციალურად ნეიტრალური; 3) სოციალურად მისატევებელი.[209]

ვინაიდან ქვენაგრძნობითი ხასიათის მოტივები ერთის მხრივ კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, ხოლო მეორეს მხრივ შეფასებითი ხასიათის მატარებელია, აუცილებელია კრიტერიუმების ფორმულირება, რომლებითაც მოტივი ცნობილ იქნება ქვენაგრძნობითად.

ქვენაგრძნობითი ხასიათის მოტივებს მიეკუთვნება ანგარება (მაგ. საქ. სსკ 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტი, 117-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის „გ“ პუნქტი, 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ პუნქტი, 174-ე მუხლი), ხულიგნური ქვენაგრძნობა (მაგ. 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტი, 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ პუნქტი) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა (მაგ. 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტი, 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „დ“ პუნქტი, 144‘ მუხლის მეორე ნაწილის „ე“ პუნქტი).

---

[207] იხ.: მაგ., Харазишвили Б.В., Вопросы мотива поведения преступника в советском праве, Тбилиси, 1963, გვ. 58-63; Дагель П.С., Классификация мотивов и ее криминологическое значение // Некоторые вопросы социологии права, Иркутск, 1967, გვ. 272-275; Волков Б.С. Мотив и квалификация преступлений, Казан, 1968, გვ. 16.

[208] Ивченко О.С., Проблема мотива и цели убийства в уголовном праве России, Автореф. дисс. канд. юрид. наук., М., 2002, გვ. 9-10.

[209] Мустафа-заде А.Г., Квалификация убийства по мотиву и цели, дисс. канд. юрид. наук., М., 2004, გვ. 23-37.

სოციალურად ნეიტრალური მოტივები, განსხვავებით ქვენაგრძნობითი მოტივებისაგან, არ ამკაცრებენ სასჯელს და, განსხვავებით სოციალურად მისატევებელი მოტივებისაგან, არ ამსუბუქებენ მას.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით, დანაშაულის საზოგადოებრივად სასარგებლო მოტივები არ არსებობს.[210] სოციალურად მისატევებელი მოტივი ესაა ქვენაგრძნობის ხასიათის გარეშე მოტივები, მაგ. სიბრალული, სხვა ადამიანის დახმარების მისწრაფება, რომლებიც ამსუბუქებენ სასჯელს.

დანაშაულის სუბიექტური მხარის მნიშვნელოვან ნიშნად ითვლება ქმედების მიზანი.

ფსიქოლოგები მიზანს განსაზღვრავენ, როგორც ქცევით ან სიტყვიერად გამოხატულ საკუთარ ქმედებათა დასაბუთებულ აზრს მომავალი სასურველი შედეგის მისაღწევად;[211] როგორც გაცნობიერებულს, გამოხატულს ქცევით ან სიტყვიერად, ქმედების შედეგის განჭვრეტას, დაკავშირებულს მოტივთან.[212] მიუხედავად ქმედების მოტივსა და მიზანს შორის მჭიდრო კავშირისა, აღსანიშნავია, რომ ისინი დამოუკიდებელი ფსიქიკური მოვლენებია. განზრახვის გაცნობიერების ხარისხის მიხედვით, ქცევის მამოძრავლებლად განასხვავებენ – მოტივი-სწრაფვის, მოტივი-სურვილის და მოტივი-მიზნის.[213] მხოლოდ ბოლო შემთხვევაშია შესაძლებელი მოტივისა და მიზნის დამთხვევა (ამასთანავე არასრული). დანარჩენ შემთხვევებში მოტივი და მიზანი არ ემთხვევა.

დანაშაულის მიზანი – ესაა იდეალური (აზრობრივი) მოდელი მომავალი სასურველი შედეგისა, რომლისკენაც მიილტვის სამართალდამრღვევი დანაშაულის ჩადენის საშუალებით.[214]

ცალკეულ მეცნიერთა მიერ მიზანი განიხილება როგორც განზრახვის ელემენტი. ასე მაგ., რ.ი. მიხეევის აზრით, „მიზანი, რომელიც მდგომარეობს დანაშაულებრივი შედეგის მიღწევაში, წარმოადგენს პირდაპირი განზრახვის ელემენტს; მიზანი, მიმართული შედეგზე, არსებული შემადგენლობის ჩარჩოებში, ახასიათებს განზრახვის მიმართულებას...“[215] რ.ი. მიხეევის შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ მომავალი სასურველი შედეგი დაუსაბუთებლად იგივდება მის მიერ მართლსაწინააღმდეგო შედეგთან, რომელიც შედის დანაშაულის ობიექტურ მხარეში. თუ მიზანი და შედეგი ერთი და იგივე იქნებოდა, მაშინ არანაირი აუცილებლობა არ იქნებოდა დანაშაულის შემადგენლობაში ქმედების სპეციალური მიზნის შეტანისა. მიზანი

---

210 Филановский И.Г., Социально-психологическое отношение субьекта к преступлению, Л., 1970, გვ. 62-63.

211 Беспалов Б.И., Действие, Психологические механизмы визуального мышления, М., 1984, გვ. 183.

212 Тихомиров О.К., Психология мышления, М., 1984, გვ. 107.

213 Фатеев Н. М., Влияние особенностей управления на социально - психологический климат коллектива, Вопросы психологии, 1986, №1, გვ. 102-108.

214 Фатеев Н. М., Влияние особенностей управления на социально - психологический климат коллектива, Вопросы психологии, 1986, №1, გვ. 103.

215 Наумов А.В., Российское уголовное право, Курс лекций, ტ.1, Общая часть, М., 2004, გვ. 115.

არასდროს არ ემთხვევა შედეგს და დროში მისგან ცალკეა. დანაშაულის კვალიფიკაცია განისაზღვრება მიზნის დასახვით და არა მისი რეალიზაციით. ზუსტად მიზნის არსებობა მატერიალური შემადგენლობის დანაშაულის ობიექტური მხარის ჩარჩოებში განპირობებულია ქმედების მართლწინააღმდეგობით. ამიტომ ერთ შემთხვევაში სამართალდარღვევის სპეციალური მიზნის არსებობა ქმედებას აქცევს სისხლისსამართლებრივად დასჯადად, ხოლო სხვა შემთხვევაში – ასეთი მიზანი აფუძნებს ქმედებისათვის პასუხისმგებლობის გამკაცრებას, რომელიც ამ მიზნის გარეშეც დანაშაულებრივია.[216]

მიზანი არის ადამიანთა მოქმედების მოსალოდნელი შედეგის წინასწარ გათვალისწინება, მის მიერ იდეალურად „კონსტრუირებული“, მაგრამ რეალურად ჯერ არარსებული სინამდვილე. მიზანი, ადამიანის მოქმედების მიმართულებისა და ხასიათის განმსაზღვრელი მოსალოდნელი შედეგი, ადამიანისათვის ცოტად თუ ბევრად იმთავითვეა ცნობილი. ამიტომ, რაც უფრო დიდი ღირებულების შექმნას ისახავს მიზნად, მით უფრო დიდი ენთუზიაზმით მოქმედებს იგი. ყოველგვარი მიზანი ყალიბდება პრაქტიკულ მოღვაწეობის პროცესში და ასახავს ადამიანთა მოთხვნილებებს, მაგრამ ჩამოყალიბების შემდეგ მოქმედების სახელმძღვანელო პრინციპად იქცევა. მიზანი განსაზღვრავს საშუალებას, მაგრამ ისინი შედარებით დამოუკიდებელი მოვლენებია: ერთი და იგივე მიზანი შესაძლებელია, სხვადასხვა გზით და საშუალებით განხორციელდეს, მაგრამ ყველა შესაძლებელი გზა და საშუალება არაა ტოლფასოვანი. ადამიანური მოქმედება ფასდება არა მარტო მიზნის რაობით, არამედ საშუალებების მიხედვითაც. [217]

მიზანი, როგორც დანაშაულის სუბიექტური მხარის ნიშანი, დაკავშირებულია არა მარტო მოტივთან, არამედ ბრალთანაც. კონკრეტული დანაშაულის სუბიექტურ მხარეში სპეციალური მიზნის ჩართვა მეტყველებს ქმედების მიზანმიმართულ ხასიათზე, რომელიც ამ შემთხვევაში ემსახურება არა თვით მიზანს, არამედ საშუალებაა იმ საბოლოო შედეგის მიღწევისა, რომელიც წარმოადგენს მიზანს. ეს შედეგი, ასევე თვით ქმედება და მისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი, როგორც დასახული მიზნის მიღწევის საშუალება, დანაშაულის სუბიექტისათვის წარმოადგენს სასურველს. ამიტომ საჭიროა კონსტანტირება იმისა, რომ ქმედების სპეციალური მიზანი თავსებადია მხოლოდ პირდაპირ განზრახვასთან. არც გაუფრთხილებლობით დანაშაულს, არც დანაშაულს ბრალის ალტერნატიული ფორმით, არც დანაშაულს, რომლის ჩადენაც შესაძლებელია ბრალის ნებისმიერი ფორმით, არასდროს არ გააჩნია სპეციალური მიზანი, რომელიც კანონმდებლის მიერაა ფორმულირებული.[218]

დანაშაულის მიზნის სისხლისსამართლებრივი კლასიფიკაციაც შესაძლებელია იმავე კრიტერიუმებით, როგორც მოტივთა კლასიფიკაცია.

---

[216] Наумов А.В., Российское уголовное право, Курс лекций, ტ.1, Общая часть, М., 2004, გვ. 217.

[217] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი რედქტორი: ირ.აბაშიძე, ტომი VI, ქ.თბილისი, 1983, გვ. 680.

[218] Рарог А.И., Настольная книга судьи по квалификации преступлений: Практическое пособие, М., ТК Велби, Изд-во Проспект, 2006, გვ. 115-116.

ქვენაგრძნობითი ხასიათისას მიეკუთვნებიან ისეთი მიზნები, როგორიცაა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზანი (მაგ. საქ. სსკ 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტი, 117-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ პუნქტი), მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზანი (მაგ. 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ პუნქტი, 117-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის „დ“ პუნქტი). დანარჩენი მიზნები, როდესაც ისინი კონკრეტული დანაშაულის ძირითად შემადგენლობაში არიან შეტანილი (მაგ. სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი მეკობრეობისას – საქ. სსკ 228-ე მუხლი, სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით – საქ. სსკ 330-ე მუხლი და ა.შ.).

მოტივი და მიზანი როგორც ფსიქიკური ნიშნები დამახასიათებელია ადამიანის ყველა შეგნებული ნებელობითი ქცევისთვის. მის საფუძველს წარმოადგენს ადამიანის მოთხოვნილება და ინტერესი. მხოლოდ, როდესაც საუბარია დანაშაულის მოტივსა და მიზანზე, მისი შინაარსი განისაზღვრება ანტისოციალური მიმართულებით.

მოტივს და მიზანს, წარმოადგენენ რა სუბიექტური მხარის დამოუკიდებელ ფსიქოლოგიურ ნიშნებს, ერთმანეთთან ურთიერთკავშირში და მხოლოდ ერთობლიობაში შეუძლიათ შეგვიქმნან სრული წარმოდგენა პირის ქცევის მიმართულებისა, მაგ., ანგარებითი მოტივი და ანგარებითი მიზანი ისეთ დანაშაულებში როგორიცაა: ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა.

რაც შეეხება თანამონაწილეთა ქმედების მოტივს, ის შეიძლება იყოს როგორც ერთნაირი, ასევე სხვადასხვა. ასე, მაგ., მკვლელობის ჩადენისას შეიძლება ყველა თანამონაწილეს ჰქონდეს ერთი მოტივი – დაზარალებულზე შურისძიება. მაგრამ შესაძლებელია ისეთი სიტუაცია, როდესაც ერთი თანამონაწილე მოქმედებდეს შურისძიების მოტივით, ხოლო მეორე - ანგარებით. მაგ. ე.წ. შეკვეთით მკვლელობისას წამქეზებლის მიერ მოსყიდული მოქმედებს ანგარებით, ხოლო თავად წამქეზებელი შეიძლება ხელმძღვანელობდეს შურისძიების, სიძულვილის, ეჭვიანობის მოტივით. მოტივთა სხვადასხვაობა არ გამორიცხავს დანაშაულში თანამონაწილეობას, რიგ შემთხვევებში შეიძლება გავლენა იქონიოს დანაშაულის კვალიფიკაციაზე.

თავი III. დანაშაულში თანამონაწილეობის ბუნება

§1. თანაბრალეულობისა და თანაამსრულებლობის ზოგადი დახასიათება

თანაბრალეულობა განსხვავდება თანაამსრულებლის ცნებისაგან. თანაამსრულებლობის დროს ერთობლივად მოქმედებს ორი ან მეტი ამსრულებელი და მათთან ერთად ან ორგანიზატორი, ან წამქეზებელი, ან დამხმარე, ან ყველა აღნიშნული პირი. თანაამსრულებლობისას ჭარბობს აკუმულირებული ერთობლივი ქმედება, „ყველას ქმედება ერთბლივად“ და არა თანამონაწილეობის ფუნქციონალური ნიშნები.[219]

თანაბრალეულობა – ეს არის დანაშაულის ცადენაში რამდენიმე პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც დანაშაულში თითოეული მონაწილე არის ამსრულებელი, ე.ი. უშუალოდ სჩადის დანაშაულს. თანაბრალეულობის ძირითად მახასიათებლად ითვლება ის, რომ ყველა ამსრულებელი მთლიანად ან ნაწილობრივ უშუალოდ ასრულებს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს. ამიტომ კანონის მოთხოვნა, რომელიც ეხება ამსრულებელს, ვრცელდება ყველა თანაბრალეულზე გამონაკლისის გარეშე (თანამონაწილეობა სპეციალური სუბიექტის შემთხვევაში), თუ თანაბრალეულთა შორის არიან ისეთი პირებიც, რომელთაც არ აქვთ სპეციალური სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მაშინ ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც დამხმარეები.[220]

თანაბრალეულობის სუბიექტური მხარის სპეციფიკური ნიშნებია: ა) ცოდნა იმისა, რომ სხვა მონაწილეებთან ერთობლივად მოქმედებს; ბ) თითოეული მონაწილის მიერ იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ მისი ქმედება უერთდება სხვა მონაწილეთა ქმედებას და მიმართულია ერთიდაიმავე დანაშაულის ჩასადენად. თანაბრალეულობის დროს ყველა თანაამსრულებლის ქმედება კვალიფიცირდება მხოლოდ კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით.

თანაბრალეულობის დროს, ჯგუფის ყველა წევრი ამსრულებელია, ე.ი. თითოეული მათგანი მეტ-ნაკლებად ასრულებს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს. აქედან გამომდინარეობს, რომ სსკ კერძო ნაწილის ნორმის დარღვევისას, ჯგუფის თითოეული წევრი მუხლის დისპოზიციაში აღწერილ ქმედებას სჩადის, ხოლო თითოეული თანამონაწილის ქმედება ცალკე კვალიფიცირდება შესაბამისი მუხლით ან მისი ნაწილით. თავად ფაქტი იმისა, რომ დანაშაული ჩაიდინა პირთა ჯგუფმა, თანაბრალეულებმა, იქნება მაკვალიფიცირებელი გარემოება, რა თქმა უნდა, თუ თავად მუხლის დისპოზიციაში ან მის შესაბამის ნაწილში დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად არ განიხილება, როგორც ძირითადი მაკვალიფიცირებელი გარემოება. მაგრამ ზემოაღნიშნული იმას არ ნიშნავს, რომ თანაბრალეულობის ფორმით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში თითოეულ მონაწილეს ერთნაირი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს.

---

[219] Козлов А.П., Соучастие: традиции и реальность, СПб., 2001. გვ. 214.

[220] Ковалев М.И., Соучастие в преступлении, Екатеринбург, 1999, გვ. 191

ცნობილია, რომ არსებობს ჯგუფური პასუხისმგებლობა, როდესაც პირთა ჯგუფი მოქმედებს შეგნებულად, ჯგუფში ერთად მოქმედების გაცნობიერებით. თუ არსებობს ჯგუფური პასუხისმგებლობა, მაშინ არსებობს ჯგუფური უპასუხისმგებლობაც, ე.ი. ჯგუფური ბრალი, რომელიც დანაშაულში თანამონაწილეობას აფუძნებს, როგორც თანამონაწილეთა განზრახვის ერთიანობას. მაშასადამე, დანაშაულში თანაბრალეულობა დავას არ უნდა იწვევდეს.[221]

მონაწილეთა პასუხისმგებლობსი დასაკისრებლად კი გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: მათი მონაწილეობის ხარისხი (ერთობლივი ქმედებით დამდგარ შედეგში შეტანილი წვლილი), პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებები დანაშაულის თითოეულ თანამონაწილესთან მიმართებაში, ე.ი. ჯგუფის თითოეული წევრის ქმედებისათვის დამახასიათებელი დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე და თავად სუბიექტების თავისებურებები. მაგრამ კონკრეტული დანაშაულების განხილვისას არსებობს გარკვეული ნიუანსები თითოეული მონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას. ასე, მაგ. ჯგუფური გაუპატიურების დროს ჯგუფის წევრთა ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც თანაამსრულებლობა იმ შემთხვევაშიც კი, როცა არაა ყველა თანამონაწილე უშუალოდ ახორციელებდა ძალადობით სქესობრივ აქტს. თანაამსრულებლებად ჩაითვლებიან ის პირებიც, ვინც ფიზიკურ ან ფსიქიკურ ძალადობას იყენებდნენ დაზარალებულზე. მოცემული გარემოება არც თუ ისე უმნიშვნელო როლს თამაშობს იმისათვის, რომ ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაცია ჩადენილი ვიწროდ გაგებული თანამონაწილეობის ფორმით განსხვავდება თანაბრალეულობის კვალიფიკაციისაგან და გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა.

არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობის კვალიფიკაციის ორი მიდგომა. პირველი შემთხვევა ამსრულებლის (ამსრულებლების) ქმედება კვალიფიცირდება თანაბრალეულობის მსგავსად. ხოლო, მეორე შემტხვევაში ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის პასუხისმგებლობა განისაზღვრება სსკ კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით და სსკ ზოგადი ნაწილის 25-ე მუხლზე მითითებით, „გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი იმავდროულად დანაშაულის თანაამსრულებლები იყვნენ“ (სსკ 25 მუხლის მე-3 ნაწ.).

დანაშაულში თანამონაწილეთა განზრახვის ერთიანობა, როგორც მათი ბრალის ერთიანობის ნიშანი, არ ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას, რადგან დანაშაულში თითოეული თანამონაწილე პასუხს აგებს საკუთარი ბრალის ხარისხის შესაბამისად თანამონაწილეთა ერთიანი ბრალის ფარგლებში. თუ დანაშაულში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველს ერთიანი უმართლობის ტიპი წარმოადგენს, როგორც მას მართებულად ამტკიცებს პროფ. ო.გამყრელიძე, მაშინ დანაშაულში თანამონაწილეთა ბრალის ერთიანობაც სადავო არ უნდა იყოს დანაშაულში თანამონაწილეთა თანაბრალეულობა რომ არა, გაუგებარი

[221] ნაჭყებია გ.ი., სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება (ლექციების კურსი), თბილისი, 2002, გვ. 149.

იქნებოდა თუ რატომაა თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება?[222]

ამრიგად, ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის ასპექტის კავშირის ფორმა, აფუძნებს არა მარტო ინდივიდუალურად მოქმედი პირის ნეგატიური პასუხისმგებლობის წანამძღვარს, არამედ დანაშაულში თანამონაწილეთა თანაბრალეულობასაც, რომელიც ბრალის ხარისხის შესაბამისად დანაშაულში თითოეული თანამონაწილის ინდივიდუალურ ბრალსაც განსაზღვრავს.[223]

§2. ამსრულებლისა და თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები

სისხლის სამართლის დოქტრინაში და პრაქტიკაში თანამონაწილეობის ბუნებასთან დაკავშირებით საკითხი სადავოა.

XIX საუკუნის ბოლოდან სისხლის სამართლის თეორიაში, თანამონაწილეობის იურიდიულ ბუნებასთან დაკავშირებით, არსებობს ორი ძირითადი თეორია: აქცესორობის თეორია და დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია. სიტყვა accessorium – ლათ. წარმოშობისაა და „დამატებითს, არადამოუკიდებელს“ ნიშნავს. აქცესორული თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში ცენტრალური ფიგურა არის ამსრულებელი, დანარჩენი თანამონაწილეების ქმედება ითვლება დამხმარედ, რომელთაც არ გააჩნიათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა. თანამონაწილეთა ქმედების შეფასება და მათი პასუხისმგებლობა გამომდინარეობს ამსრულებლის ქმედების ხასიათიდან და მისი პასუხისმგებლობისაგან: დასჯადია ამსრულებლის ქმედება – დასჯადია თანამონაწილეთა ქმედებაც, თუ ამსრულებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, ასევე არ შეიძლება თანამონაწილეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრება. გარდა ამისა თანამონაწილეთათვის სასჯელის შეფარდება უნდა მოხდეს იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ამსრულებლის ქმედებას.

საბჭოთა მეცნიერები აქცესორობის თეორიას პოლიტიკური მოტივებით მიიჩნევდა როგორც ბურჟუაზიულს. ითვლებოდა რა, რომ ეს თეორია არ გამორიცხავს სხვისი ბრალით პასუხისმგებლობას, ისევე როგორც არ ანიჭებს დამოუკიდებელ მნიშვნელობას თანამონაწილეთა საქმიანობას, გარდა ამსრულებლისა.[224]

იურიდიულ მეცნიერებაში ცნობილია აქცესორობის მრავალი სახეობა:

1. ***მკაცრი აქცესორობა***, როდესაც სასჯელიც და სასჯელისაგან განთავისუფლებაც დამოკიდებულია დანაშაულის ამსრულებელზე;

---

[222] ნაჭყებია გ.ი., სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება (ლექციების კურსი), თბილისი, 2002, გვ. 150.

[223] იქვე;

[224] Ковалев М.И., Соучастие в преступлении, Екатеринбург, 1999, გვ. 119-120.

2. ***ლოგიკური აქცესორობა*** – გულისხმობს, რომ სასჯელი თანამონაწილეობისათვის განსაზღვრული უნდა იყოს მთავარი ქმედებისათვის გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში;
3. ***აქცესორობა განხორციელებული ქმედების ხარისხის მიხედვით***;
4. ***ლიმიტირებული აქცესორობა,*** რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ თანამონაწილეობის დასჯადობა უნდა უკავშირდებოდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას;
5. ***აქცესორობა სასჯელის მიხედვით,*** ანუ მოთხოვნა იმისა, რომ თანამონაწილეთა სასჯელის ზომა განისაზღვროს ამსრულებლის სასჯელის ზომის მიხედვით.[225]

თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების საკანონმდებლო ფორმულირება მოცემული იყო ჯერ კიდევ 1810 წლის საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში. თანამონაწილეობის აქეესორული (კლასიკური) თეორია გამოდის აქცესორობის აღიარებიდან, ე.ი. თანამონაწილეობის არადამოუკიდებელი, დამატებითი ხასიათიდან.

ფრანგი კრიმინალისტი გარო აღნიშნავდა: „თანამონაწილეობას სავსებით აქცესორული ხასიათი აქვს: დამოკიდებულია მთავარ ქმედებაზე და მისგან იღებს დანაშაულებრივ ხასიათს.“[226]

ასევე შეიძლება გერმანელი მეცნიერის ბირკმაიერის სიტყვების ციტირება: „...წამქეზებლის დასჯადობა, ისე როგორც სხვა თანამონაწილისა, გამომდინარეობს სხვისი დანაშაულიდან, რომელშიც იგი იღებდა მონაწილეობას - მისი სასჯელი დამოკიდებულია სხვის დანაშაულებრივ ქმედებაზე, - და ეს არის ის, რასაც თანამონაწილეობის აქცესორულ ხასიათს უწოდებენ: სადაც კი თანამონაწილეობაა, იქ არის სისხლისამართლებრივი დამოუკიდებლობაც, ფიზიკურ ბრალეულობაზე დამოკიდებულებაც და ამ უკანასკნელის მიმართ დამოკიდებულებაც.“[227]

„სასჯელი, აღნიშნავდა ვ.დ.სპასოვიჩი, - უპირველეს ყოვლისა, ემუქრება ჯერ ამსრულებელს და მხოლოდ მისი არსებობისას, შესაძლებელია რიკოშეტით წამქეზებელსაც დაემუქროს.“[228]

აქცესორული თეორიის ძირითად დებულებებზე მიუთითებენ თანამედროვე ავტორები, რაც შემდეგში მდგომარეობს:

1) თანამონაწილეს პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედებისათვის შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედების არსებობისას (და, შესაბამისად, დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ ამსრულებელს ეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა);
2) თანამონაწილის დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით, რომლითაც კვალიფიცირდება ამსრულებლის ქმდება.[229]

---

[225] Ковалев М.И., Соучастие в преступлении, Екатеринбург, 1999, გვ. 119-120.

[226] ციტ.: Хейфец И.Я., Подстрекательство к преступлению, М., 1914, გვ. 5.

[227] იქვე;

[228] Спасович В.Д., Учебник уголовного права, СПб., 1863, გვ. 171.

[229] იხ.: Флетчер Дж., Наумов А.В., Основные концепции современного уголовного права, М., 1998, გვ. 462.

მ.ი.კოვალიოვის აზრით, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის პოსტულატები მდგომარეობს იმაში, რომ ამსრულებლის გარეშე შეუძლებელია თანამონაწილეობა, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის პირობები და ფორმები შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამსრულებელმა შეასრულა თანამონაწილეთა მიერ ჩაფიქრებული ქმედების შემადგენლობა ან, უკიდურეს შემთხვევაში, დაიწყო მისი განხორციელება. ყველა თანამონაწილის საერთო პასუხისმგებლობის საფუძველია მათი ქმედების ერთიანობა. ამ ერთიანობის ღერძი - ამსრულებელია.[230]

სინამდვილეში თანამონაწილე მონაწილეობს არა სხვის (როგორ შეიძლება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სხვისი დანაშაულისათვის?), არამედ ერთობლივ დანაშაულში.

ამასთანავე, საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ თანამონაწილეობის აქცესორობამ განიცადა განსაზღვრული ცვლილებები და გახდა ლიმიტირებული. მაგ. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §29-ის თანახმად, ლიმიტირებულად ითვლება აქცესორობა, რომელშიც ამ კონსტრუქციის აზრი გადმოცემულია ისე, რომ ყოველი მონაწილე პასუხს აგებს საკუთარი ბრალისათვის სხვისი ბრალისაგან დამოუკიდებლად.[231] ამგვარად, ლიმიტირებულობა ნიშნავს, რომ თანამონაწილის პასუხისმგებლობისათვის საკმარისია, რომ ძირითადი ქმედება იყოს მართლსაწინააღმდეგო და არა სავალდებულო ბრალეული (შეურაცხაობა).[232]

არა ყველა თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი მიიჩნევს თანამონაწილეობის საკანონმდებლო კონსტრუქციის საფუძვლად აქცესორობას. ასე მაგ.: ი.ხეიფეცმა დანაშაულის წამქეზებლობის კვლევისას, მიუთითა: „შეხედულება, რომ წამქეზებლობა არ იწვევს დანაშაულებრივ ქმედებას, რომ ის წარმოადგენს ფიზიკური დანაშაულის გამომრიცხველს, გამოდის, რომ წამქეზებელი სხვის ბრალში მონაწილეა და, შესაბამისად, ისჯება სხვისი დანაშაულისათვის“.[233] ეს ნიშნავს, რომ თანამონაწილეობის აქცესორულობის ცნობა არ წყვეტს პასუხისმგებლობის პრობლემებს.

მაგ. პროფ. ი.ფოინცკი არ ეთანხმებოდა თანამონაწილეობის გაბატონებული დოქტრინის პრინციპს, რომლითაც თითოეული თანამონაწილის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ერთობლივად ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მიხედვით. იგი წერდა: „საუბარი არ შეიძლება სხვისი ბრალით სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თითოეულის ბრალი დამოუკიდებელია და ცალკეა, როგორც ერთპიროვნული, ისე ერთობლივი ქმედებისას.“[234]

გერმანელი კრიმინალისტი გეფცი კიდევ უფრო კატეგორიულია: „ობიექტური თვალსაზრისით, სავსებით შესაძლებელია თითოეული თანამონაწილის შუალობით ამსრულებლად განხილვა; მაგრამ

---

230 Ковалев М.И., Соучастие в преступлении, Екатеринбург, 1999, გვ. 13.

231 იხ.: Wessels J., Beulke W., Strafrecht, Allgemeiner Teil, 28 Aufl, Heidelberg, 1998, გვ. 166.

232 Жалинский А.Э., Рёрихт А.А., Введение в немецкое право, М., 2001, გვ. 630.

233 Хейфец И.Я., Подстрекательство к преступлению, М., 1914, გვ. 5.

234 Фойницкий., Уголовно-правовая доктрина о соучастии // Юридеческий вестник, М., 1891, №1, გვ. 21.

სუბიექტურად ყველა მონაწილე ითვლება დამნაშავედ. ვინაიდან მათი განზრახვა მიმართულია თვით დანაშაულებრივ ქმედებაზე, ამიტომ საჭირო არ არის განსაკუთრებული კანონი თანამონაწილეობაზე; დასკვნა ასეთია: თითოეული თანამონაწილის ქმედება უნდა განიხილებოდეს სხვა თანამონაწილეთა ქმედებისაგან იზოლირებულად“.[235]

ი.ხეიფეცი ამასთან დაკავშირებით წერდა: „შრომის დანაწილების პრინციპი, როგორც სახალხო მეურნეობის განვითარებაზე სასიკეთოდ ზემოქმედი, გამოდის ძალიან საშიში საზოგადოებისათვის, როდესაც მას იყენებენ ბოროტმოქმედები. თუმც, თანამონაწილეობის დასამარებით და თითოეულის შერაცხვით მხოლოდ მის მიერ ჩადენილისათვის, ასეთ შემთხვევებში თეორია მიდის დასჯადობის შემცირებისაკენ.“[236]

პროფ. ბელოგრიც - კოტლიარევსკის მოსაზრებით: „წამქეზებლობა დანაშაულში თანამონაწილეობის დამოუკიდებელ სახეს წარმოადგენს და მდგომარეობს იმაში, რომ ერთი სუბიექტი თავისი ინტელექტუალური ზემოქმედებით მეორეზე აღწევს, რომ ეს უკანასკნელი ჩადის დანაშაულს.“[237]

საბჭოთა ავტორების მიხედვით, აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებები იქამდე დავიდა, რომ თითოეული თანამონაწილე პასუხს აგებს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული მის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის. მათი პასუხისმგებლობა არ არის წარმოებული, არამედ დამოუკიდებელია. ამ აზრით, თანამონაწილეობა არ არის აქცესორული.[238]

ლოგიკური აქცესორობის მომხრე მ.ი.კოვალიოვი თვლის, რომ დანაშაულის შემადგენლობა ხორციელდება უშუალო ამსრულებლის მიერ, დანარჩენი თანამონაწილეების მიერ „თვითონ დანაშაულის შემადგენლობა არ ხორციელდება“, არამედ წამქეზებელთა და დამხმარეთა ქმედებაში არის რაღაც „საერთო დანაშაულის შემადგენლობა“, რომელიც განსაზღვრავს მათ პასუხისმგებლობას. ერთგვარი დამატებებით ემხრობა აქცესორობის თეორიას, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველს ა.ვ.ნაუმოვიც. ამასთანავე იგი აღიარებს, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა შემდეგში ძირითადად დამოკიდებული ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე მაინც განსაზღვრული წესით დამოუკიდებელი ხასიათის მქონეა.[239]

მეორე თეორიის მომხრეები პ.ი.გრიშაევი, გ.ა.კრიგერი, ფ.გ.ბურჩაკი თანამონაწილეობას განიხილავენ, როგორც დანაშაულებრივი ქმედების დამოუკიდებელ ფორმას და ამიტომ კრიტიკულად აფასებენ აქცესორულ თეორიას.

ფ.გ.ბურჩაკი თვლის, რომ შეიძლება თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებაზე საუბარი იმ შემთხვევაში, თუ მასში იგულისხმება ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის ხარისხობრივი დამოკიდებულება ამსრულებლის დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაში. წამქეზებელს არ შეიძლება პასუხისმგებლობა

---

[235] ციტირებულია: Хеифец И.Я., Подстрекательство к преступлению, М., 1914, გვ. 11.

[236] იქვე;

[237] Белогриц-Котляревский А.С., Учебник русского уголовного права, Киев, 1903, გვ. 214.

[238] Зелинский А.Ф., Соучастие в преступлении, Волгоград, 1971, გვ. 31.

[239] Ковалев М.И., Соучастие в преступлении, Екатеринбург, 1999, გვ. 37.

დავაკისროთ დამთავრებული მკვლელობისათვის, თუ ამსრულებელმა მოსამზადებელი სტადიიდან აღარ განახორციელა იგი. ამ შემთხვევაში ორგანიზატორიც, წამქეზებელიც, დამხმარეც დამოკიდებულები არიან ამსრულებლის მიერ ფაქტობრივად განხორციელებულის შერაცხვის მოცულობაზე.[240]

ა.ა.პიონტკოვსკი აღნიშნავდა, რომ როლების განაწილებით თანამონაწილეობისას ცალკეული თანამონაწილენი, როგორც წესი, თუმც არა ყოველთვის, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიიცემიან სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის იმავე მუხლით, რომლითაც პასუხისმგებლობა ეკისრება ამსრულებელსაც; ამიტომ ამ გაგებით შეიძლება საუბარი თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დამოკიდებულებაზე, ამსრულებლის მიერ განხორციელებული დანაშაულისათვის, ე.ი. თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებაზე.[241]

აქცესორული თეორიიდან გამომდინარე, მთავარი ფიგურა არის ამსრულებელი, მის გარეშე თანამონაწილეობა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს; ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის არ არსებობა არ გამორიცხავს თანამონაწილეობას. გარდა ამისა, განსაკუთრებული პირობები და ფორმები თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამსრულებელმა დაასრულა ჩაფიქრებული დანაშაულის შემადგენლობა ან უკიდურეს შემთხვევაში, დაიწყო მისი განხორციელება. და რადგან ეს ასეა, თანამონაწილეობა მისი ბუნებიდან გამომდინარე აქცესორულია, ე.ი. დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედებაზე. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ შეუმდგარ წამქეზებლობას და დახმარებას არ აქვს კავშირი თანამონაწილეობასთან, არამედ კვალიფიცირდება დანაშაულებრივი ქმედებიდან გამომდინარე.

და ბოლოს, იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ ორივე მოსაზრებას, თანამონაწილეობის კონსტრუქციასთან დაკავშირებით, არსებობის უფლება აქვს და ისინი ერთმანეთს არ უნდა დავუპირისპიროთ.[242]

აღსანიშნავია ისიც, რომ თანამონაწილეობის აქცესორული თეორია თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს საქ. სს კოდექსით (2000 წლის 1 ივნისი). ეს გამომდინარეობს იქიდანაც, რომ ამსრულებელი აღარ არის თანამონაწილის სახე და ცალკე მუხლად არის (საქ. სსკ 22-ე მუხლი) - ამსრულებლობა.

ამასთანავე, თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების აღიარება სრულიადაც არ ნიშნავს ჩვენი კანონმდებლისათვის თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აბსოლუტურ დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. შესაძლებელია გამოვყოთ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის რამდენიმე ასპექტი, რომელიც დამოუკიდებელი ხასიათისაა.

პირველ რიგში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა

---

240 Бурчак Ф.Г., Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, გვ. 109.

241 Пионтковский А.А., Курс советского уголовного права, М., 1970, ტ. II, გვ. 137.

242 Рыжов Р.С., Уголовная ответственность соучастников преступления, Рязан, 2003, გვ. 18.

თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

მეორეც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა.

სხვაგვარად ხელის შეშლა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი; მთავარია, რომ ისინი ეფექტურები იყვნენ და შეძლონ ამსრულებლის მიერ დანაშაულის თავიდან აცილება. კანონიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამსრულებელმა უკვე დაიწყო დანაშაულის განხორციელება.

თუ ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და ფსიქიკურმა დამხმარემ თავიანთი მოქმედებით ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრება, მაშინ საქ. სსკ-ის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მათ მიერ მიღებული ზომები სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას შეიძლება მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის ანალიზი იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ კანონმდებელი თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის ორ ასპექტს გამოყოფს, თუმც, თუ ერთ შემთხვევაში ნამდვილად ადგილი აქვს თანამონაწილეობას, მეორე შემთხვევაში, თანამონაწილეობა როგორც ასეთი არ არის და ამიტომ თანამონაწილეობაზე საუბარი არ შეიძლება.

ამასთან დაკავშირებით სასურველი იქნებოდა საქ. სსკ 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის შემდეგი სახით ფორმულირება: „თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია **მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო**, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის“. აღნიშნულ შემთხვევაში ნამდვილად საქმე გვაქვს თანამონაწილეობასთან.

ხოლო, რაც შეეხება საქ. სსკ 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის ახლანდელ რედაქციას - „დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად“, სრულიად ზედმეტია, ყოველ შემთხვევაში თანამონაწილეობის ჩარჩოებში, რამდენადაც აქ თანამონაწილეობა არ გვაქვს. გარდა ამისა, თუ მაინცდამაინც ამგვარი შემთხვევის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამატებითი რეგლამენტირება უნდა მოხდეს, მაშინ ეს უნდა გავაკეთოთ იმ პირებთანაც დაკავშირებით, რომლებმაც ვერ შეძლეს დანაშაულის ორგანიზება. საერთო ჯამში უნდა ვაღიაროთ, რომ შეუმდგარი წამქეზებლობა და ორგანიზება წარმოადგენს სხვას არაფერს, თუ არა დანაშაულის მომზადებას; ამიტომ აღნიშნულ პირთა პასუხისმგებლობა რეგლამენტირებულ უნდა იყოს „დაუმთავრებელი დანაშაულის“ თავში (საქ. სსკ. თავი VI - დაუმთავრებელი დანაშაული).

თანამონაწილეობის აქცესორობა, მიუხედავად არსებული განსხვავებული თეორიებისა პრაქტიკულად გულისხმობს ძირითადი ქმედების არსებობას.

როგორც კ.როქსინი აღნიშნავს: „პრინციპი, რომლის მიხედვითად თანამონაწილის პასუხისმგებლობისათვის საკმარისია, რომ ძირითადი ქმედება იყოს მართლსაწინააღმდეგო და არ არის სავალდებულო იყოს ბრალეული იწოდება ლიმიტირებული აქცესორობის პრინციპად.“[243]

ლიმიტირებული აქცესორულობის პრინციპი გაზიარებულია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც.

საქართველოს სისხლის სამართლისათვის შეუთავსებლად მიმაჩნია ლიმიტირებული აქცესორულობა. უპირველს ყოვლისა, გამომდინარე საკანონმდებლო ფორმულირებიდან, რომლის თანახმადაც - „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მოანწილეობას განზრახ დანაშაულის ჩადენაში“ (საქ. სსკ 23-ე მუხლი). კანონში პირდაპირ არის მითითებული დანაშაულის და არა უმართლობის ჩადენაზე. რა არის დანაშაული და რა არის უმართლობა? რა სხვაობაა მათ შორის? საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად - „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. საქ. სს კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.“ აქედან გამომდინარე დანაშაულს ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის გარდა აქვს მესამე ნიშანი – ბრალი. ამ სამივე ნიშნის არსებობა კი წარმოადგენს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს. ლიმიტირებული აქცესორობის პრინციპით კი თანამონაწილის პასუხისმგებლობისათვის საკმარისია ამსრულებელმა განახორციელოს ქმედების შემადგენლობა, რომელიც არის მართლსაწინააღმდეგო. რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი უმართლობის ცნებას, იგი მოიცავს დანაშაულის ორ ნიშანს: 1) სისხლის სამართლის კანონით აღწერილ ქმედებას და 2) მართლწინააღმდეგობას.[244]

ყოველივე აქედან გამომდინარე, თუ პირმა ჩაიდინა უმართლობა და არ დადგინდა მისი ბრალეულობა, არ შეიძლება პირს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთი უმართლობისათვის, ბრალის გარეშე შეუძლებელია პირს დავაკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ეს წინააღმდეგობაში მოდის ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთანაც. ამდენად, რადგან ბრალის გარეშე არ არსებობს დანაშაული, არ არსებობს მასში თანამონაწილეობაც. ჩვენი კანონმდებლობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გავიაზროთ ლიმიტირებული აქცესორობა, ეს იქნება ანალოგის გამოყენება პირის საზიანოდ.

„ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი მიმართულია კანონმდებელზე, რათა ამ უკანასკნელმა სისხლის სამართლის კანონშივე გადაწყვიტოს ბრალეული პასუხისმგებლობის განხორციელების ობიექტურის და სუბიექტური წანამძღვრის საკითხი. ამ მხრივ უპირველესია სუბიექტური შერაცხვის პრინციპის საკანონმდებლობა

---

[243] Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, München: C.H.Beck, 1994, Band II, გვ. 128.

[244] გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005, გვ. 84.

გადაწყვეტა. იგულისხმება შერაცხაობის ცნება, როგორც სპეციალურ-იურიდიული ფენომენი ანუ სუბიექტის უნარი პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის (ე.ი. შეურაცხაობა ასაკისა და ფსიქიკური დაავადების გამო სსკ-ის 33 და 34-ე მუხლების შესაბამისად). სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს აგრეთვე შეზღუდული შერაცხადობის ცნებას (სსკ-ის 35-ე მუხლი), რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ბრალეული პასუხისმგებლობის საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტისათვის.“[245]

გარდა ამისა, საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის I ნაწილის თანახმად - „ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით.“

[245] ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, თავი II, გვ. 23.

თავი IV. თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის თანაშარდობა

§1. თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის თანაფარდობის ზოგადი დახასიათება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც საქ. სს კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ქართული სისხლის სამართალი იცნობს სამი სახის ამსრულებლობას: 1) უშუალო ამსრულებლობა; 2) თანაამსრულებლობა და 3) შუალობითი ამსრულებლობა.

ამსრულებლობა გულისხმობს, რომ პირი თავისი ქმედებით ახორციელებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და ამსრულებლის ქმედება, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოშობს დანაშაულის შედეგს ან შედეგის დადგომის რეალურ შესაძლებლობას. ამსრულებლობის სტადიაზე ქცევის სტრუქტურა მოიცავს მხოლოდ ამსრულებლის ქმედებას, სხვა თანამონაწილეთა ქმედება ამსრულებლის გარეშე არ წარმოშობს დანაშაულის შედეგს. ამსრულებლის ქმედება გამოხატულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში. ამგვარად, ამსრულებლის ცნება მოცული უნდა იყოს კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებით და არა უბრალოდ სისხლის სამართლის კანონში; და არა მხოლოდ ქმედება, ასევე შედეგიც, თუ ჩვენ ვიღწვით ტერმინთა ზუსტი უნიფიცირებისაკენ.[246]

საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ყველა სახის დანაშაულისათვის საჭიროა მისი სავალდებულო ნიშანი – შედეგის სახით, მაგრამ შედეგი არ არის ფორმალური შემადგენლობის დანაშაულისა და დაუმთავრებელი დანაშაულის შემთხვევაში, მომზადებისა და მცდელობისას; შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში, თანამონაწილეობის მარეგლამენტირებელ ნორმაში შედეგზე მითითება რამდენადმე ხელს შეუშლის ამსრულებლობის რეალურ სურათს. აღნიშნულთან დაკავშირებით უფრო ზუსტი იქნება ამსრულებლის შემდეგნაირი ფორმულირება: ამსრულებლად იცნობა პირი, რომელიც ახორციელებს სს კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ობიექტურ მხარეს.[247]

ყოველივე ამას ყურადღება უნდა მიექცეს იმიტომ, რომ ხშირად ხდება ამსრულებლისა და დამხმარის გაიგივება. მაგ., მ.ი.კოვალიოვი წერდა, რომ „განზრახი მკვლელობის ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს... ისიც, ვინც აკავებდა დაზარალებულს, როდესაც დანარჩენი თანამონაწილენი მას აყენებდნენ სასიკვდილო დარტყმებს“.[248]

---

[246] Ковалев М.И., Соучастие в преступлении, Екатеринбург, 1999, გვ. 97.

[247] Гришаев П.И., Кригер Г.А., Соучастие по уголовному праву, М., 1959, გვ. 137.

[248] Ковалев М.И., Соучастие в преступлении, Екатеринбург, 1999, გვ. 110-111.

აღნიშნულთან დაკავშირებით, წერს ასევე ს.ვ.ბოროდინიც: „ამსრულებლად ითვლება ყველა ის პირი, ვინც უშუალოდ ახორციელებს ამა თუ იმ ქმედებას (მოქმედებას, უმოქმედობას), რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება მოცემული დანაშაულის შემადგენლობა. ამიტომ, მკვლელობისას, ამსრულებლად ითვლება ისიც, ვინც უშუალოდ კლავს, ისიც, ვინც ხელებს უჭერს მსხვერპლს იმ დროს, როდესაც მეორე მას სასიკვდილო დარტყმებს აყენებს“.[249]

აღნიშნულ პოზციას ემხრობა თითქმის ყველა მეცნიერი. ზემოაღნიშნული არგუმენტირებულია იმით, რომ „რამდენადაც აღნიშული ქმედების ჩადენის მახასიათებელია ძალადობითი ხასიათი, ამიტომ ძალადობაში ნებისიერი მონაწილეობა, რომელსაც მოჰყვება დანაშაულებრივი შედეგი, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს შედეგი უშუალოდ მხოლოდ ერთმა ამსრულებელმა განახორციელა, მაინც არ აქცევს დანარჩენ მონაწილეებს დამხმარეებად“.[250]

შეიძლება გაჩნდეს, ისეთი მოსაზრება – პირი რომელიც მსხვერპლს ხელებს უჭერს რამდენად ახორციელებს ქმედების შემადგენლობას? რამდენად სწრაფად მოკვდება მსხვერპლი ხელების გაკავებით? შეიძლება მსგავსი შეკითხვები გაგრძელდეს, მაგრამ ნათელია კითხვებზე პასუხის გაუცემლადაც, რომ ხელების დაჭერას არ შეუძლია დაზარალებულის სიკვდილის გამოწვევა. ვინაიდან, თანაამსრულებელია პირი, რომელიც სხვა ამსრულებელთან ერთად მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში და მათი საქმიანობა შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც იმაში, რომ თითოეული თანაამსრულებელი როგორც სრულად ახორციელებდეს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს, ასევე შესაძლებელია ერთი თანაამსრულებელი ასრულებდეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით გათვალისწინებული ქმედების ერთ ნაწილს, ხოლო მეორე სხვას (მაგ.: მკვლელობისას ერთი ხელებს უჭერდეს დაზარალებულს, ხოლო მეორე სასიკვდილო დარტყმებს აყენებდეს მას). ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ის, რომ არსებობს მოკვლის განზრახვა და ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ხდება ხელების გაკავება, რომელიც უკვე არის მკვლელობის მცდელობა და აქედან გამომდინარე ხელების გამკავებელი ვერანაირად ვერ იქნება დამხმარე, ვინაიდან სახეზე გვაქვს თანაამსრულებლობა.

მივმართოთ კანონს, რომლის თანახმადაც - „გაუპატიურება, ე.ი. სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით“ (საქ. სსკ 137-ე მუხლის პირველი ნაწილი) – გამოხატულია სამი ფორმით: სქესობრივი კავშირი ფიზიკური ძალადობით, სქესობრივი კავშირი ძალადობის გამოყენებით და სქესობრივი კავშირი დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. პირველი ორი ფორმისას, გაუპატიურების ობიექტური მხარე შეიცავს მეტ ობიექტურ ნიშნებს, რამდენადაც მასში, გარდა თვით სქესობრივი კავშირისა, შედის ასევე ძალადობაც (ფიზიკური ან ფსიქიკური), მესამე ფორმა კი წარმოადგენს მხოლოდ სქესობრივ კავშირს მსხვერპლის თანხმობის გარეშე. ძალადობა გაუპატიურების პირველი ორი ფორმის

---

[249] Бородин С.В., Квалификация убийства по действующему законодательству, М., 1966, გვ. 204.

[250] Ковалев М.И., Соучастие в преступлении, Екатеринбург, 1999, გვ. 110.

ობიექტური მხარის ელემენტად იქცევა. ამიტომაც, პირი, ამა თუ იმ სახის ძალადობის განმახორციელებელი, ნაწილობრივ ასრულებს მოცემული სახის დანაშაულის ობიექტურ მხარეს.

ახლა დავუბრუნდეთ მკვლელობას. საქ. სისხლის სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში მკვლელობა განმარტებულია როგორც სხვისთვის მართლსაწინააღმდეგოდ და განზრახ სიცოცხლის მოსპობა.[251] ამიტომ მკვლელობის ობიექტურ მხარეს წარმოადგენს ქცევა, რომელიც იწვევს სიკვდილს.

ნ.პ.ბერესტოვოი თვლის, რომ „სხვა ქმედებების ჩადენისას, რომლებიც პირდაპირ არ არის მითითებული კანონში და სცდება გაუპატიურების საკანონმდებლო მახასიათებლებს, არ იძლევა საფუძველს რომ ამ ქმედების განმახორციელებელი პირები მივაკუთვნოთ მოცემული დანაშაულის ამსრულებლებს“.[252] მაგრამ, მიუხედავად ამისა იგი წერს, რომ „მკვლელობის ამსრულებელია არა მხოლოდ ის ვინც დაზარალებულს მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები, არამედ ისინიც, რომლებიც უშუალოდ ხელს უწყობდნენ მას ასეთი ჭრილობების მიყენებაში, მაგ. დაზარალებულს ხელებს უჭერდნენ“.[253]

თანაამსრულებლობასთან დაკავშირებით, აღნიშნავს პროფ. ო.გამყრელიძე - „დანაშაულის ჩადენა“ ნიშნავს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობის უშუალოდ აღსრულებას. ამიტომ თანაამსრულებლობა იგივე ამსრულებლობაა. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება თანაამსრულებელი თანამონაწილის, კერძოდ დამხმარისაგან. ამიტომ არის, რომ ხშირად პრაქტიკაში თანაამსრულებელს დამხმარეში ურევენ ხოლმე. ასეთი აღრევა გვხვდება განსაკუთრებით პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ისეთ დანაშაულებში, რომელთა შემადგენლობის ნიშნებია ძალადობა, მუქარა და სხვ. არ არის აუცილებელი, რომ ორივე ან სამივე თანაამსრულებელი შემადგენლობას მთლიანად ასრულებდეს. საკმარისია, რომ თანაამსრულებელმა შემადგენლობის ერთი ელემენტი მაინც შეასრულოს. თანაამსრულებელია ისიც, ვინც მსხვერპლს უმწეო მდგომარეობაში მოიყვანს, ხოლო მეორე გააუპატიურებს. მსხვერპლის უმწეობაც შემადგენლობის ნიშანია.[254]

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ მართალია, „მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით“ გაუპატიურების შემადგენლობის ნიშანია, მაგრამ უმწეო მდგომარეობაში მოყვანა შემადგენლობის გარეთაა. სავსებით მართებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი - „ქმედების სსკ 137-ე მუხლის I ნაწ. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს დაზარალებულმა თვითონ ჩაიგდო თავი ასეთ მდგომარეობაში, თუ დამნაშავემ მოიყვანა იგი უმწეო მდგომარეობაში (მაგ.: სასმელში ჩაუყარა დასაძინებელი წამალი). ამდენად, დაზარალებულის უმწეო მდგომარეობაში მოყვანის ფაქტი სსკ 137-ე

---

[251] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, რედ. პროფ. გ.ტყეშელიაძე, წიგნი I, თბილისი, 2006, გვ. 27.

[252] Берестовой Н.П., Соучастие в преступлении и особенности установления его признаков в условыях деятельности органов внутренных дел, М., 1990, გვ. 16.

[253] იხ. იქვე, გვ. 14.

[254] გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005, გვ. 177-178.

მუხლის I ნაწ. შემადგენლობის მიღმა არსებობს. ამიტომაც, როცა მამაკაცი ქალს მოიყვანს უმწეო მდგომარეობაში (დააძინებს), მაგრამ ვერ შეძლებს სქესობრივი კავშირის დაჭერას, რადგან სხვები ხელს შეუშლიან, ქმედება დაკვალიფიცირდება არა გაუპატიურების მცდელობად, არამედ მომზადებად.[255]

იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი დანაშაულის შემადგენლობაში ითვალისწინებს სპეციალური სუბიექტის არსებობას, შესაბამისად ამ დანაშაულთა თანაამსრულებლებიც მხოლოდ სპეციალური სუბიექტები უნდა იყვნენ. ამ სახის დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნებიან – სამხედრო, სამოხელეო და სხვა სახის დანაშაულები. თანაამსრულებლობა გამორიცხულია, როდესაც ერთი ამსრულებელი სპეციალური სუბიექტია და მეორე – არა. ასევე არ შეიძლება საკუთარი ხელით ჩასადენი დანაშაულის (მაგ. საქ. სსკ 389-ე მუხლი – დეზერტირობა) თანაამსრულებლობა. შესაბამის დანაშაულებში მონაწილე ყველა დანარჩენი პირები შეიძლება იყვნენ – ორგანიზატორი, წამქეზებელი ან დამხმარე, ე.ი. ამ დროს შესაძლებელია მხოლოდ ვიწრო გაგებით თანამონაწილეობა.

სუბიექტური მხრივ თანაამსრულებლობა განზრახი ქმედებაა. ზოგჯერ თანაამსრულებლები მოქმედებენ წინასწარი შეთანხმებით, მაგრამ წინასწარი შეთანხმება ყოველთვის აუცილებელი არ არის. აუცილებელია მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ისინი ერთსა და იმავე სისხლისსამართლებრივ უმართლობას სჩადიან.

თანაამსრულებლობის სუბიექტური მხარე ორ მომენტს მოიცავს: 1) შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება და 2) თანაამსრულებლის მხრიდან იმის ცოდნა, რომ ის სხვა თანაამსრულებელთან ერთად ახორციელებს კონკრეტულ სისხლისსამართლებრივ უმართლობას.

შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება თანაამსრულებლობის დროს, თანამონაწილეობის მსგავსად, მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი.[256]

თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის თანაფარდობა ჩვეულებრივ განიხილება ორი სხვადასხვა და ურთიერთდაკავშირებული პოზიციით: ა) დასტურდება ამ ინსტიტუტთა დამოუკიდებლობა; ბ) შედარებით ინტენსიური ყურადღება ეთმობა მათ გამიჯვნას.

გერმანული სისხლის სამართალი დანაშაულში რამდენიმე პირის მონაწილეობისას ერთმანეთისგან ამსრულებლობასა და თანამონაწილეობას განასხვავებს. ამსრულებლის სახით დაისჯება ის, ვინც დანაშაულს თავად (უშუალო ამსრულებლობა) ან სხვა პიროვნების (შუალობითი ამსრულებლობა) გამოყენებით ჩაიდენს (§25-ე 1). თუ რამდენიმე პიროვნება ერთობლივად ჩაიდენს დანაშაულს, მაშინ ყოველი მათგანი ამსრულებლის (თანაამსრულებელი) სახით დაისჯება (§25-ე 11). დაყოფის ამ დუალისტური სისტემის (=ამსრულებლობა და თანამონაწილეობა) საპირისპირო ფენომენს წარმოგვიჩენს ერთიანი ამსრულებლის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ქმედების

---

[255] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, (წიგნი 1), რედ. გ. ტყეშელიაძე, თავი V, ავტ.: ნ.თოდუა, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2006, გვ. 149.

[256] გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005, გვ. 183.

შემადგენლობის განხორციელებაში მიზეზობრივი წვლილის შემტანი ყოველი ადამიანი, ქმედებაში მისი წვლილის კონსტრუქციული წონის გაუთვალისწინებლად, ამსრულებლად განიხილება. ერთიანი ამსრულებლის განმსაზღვრელი კრიტერიუმი მხოლოდ კაუზალობაა; ქმედებაში შეტანილი წვლილის სახესა და მნიშვნელობას კი ყურადღება მხოლოდ სასჯელის შეფარდების სფეროში მიექცევა. ერთიანი ამსრულებლის ეს პრინციპი, მისი მასშტაბების გამაუხეშებელი ხასიათის გამო, რადიკალური სამართლებრივი შედეგების მქონე სისხლის სამართლისთვის ვარგისი არაა; თუმცა, კანონმდებელმა, გამარტივების მოსაზრებებიდან გამომდინარე, მაინც გამოიყენა ერთიანი ამსრულებლის ცნება ადმინისტრაციული გადაცდომების მომწესრიგებელი სამართლის სფეროში (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის §მე-14).[257]

თანამონაწილეობა, გერმანულ სისხლის სამართალში წარმოადგენს ერთობლივად ჩადენილი დანაშაულის ნაკლებად საშიშ ფორმას თანაამსრულებლობასთან შედარებით. ამ ფორმათა დამოუკიდებლობა, გერმანულ სისხლის სამართლის დოქტრინაში, ვალდებულებას ქმნის სხვადასხვა სახით შეფასდეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

თანაამსრულებლობა შეიძლება განხორციელდეს როგორც აქტიური მოქმედებით ისე უმოქმედობითაც. ამ დებულებას უარყოფდნენ პ.ი.გრიშაევი და გ.ა.კრიგერი, რომლებიც თვლიან, რომ „თანამონაწილეობა ლოგიკურად წარმოუდგენელია იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა თანამონაწილის მოქმედება უმოქმედობაში გამოიხატება“.[258]

ამ დებულების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ თანაამსრულებლობა, როგორც თანამონაწილეობის ფორმა ლოგიკურადაც წარმოსადგენია და პრაქტიკულადაც შეიძლება შეგვხვდეს როგორც წმინდა უმოქმედობის, ისე შერეული უმოქმედობის დროსაც. უმოქმედობით თანამონაწილეობა შესაძლებელია ყველა იმ დანაშაულში, რომელიც მოვალეობის შეუსრულებლობაში გამოიხატება; მაგრამ თუ კანონით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება მხოლოდ აქტიური მოქმედებით განხორციელდეს, თანაამსრულებლობასაც მარტოოდენ აქტიური ფორმით შეიძლება ჰქონდეს ადგილი.[259]

მართებულად მიიჩნევა ამ საკითხთან დაკავშირებით ო.გამყრელიძის მოსაზრება – უმოქმედობა ორი სახისაა: 1) წმინდა და 2) შერეული უმოქმედობა. წმინდა უმოქმედობა, მაგ.: დაუხმარებლობა (129-ე მუხლი), ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება (176-ე მუხლი), გადასახადისათვის თავის არიდება (218-ე მუხლი) და სხვა. ამ დელიქტების თანაამსრულებლობა არ შეიძლება, რადგან მათი ჩადენა დაკავშირებულია სპეციალური მოვალეობის შესრულებასთან. ეს მოვალეობა პერსონალურია და დელიქტის ბუნების განმსაზღვრელია. ამ მოვალეობის გადატანა სხვაზე არ შეიძლება, რადგან მოვალეობა პერსონალურია, მისი დარღვევა მხოლოდ ერთ პიროვნებას შეუძლია და

---

257 ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება. ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორი ი.დვალიძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, გვ. 286-287.

258 Гришаев П.И., Кригер Г.А., Соучастие по уголовному праву. М., 1959, გვ. 15.

259 Ковалев М.И., Соучастие в преступлении, часть вторая, Свердловск, 1962, გვ. 38-39.

ორი პიროვნებაზე ან სამზე თანაამსრულებლობის სახით ეს არ განაწილდება.

სხვა მდგომარეობაა შერეული უმოქმედებოს დროს. შერეული უმოქმედების დელიქტია ისეთი დელიქტი, რომლის ჩადენა როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედებით შეიძლება. მაგ.: უმოქმედებით მკვლელობა შერეული უმოქმედების დელიქტია. დედას შეუძლია შვილი მოკლას მოქმედებითაც, ვთქვათ დაახრჩოს და უმოქმედობითაც. კერძოდ, არ გამოკვებოს და მოკლას შიმშილით. უმოქმედობით მკვლელობის თანაამსრულებლობა აქ შეუძლიათ ცოლ-ქმარს, რომლებიც შეთანხმდებიან, რომ შიმშილით მოკლან.“[260]

თანაამსრულებლობა, რამდენადაც იგი ფართო მნიშვნელობით გაგებული თანამონაწილეობის ფორმას წარმოადგენს, აუცილებლად განზრახ ბრალს გულისხმობს. ამიტომ, თუ რამდენიმე პირის მოქმედებით დანაშაულებრივი შედეგი გაუფრთხილებლობითაა გამოწვეული, თითოეული დამნაშავე პასუხს აგებს როგორც დამოუკიდებელი დამნაშავე და არა როგორც თანაამსრულებელი. წინასწარი შეთანხმება თანაამსრულებელთა შორის სავალდებულო არ არის. საკმარისია, თუ მათ იციან ერთმანეთის მოქმედების შესახებ. თანაამსრულებლობისათვის არ არის აუცილებელი პირდაპირი განზრახვა, საკმარისია ევენტუალური განზრახვაც. თუ, მაგალითად, ერთი საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრენი, დაზღვევის თანხის მისაღებად, გადაწყვეტენ სახლის დაწვას, თანაც ითვალისწინებენ, რომ ცეცხლის წაკიდების შედეგად შეიძლება დაიწვას ამ სახლში მცხოვრები რომელიმე მდგმური და შეგნებულად უშვებენ ასეთ შედეგს, ცეცხლის წამკიდებელნი მოქმედებენ ევენტუალური განზრახვით და განიხილებიან როგორც მკვლელობის თანაამსრულებლები.[261]

მაგალითში ადგილი აქვს შერეულ განზრახვას. ერთ დანაშაულებრივ შედეგს, რომლის მიმართაც პირდაპირი განზრახვით მოქმედებს დამნაშავე, თან ერთვის მეორე შედეგი ევენტუალური განზრახვით. ამიტომ, მართებულად აღნიშნავს ო.გამყრელიძე – თუ თანაამსრულებელთა მოქმედებას თან დაერთვის სხვა შედეგი ევენტუალური განზრახვით, ამ შედეგისთვის ისინი პასუხს აგებენ არა როგორც თანაამსრულებლები, არამედ როგორც ერთპიროვნული ამსრულებლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი პასუხს აგებენ სახლის დაწვის თანაამსრულებლობისა და მკვლელობის ერთპიროვნული ამსრულებლობისათვის. თანაამსრულებლები მხოლოდ პირდაპირი განზრახვით უნდა მოქმედებდნენ, მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს ექნებათ მათ ერთი საერთო მიზანი, რომელიც რამდენიმე პირის მოქმედებებს ერთ მთლიან დანაშაულებრივ აქტად აქცევს. სწორედ ამ საერთო მიზნის წყალობით არის, რომ თანაამსრულებლები ერთ უმართლობას ახორციელებენ.[262]

---

[260] გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი 2005, გვ. 182.

[261] წერეთელი თ., თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 142.

[262] გამყრელიძე ო., დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, „მეცნიერება“, 1974, გვ. 147.

§2. ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის კრიტერიუმები

ერთობლივი მონაწილეობის ამ ფორმათა გამიჯვნის საწყისად ითვლება ამსრულებელი ან უფრო ზუსტად „ამსრულებლის ცნება“ (Tüterbegriff). თარგმანიდან გამომდინარე ეს განსხვავება ნაწილობრივ აიხსნება გერმანულ ტერმინთა სიტყვიერი გამოხატულების პირდაპირი გაგებით. ცნება „Täterschaft“ ითარგმნება როგორც „მოქმედთა გაერთიანება“, დაკავშირებული ერთობლივი ჯგუფი, რაც უზრუნველყოფილთა სუფიქსით „schaft“, „Teilnahme“ - სიტყვა-სიტყვით „მონაწილეობა“, ხოლო თავსართი „თანა“, რომელიც ნიშნავს ორი ან მეტი პირის ერთობლივი მონაწილეობას, გერმანულ ენაში არ აისახება.

ამ ცნებათა გამიჯვნის კრიტერიუმებს წარმოადგენს „ამსრულებლის“ (Täter) მდგომარეობა ან სტატუსი, მისი როლი – ქმედების განხორციელებაში. „ამსრულებელი როგორც ქმედების განხორციელების ცენტრალური ფიგურა“, ასე ასათაურებს კ.როქსინი მისი ნაშრომის შესაბამის ნაწილს. თანამონაწილე – ამსრულებლისაგან განსხვავებით, როგორც კ.როქსინი შემდგომში ხაზს უსვამს – არის პერიფერიული ფიგურა. ამსრულებლისათვის ასე თუ ისე დამახასიათებელია „განხორციელებულზე ბატონობა“; თანამონაწილე კი მოქმედებს ჩადენილზე ბატონობის გარეშე; მაგრამ ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნა, რომელიც დაკავშირებულია ან როგორც ამსრულებლის, ან როგორც თანამონაწილის სუბიექტის სტატუსის დადგენასთან, მოვლენათა სისხლისამართლებრივი შეფასებისას და ამგვარი მიდგომისას, რჩება რთულ ამოცანად. იგი ხორციელდება ადრე განვითარებული ორი, და მესამე – მოგვიანებით გავრცელებული თეორიების საფუძველზე.[263]

პირველი – „ფორმალურ-ობიექტური თეორია“. ეს თეორია ორიენტირებულია, ქმედების შემადგენლობის განხორციელებისას, ქმედების ანალიზზე და გულისხმობს შესაბამისი ქმედების შემადგენლობის მოვლენათა მსვლელობის განზრახ გაკონტროლებას. ამსრულებელი (ფორმალურ-ობიექტური თეორიით, ფ.ფონ ლისტის, შმიდტის და ფონ ჰიპელის წარმომადგენლობით[264]), როგორც წერს პროფ. კ.კიული, - ესაა მხოლოდ ის სუბიექტი, შემოქმედი (Täter), რომელიც თვითონ მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებს ქმედების შემადგენლობაში აღწერილ ქცევას.[265]

მეორე – „სუბიექტური თეორია“, ორიენტირებულია სუბიექტის ნების მიმართულების ანალიზზე, როცა ამსრულებლად იცნობა ის, ვინც ქმედებას აღიარებს თავისად.[266] სუბიექტური თეორიის საფუძველზე, ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნის მაგალითს წარმოადგენს

---

263 Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, München: C.H.Beck, 1994, Band II, გვ. 9.

264 იხ.: Gropp W., Strafrecht, Allgemeiner Teil, 2 Aufl., Berlin, Springer, 2001, გვ. 332 და შემდგომნი.

265 იხ.: Kühl K., Strafrecht, Allgemeiner Teil, München: Vahlen, 1994, გვ. 727; ასევე, Wessels I., Beulke W., Strafrecht, Allgemeiner Teil, 28 Aufl, Heidelberg, 1998, გვ. 166.

266 Gropp W., Strafrecht, Allgemeiner Teil, 2 Aufl., Berlin, Springer, 2001, გვ. 333.

ქალის ქმედების შეფასება, რომელმაც, თავისი დის მოთხოვნით, დაახრჩო მისი ბავშვი.[267]

თანაამსრულებლობის სუბიექტური თეორია, გაკრიტიკებული იქნა. ამ თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ამსრულებელი – ეს ის სუბიექტია, რომელიც მოქმედებს თავისი ნებით და ქმედებას იღებს როგორც საკუთარს. კ.როქსინის საყვედური გამოიხატებოდა იმაში, რომ მისი ავტორი ვ.ბური ეფუძნებოდა იურიდიულ ნატურალიზმს, რომელიც მიიღტვოდა მიუღწეველი მეცნიერული სიზუსტისაკენ; მაგრამ მაინც, საიმპერიო სასამართლოს გადაწყვეტილებით, თანამონაწილედ –განსხვავებით თანაამსრულებლისაგან იცნობოდა ის, ვინც მხოლოდ ამსრულებლის ნებაზე იყო დამოკიდებული. ამასთანავე ლიტერატურაში მითითებულია, რომ შედარებით რთული საკითხები აქ დაკავშირებულია წყვილთა გამიჯვნასთან: ა) ამსრულებელი – დამხმარე, რამდენადაც ისინი ფიზიკურად ერთად მოქმედებენ; ბ) შუალობითი ამსრულებელი, ე.ი. სხვისი მეშვეობით ამსრულებელი, - წამქეზებელი, რამდენადაც ორივე შემთხვევაში სახეზეა ერთი პირის ინტენსიური ზემოქმედება მეორეზე.[268]

მესამე - „მატერიალურ-ობიექტური თეორია.“. გამიჯვნის სირთულეები, როგორც ლიტერატურაშია ხაზგასმული, დაძლეულ იქნა კ.როქსინის მიერ შემუშავებული, ხოლო სხვა სპეციალისტების მიერ – განვითარებული მოძღვრებით სუბიექტ-ამსრულებლის (Tatherrschaftslehre) ბატონობის შესახებ. ეს მოძღვრება, ვ.იოქსის აზრით და არა მხოლოდ მისი აზრით, წარმოადგენს ე.წ. ამსრულებლის ფორმალურ-ობიექტური თეორიის განვითარებას. ამ (საწყისი) თეორიით[269] – ამსრულებელია ის, ვინც ქმედებას მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებს თვითონ. თანამონაწილენი კი – მხოლოდ ისინი, ვინც შეიტანა წვლილი ქმედების მომზადებაში და მხარდაჭერაში.

მატერიალურ-ობიექტური თეორია განსხვავდება სუბიექტური თეორიისაგან. მატერიალურ-ობიექტური თეორიით სისხლის სამართალში შემუშავდა ქმედებაზე ბატონობის თეორია, რომელიც ამსრულებელსა და თანამონაწილეს მიჯნავს ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმებით. ობიექტურით, რომელიც გულისხმობს შესაბამისი ქმედების შემადგენლობის მოვლენათა მსვლელობის განზრახ გაკონტროლებას და რომლის დროსაც ამსრულებელია პირი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ანხორციელებს აღნიშნული ქმედების შემადგენლობას; სუბიექტური კი მიმართულია სუბიექტის ნებაზე, როდესაც ამსრულებლად იცნობა ის, ვინც ქმედებას აღიარებს თავისად. ე.წ. ქმედებაზე ბატონობას გააჩნია სამი სხვადასხვა გამოვლენის ფორმა:

1) უშუალო ამსრულებლობა: ქმედებაზე ბატონობს ის, ვინც ასრულებს ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანს. ეს არის ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ ქმედებისათვის ბატონობის ქვეშ მოქცევა;

2) შუალობითი ამსრულებლობა: ქმედებას სჩადის ყველა პირის მეშვეობით. ამ შემთხვევაში პირს აქვს ნების და/ან ცოდნის ბატონობა;

---

[267] Gropp W., Strafrecht, Allgemeiner Teil, 2 Aufl., Berlin, Springer, 2001, გვ. 311.

[268] Joecks W., Steuerstrafrecht. Köln: Otto Schmidt Verlag, 2003. გვ. 97.

[269] Joecks W., Steuerstrafrecht. Köln: Otto Schmidt Verlag, 2003. გვ. 110 და შემდგომნი.

3) თანაამსრულებლობა: ქმედებას სჩადის სხვა პირებთან ერთობლიობაში. ეს არის ე.წ. ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობა.[270]

პროფესორი კ.კიული ამას შემდეგნაირად ხსნის: „ეს თეორია ობიექტურად იწოდება იმიტომ, რომ იგი მოქმედის ქმედებაზე ბატონობას თვლის გამმიჯნავ კრიტერიუმად. მატერიალურად იწოდება იმიტომ, რომ ის არა მხოლოდ ითვალისწინებს შესაბამისი შემადგენლობის ქმედების ფორმალურ განხორციელებას, არამედ მოიცავს კიდეც ქმედებაზე ფსიქიკური ბატონობის ფორმებს, ქმედების განხორციელებაში უშუალო წვლილისაგან დამოუკიდებლად.[271]

კ.როქსინი სუბიექტ-ამსრულებლის (Tatherrschaftslehre) ქმედებაზე ბატონობას თვლის ამსრულებლობის ერთადერთ ნიშნად ზოგად შემადგენლობებში.[272] მისი თეორიის შესაბამისად, ამსრულებელია ის, ვინც ქმედებაზე ბატონობს, თავისი ნებით მართავს ან თავისი ნებით განავითარებს მოვლენებს და როგორც ცენტრალური ფიგურა, განსაზღვრავს მოვლენათა მსვლელობას.[273] ვ.გროპის მიერ მოყვანილი პროფ. რ.მაურახის ფორმულის თანახმად, ქმედებაზე ბატონობა ნიშნავს „შესაბამისი ქმედების შემადგენლობის განზრახ მოვლენათა მსვლელობის მართვას“.[274]

ამა თუ იმ თეორიის უპირატესობაზე საუბარი მაინც რთულია.

ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ უზენაესი სასამართლო პრაქტიკა ნამდვილად მერყეობდა პირის დამხმარედ აღიარების შესაძლებლობაზე, რომელმაც შეასრულა ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანი, მაგრამ მოქმედებდა ძლიერი ზემოქმედების ქვეშ (სტაშინსკის შემთხვევა, რომელმაც განახორციელა გახმაურებული მკვლელობები, როგორც ითვლებოდა, ერთ-ერთი ძლევამოსილი სტრუქტურის ზეგავლენით); მაინც უპირობო ამსრულებლად იცნობოდა ის პირი, რომელმაც განახორციელა ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანი. ეს ხდებოდა რიგ შემთხვევებში, არა წმინდა ნორმატიულ-თეორიული არგუმენტების ზეგავლენით, არამედ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. ასე მაგ., სტაშინსკის შემთხვევა მდგომარეობდა იმაში, რომ მან თავად მარტომ მოკლა მიუნხენში ორი ემიგრანტი, შემდეგ კი ჩაბარდა გერმანიის პოლიციას. 1962 წელს უზენაესი სასამართლოს მე-3 სენატმა გადაწყვიტა, რომ იგი მოქმედებდა სხვისი ინტერესით, მიუხედავად ქმედებაზე ერთპიროვნული ბატონობისა, ცნო იგი თანამონაწილედ და უარი თქვა მის ამსრულებლად ცნობაზე.[275]

იმავდროულად, კ.როქსინის აზრით, უზენაესი სასამართლო უახლოვდება მის თეორიას. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო: „ვინც საკუთარი ხელით მოკლავს ადამიანს, პრინციპში ითვლება

---

270 ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეშვიდე გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 289.

271 Kühl K., Strafrecht, Allgemeiner Teil, München: Vahlen, 1994, გვ. 728.

272 Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, München: C.H.Beck, 1994, Band II, გვ. 14.

273 Joecks W., Steuerstrafrecht. Köln: Otto Schmidt Verlag, 2003, გვ. 100.

274 Gropp W., Strafrecht, Allgemeiner Teil, 2 Aufl., Berlin, Springer, 2001, გვ. 334.

275 Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, München: C.H.Beck, 1994, Band II. გვ. 20 და შემდგომნი.

ამსრულებლად, თუნდაც იგი მოქმედებდეს სხვისი ინტერესის ზეგავლენის ქვეშ“.[276]

გ.ტრონდლესა და ტ.ფიშერის კომენტარებში ასევე მითითებულია, რომ ფორმალურ-ობიექტურით, შემდგომ კი - სუბიექტური თეორიით ამსრულებლად აღიარებული პირი სინამდვილეში გაბატონებული იყო არსებულ სასამართლო პრაქტიკაში.[277] დღეს უპირატესობა ენიჭება (კ.როქსინის მიხედვით) ქმედებაზე ბატონობის თეორიას, ე.ი. მატერიალურ-ობიექტურ თეორიას, ან ი.ვესელსის და ვ.ბოილკეს მიხედვით, სუბიექტურ თეორიას ობიექტურის საფუძველზე, რომლითაც ამსრულებელია პირი, რომელიც ბატონობს სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების განხორციელებაზე. კერძოდ, ი.ვესელსისა და ვ.ბოილკეს სახელმძღვანელოს ერთ-ერთ გამოცემაში აღნიშნულია, რომ მატერიალურ-ობიექტურ და ფინალურ-ობიექტურ თეორიათა სფეროში რეალიზებულია ქმედებაზე „ბატონობის“ მოძღვრება, რომელიც გახდა, ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების ჩათვლით, ძირითადი ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გასამიჯნავად.[278]

ისევე როგორც ყველა დანაშაული ქმნის ობიექტური და სუბიექტური ელემენტებისაგან დაკომპლექტებული არსის ერთიანობას, ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საგნობრივი ურთიერთგამიჯვნაც, კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ფუნდამენტზე დაყრდნობით, მხოლოდ ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების სინთეზის დახმარებით უნდა ვაწარმოოთ. აღნიშნული ამოცანის დაძლევის საუკეთესო და ყველაზე დამაჯერებელ გზას ქმედებაზე ბატონობის ძირეული პრინციპი გვიხსნის. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, ამსრულებლობის დასადასტურებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ გარემოებას აქვს, ბატონობს თუ არა და რა დოზით ბატონობს ან სხვასთან ერთად ბატონობს თუ არა და რა დოზით ქმედებაში მონაწილე ცალკეული პირი, ქმედებაში მისი ობიექტური წვლილის სახისა და წონის მიხედვით, ისევე როგორც, ნებაში მონაწილეობაზე დაყრდნობით, ქმედების ჩადენის ან არჩადენის, ასევე მისი განხორციელების ხერხის არჩევანზე იმგვარად, რომ შედეგი (აგრეთვე) მისი მიზანმიმართულად მმართავი ან ქცევის თანამფორმირებელი ნების ქმნილებად წარმოგვიდგება. თანამონაწილეობა კი, პირიქით, ქმედებაზე აღნიშნული ბატონობის გარეშე სხვისი მოქმედების ან უმოქმედობის გამოწვევის ან მისთვის ხელშეწყობის მიღწევაა.[279]

---

[276] Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, München: C.H.Beck, 1994, Band II. გვ. 20 და შემდგომნი.

[277] Tröndle / Fischer., Strafgesetzbuch und Nebengesetze, 51 Aufl. München: C.H. Beck, 2003, გვ. 184.

[278] Wessels I., Beulke W., Strafrecht, Allgemeiner Teil, 28 Aufl, Heidelberg, 1998, გვ. 152 და შემდგომნი.

[279] ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება. ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორი ი.დვალიძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, გვ. 293-294.

§3. თანაამსრულებობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის სქემა

თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ურთიერთგამიჯვნა სასამართლო პრაქტიკის მიერ შემდეგნაირად წარმოებს: "თანაამსრულებლობა მაშინაა სახეზე, თუ დანაშაულში მონაწილეს, საკუთარი წვლილით, მხოლოდ სხვისი მოქმედებისათვის ხელის შეწყობა კი არ სურდა, არამედ აღნიშნული წვლილი ერთობლივი მოქმედების ნაწილი უნდა იყოს. ამასთან, ქმედებაში მონაწილე საკუთარ წვლილს სხვა პირის მოქმედების ნაწილის შესრულების სურვილით უნდა ეხიდებოდეს და, პირიქით, ამ უკანასკნელის მოქმედება ქმედებაში საკუთარი წვლილის შემავსებელ კომპონენტად უნდა სურდეს." აქვს თუ არა ქმედებაში მონაწილე პირს ამ ქმედებასთან აღნიშნული სახის მჭიდრო ურთიერთობაში ყოფნის სურვილი, "ყველა იმ გარემოების ანალიზის საფუძველზე უნდა დავადგინოთ, რომელსაც ბრალდებულის წარმოდგენა მოიცავდა. ამგვარი შეფასებისთვის მნიშვნელოვან საყრდენ წერტილებს დანაშაულის შედეგისადმი საკუთარი ინტერესი, დანაშაულში მონაწილეობის მოცულობა და ქმედებაზე ბატონობა ან, სულ მცირე, ქმედებაზე ბატონობის სურვილი შეიძლება წარმოადგენდეს."[280]

ერთი ასეთი სქემა შემოგვთავაზა ფჰაფტმა.[281] იგი დაფუძნებულია იმაზე, რომ თავდაპირველად მოწმდება არასადავო სიტუაციები (მაგ. – მექრთამეობა: ამსრულებელია – თანამდებობის პირი; არათანამდებობის პირი – არ არის ამსრულებელი). ასეთი შემოწმების საწყისი ეტაპი იწყება იმ პირის გამოვლენით, რომელიც შედარებით შესაფერისია ამსრულებლის როლისათვის და მოწმდება: ა) ხომ არ არის სპეციალური სუბიექტი (თუ არის, ის არის ამსრულებელი); ბ) ხომ არ არის საკუთარი ხელით (eigenhändige) ქმედება (დეზერტირობა და ა.შ.); გ) ხომ არ არის უმოქმედობა-მოქმედების ვალდებულებით.

მეორე ეტაპი – როდესაც აშკარაა, რომ პირის ამსრულებლად ასაღიარებელი ფორმალიზებული საფუძვლები მოხსნილია. ამსრულებლობა მოწმდება ქმედებაზე ბატონობის წესებით: ა) არის თუ არა ქმედებაზე ბატონობა; ბ) ნების ბატონობა; გ) ფუნქციონალური ბატონობა. არ არის არაფერი – მაშინ თანამონაწილეა.[282]

ცოტა სხვაგვარი განხილვების სქემაა, რომლითაც დასაწყისში უნდა გადაწყდეს თანაამსრულებლობის (მოცემული პირის) საკითხი, და მისი უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში – თანამონაწილეობის საკითხი. მისი რეალიზაციის თანმიმდევრობა, ფართოდ გაგებული, შემდეგში მდგომარეობს: ირკვევა ქმედების შემადგენლობა თუ აპროგრამებს თანაამსრულებლობის შინაარსის გადაწყვეტას, ე.ი. ანალიზირდება ქმედების თავისებურებები (მოქმედება, უმოქმედობა, ძირითადი შემადგენლობა და ა.შ.); ამასთანავე გამოიყოფა: ა) ამსრულებლად

---

[280] ვესელსი ი., ბოილკე ვ., მითითებული ნაშრომი, 2010, გვ. 298.

[281] იხ.: Schmidt R., Strafrecht, Allgemeiner Teil, Grundlagen der Strafbarkeit, Aufbau des strafrechtlichen Gutachten, 2 Aufl., Grasberg (bei Bremen), 2003, გვ. 342 და შემდგომნი; Naucke W., Strafrecht, Eine Einführung, 10 Aufl., Neuwied; Krieftel: Luchterhand, 2002, გვ. 207 და შემდგომნი.

[282] Haft F., Strafrecht, Allgemeiner Teil, 8 Aufl., München: Beck, 1998, გვ. 196-198.

ადიარების არასადავო შემთხვევები „საკუთარი ხელით“ ქმედებისას, სპეციალური სუბიექტის ანდა სპეციალური მოვალეობის არსებობისას; ბ) პრობლემატური შემთხვევები, როდესაც რთულია ამსრულებლის, დამხმარის, წამქეზებლის როლის გამიჯვნა და აუცილებელია ქმედების სპეციალური შეფასება ზევით განხილული მიდგომების თანახმად, ხოლო ამგვარ სიტუაციაში ისევ მოწმდება მოვლენაზე ბატონობა, სახელდობრ: ქმედებაზე (ქცევაზე) ბატონობა, ნებაზე ბატონობა, ფუნქციონალური ბატონობა ასრულებაზე ანდა სხვა პარამეტრები, გამოსაყენებელი მიდგომიდან გამომდინარე. ბატონობის არ არსებობისას, აუცილებელია გადავიდეთ საკითხის თანამონაწილეობად გადაწყვეტაზე. ამგვარად, პრობლემატურ სიტუაციებში ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გასამიჯნავად გამოიყენება ან სუბიექტური თეორია, ანდა ქმედებაზე ბატონობის თეორია; ამ საკითხების გადაწყვეტისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ავტორთა ერთი ნაწილი თვლის,[283] რომ სასამართლო პრაქტიკა დაფუძნებულია ზუსტად სუბიექტურ თეორიაზე; სხვანი (კ.როქსინი) სასამართლო პრაქტიკას თვლიან არათანმიმდევრულად და მიიჩნევენ, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს ბატონობის თეორია.

თუ ვაღიარებთ სუბიექტურ თეორიას როგორც ამოსავალს, მაშინ ამსრულებელია ის, ვინც მოქმედებს მოქმედის ნებით და სურს ქმედება როგორც საკუთარი; ხოლო კრიტერიუმები ამ შემთხვევაში შემდეგია:

1) მისი ინტერესის ხარისხი შედეგის დადგომაში;
2) მონაწილეობის მოცულობა;
3) ქმედებაზე ბატონობის არსებობა ან როგორც მინიმუმ ამისკენ სწრაფვა.

ამ თეორიის გამოყენების კორექტულობა შესაძლებელია დასაბუთდეს რიგ სასამართლო გადაწყვეტილებებზე მითითებით;[284] მაგრამ სწორია მტკიცება იმისა, რომ აქ არსებობს ობიექტური მომენტებიც.

თუ ამოსავლად ითვლება ქმედებაზე ბატონობის თეორია, მაშინ ღირს რ.მაურახის ზევით მოყვანილი განსაზღვრების გამოყენება, რომლის თანახმადაც იგი ნიშნავს „განზრახვით მოცული, საკუთარი ხელებით მოვლენების მსვლელობის მართვას შესაბამისი ქმედების შემადგენლობის ნიშნებთან“. მაშინ ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნა მიმდინარეობს უპირველეს ყოვლისა, ქმედების შემადგენლობის ჩარჩოებში, რამდენადაც მისი განხორციელება ყველაფერს განსაზღვრავს.[285] ამ განხილვის დასრულება შეიძლება მოკლე რეკომენდაციაზე მითითებით, რომელიც მოცემულია ი.ვესელსის და ვ.ბოილკეს სახელმძღვანელოში. აქ ნათქვამია: „ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნა დამთავრებულ დელიქტებში უნდა განხორციელდეს ობიექტური შემადგენლობის ფარგლებში ქმედების ხასიათიდან გამომდინარე“.[286]

---

283 იხ. Schmidt R., Seidel S., Strafrecht, Allgemeiner Teil, Bremen: Verlag Rolf Schmidt, 1999.

284 NJW, 1999, 1794, 1796.

285 Schmidt R., Strafrecht, Allgemeiner Teil, Grundtagen der Strafbarkeit, Aufbau des strafrechtlichen Gutachten, 2 Aufl. Grasberg (bei Bremen), 2003, გვ. 346.

286 Wessels J., Beulke W., Strafrecht, Allgemeiner Teil, 28 Aufl, Heidelberg, 1998, გვ. 168.

თავი V. დანაშაულში თანამონაწილეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები

§1. დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგია

თანამონაწილეობა როგორც სისტემა (გარკვეული მთლიანობა) ფლობს თვისებებს, რომლებიც განსხვავდებიან მის ელემენტთა თვისებებისაგან და მათი არათანაბარმნიშვნელოვანნი არიან; ამასთანავე, თანამონაწილეობას გააჩნია ქცევის საკუთარი კანონები, რომლებიც არ გამომდინარეობენ მხოლოდ მის ელემენტთა ქცევის კანონებიდან.

ჯგუფური დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგია უნდა განსხვავდებოდეს დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიისაგან მისთვის დამახასიათებელი თვისებებით.

ამასთან დაკავშირებით ბუნებრივი და ლოგიკურია დანაშაულში თანამონაწილეობის ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევა. ვფიქრობთ, რომ ამასთანავე აუცილებელია დანაშაულის, ჯგუფური დანაშაულისა და ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიის ეტაპობრივი კვლევა.

ცნობილია, რომ ნებისმიერ მოქმედებას აქვს ორი მხარე: შინაგანი (ფსიქიკური) და გარეგანი (ფიზიკური). მოქმედების ეს ორივე მხარე მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. როგორც აღნიშნავს ვ.ნ.კუდრიავცევი, „დანაშაულებრივი ქცევა – ესაა დროსა და სივრცეში განფენილი პროცესი, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ იმ ქმედებებს, რომლებიც ცვლიან გარესამყაროს, არამედ მათ წინამორბედ ფსიქოლოგიურ მოვლენებსაც და პროცესებსაც, რომლებიც განსაზღვრავენ მართლსაწინააღმდეგო ქცევის გენეზისს“.[287] დანაშაულებრივი ქცევა არის – სოციალურ გარემოსა და დანაშაულის ჩამდენი პირის ურთიერთქმედების შედეგი. ურთიერთქმედება ნიშნავს ამ ორი ფაქტორის ერთმანეთზე მუდმივ ზემოქმედებას.[288] სოციალური გარემო აყალიბებს პიროვნებას, უქმნის ამა თუ იმ ქცევის არჩევანის პირობებს. მაგ. ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური სიტუაცია ზოგს აიძულებს მეტი იმუშაოს, ხოლო ზოგს კი უბიძგებს დანაშაულის ჩადენისაკენ. ნების თავისუფლება ადამიანს უფლებას აძლევს აირჩიოს მისთვის მისაღები ქცევა და იმოქმედოს დამოუკიდებლად.

ნებისმიერი დანაშაულებრივი ქცევა დეტერმინირებულია ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა რთული ურთიერთქმედებით, ასევე სოციალური გარემოთი და თავად დამნაშავის პიროვნებით.[289]

ნებელობითი მოქმედების პრაქტიკულ განხორციელებას ყოველთვის წინ უსწრებს მოტივაციის პროცესი, რომლის დროსაც სუბიექტი იდეალურად, აზრობრივად მოქმედებს, აწონ-დაწონის ობიექტურ ფაქტორებს (სიტუაცია, მოთხოვნილების საგანი, სოციალური ქცევის ნორმები, საზოგადოებრივი ინტერესები, ღირებულებითი ორიენტაციები

---

[287] Механизм преступного поведения / отв. ред. В.Н.Кудрявцев, М., 1981, გვ. 31.

[288] იხ.: Антонян Ю.М., Причины преступного поведения, М., 1992, გვ. 10, 35.

[289] იხ.: Номоконов В.А., Преступное поведение: детерминизм и ответственность, Владивосток, 1989, გვ. 11.

და სხვა) სუბიექტურ ფაქტორებთან (მოთხოვნილებები, ინტერესები, ღირებულებითი ორიენტაციები, ადრე მიღებული გამოცდილებები, განწყობები და სხვა) მიმართებით და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ქცევის მეორე საფეხური, რომელიც მიღებული გადაწყვეტილების ანუ ჩამოყალიბებული მოტივის გარე სამყაროში რეალიზაციას გულისხმობს. თუკი ამ პროცესში რაიმე გაუთვალისწინებელი ფაქტორი იჩენს თავს, კვლავ ახალი მოტივაციის პროცესი წარმოიშობა.[290]

ჩვეულებრივ გამოყოფენ დანაშაულებრივი ქცევის სამრგოლიან მექანიზმს: დანაშაულის მოტივაცია; დანაშაულებრივ ქმედებათა დაგეგმვა; დანაშაულის განხორციელება და მავნე შედეგების დადგომა.[291]

ჯგუფურ დანაშაულებრივ ქცევას გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

§2. ჯგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათება

იმისთვის, რომ გავარკვიოთ ჯგუფური დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგია, პირველ რიგში, აუცილებელია დავადგინოთ სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით რა არის ჯგუფი და გამოვავლინოთ ზოგადი კანონზომიერებანი ჯგუფური ქმედებებისთვის.

XX საუკუნის დასაწყისში, ვ.მ.ბეხტერევი და მ.ვ.ლანგე – რუსეთში, ვ.მიოდე – გერმანიაში, ფ.ოლპორტი – აშშ-ში, დიდი ემპირიული მასალის საფუძველზე, მივიდნენ ერთობლივ დასკვნამდე: უშუალო კონტაქტის სიტუაცია არსებით გავლენას ახდენს ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობაზე, პირის მოქმედების შედეგზე და ყოველივე ამას თან სდევს „ზეინდივიდუალური“, ჯგუფური ფსიქოლოგიური ფენომენის წარმოშობა, რაც აერთიანებს ამ ჯგუფს.[292] ფრანგი ფსიქოლოგის ჟ.მონმოლენის აზრით, ეს იყო ჭეშმარიტი გადატრიალება სოციალური ზემოქმედების პრობლემის დამუშავებაში: „იგი აღარ ფასდება, როგორც ინდივიდის ფსიქოლოგიური მოვლენა და გაგებულია, როგორც სოციალური ურთიერთქმედების ფენომენი“.[293] რა იგულისხმება ურთიერთქმედებაში? ამერიკელი მეცნიერი მ.დოიჩი განასხვავებს ორი სახის ურთიერთქმედებას: კოოპერატიულს და კონკრეტულს. პირველ შემთხვევაში, თითოეულის საკუთარი მიზნისკენ წინსვლა ხელს უწყობს პარტნიორის მიზნის რეალიზებას (მიზანთა პოზიტიური ურთიერთკავშირი), მეორე შემთხვევაში კი – ართულებს ან გამორიცხავს მას.[294]

მიზანთა პოზიტიური ურთიერთკავშირი, როგორც კოოპერატიული ურთიერთქმედების არსი, ემსახურება იმას, რომ ჯგუფის წევრებმა (ურთიერთქმედების მონაწილეებმა) უფრო ადვილად, ვიდრე

---

290 დვალიძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, გვ. 30.

291 იხ.: Механизм преступного поведения / отв. ред., В.Н.Кудрявцев, М., 1981, გვ. 32.

292 Донцов А.И., Психология коллектива, М., 1984, გვ. 13.

293 ციტირებულია: Донцов А.И., იქვე, გვ. 14.

294 იქვე, გვ. 29.

ერთპიროვნულად, შეძლონ საკუთარი განზრახვისა და მოთხოვნილებების რეალიზება.

ამის შედეგად წარმოიშობა ადრე ერთმანეთისთვის უცნობ ადამიანთა შორის ფსიქოლოგიური ერთიანობა. როგორც ცნობილია, ღირებულებათა სიახლოვე, პოზიციათა მიზანდასახულობა წარმოადგენს ერთი ადამიანის მეორისადმი ლტოლვას. აქედან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ფსიქოლოგიური ერთიანობა – ესაა ღირებულებათა სიახლოვე, პოზიციათა მიზანდასახულობა. რაც უფრო ახლოსაა სხვისი აზრი საკუთართან, მით უფრო სიმპათიით ხარ განწყობილი მის მიმართ. ანალოგიურად ადამიანიც მიილტვის იმ ჯგუფში, რომლის ღირებულებებსაც იგი იზიარებს, და სადაც მის შეხედულებებს მხარს უჭერენ. დასავლეთის ფსიქოლოგები მოცემულ კანონზომიერებას ხსნიან პიროვნების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით და ჯგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით.

სხვა ადამიანებთან თანხმობის ძიება განპირობებულია სოციალური აღიარების საკმაოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნილებით, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების დაცულობას და ემოციურ კომფორტს. საკუთარი თავის განსაზღვრულ ღირებულებათა სტრუქტურაში შეყვანის, თავისი და სხვისი მოქმედების წესებისა და ნორმების შეფასების მოთხოვნილება ადამიანს სოციალურ გარემოში ორიენტირების შესაძლებლობას აძლევს, კარნახობს რისი და ვისი უნდა ეშინოდეს, რისკენ მიისწრაფვოდეს, რისთვის დაჯილდოვდება და რისთვის დაემუქრება სასჯელი.

ტ.ნიუკომი, მაგ., „თანხმობის“ ცნებაში გულისხმობს ორი ან მეტი პირის რაიმესთან დაკავშირებული მსგავსი შეხედულების არსებობას. თუ უთანხმოებას თან სდევს ურთიერთდამოკიდებულებაში ემოციური დაძაბულობა, მაშინ თანხმობა, პირიქით, ამცირებს მისი წარმოშობის შესაძლებლობას.[295]

ი.მ. ანტონიანის აზრით, „ჯგუფი (დანაშაულებრივი) უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც გაერთიანება იმ პირებისა, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან დანაშაულის ჩადენაში, არამედ როგორც ერთობა, რომელშიც პიროვნებას შესაძლებლობა ეძლევა თვითგამოვლენის, მხარდაჭერის და აღიარების“.[296]

მეორეს მხრივ, აღსანიშნავია, რომ ადამიანის შიდაჯგუფური „ყოფა“ წარმოშობს დამორჩილების მიზანშეწონილობას. ჯგუფის თითოეული წევრის მოთხოვნილების დაკმაყოფილება უზრუნველყოფილია ერთობლივი ქმედებით, რომლის წარმატება დამოკიდებულია მიზნის, ხერხისა და საშუალების შესახებ მათი აზრის იდენტურობაზე. როგორც წესი, ჯგუფის წევრი, უმრავლესობის მოსაზრების სასარგებლოდ იღებს გადაწყვეტილებას და ექვემდებარება ჯგუფის ზეწოლას. სოციალურ ფსიქოლოგიაში ადამიანის ჯგუფთან ასეთი ურთიერთდამოკიდებულება იწოდება კონფორმიზმად. ასეთი დაქვემდებარების მიზანშეწონილობა, ზოგიერთი ავტორის აზრით, ნაკარნახევია სამი გარემოებით. პირველ რიგში, პირისთვის ნაკლებ „ეკონომიურია“ სხვების გადარწმუნება, ვიდრე თავისი პოზიციის შეცვლა. მეორეც, უმრავლესობის თუნდაც აშკარად

[295] იხ.: Ньюком Т., Понятие согласия / Социология сегодня, М., 1965, გვ. 304.

[296] იხ.: Антонян Ю.М., Причины преступного поведения, М., 1992, გვ. 58.

მცდარ, მაგრამ ერთსულოვან მოსაზრებას მიმხრობილ პირს არ ეკისრება ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთო საქმის დამთავრებაზე. მესამეც, ხანგრძლივი ჯიუტობა, პირს უქმნის ჯგუფიდან გაძევების საშიშროებას, რამდენადაც მისი „დაყოლიება“ მეტისმეტად რთულია დანარჩენებისათვის.[297]

ამრიგად, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ჯგუფში შესვლის შემდეგ, პირი ხშირად ექვემდებარება ჯგუფურ ზეწოლას და უარს ამბობს მიზნისკენ მიმავალ საკუთარ გზაზე. პირისთვის მთავარია, რომ იგი იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს და ყოველივე ამას კი აღწევს ერთობლივი ქმედებით, ნაკლები ძალისხმევით, ვიდრე მარტო.

იმისთვის, რომ ინდივიდთა გაერთიანება იქცეს ჯგუფად, აღნიშნავს მ.დოიჩი, აუცილებელია მინიმუმ ოთხი პირობის დაცვა. პირველ რიგში, ინდივიდები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ ერთმანეთის არსებობაში. მეორეც, მათ უნდა ჰქონდეთ მოტივი, ინტერესი და ღირებულებები, რომელთა რეალიზებასაც ისინი ხედავენ კოოპერატიული ურთიერთქმედებებით. მესამეც, ასეთი ურთიერთქმედება უნდა აიგოს და განვითარდეს ისე, რომ მომავალში, კოოპერაციის საფუძველზე ურთიერთქმედება, თითოეულისათვის სტიმულის მიმცემი იყოს. მეოთხეც, ინდივიდები უნდა აფასებდნენ ჯგუფს, როგორც განსაკუთრებულ მთლიანობას.[298]

ერთობლივი ქმედება უნდა განვიხილოთ ჯგუფის მთავარ სისტემაშემქმნელ ნიშნად. ერთობლივი ქმედება საშუალებას იძლევა გამოვყოთ ორი ტენდენცია, რომელთა ურთიერთქმედებაც, თავის მხრივ, წარმოადგენს მათ ძირითად ნიშანს. „პირველი – ცალკეული საწარმოო ძალების ინტეგრაცია, რის შედეგადაც ეს ერთობლიობა იქცევა კოლექტიურ საწარმოო ძალად. მეორე – ცალკეული საწარმოო ძალების დიფერენციაცია, რომელიც გულისხმობს მათ სპეციალიზაციას და იერარქიზაციას და რომელთა გარეშეც შეუძლებელია ერთობლივი ქმედებით მიზნის მიღწევა“.[299]

ზემოთთქმულის გათვალისწინებით, სწორი იქნება, რომ ჯგუფის ცნება განვსაზღვროთ, როგორც ერთობლივი ქმედების ერთიანი სუბიექტი, რადგანაც მხოლოდ ჯგუფური სუბიექტი განასახიერებს განსაკუთრებულ მაინტეგრირებელ თვისებებს, რომლებიც ერთობლივი ქმედების საფუძველზე წარმოიშვებიან. მაგ., რ.ლ.კრიჩევსკი და ე.მ.დუბოვსკაია ერთობლივ ქმედებას უკავშირებენ კოლექტიურ სუბიექტს – ჯგუფს, ასევე ჯგუფური მიზნის განხორციელების შედეგის მიღწევას.[300]

განსაკუთრებულ მაინტეგრირებელ თვისებათა რიცხვში შედის მთლიანი სუბიექტის მოთხოვნილებები, ინტერესები და მიზნები, რომლებიც განპირობებულია ჯგუფის ადგილით საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში.[301] ამასთანავე ფსიქოლოგიური

---

[297] Донцов А.И., Психология коллектива, М., 1984, გვ. 59.

[298] იხ.: Донцов А.И., Психология коллектива, М., 1984, გვ. 23.

[299] იქვე, გვ. 114.

[300] Кричевский Р.Л., Дубовская Е.М., Психология малой группы, М., 1991, გვ. 35-36.

[301] იხ.: Буева Л.П., Деятельность как объект социальной психологии // Методологические проблемы социальной психологий, М., 1975, გვ. 59.

წარმონაქმნები, რომლებიც წარმოიშვებიან ჯგუფში, არ დაიყვანება ჯგუფში შემავალ ინდივიდთა ფსიქოლოგიური მახასიათებლების ჯამამდე.[302] ამ ნიშნით, ჯგუფური მოთხოვნილებები, ინტერესები და მიზნები, რაც აკმაყოფილებს ჯგუფის ერთობლივ ქმედებას, შეიძლება განვიხილოთ, როგორც მისი საკუთარი ნიშნები, რომლებიც ქმნიან მის მთლიანობას და სუბიექტურობას. ინდივიდუალური მოთხოვნილებები, ინტერესები და მიზნები ტრანსფორმირდება ჯგუფურ მოთხოვნილებებად, ინტერესებად და მიზნებად, რამდენადაც მათი ერთობლივი ქმედებით მიღწევა უფრო ადვილია, სწრაფია და ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს. ყოველივე ამის შედეგად, საერთო მიზანი ხდება ერთობლივ ქმედებაში მონაწილეობის ინდივიდუალური მოტივაციის საფუძველი, ფსიქოლოგიური ერთობის ღერძი. „მიზანი თითოეულისათვის – საკუთარია, ასევე ყველასათვის – საერთოა“.[303]

შედეგით განჭვრეტილი მიზნის არსებობა, რომელზეც ორიენტირებულია სუბიექტის აქტივობა – სოციალური ქმედების ნიშანია. მაგ. კ.კ.პლატონოვი ერთობლივ ქმედებად მიიჩნევს ორი ან მეტი პირის ურთიერთქმედებასა და ურთიერთდამოკიდებულებას საერთო მიზნის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, ავტორი თვლის, რომ ერთობლივი ქმედებისათვის დამახასიათებელია საერთო მიზანი, რომელსაც ერთობლივი ქმედების განხორციელებისას ექვემდებარება ჯგუფის თითოეული წევრის კერძო მიზანი.[304] ამგვარად, მიზანი ერთობლივი ქმედების ორგანიზებისა და სისტემის ჩამოყალიბების საწყისია.[305]

§3. ჯგუფური დანაშაულის ფსიქოლოგიური თავისებურებანი

ჯგუფური ქმედების მოტივაცია, ჯგუფური ინტეგრაციის ბუნება მჭიდრო კავშია ჯგუფის განვითარების დონესთან. რამდენადაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლი ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობის ფორმათა მკაფიო დიფერენცირებას ახდენს, აუცილებლად მივიჩნევთ, რომ ჯგუფური ქმედების საერთო კანონზომიერებათა გამოვლენის გათვალისწინებით, ცალკ-ცალკე განვიხილოთ წინასწარი შეთანხმების გარეშე ჯგუფის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფისა და ორგანიზებული ჯგუფის ფსიქოლოგიური თავისებურებანი.

წინასწარი შეთანხმების გარეშე ჯგუფის ფსიქოლოგია შეიძლება დავახასიათოთ შემდეგნაირად. საქ. სსკ 27-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად - „დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი“.

---

302 იხ.: Андреева Г.М., Социальная психология, М., 1980, გვ. 179.

303 Ломов Б.Ф., К проблеме деятельности в психологии // Психологический журнал, 1981, №5, გვ. 19.

304 იხ.: Платонов К.К., Структура и развитие личности, М., 1986, გვ. 86, 211.

305 Прангишвили И.В., Системный подход и общесистемные закономерности, М., 2000, გვ. 13, 23.

ასეთი ჯგუფის წევრთა შორის ფსიქოლოგიური კავშირები სუსტადაა გამოხატული. ეს იმითაა განპირობებული, რომ ჯგუფის წევრებმა არ იციან პარტნიორთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მათ ქმედებათა დეტერმინანტები. ჯგუფის წევრთა ქმედება სუსტად კოორდინირებულია, ქმედებათა შეთანხმება ხორციელდება სტიქიურად. დანაშაული ხორციელდება წინასწარი შეთანხმების გარეშე. ჯგუფს არ გააჩნია იერარქიული სტრუქტურა. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ დროს დანაშაულის ჩადენა მოულოდნელია. მსგავს შემთხვევებში ერთგვაროვანი ქმედებები მიმართულია ერთი ან რამდენიმე მიზნის მიღწევისაკენ და ხორციელდება ერთდროულად.[306]

მიუხედავად ამისა, ასეთი ჯგუფის ქმედება ხასიათდება, როგორც ერთობლივი, ხოლო თავად ჯგუფი განიხილება როგორც ერთობლივი ქმედების ერთიანი სუბიექტი.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის ფსიქოლოგია ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით. საქ. სსკ 27-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად - „დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად“. რამდენადაც ასეთი ჯგუფის წევრები წინასწარ თანხმდებიან დანაშაულის ჩასადენად, ამიტომ თითოეული მათგანის ქმედება საერთო ჯამში მოტივირებულია ჯგუფის სხვა წევრებთან ოპტიმალური ურთიერთქმედებით, ჯგუფური გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც წესი, ემოცია მეტია, ვიდრე ინდივიდუალურის შემთხვევაში, მაგრამ ეს ემოციები ასახავენ ჯგუფის ერთიან ნებას, უტოლდებიან რა სიტუაციისა და საბოლოო შედეგის შეფასებას. ჯგუფის გადაწყვეტილება ნაკლებად სუბიექტურია, მეტად ზუსტია და შორსმჭვრეტი. ასეთ ჯგუფებში უკვე არსებობს, თუმც ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული, ფსიქოლოგიური სტრუქტურა, ამიტომ ისინი განსხვავდებიან მისი წევრების როგორც თვითნებობით, ისე მიზანმიმართულებით. ფუნქციათა შეთანხმება იწვევს გარკვეულ სირთულეებს და როგორც წესი, სტიქიური ხასიათის მატარებელია. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ჯგუფში ჯერ კიდევ არ არის ყველას მიერ არჩეული ლიდერი და დაქვემდებარების მკაცრი სისტემა, თუმც ჯგუფის წევრთაგან რომელიმე უკვე გამოირჩევა თავისი აქტიურობით. ჯგუფის წევრები ურთიერთობას აგებენ ემოციური სიახლოვისა და პირადი სიმპათიების საფუძველზე.[307]

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია თანაამსრულებლობით. თანამონაწილეობის ამ ფორმისათვის აუცილებელია არანაკლებ ორი ამსრულებელი.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფი არის უფრო მეტად შეკრული, ვიდრე წინასწარი შეთანხმების გარეშე ჯგუფი, ვინაიდან მათი გაერთიანება ხდება წინასწარი შეთანხმების დროს, თუმც არ არის მუდმივი ხასიათისა და იშლება დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგია.

---

[306] Васильев В.Л., Психологические аспекты преступнных формирований и расследования совершаемых ими преступлений, СПБ., 1994, გვ. 11-12.

[307] Петровский А.В., Личность. Деятельность. Коллектив. М., 1982, გვ. 60.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედება – ესაა ჯგუფური სუბიექტის ქმედების უმაღლესი დონე, რომელიც ხასიათდება აქტიური ჯგუფური ფსიქოლოგიის გაცნობიერებული ორგანიზაციით. ეს არის ჯგუფის წევრთა ნებელობითი ქმედების მარეგულირებელი, რომლითაც მიიღწევა მთელი ჯგუფისა და მისი თითოეული წევრის ოპტიმალური მიზნები. ორგანიზებული ჯგუფის წევრები გაერთიანებულნი არიან საერთო ღირებულებების, მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც მთლიანად ჯგუფისთვის, ისე ცალკე თითოეული მისი წევრისათვის; ამიტომ მათ შორის დამოკიდებულება მნიშვნელოვნად უტოლდება ჯგუფს და ღირებულია ერთობლივი ქმედებისთვის. ამასთან დაკავშირებით, ორგანიზებული ჯგუფები წარმოადგენენ მთლიან ფსიქოლოგიურ ფენომენთა ერთობლივ სუბიექტს; ერთობლივია, ანუ რომელიც არ არის დაშლილი ჯგუფის ცალკეულ წევრთა ინდივიდუალურ თვისებებად და მათგან არ გამომდინარეობს. ეს კი ნიშნავს, რომ ჯგუფის ლიდერთა მოტივები და განზრახვა ინდივიდის ქმედების განმსაზღვრელია. მთლიანისა და ნაწილის შესახებ კანონზომიერება ასეთია: რაც უფრო ძლიერია და რთულია კავშირი ნაწილებს შორის, მით უფრო მეტია მთლიანის როლი მის ნაწილებთან მიმართებაში და მაშასადამე, შედარებით ნაკლებია მთელისაგან ნაწილების დამოუკიდებლობა.[308]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი – ე.ი. წინასწარი შეთანხმების გარეშე და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულში საქმე გვაქვს თანაამსრულებლობასთან.

თუ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია არანაკლებ ორი ამსრულებელი, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის აუცილებელია დადგინდეს ორგანიზებული ჯგუფისათვის დამახასიათებელი ნიშნები (სიმყარე, გაერთიანება). ორგანიზებული ჯგუფი არის სტრუქტურული ფორმის მქონე, მას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელმაც შექმნა ეს ჯგუფი და წევრები, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ ამ ჯგუფის ფუნქციონირების საერთო მიზნები და მისი წევრობა.

სტრუქტურა (ლათ. structura – აღნაგობა, განლაგება, წესრიგი) ნიშნავს ობიექტის მყარი კავშირების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის მთლიანობასა და თავისთავის მიმართ იგივეობას, მისი ძირითადი თვისებების შენარჩუნებას სხვადასხვა გარეგანი და შინაგანი ცვლილებების დროს. ცნება „სტრუქტურა“ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში დიდი ხანია გამოიყენება ფორმის ცნების განსაზღვრის ერთ-ერთ ხერხად (ფორმა, როგორც შინაარსის სტრუქტურა, ორგანიზაცია).[309]

ორგანიზებული ჯგუფისათვის დამახასიათებელია ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურა, საერთო მატერიალურ-ფინანსური ბაზა,

---

[308] იხ.: Миненок М.Г., Проблемы борбы с организованной преступностью / Сборник научных трудов. Организованная преступность. Уголовно-правовые и криминологические проблемы. Калининград, 1999, გვ. 7.

[309] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთ. რედ.: ირ.აბაშიძე, ტომი IX, თბილისი, 185, გვ. 583.

რომელიც დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული სარგებლით არის შექმნილი, განსაზღვრულია ჯგუფის წევრთა დისციპლინა, ურთიერთთანამშრომლობისა და ქცევის წესები, წევრობას აქვს უწყვეტი ხასიათი. განვითარებულ სტრუქტურაში მოიაზრება ხელმძღვანელობითი შემადგენლობის არსებობა (მაგ. ხელმძღვანელი, ხელმძღვანელთა საბჭო, სხვადასხვა დავალებების ამსრულებლები), რომლებიც წევრებს შორის ანაწილებენ ფუნქციებს. ორგანიზებული ჯგუფის სიმყარეზე მეტყველებს ისიც, რომ დანაშაულებრივი საქმიანობა იგეგმება დიდი ხნის მანძილზე).

განვითარებულია სტრუქტურა, რომელშიც მუდმივად არის განაწილებული როლები და ჰყავს ხელმძღვანელი.

განუვითარებელი იქნება სტრუქტურა, რომელშიც შეიძლება შეიცვალოს როლები და ჯგუფის ხელმძღვანელი. მაგ.: ფულის გათეთრებას ვერ ჩაიდენენ განვითარებული სტრუქტურის გარეშე, მაგრამ ქურდობა შეიძლება ამის გარეშეც.

ორგანიზებული ჯგუფი რთულ სიტუაციებში, როგორც წესი, გამოირჩევა აქტიურობის ზრდით, მათი ქმედების ეფექტურობა კი არ მცირდება, არამედ პირიქით იზრდება. ორგანიზებული ჯგუფისათვის თითქმის გამორიცხულია ქმედების შედეგის გაფანტვა (მაგ. ამსრულებლის ექსცესი), ვინაიდან ეს არის „დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებული, შეთანხმებულად მოქმედი, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი, რომლის წევრები წინასწარ არიან შეკავშირებული ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად და რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება“ (საქ. სსკ 27-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

საქართველოს სს კოდექსის 27-ე მუხლის შენიშვნაში მითითებულია: „სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა“.

მკვლევართა აზრით, დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებები იქმნება რამდენიმე გზით: ა) სიტუაციურ-ძალისმიერი; ბ) ფუნქციონალურ-სახელშეკრულებო და გ) ფორმალურ-წარმოებითი. პირველი ხერხი ახასიათებს ანგარებით-ძალადობრივი ორიენტაციის დამანშევათა ორგანიზებულ ჯგუფს, როდესაც ჯგუფი იქმნება იმ აუცილებლობის გამო, რომ დანაშაული ჩადენილი უნდა იქნეს კრიმინალური წარსულის მქონე პირების მიერ. მოცემულ შემთხვევაში ჯგუფის წევრები კისრულობენ გარკვეული ორგანიზატორული ფუნქციების შესრულებას და გადაწყვეტილებებს ღებულობენ შექმნილი კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციიდან გამომდინარე. ასეთი ჯგუფები შესაძლებელია, გადაიქცნენ საკმაოდ მდგრად ფორმირებებად, გართულდნენ სტრუქტურულად და გაიზარდონ წევრთა რაოდენობის მიხედვით. თუმცა შესაძლოა, დაიშალონ ერთი დანაშაულის ან დანაშაულთა სერიის შემდეგ.

მეორე მეთოდის რეალიზება ხდება მაშინ, როცა ორგანიზებულ დამნაშავეთა ფორმირებების პერსპექტიულ ლიდერებს აქვთ დრო, რათა დეტალურად დაგეგმონ მომავალი მართლსაწინააღმდეგო საქმიანობა.

და ბოლოს, მესამე – ფორმალური – წარმოებითი – ხერხი ახასიათებს ანგარებით – სამეურნეო ორგანიზებულ დანაშაულობას, როდესაც დანაშაულებრივი ქვეგანაყოფების ცალკეული რგოლები იმეორებენ სახელმწიფო, სამეურნეო და სამმართველო სტრუქტურებს, მასში ფაქტიურად არაფერს ცვლიან და მხოლოდ თანდათანობით არეგულირებენ და გარდაქმნიან კორუმპირებული და არასასურველი თანამშრომლების აუცილებელი რგოლების მოცილების მეშვეობით. ასეთი ჯგუფების წევრები, როგორც წესი ასრულებენ როგორც სრულიად ლეგალურ, ასევე არალეგალურ და კანონსაწინააღმდეგო ფუნქციებს, ხოლო ორგანიზაციებს აქვთ ორმაგი ბუღალტერია და სჩადიან საგადასახადო დანაშაულს.[310]

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ეკონომიურ და სოციალური ფუნქციების მატარებელ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს. ეკონომიკური ფუნქციის მატარებლად ჩაითვლებიან ის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები, რომელთა საქმიანობის ძირითად მიზანს ეკონომიკური სარგებლის მიღწევა წარმოადგენს. ამგვარ დანაშაულებრივ ჯგუფებს მიეკუთვნებიან: რუსული მაფია, კოლუმბიური მაფია, წითელი მაფია სსსკ-ში.

სოციალური ფუნქციის მატარებელი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისათვის მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებას (მიზანს) წარმოადგენს არა ეკონომიკური მოგების მიღება, არამედ ჯგუფის წევრების დანაშაულებრივი საქმიანობისათვის ხელის შეწყობა და მათზე ზრუნვა (ჯგუფში მათი სოციალური ინტეგრაცია). მაგ. ჯგუფის მიზანია ჯგუფის წევრებში ერთიანობის გრძნობის ჩამოყალიბება-გაძლიერება, რაც ხორციელდება ჯგუფის შიგნით მათთვის სტატუსის მინიჭებაში, ყოველმხრივ დახმარებაში და მათი ოჯახის წევრებზე ზრუნვაში. ამგვარ დანაშაულებრივ ჯგუფებს მიეკუთვნებიან: „კოზა ნოსტრა“ აშშ (განვითარების პურველ ეტაპზე), „კანონიერი ქურდები“, ჩინური ტრიადი.

გარდა ფუნქციების მიხედვით ორგანიზებული ჯგუფების გამიჯვნისა, მნიშვნელოვანია მათი გამიჯვნა სტრუქტურული კომპლექსურობის მიხედვით. კომპლექსური არის ის ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია ჰორიზონტალური (საქმიანობის განაწილება) და ვერტიკალური (იერარქია) დაყოფა და მათი სამოქმედო სფერო ტრანსნაციონალურია.

კომპლექსური ორგანიზებული ჯგუფი არ არის ბევრი. მაგ.: კოზა ნოსტრას აშშ-ში, გააჩნია იერარქია, მაგრამ არ გააჩნია საქმიანობის ზუსტი განაწილება მის წევრებს შორის (მაგ. არ არსებობს მათში კონფლიქტური სიტუაციის მარეგულირებელი პირი, ჯგუფი).[311]

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ორგანიზებული ჯგუფი ხასიათდება ერთობლივი ქმედების მაღალი დონით და წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების ერთიან (საერთო) სუბიექტს.

---

[310] კრიმონოლოგია და სამართალდამცავი სისტემა აშშ და საქართველო, მთ. რედ.: გ.ღლონტი, 2003, გვ. 254-255.

[311] შალიკაშვილი მ., კრიმონოლოგია, თბილისი, 2010, გვ. 120-121.

თავი VI. დანაშაულში თანამონაწილეობა ცალკეული ქვეყნის სისხლის სამართლის მიხედვით

§1. დანაშაულში თანამონაწილეობა საერთაშორისო სისხლის სამართალში

საერთაშორისო სისხლის სამართალში თანამონაწილეობის ცნება გამომდინარეობს თანამონაწილეობის ზოგადი გაგებიდან, რომელიც ეყრდნობა სისხლის სამართლის დოქტრინას, კანონმდებლობასა და ქვეყნების უმრავლესობის პრაქტიკას. ჩვეულებრივ, თანამონაწილეობაში იგულისხმება ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში. დანაშაულში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ნიშანდობლივია ორი მახასიათებელი: პირველ რიგში, დახმარება (თანადახმარება), ე.ი. ხელის შეწყობა, რომელსაც თითოეული მათგანი უწევს ან შეუძლია გაუწიოს მეორეს დანაშაულების ჩადენაში; მეორე რიგში კი - თანამონაწილეთა განზრახვა, რომელიც ინდივიდუალური დანაშაულის ჩადენის განზრახვისაგან განსხვავებით, მოიცავს იმ ფაქტის გათვალისწინებას, რომ სუბიექტი მოქმედებს არა მარტო, არამედ სხვა პირებთან ერთად, უწევს მათ დახმარებას და (ან) შეუძლია მათი მხრიდან დახმარების იმედი ჰქონდეს.[312]

სისხლის სამართლის დოქტრინაში გავრცელებულია თანამონაწილეობის ფორმებისა და თანამონაწილეთა სახეების სხვადასხვა კლასიფიკაცია. საერთაშორისო სისხლის სამართალში ყველაზე უფრო მიღებულია თანამონაწილეთა შემდეგი ფორმები: ა) მარტივი თანამონაწილეობა (თანაამსრულებლობა); 2) რთული თანამონაწილეობა (როლების დანაწილებით); გ) დანაშაულებრივი ორგანიზაცია. ყველა ეს ფორმა გვხვდება საერთაშორისო დანაშაულებში.[313]

მარტივ თანამონაწილეობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა თანამონაწილეები უშუალოდ ახორციელებენ მოცემული დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს. ეს შეიძლება შეგვხვდეს საერთაშორისო ხასიათის ისეთ დანაშაულებში, როგორიცაა: კონტრაბანდა, ფულისა და ფასიანი ქაღალდების გაყალბება, მეკობრეობა. მარტივი თანამონაწილეობა საერთაშორისო დანაშაულებისათვის ნაკლებად არის დამახასიათებელი: მისი განხორციელება ხდება არც თუ ისე დიდი რაოდენობის პირების მიერ, რომლებიც თანხმდებიან ერთად ჩაიდინონ საერთაშორისო ხასიათის ისეთი დანაშაული, რომლის მომზადებაც და განხორციელებაც მარტო გაცილებით რთულია.[314]

საერთაშორისო დანაშაულისათვის მახასიათებელია თანამონაწილეობა როლების განაწილებით. თანამონაწილეობის ამ

---

312 Международное уголовное право. Учебн. посьие / под общей ред. В.Н. Кудрявцева, 2-е изд. М., Наука, 1999, გვ. 56.

313 იქვე;

314 Карпец И.И., Преступления международного характера, М., 1979, გვ. 215.

ფორმაში გამოიყოფა: ამსრულებლები, ორგანიზატორები, წამქეზებლები და დამხმარეები, რომლებიც თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ ზოგჯერ ერთმანეთთან უშუალო კავშირების გარეშე, კონსპირაციულად. ყველა ისინი გაერთიანებულნი არიან. როლების დანაწილებით თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება არა მათი ცალკეული ქმედებებისათვის, რომლებიც ჩადენილია უშუალოდ თითოეული მათგანის მიერ, არამედ მთელი დანაშაულებრივი საქმიანობისთვის, რომელშიც მონაწილეობდნენ, ამასთანავე დანაშაულის შედეგად გამოწვეული ერთობლივად მიყენებული ზიანისთვისაც.

ეს მდგომარეობა პირდაპირ დაფიქსირებულია ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებაში (მუხ. 6), რომლის თანახმადაც: „ხელმძღვანელებს, ორგანიზატორებს, წამქეზებლებსა და დამხმარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სხვა პირების მიერ მათი გეგმებისა და შეთანხმებების განხორციელების მიზნით ჩადენილი ქმედებებისთვის“.[315]

ა.ნ. ტრაინინი, აღნიშნავდა რა მძიმე საერთაშორისო დანაშაულების მომზადებისა და განხორციელების სირთულეს, წერდა: „ასეთი სახის ქმედებები, თავისი ბუნებითა და მაშტაბურობით, მოითხოვს შეთანხმებულ პირთა გარკვეულ რაოდენობას. ამისათვის საჭიროა მრავალრიცხოვანი რგოლებისა და პირების რთული, განშტოებული და ამასთანავე ერთსულოვანი საქმიანობა.[316]

ამ გარემოებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მძიმე საერთაშორისო დანაშაულისათვის დამახასიათებელია მესამე ფორმა თანამონაწილეობისა – დანაშაულებრივი ორგანიზაცია. ეს ტერმინი შეტანილია საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-9 მუხლში. დანაშაულებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაც განიხილებოდა ნიურბერგის ტრიბუნალის მიერ, მოიცავდა ასობით და ათასობით სხვადასხვა სოციალური და თანამდებობრივი მდგომარეობის ადამიანს, მათში ჩაბმულს სხვადასხვა გზებითა და მეთოდებით, განსხვავებული მოტივებით და სხვადასხვა ფუნქციების ამსრულებლებით. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მუშაობაში წამოიჭრა აუცილებლობა: პირველ რიგში, ამ ხალხთა მასებიდან გამოეყოთ სუბიექტთა ის წრე, რომლებიც უნდა განეხილათ როგორც საერთაშორისო დანაშაულის აქტიური მონაწილენი; მეორეც, ამ წრის შიგნით მოეხდინათ დანაშაულებრივი ორგანიზაციის კონკრეტული წევრების ფუნქციათა და როლთა დიფერენციაცია, განესაზღვრათ ბრალის ხარისხი და თითოეული მათგანის პასუხისმგებლობა.[317]

ამ საკითხთა გადაწყვეტის საფუძვლებს შეიცავდა სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის თეორია. საუბარია პასუხისმგებლობისა და სასჯელის დიფერენციაციაზე, გამომდინარე ჩადენილის სიმძიმიდან, ბრალის ხარისხიდან და დანაშაულის ჩამდენის მონაცემებიდან. ეს მდგომარეობა პრაქტიკაში იქნა დამკვიდრებული საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენი პირებისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

---

315 Нюрнбергский процесс, ტ. 1, 1987, გვ. 16.

316 Трайнин А.Н., Защита мира и уголовный закон, М., 1969, გვ. 320.

317 Международное уголовное право. Учебн. посоьие / под общей ред. В.Н. Кудрявцева, 2-е изд. М., Наука, 1999, გვ. 57.

ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენში დადგენილია, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაცია მოიცავს სამი შემდეგი კატეგორიის პირს: ა) ორგანიზაციის წევრები, რომელთაც ტრიბუნალის მიერ ჩამოთვლილი ხელმძღვანელობითი თანამდებობები უკავიათ; ბ) სხვა პირები, რომლებიც შევიდნენ ორგანიზაციაში და დარჩნენ, იცოდნენ რა იმის შესახებ, რომ იგი გამოიყენებოდა დანაშაულებრივი ქმედებების ჩასადენად; გ) პირები, რომლებიც პირდაპირ ჩართულები არიან დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებაში, ე.ი. ორგანიზაციის წევრები. რაც შეეხება შემდგომში მათი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას, იგი ხორციელდებოდა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მე-10 მუხლის საფუძველზე, რომელიც ადგენდა: „თუ ტრიბუნალი ცნობს ამა თუ იმ ჯგუფს ან ორგანიზაციას დანაშაულებრივად, თითოეულ კომპეტენტურ ნაციონალურ მთავრობას, რომელიც ხელმოწერით მხარედაა ცნობილი, უფლება აქვს გადასცეს ნაციონალურ, სამხედრო ან საოკუპაციო ტრიბუნალის სასამართლოს ამ ჯგუფის ან ორგანიზაციის წევრები. ასეთ შემთხვევებში, ჯგუფის ან ორგანიზაციის დანაშაულებრივი ხასიათი დამტკიცებულია და არ შეიძლება სადავო იყოს“.[318] ინდივიდუალური ბრალიდან გამომდინარე განისაზღვრებოდა კონკრეტული პირების – ამ ჯგუფისა და ორგანიზაციის წევრების პასუხისმგებლობა.

წესდების საფუძველზე, მეორე მსოფლიო ომის დროს, ევროპისა და აზიის დემოკრატიული ქვეყნების მრავალი სამხედრო დამნაშავე იყო მსჯავრდებული.

დანაშაულებრივი ორგანიზაციის სპეციფიკური ფორმაა – შეთქმულება; ეს დამახასიათებელია განსაკუთრებით მძიმე საერთაშორისო დანაშაულების მომზადებისათვის, დაგეგმვისათვის და განხორციელებისათვის, რომელიც თავის მხრივ განიხილება როგორც დამოუკიდებელი დანაშაული.[319]

განვიხილოთ თანამონაწილეთა ცალკეული სახეები საერთაშორისო დანაშაულებში. თუ ზოგადად სისხლის სამართლის დანაშაულებში მთავარი ფიგურა ჩვეულებრივ ამსრულებელია, საერთაშორისო დანაშაულებში – საქმე სხვაგვარადაა. საერთაშორისო მძიმე დანაშაულები არის შედარებით რთული მოსამზადებელი და განსახორციელებელი, ვიდრე ზოგადად სისხლის სამართლებრივი; დამნაშავეთათვის აუცილებელია მეტი გულმოდგინებით კონსპირაცია, კვალის დაფარვა. ამ მიზეზთა გამო, საერთაშორისო დანაშაულებში თანამონაწილეთა შორის პირველ რიგში დგას ორგანიზატორი (ხელმძღვანელი). საერთაშორისო დანაშაულის ორგანიზატორს და ხელმძღვანელს ეკისრება პასუხისმგებლობა დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრთა მიერ განხორციელებული ყველა ქმედებისათვის.[320]

ორგანიზატორთან (ხელმძღვანელთან) მჭიდროდაა დაკავშირებული წამქეზებელი, ე.ი. პირი, რომელიც სხვა თანამონაწილეს იყოლიებს დანაშაულის ჩასადენად. საერთაშორისო მძიმე დანაშაულში

---

[318] Нюрнбергский процесс, ტ. 1, 1987, გვ. 17.

[319] Международное уголовное право. Учебн. пособие / под общей ред. В.Н. Кудрявцева, 2-е изд. М., Наука, 1999, გვ. 59.

[320] იქვე;

ორგანიზატორისა და წამქეზებლის ფუნქცია ხშირად ემთხვევა ერთმანეთს.[321]

საერთაშორისო დანაშაულისათვის სპეციფიკურია დამხმარეთა ქმედებები. საერთაშორისო მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ფართო მაშტაბებიდან გამომდინარე, ისეთების როგორიცაა აგრესიული ომის დანაშაული, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და ა.შ., თავად დახმარება, რომელშიც იგულისხმება თანამონაწილეთათვის ხელის შეწყობა სხვადასხვა ფორმით, წარმოადგენს განშტოებულ რთულ საქმიანობას. ზოგჯერ რთულია გამოყოფა, სად მთავრდება ხელის შეწყობა საერთაშორისო დანაშაულის ჩადენაში და სად იწყება მისი განხორციელება.[322]

საერთაშორისო დანაშაულში ამსრულებლის სახე ისეთივე რთულია, როგორც თვით საერთაშორისო დანაშაული. ა.ნ. ტრაინინი, ამ საკითხთან მიმართებაში, აღნიშნავდა: „ამსრულებლის როლი საერთაშორისო დანაშაულში მდგომარეობს იმაში, რომ იგი მოქმედებს არა მარტო, არამედ რთული საამსრულებლო აპარატის მეშვეობით... წარმოიშობა საკმაოდ თავისებური სამართლებრივი სიტუაცია: დანაშაულის ძირითადი ამსრულებელი მოქმედებს ისეთ პირთა მეშვეობით, რომლებიც ასევე ამსრულებლები არიან“.[323]

მრავალსაფეხურიანი, ძირითადი დანაშაულებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, რომელიც შედგება კონკრეტული, ცალკეული დანაშაულებრივი ქმედებებისაგან (მკვლელობა, ძალადობა და ა.შ.), ყალიბდება ყველა ამ დანაშაულის ამსრულებლის მრავალსაფეხურიანი „სისტემა“. არა მხოლოდ დანაშაულის ობიექტური მხარე, არამედ თითოეული ამსრულებლის განზრახვა და მათი ქმედების მოტივი შეიძლება სხვადასხვა იყოს. აგრესიული ომის ორგანიზატორთა და სულისჩამდგმელთა მიზანი და მოტივი, გათვალისწინების მაშტაბები, რა თქმა უნდა, არ განსხვავდება რიგით ამსრულებელთა მიზნისა და მოტივისაგან. „ტერორისტული ჯგუფების ორგანიზატორები, - წერდა ი.ი.კარპეცი, - ქმნიან მათ გრძელვადიანი საქმიანობისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების დეზორგანიზაციის მიზნით; მაგრამ ტერორიზმის ცალკეულ აქტებს შეიძლება ახორციელებდნენ შემთხვევითი ადამიანები გარკვეული თანხის სანაცვლოდ“.[324] თუმც, ეს არ ათავისუფლებს მათ საერთაშორისო დანაშაულში მონაწილეობისთვის პასუხისმგებლობისგან, რამდენადაც მათ იცოდნენ ამის შესახებ და შეგნებულად დათანხმდნენ ასეთ მონაწილეობას.

საერთაშორისო დანაშაულის ამსრულებლის კავშირს ორგანიზატორთან გააჩნია ორმხრივი იურიდიული მნიშვნელობა. ერთის მხრივ, ამსრულებლებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ ხელმძღვანელის მიერ დანაშაულის ჩასადენად გაცემული ბრძანების შესრულებისათვის; მეორეს მხრივ, თავად ხელმძღვანელებსაც ბრალად ერიცხებათ ის

---

321 Международное уголовное право. Учебн. посоьие / под общей ред. В.Н. Кудрявцева, 2-е изд. М., Наука, 1999, გვ. 60.

322 Блищенко И.П., Солнцева М.М., Мировая политика и чеждународное право, М., 1991, გვ. 67.

323 Трайнин А.Н., Уголовная ответственность гитлеровцев, М., 1944, გვ. 80-81.

324 Карпец И.И., Преступления международного характера, М., 1969, გვ. 222.

დანაშაულები, რომლებიც ამსრულებელთა მიერ იქნა ჩადენილი ერთობლივი გეგმის ფარგლებში.[325]

საერთაშორისო სისხლის სამართლისათვის თანამონაწილეობის აქცესორული თეორია მიუღებელია. საერთაშორისო დანაშაულებში საშიშროების ცენტრი, არც თუ ისე იშვიათად, ირევა ამსრულებლიდან ორგანიზატორში და წამქეზებელში, ვინაიდან ზუსტად ამ პირებს ძალუძთ გააერთიანონ მრავალ პირთა დანაშაულებრივი საქმიანობა. საქმის ვითარებას არ ცვლის ის გარემოება, რომ თუ ამ საერთო საქმიანობიდან რომელიმე ამსრულებელი, ამა თუ იმ მიზეზის გამო არ მონაწილეობდა, ან ვერ მიაღწია აღნიშნულ შედეგს.[326]

საერთაშორისო სისხლის სამართლით, დანაშაულის თანამონაწილეებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა სხვათა დანაშაულში მონაწილეობისათვის და არა მათი ზემოქმედებით და ხელშეწყობით ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ იმისთვის, რომ მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ერთობლივ საქმიანობაში, ვინაიდან თითოეული მათგანი თავად ხელყოფს სისხლის სამართლის კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ამგვარი გაგებიდან გამომდინარეობს ე.წ. ამსრულებლის ექსცესის საკითხის გადაწყვეტაც, რომლის ქვეშაც იგულისხმება ამსრულებლის ისეთი დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც სცდება თანამონაწილეთა საერთო გეგმის ჩარჩოებს, ე.ი. მათი შეთანხმებისაგან დამოუკიდებლად; მაგ., კონტრაბანდული საქონლის გადატანისას (რაც იყო დაგეგმილი), ამსრულებელმა მოკლა მესაზღვრეც.[327]

რამდენადაც თანამონაწილეობა არის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა, და ამსრულებლის ექსცესისას განზრახვა არ არსებობს, ამიტომ თანამონაწილეებს არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროთ ამსრულებლის ისეთი ქმედებისათვის, რომლის შესახებაც მათ არ იცოდნენ და არც შეთანხმებულან. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე – პირს პასუხისმგებლობა ეკისრება მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების – ინგლისის, აშშ-ს, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის და იაპონიის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, როგორიცაა დანაშაულში თანამონაწილეობა. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტი განხილული არის ორი ძირითადი სამართლებრივი სისტემით: ანგლო-საქსურით და კონტინენტურით. ანგლო-საქსური სისტემა წარმოდგენილია ინგლისისა და აშშ-ს სისხლის სამართლით, კონტინენტური კი – საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, და ასევე იაპონიის სისხლის სამართლის სახით.

---

325 Международное уголовное право. Учебн. посьие / под общей ред. В.Н. Кудрявцева, 2-е изд. М., Наука, 1999, გვ. 61.

326 იხ. „Курс советского уголовного права. Часть общая“, Л., 1968, ტ. I. გვ. 588.

327 Ушаков Н. А., Основания международной ответсевенности государств, М., 1983, გვ. 24.

§2. დანაშაულში თანამონაწილეობა ინგლისის სისხლის სამართლში

ინგლისის სისხლის სამართალში, ისევე როგორც სხვა ინსტიტუტებს, თანამონაწილეობის ინსტიტუტსაც განვითარების უძველესი ისტორია გააჩნია. 1967 წლის სისხლის სამართლის კანონის გამოცემამდე თანამონაწილეთა კლასიფიკაცია დაკავშირებული იყო დანაშაულის სამ დიდ ჯგუფად დაყოფასთან: ღალატის ცნების შემცველი ქმედება; ფელონიები (სისხლის სამართლის დანაშაული) და მისდიმინორები (დასჯადი ქმედება). თანამონაწილეთა დაყოფა ამსრულებლად და დანაშაულის სხვა მონაწილეებად არსებობდა მხოლოდ ფელონიებთან მიმართებაში.[328]

ასეთი მიდგომა აიხსნებოდა იმით, რომ თანამონაწილეობა ღალატისას აღიარებული იყო იმდენად საშიშად, რომ მასში მონაწილენი იწოდებოდნენ ამსრულებლებად. მისდიმინორებთან დაკავშირებითაც ანალოგიური მიდგომა იყო იმ განსხვავებით, რომ ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო საჭირო არ იყო დანაშაულის თანამონაწილეთა ფორმალური გამიჯვნა.[329]

უნდა აღინიშნოს, რომ 1967 წლის სისხლის სამართლის კანონის მიღებისას, ინგლისში ჩამოყალიბდა ფელონიებს მისადაგებული თანამონაწილეობის განსაზღვრული სისტემა, რომელიც აერთიანებდა ამსრულებლებს და მათ თანამონაწილეებს დანაშაულის ჩადენამდე და დანაშაულის ჩადენის შემდეგ. ამსრულებლები იყოფოდნენ პირველი და მეორე ხარისხის ამსრულებლებად.[330]

პირველი ხარისხის ამსრულებლად იწოდებოდა დანაშაულებრივი ქმედების ამსრულებელი, ე.ი. პირი, რომელმაც დანაშაულებრივი განზრახვა განახორციელა და გამოიწვია გასაკიცხი შედეგი. თითქმის ყველა შემთხვევაში ასეთი პირი არის პირადად დანაშაულის ჩამდენი. თუმც გამორიცხული არ არის, რომ დანაშაული განხორციელდეს „უდანაშაულო შუამავლის“ (აგენტის) მეშვეობით, რომელიც არ ექვემდებარება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის, რამდენადაც მას არ ჰქონდა დანაშაულის ჩადენის განზრახვა. ამგვარად, უდანაშაულო შუამავლად ითვლება ის, ვინც სჩადის დანაშაულს actus reus (დანაშაულებრივი ქმედება), მაგრამ ქმედუუნარობის გამო არ ექვემდებარება პასუხისმგებლობას, ან არადა მას არ გააჩნია mens rea (ბრალდებულის ზრახვა), ანუ ქმედება ჩადენილ იქნა იძულებით.[331]

შუალობითი ამსრულებლობის მაგალითია, როცა ქალიშვილი, დედის მითითებით, ავადმყოფ მამას აძლევს წამალს, რომელიც საწამლავის შემცველია. თუ ქალიშვილისთვის არ იყო ცნობილი დედის განზრახვა, მამის სიკვდილის შემთხვევაში განზრახი მკვლელობის ამსრულებელი იქნება დედა და არა ქალიშვილი, რომელსაც არ ჰქონდა mens rea (თუმცა ეიპოის საქმეზე, ანალოგიურ სიტუაციაში, როდესაც

---

328 Козочкин Н.Д., Уголовное право зарубежных государств, Изд. Зерцало, М., 2001. გვ. 73.

329 იქვე;

330 იქვე, გვ. 75.

331 Кенни К., Основы уголовного права, М., 1949, გვ. 92.

ქალიშვილმა დედის მითითებით მისცა საწამლავი, ქალიშვილი ცნობილი იქნა ამსრულებლად, დედა კი – დანაშაულის თანამონაწილედ).[332] შედარებით თანამედროვე, თუმცა ნაკლებ დრამატული მაგალითია შუალობითი ამსრულებლობისა - სტინგერის საქმე, რომელშიც კომპანიის მენეჯერმა განზრახ ხელი მოაწერა ყალბ ხარჯთაღრიცხვას იმისთვის, რომ უდანაშაულო თანამშრომელთა ხარჯზე მიეღო ფული კომპანიის საბანკო ანგარიშიდან. სასამართლომ იგი ცნო შუალობით ამსრულებლად ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ფულის მიღებაში.[333]

დანაშაულის ჩადენის „იარაღად“ შეიძლება გამოყენებულ იყოს ცხოველიც. ასე მაგალითად, ქურდობაში დამნაშავედ იქნეს ცნობილი პატრონი, რომელიც იყენებს გაწვრთნილ ცხოველს ამისათვის.

მეორე ხარისხის ამსრულებელია პირი, რომლის ქმედებაც ფელონიის ჩადენის მომენტში მოცულია „დახმარებისა და წამქეზებლობის“ (aiding and abetting) ცნებების შინაარსით. იმისთვის, რომ გახდეს „დამხმარე და წამქეზებელი“ (aider and abetter), პირმა სიტყვით ან საქმით უნდა გამოამჟღავნოს აქტიურობა იმ მიზნით, რომ ამსრულებელი ან ამსრულებლები დაიყოლიოს დანაშაულის ჩასადენად. თუმც რიგ შემთხვევებში, ინგლისური სამართალი „aiding and abetting“ გამონათქვამში ზოგჯერ გულისხმობს „დახმარებას ან ხელის შეწყობას“.[334]

დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობისთვის პირს პასუხისმგებლობა ეკისრება ამსრულებლის მიერ ჩადენილი იმ ქმედებებისათვის, რომლებიც განხორციელებული იყო მათ მიერ ერთიანი მიზნის მისაღწევად. იმ შემთხვევაში, თუ ორ პირს განზრახული ჰქონდათ ჩაედინათ შეიარაღებული თავდასხმა და ერთმა მათგანმა მოკლა დაზარალებული, იმავდროულად მეორეც ესწრებოდა რა და ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენას, როგორც მეორე ხარისხის ამსრულებელი, თუმც მას თანხმობა არ მიუცია იმ ხარისხის ძალადობაზე, რასაც ადგილი ჰქონდა, პასუხისმგებლობა ეკისრება განზრახ მკვლელობის ჩადენაში.[335]

დანაშაულის ჩადენამდე დამხმარედ იწოდებოდა პირი, რომელიც დახმარებით ან რჩევის მიცემით ხელს უწყობდა ამსრულებელს ან ამსრულებლებს დანაშაულის ჩასადენად. თუ დანაშაული ჩადენილ იქნა განსხვავებული ხერხით, რომელიც შეთავაზებულ იყო თავდაპირველად, თანამონაწილე არ თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ამიტომ თუ **ა** აძლევს რევოლვერს **ბ**-ს, რომ მოკლას მესამე პირი, **ბ** კი იყენებს საწამლავს ცეცხლსასროლი იარაღის ნაცვლად, **ა** არ თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან იგი არის დამხმარე დანაშაულის ჩადენამდე; ხოლო, როცა **ბ**-მ იმის მაგივრად, რომ გამოეყენებინა **ა**-ს რჩევა, ჩაიდინა აბსოლუტურად სხვა დაუგეგმავი დანაშაული, პირი - რჩევის მიმცემი თავისუფლდება თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობისაგან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ მიცემული რჩევა სინამდვილეში არ იყო მიზეზობრივ კავშირში ჩადენილ

---

[332] Anon [1665] Kel 53 (Card and Jones, Introduction to Criminal Law, 1998, გვ. 657).

[333] Rv Stinger (1991) 94 Cr App Rep 13 CA.

[334] Кенни К., Основы уголовного права, М., 1949, გვ. 93.

[335] Rv Belts and Ridley [1930] 22 Cr App R148 (ციტირებულია: Кенни К., Основы уголовного права, М., 1949, გვ. 94).

დანაშაულთან. თუმც სასამართლო ყოველთვის არ აკისრებდა პასუხისმგებლობას დანაშაულის ჩასადენად რჩევის მიმცემ პირს. ამის მაგალითია სონდერსისა და არჩესის საქმე ბავშვის მკვლელობის ბრალდებით.[336] ერთმა მათგანმა დაიყოლია მეორე, ქალისათვის გადაეცა მოწამლული ვაშლი მისი სიკვდილის მიზნით. ქალმა ეს ვაშლი მისცა თავის შვილს, რომელიც მოიწამლა და მოკვდა. ამ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ეს შედეგი არ იყო იმდენად მოსალოდნელი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო თავდაპირველი წამქეზებლისათვის ბავშვის მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ დახმარება, ზოგადი წესით, მიეკუთვნებოდა თანამონაწილეობის ყველაზე უფრო დაშორებულ ხარისხს, რომლის დროსაც თანამონაწილედ იცნობოდა პირი, რომელმაც იცოდა ფელონიის ჩადენის შესახებ და აქტიური დახმარებით სთავაზობდა დამნაშავეთაგან ერთ-ერთს (დამხმარესაც კი) თავშესაფარს ან სხვაგვარად უწყობდა ხელს სამართალდამცავებისაგან დასაფარავად. მისდიმინორის ფაქტის ჩადენის შემდეგ დახმარება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებდა.

ფელონიაში თანამონაწილეობისას ზემოთ ჩამოთვლილ თანამონაწილეობის ფორმებს პრაქტიკულად სასჯელის განსაზღვრისას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. თითოეული დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმი უცვლელი რჩებოდა ყველა კატეგორიის თანამონაწილისათვის, რომლებიც შეიძლებოდა გასამართლებულნი ყოფილიყვნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამსრულებელი ჯერ კიდევ არ იყო გასამართლებული ან მიუწვდომელი იყო სამართალდამცავებისათვის. ეს ფაქტი განსაკუთრებულად ყურადსაღებია, რამდენადაც 1861 წლის კანონის გამოცემამდე არ შეიძლებოდა ამსრულებლამდე თანამონაწილეთა განსჯა, თუმც ნავარაუდევი ამსრულებელი შესაძლოა დაუსაბუთებლად გამართლებული ყოფილიყო ან დაკავებამდე გარდაცვლილიყო კიდეც.

ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება თანამონაწილეთა სხვადასხვა კატეგორიათა შორის, მდგომარეობდა იმაში, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დახმარება ისჯებოდა შედარებით მსუბუქად.

თანამონაწილეთა სხვადასხვა სახეთა სისტემის არსებობა (მხოლოდ ფელონიებთან შეფარდებით), გამოწვეული იყო პირველ რიგში იმით, რომ XIX საუკუნემდე ფელონიები, როგორც მძიმე დანაშაულები, სიკვდილით ისჯებოდა და მოსამართლეები მიილტვოდნენ შეეზღუდათ იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ეს სასჯელი და ეს წრე დაეყვანათ მხოლოდ დანაშაულის ამსრულებლებამდე.[337]

XIX საუკუნეში ინგლისის სისხლის სამართლის რეფორმა შეეხო თანამონაწილეობის ინსტიტუტსაც. 1861 წელს მიღებულ იქნა სტატუტი (რომელიც ითარგმნებოდა როგორც დამხმარეთა და წამქეზებელთა

[336] Кенни К., იქვე, გვ. 95.

[337] Козочкин Н.Д., Уголовное право зарубежных государств, Изд. Зерцало, М., 2001. გვ. 76.

კანონი). აღსანიშნავია, რომ ამ კანონით, მიუხედავად მისი სახელწოდებისა, არ იყო გამიჯნული თანამონაწილეობის ეს სახეები. იგი წყვეტდა მხოლოდ თანამონაწილეობასთან დაკავშირებულ პროცესუალურ საკითხებს.[338]

კანონით დადგენილი იყო, რომ მეორე ხარისხის ამსრულებლები და დამხმარეები შესაძლებელი იყო გადაცემოდნენ სასამართლოს, მიუხედავად იმისა განსჯილი იყო თუ არა პირველი ხარისხის ამსრულებელი. კანონმდებელმა უარი თქვა წესზე, რომლის თანახმადაც ამსრულებელი ცალკე უნდა განსჯილიყო და ნება დართო სხვა თანამონაწილეებთან ერთად განსჯისა.[339]

1861 წლის კანონი არ შეიცავს თანამონაწილეობის ლეგალურ განმარტებას – მას ცვლის შესაბამისი ქმედებების ჩამონათვალი, როგორიცაა დანაშაულის ჩადენაში დახმარება და წამქეზებლობა. კანონის მე-8 მუხლში ნათქვამია, რომ „პირი, რომელიც ეხმარება, აქეზებს, ურჩევს ან უზრუნველყოფს დანაშაულის ჩადენას, დამნაშავედ იქნება ცნობილი იმავე დანაშაულში“.[340]

თანამედროვე კანონებში ხშირად შევხვდებით თანამონაწილეთა ქმედებების გასამიჯნად გამოყენებულ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა „მორიგება“, „ხელშეწყობა“ და ა.შ. ამასთანავე, უდავოდ ყოველთვის იგულისხმება წინასწარ დაპირებული საერთო დანაშაულებრივი მიზანი (მაგ. პირი შეიძლება ცნობილ იქნეს დამნაშავედ მხოლოდ მცდელობაში და არა მკვლელობაში, თუ წინასწარშეუპირებლად მიუერთდა თავდამსხმელს).[341]

დახმარება შეიძლება გამოიხატოს უმოქმედობითაც (მაგ. თუ პირს აკისრია რაიმე ქმედების განხორციელების მოვალეობა). ასე მაგ., რესტორნის მეპატრონე ცნობილ იქნა დამხმარედ იმ პირებისა, რომლებიც სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელებს აკრძალულ დროს, რადგანაც არ დახურა რესტორანი დაწესებულ დროს.

1967 წლის სისხლის სამართლის კანონმა გააუქმა ფელონიებსა და მისდიმინორებს შორის განსხვავება, რამაც თანამონაწილეთა ოთხგოლიანი კლასიფიკაცია შეცვალა.

ამიერიდან თანამონაწილეთათვის გამოიყენება 1861 წლის (რედ. 1977წ.) კანონის მე-8 მუხლი – დახმარება და წამქეზებლობა, რომლის თანახმადაც თანამონაწილე უნდა ექვემდებარებოდეს ისეთსავე სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, როგორც დანაშაულის ამსრულებელი; სასჯელის დანიშვნისას კი მოსამართლე აფასებს თითოეული დამნაშავის „წვლილს“ და ამიტომაც თანამონაწილეობის პრობლემები კვლავ აინტერესებთ ინგლისელ იურისტებს.[342]

1861, 1967 და 1977 წლების კანონთა მიღების შემდეგ, ზოგადი სამართლის ნორმებს სრულიადაც არ დაუკარგავთ თავიანთი

---

338 Accessories and Abettors Act 1861, (12 statutes 79).

339 იქვე;

340 იქვე;

341 Козочкин Н.Д., Уголовное право зарубежных государств, Изд. Зерцало, М., 2001. გვ. 78.

342 Accessories and Abettors Act 1861, (red. 1977).

მნიშვნელობა, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება დანაშაულის კვალიფიკაციას ან სასჯელის დანიშვნას.

დღესდღეობით სისხლის სამართალში ასევე გამოიყენება ტერმინი „თანამონაწილენი“, მაგრამ იურისტთა ერთი ნაწილი ამაში გულისხმობს დანაშაულის ნებისმიერ თანამონაწილეს, ამსრულებლის ჩათვლით, მეორე ნაწილი კი – მხოლოდ დამატებითებს, ისეთებს, რომლებიც მონაწილეობენ დანაშაულის ჩადენაში, ეხმარებიან მის განხორციელებაში რჩევებით ან სხვების წაქეზებით. თანამედროვე დოქტრინის თანახმად, ამსრულებლად აღიარებულია პირი, რომელმაც თავისი ხელებით, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან სხვა უდანაშაულო შუამავლის მეშვეობით სრულად ან ნაწილობრივ განახორციელა დანაშაულებრივი ქმედება. ასევე შენარჩუნებულია წესი, რომლის თანახმადაც, თანამონაწილე დანაშაულის ჩადენისა შეიძლება განისაჯოს ამსრულებლის განსჯისაგან დამოუკიდებლად. მხოლოდ, ამასთანავე, ბრალდება უნდა ამტკიცებდეს, რომ:

1) ბრალდებული თანამონაწილე ხელს უწყობდა, რჩევას აძლევდა ან აგულიანებდა დანაშაულის ჩასადენად;

2) დანაშაული სინამდვილეში განხორციელებულია;

3) განსასჯელს ჰქონდა mens rea, რაც აუცილებელია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.[343]

პირი, რომელიც მხარს უჭერს სამართალდამრღვევს დანაშაულის ჩადენის შემდეგ, არ შეიძლება ცნობილ იქნეს თანამონაწილედ, ვინაიდან იგი არ იღებდა მონაწილეობას დანაშაულებრივ ხელყოფაში, თუმც ასეთი პირი, ეხმარებოდა რა დამნაშავეს მართლმსაჯულებისაგან თავის დაღწევაში, შეიძლება ბრალდებულ იქნეს დამნაშავისათვის დახმარებაში, ანუ დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედებისათვის.[344]

თანამონაწილეობა შესაძლებელია დაუმთავრებელი დანაშაულის დროსაც, როგორიცაა მცდელობა, შეთანხმება ან წამქეზებლობა. მაგ. დანინგტონის საქმის გადაწყვეტისას,[345] სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებული, რომელსაც ავტომანქანით გადაჰყავდა ძარცვის ჩასადენად პირები, ითვლება ძარცვის მცდელობის თანამონაწილედ, თუგინდ დანაშაული არც კი ყოფილიყო ბოლომდე მიყვანილი. იგივე პრინციპი გამოიყენება წამქეზებლობის ან შეთანხმებისას, თუ პირი აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია თანამონაწილეობით ბრალდებისათვის.

თუ დანაშაული ჩადენილია, თანამონაწილეობისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ ბრალდებულს არ შეეძლო მისი ჩადენა როგორც ამსრულებელს (ქალი შეიძლება გაუპატიურების თანამონაწილე იყოს, თუმც კანონი გაუპატიურებისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს მამაკაცს).

რაც შეეხება სუბიექტური მხარის ისეთ სავალდებულო ელემენტს, როგორიცაა mens rea, რა თქმა უნდა, თანამონაწილისა რამდენადმე

---

343 Козочкин Н.Д., Уголовное право зарубежных государств, Изд. Зерцало, М., 2001. გვ. 77.

344 Willams G., Criminal Law – L., 1961, გვ. 382.

345 Dunnington [1984] QB 472 (Smith and Hogan, Criminal Law, Cases and Materials, 1993, გვ. 379).

განსხვავებულია ამსრულებლის mens rea-საგან. ბრალდება უნდა ამტკიცებდეს, რომ:

1) თანამონაწილის ქმედების ჩადენის განზრახვა, რომელიც, როგორც მისთვის ცნობილია, ეხმარება ამსრულებელს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში;
2) თანამონაწილემ იცის ან არ აქცევს ყურადღებას ნებისმიერ გარემოებას, რომელიც დანაშაულის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს;
3) თანამონაწილე აცნობიერებს, რომ ამსრულებელი მოქმედებს ან აპირებს იმოქმედოს mens rea-თი, რაც აუცილებელია მოცემული დანაშაულისათვის.

ამსრულებლის ექსცესი.

ინგლისის სისხლის სამართალმა შეიმუშავა წესი „საერთო დანაშაულებრივი მიზნისა“, რომლის თანახმადაც ერთი პირი პასუხს აგებს მეორის ქმედებისათვის, როდესაც ეს საერთო მიზანი მიმართულია იმ დანაშაულის ჩასადენად, რისთვისაც ისინი გაერთიანდნენ. ეს წესი არ ვრცელდება იმ ქმედებებზე, რომლებსაც არ მოიცავს მათი განზრახვა.[346] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ამსრულებელი ისეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ჩაიდენს, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანამონაწილის განზრახვა, მაშინ მხოლოდ მას ეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

იმ შემთხვევაში, როცა ამსრულებელი შემთხვევით გადაიხრება ქცევის საერთო წესიდან, სიტუაცია იცვლება. თანამონაწილე ითვლება დამნაშავედ, თუ იგი აცნობიერებს ყველა პირობას; ამჟამად, ამ მხრივ მთავარ პრეცენდენტად ითვლება ლორდთა პალატის 1997 წლის გადაწყვეტილება პაუელისა და ინგლიშის საქმესთან დაკავშირებით.[347]

პაუელის საქმეში, ორი ბრალდებული, მეგობართან ერთად, მივიდა ნარკოტიკებით მოვაჭრესთან ნარკოტიკის შესაძენად. კარის გაღებისას გამყიდველი მოკლული იქნა ერთი გასროლით. რამდენადაც გაურკვეველი იყო, ამ სამიდან რომელმა გაისროლა, ბრალი შეერაცხათ ყველას, რადგან თუ ეს გააკეთა ბრალდებულთა მეგობარმა, მაშინ ისინიც დამნაშავეები არიან მკვლელობაში, რამდენადაც იცოდნენ იარაღის არსებობის შესახებ, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მკვლელობისათვის ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის, რაც დამტკიცდა სასამართლო განაჩენით. ლორდთა პალატის გადაწყვეტილებაში მითითებული იყო, რომ თუ დანაშაულებრივი გაერთიანების ერთ-ერთი მონაწილე აცნობიერებს დანაშაულის ჩადენისას სხვა მონაწილის განსხვავებულ, მათთან დაუგეგმავი ქმედების რეალურ შესაძლებლობას, რომელიც შეესაბამება mens rea-ს, მაშინ თვით იგიც პასუხისმგებელია ამ დანაშაულის ჩადენისათვის. ლორდთა პალატის აზრით, ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინაც კი, როდესაც მონაწილეთაგან ერთ-ერთს „პირდაპირ ან ზუსტად“ არ გამოუხატავს

---

346 Willams G., Criminal Law – L., 1961, გვ. 396.

347 Card, Cross, Jones, Introduction to Criminal Law, 1998, გვ. 669 (Powel, English [1997] 4 All ER 545, HL).

თანხმობა, ან თავიც კი შეიკავა ამისაგან. პაუელის საქმეში იყო მოთხოვნა, რომ გაეთვალისწინებინათ „რეალური შესაძლებლობის ხარისხი“, რომელიც გულისხმობდა „რისკის გათვალისწინებას“, რაც ბრალდებულს არ ჰქონდა გაცნობიერებული, რადგან თვლიდა, რომ ამის საშიშროება არ იყო.

სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი ინგლიშის საქმეზე, რომელიც სხვა პირთან ერთად თავს დაესხა პოლიციელს და ცემა იგი; თუმცა პოლიციელი გარდაიცვალა ინგლიშის თანამონაწილის მიერ დანით მიყენებული ჭრილობისაგან, სასამართლომ ინგლიში ცნო ბრალეულად მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის. ლორდთა პალატამ თავის მხრივ დაადგინა, რომ თუ თანამონაწილე ითვალისწინებდა ან აცნობიერებდა, რომ ამსრულებელი აპირებდა ან შეეძლო შეესრულებინა შესაბამისი mens rea ჩაფიქრებული დანაშაულისა, თანამონაწილეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ ამსრულებლის ქმედება სრულად განსხვავდებოდა საწყისი გეგმისაგან.[348]

დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

პირს არ დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა თანამონაწილეობისათვის, თუ ნებაყოფლობით ხელს აიღებს მის ჩადენაზე. მხოლოდ ხელის აღება უნდა მოხდეს ნებაყოფლობით და მავნე შედეგის დადგომამდე. ეს წესი ფორმულირებული იყო პრეცენდენტებით და დოქტრინაში, ხოლო კანონმდებლობით არ იყო გამყარებული. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო გამოდის ზოგადი სამართლის ნორმებიდან. ზოგიერთ შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე პირს არ ათავისუფლებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან; მაგ., როცა ამსრულებლის ქმედება გასცდა მოსამზადებელ სტადიას. სასამართლოს არა აქვს ერთიანი ფორმულირება იმასთან დაკავშირებით, თუ როდისაა შესაძლებელი დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება. არსებობს მხოლოდ ზოგადი მოთხოვნა, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება უნდა იყოს ქმედებით გამოხატული. ერთ-ერთი თანამონაწილის პასიური ჩამოშორება დანაშაულის განხორციელებისაგან, მაგ., დაკავების შემთხვევაში, მას არ ანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.[349]

ზოგიერთ შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება გამოიხატოს ზეპირსიტყვიერად, როცა, მაგ. წამქეზებელი წინასწარ და არა ორაზროვნად უცხადებს მეორეს თავისი უარის შესახებ. სხვა შემთხვევაში შესაძლებელია საჭირო იყოს ფიზიკური მონაწილეობაც. მაგ. ბეიკერის საქმესთან დაკავშირებით[350] სააპელაციო სასამართლომ არ ცნო დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებად ბრალდებულის ქმედება, რომელმაც პირზე თავდასხმის შემდეგ (რომელიც მისი თანამონაწილის მიერ

---

348 Card, Cross, Jones, Introduction to Criminal Law, 1998, გვ. 669 (Powel, English [1997] 4 All ER 545, HL).

349 Willams G., Criminal Law – L., 1961, გვ. 388.

350 Smith and Hogan, Criminal Law, Cases and Materials, 1993, გვ. 159 (Baker [1994] Crim LR 444, CA).

მოკლული იქნა ამ თავდასხმისას) დაიხია უკან და თქვა: „მე ამას არ გავაკეთებ“. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ყველა გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლო წყვეტს, თუ რა ხარისხის ფიზიკური ჩარევაა საჭირო იმისათვის, რომ დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღება ცნობილი იყოს როგორც ნებაყოფლობითი და ეფექტური.

1967 წლის სისხლის სამართლის კანონმა შეცვალა „ფელონიის ჩადენის შემდეგ დამხმარის“ პასუხისმგებლობა, შეიტანა დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა პირთათვის, ვინც შეგნებულად ეხმარება დამნაშავეს (assisting offender). კანონის მე-4 მუხლით დადგენილია, თუ პირმა იცოდა ან შემდგომში დარწმუნებული იყო, რომ სხვა პირის მიერ ჩადენილია დასჯადი ქმედება და განზრახ ქმნის ხელისშემშლელ პირობებს, რომ არ იქნეს დაპატიმრებული და დასჯილი, იგი დამნაშავეა გამოძიებისათვის ხელისშეშლისთვის. დამნაშავისათვის ასეთი დახმარება შეიძლება გამოიხატოს როგორც კონკრეტული ქმედებებით, ასევე სიტყვიერადაც; მაგ., ცრუ ინფორმაციის მიცემა ან „შუალედური აგენტის“ გამოყენება.

ამგვარი ქმედებებისათვის სასჯელი გამომდინარეობს ამსრულებლის სასჯელიდან. თუ სასჯელი კანონით მკაცრად განსაზღვრულია, მაშინ ბრალდებულის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს თავისუფლების აღკვეთა 10 წლამდე ვადით; თუ ძირითადი დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 14 ან 10 წლამდე, მაშინ დამხმარეს ეკისრება თავისუფლების აღკვეთა 7 ან 5 წლამდე. ყველა სხვა შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 3 წელს.

§3. დანაშაულში თანამონაწილეობა აშშ-ს სისხლის სამართალში

აშშ-ს დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტმა განიცადა ინგლისის ზოგადი სამართლის მნიშვნელოვანი ზეგავლენა. რამდენადაც ჩვენ უკვე განვიხილეთ ინგლისის სისხლის სამართალში დანაშაულში თანამონაწილეობასთან დაკავშირებული პრობლემები, აქ შემოვიფარგლებით მხოლოდ ზოგიერთი დაზუსტებით, პირველ ყოვლისა - „თანდასწრების“ ფაქტორთან დაკავშირებით.

თუმც ითვლება, რომ I ხარისხის ამსრულებელი – ესაა პირი, რომელიც, როგორც წესი, თვითონ ახორციელებს დანაშაულებრივ ქმედებას, იმყოფება რა მისი ჩადენის ადგილზე,[351] იგი შეიძლება ცნობილ იქნეს „კონსტრუქციულად“ იქ მყოფად. მაგ., პირმა დატოვა მოწამლული სასმელი სხვისთვის და ამ უკანასკნელმა იგი შესვა.

იგივე შეიძლება ვთქვათ II ხარისხის ამსრულებელთან დაკავშირებითაც, ერთი არსებითი შენიშვნით: პირის ასეთად ცნობისათვის იგი უნდა იყოს დანაშაულის ჩადენის ადგილზე; თუმც ეს მოთხოვნა, შესაბამის შემთხვევებში, ითვლება შესრულებულად „კონსტრუქციული“ თანდასწრების ფიქციის გამოყენების გზით. მაგ., ერთი პირი (II ხარისხის ამსრულებელი), იმყოფება რა დანაშაულის

[351] აქ მხედველობაში მიიღება, რომ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს „ბრმა იარაღის ან უდანაშაულო შუამავლის“ დახმარებითაც.

ჩადენის ადგილიდან რაღაც მანძილზე (შესაძლებელია, რამოდენიმე პირი), ხელს უწყობს სხვა პირს დანაშაულის განხორციელებაში (I ხარისხის ამსრულებელს), ატყობინებს დაზარალებულის მისვლის შესახებ, ან სხვა საშუალებით იპყრობს დაზარალებულის ყურადღებას მისი ბინის გასაძარცვად.[352]

და პირიქით, პირი დამხმარედ იცნობა დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე, თუ იგი რჩევების მიცემით ან სხვაგვარად ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, მაგრამ არ იმყოფება დანაშაულის ჩადენის ადგილზე. ამგვარად, თუ პირი ნამდვილად ან „კონსტრუქციულად“ იმყოფებოდა იქ, მაშინ ის არის – II ხარისხის ამსრულებელი, და თუ არა, მაშინ – დამხმარე დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე.[353] მაგ., ვირჯინიის შტატში, 1982 წელს, განხილულ იქნა მოერინგის საქმე, რომელმაც ორგანიზება გაუკეთა თავისი ცოლის მკვლელობას, მაგრამ არ იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე, ცნობილ იქნა დამხმარედ დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე.[354]

თუ პირი ეხმარებოდა ამსრულებელს ან დამხმარეს იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალა მისი დაკავებისთვის, გასამართლებისათვის ან სასჯელის მოხდისათვის ჩადენილი ფელონიისას, იგი ითვლება დანაშაულის ფაქტის ჩადენის შემდეგ – დამხმარედ.[355] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ანგლო-საქსური ქვეყნების სისხლის სამართალი კონტინენტური ქვეყნების სამართლის სისტემებისაგან განსხვავდება იმით, რომ ამ უკანასკნელში თანამონაწილეობა განისაზღვრება დანაშაულის დამთავრებამდე ჩადენილი ქმედებებით.

აშშ-ს სისხლის სამართლით, თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ დამთავრებულ დანაშაულში; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ დანაშაული არ დასრულდა, თანამონაწილეები თავისუფლდებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.[356]

ზოგადი სამართლით, I და II ხარისხის ამსრულებლები ერთნაირად დამნაშავენი არიან დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ დამოუკიდებლად ექვემდებარებიან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. რაც შეეხება დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე დამხმარეს, იგი არ ექვემდებარება დამოუკიდებელ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას და შეიძლება განისაჯოს თუნდაც ერთ-ერთი ამსრულებლის განსჯის შემდეგ.[357]

მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დამოუკიდებელ დანაშაულებად ითვლება ისეთი მისდიმინორები, როგორებიცაა დაუბრკოლებლობა (შეუტყობინებლობა ან მიმნებებლობა) ფელონიისა

---

352 LaFave Wayne R., Scott Austin W., Criminal Law, West Publishing Co. St. Paul, Minn., 1991, (1999), გვ.568.

353 იქვე, გვ.569-571.

354 Moehring V., Commonwealth, 223 Va, 564, 290 S.E. 2d 89.1 (1982).

355 LaFave Wayne R., Scott Austin W., Criminal Law, West Publishing Co. St. Paul, Minn., 1991, (1999), გვ.571.

356 ასე, მაგ., დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე დამხმარეს შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს – წამქეზებლობისთვის, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულისათვის. Berra V. United States 221 F. 2d. 590 (8th Cir. 1955).

357 Clark W., and Marahall W. A treatise on the law of crimes, Mundelein (III), 1967, გვ. 614.

(misprision of felony) და თავშეკავება ან უარი ფელონიისათვის დევნაზე (compounding of felony).[358]

ამერიკულ იურიდიულ ლიტერატურაში, პირველი მათგანი განსაზღვრულია შემდეგნაირად: „პირი, რომელიც ხედავს, თუ როგორ ჩადის მეორე პირი ფელონიას, ან იცის რომ მას იგი ჩადენილი აქვს და არ იღებს ზომებს მის დასაკავებლად, ან ფელონიის თავიდან ასაცილებლად, ანდა მართლმსაჯულებისათვის გადასაცემად – დამნაშავეა მისდიმინორის ჩადენაში, ცნობილია როგორც ფელონიის არადამაბრკოლებელი“.[359] ზოგადი სამართლით მნიშვნელობა არა აქვს, წინასწარ იყო თუ არა შეპირებული შეუტყობინებლობა ან მიმნებებლობა. უფრო ხშირად ფელონიის დაუბრკოლებლობის სახესხვაობად ითვლებოდა ნაქურდალი ნივთების დაფარვა (receiving stolen goods). თუმც ზოგჯერ, მაგ., მიჩიგანის შტატის სასამართლო გადაწყვეტილებაში, რეინოლდის საქმესთან დაკავშირებით, იგი განხილულ იქნა როგორც ზოგადი სამართლის დამოუკიდებელი დანაშაული, „თუმც ასეთი პოზიცია საეჭვო და საკამათოა“.[360] ნაქურდალი ნივთების დაფარვაში დამნაშავედ შეიძლება ცნობილ იქნეს პირი, რომელიც იყო დანაშაულის მონაწილე, უშუალო მონაწილეობას ქურდობაში არ იღებდა, მაგ., დამხმარე იყო დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე;[361] მაგრამ ყველა შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს, რომ პირველ რიგში, მიმღების განმგებლობაში მყოფი ნივთები მოპარული იყო და მეორეც, მიმღები სინამდვილეში ან „კონსტრუქციულად“ აკონტროლებდა ამ ნივთებს და ამგვარად შეეძლო მათი განკარგვა, ან გამოყენება.[362]

თანამონაწილეთა დაყოფა ამსრულებლად (I და II ხარისხის) და დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე დამხმარედ, ყველა შტატის კანონმდებლობით, ფაქტიურად გაუქმებულია. მაგ., ამის შესახებ პირდაპირაა ნათქვამი ტეხასის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის §7.01-ში.

ამას მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო სისხლის სამართლის სანიმუშო კოდექსმა, რომლის 2.06 მუხლი, თანამონაწილეობის ცნების განუმარტავად, განსაზღვრავს თანამონაწილეთა სახეებს (პ.3). პირი ხელყოფაში თანამონაწილეა მეორე პირისა, თუ გამიზნული აქვს ხელყოფისათვის ხელშეწყობა ან მისი გაადვილება; იგი: 1) აქეზებს ასეთ პირს მის ჩასადენად; 2) ეხმარება ან უთანხმდება, დაეხმაროს სხვა პირს მის დაგეგმვაში ან ჩადენაში; 3) იურიდიულად ვალდებული იყო თავიდან აეცილებინა ეს ხელყოფა და არ მიიღო შესაბამისი ზომები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოდექსი თანამონაწილეობად თვლის წამქეზებლობას, დახმარებას და მიმნებებლობას.

---

[358] გარდა ამისა, შეიძლება ავღნიშნოთ ზოგადი სამართლის ისეთი მისდიმინორი, როგორიცაა მტკიცებულებათა დაფარვა ან განადგურება. ზოგიერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული იყო, რომ პირი არ შეიძლება ცნობილი იქნეს მტკიცებულებათა დაფარვაში, თუ მან არ იცოდა მათი არსებობის შესახებ. Berra V. United States 221 F. 2d. 590 (8th Cir. 1955).

[359] Clark W., and Marahall W. A treatise on the law of crimes, Mundelein (III), 1967, გვ. 618.

[360] Крилова Н., Серебренникова А., Уголовное право зарубежных стран, Стадии преступления и соучастие. М., 1973. გვ. 123.

[361] Aaronson V., United States 175 F. 2d 41 (4th Cir. 1949).

[362] იქვე;

ზემოხსენებულიდან ნათელია, რომ თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობა უთანაბრდება ამსრულებლობისათვის პასუხისმგებლობას და იგი შესაძლებელია მხოლოდ განზრახი ბრალის არსებობისას, უფრო ზუსტად პირდაპირი განზრახვისას.

სისხლის სამართლის კოდექსი უარყოფს თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს მუხ. 2.06 პ. 7-დან, სადაც ნათქვამია, რომ თანამონაწილე ექვემდებარება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მაშინაც, როცა ნავარაუდევ ამსრულებელს არ დაეკისრა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ან არ ყოფილა ბრალდებული სხვა დანაშაულისათვის, ანდა სარგებლობს იმუნიტეტით, ან გამართლდა.

თანამონაწილის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების გარემოებად ითვლება დანაშაულში მონაწილეობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება. კოდექსი ითვალისწინებს, რომ ხელის აღებას ადგილი უნდა ჰქონდეს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენამდე, და პირმა უნდა „აღკვეთოს თავისი თანამონაწილეობა ეფექტურად“ ან დროულად შეატყობინოს შესაბამის ორგანოებს, რომ მზადდება დანაშაული.[363]

განსხვავებით ამისაგან, რიგი შტატების სისხლის სამართლის კოდექსები შეიცავენ თანამონაწილეობის ცნების ზოგად განმარტებას. მეტ-ნაკლებად მკაფიოდ ეს ფორმულირებულია ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსში: „თუ ერთი პირი ახორციელებს ქმედებას, რომელიც წარმოადგენს თავის მხრივ ხელყოფას, მეორე პირიც ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ასეთი ქმედებისათვის, თუ განზრახ ბრალეულად მოქმედებდა მის ჩასადენად, ითხოვდა, მოითხოვდა, უბრძანებდა, იღწვოდა ან განზრახ ხელს უწყობდა (ეხმარებოდა) ასეთ პირს ამგვარი ქმედების განხორციელებაში (§20.00).

ამ კოდექსშივე აღინიშნება, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ვერ განთავისუფლდება, თუ: 1) ამსრულებელი არაა დამნაშავე შესაბამის ხელყოფაში პასუხისმგებლობის უნარის არქონის გამო ანდა სხვა იურიდიული უუნარობის გამო...; 2) ამსრულებელი არ ყოფილა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემული (§20.05).

ზემოაღნიშნულის კომენტირებისას, ამერიკელ იურისტებს მოჰყავთ შემდეგი მაგალითი: თუ **ბ** – **ა**-ს მითითებით შედის **x**-ის სახლში და მიაქვს მისი ქონება, და **ბ** აღმოჩნდება სულით ავადმყოფი, ან 16 წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანი, დიპლომატიური ხელშეუხებლობით მოსარგებლე პირი, ან უდანაშაულო, თვლიდა რა რომ მის მიერ აღებული ქონება **ა**-ს საკუთრება იყო, მაშინ ქურდობის ამსრულებლად ცნობილ უნდა იქნეს **ა**.[364]

დანაშაულში თანამონაწილეობისთვის პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლად ითვლება ის, რომ „ნათლად უნდა ჩანდეს ნებაყოფლობა და საბოლოოდ ხელის აღება

---

[363] დაწვრილებით იხ.: Лясс Н.В. Проблемы вины и уголовной ответственности в современных буржуазных теориях. – Л., 1997. გვ. 105-107.

[364] Mckinneys Consolidated laws of New York: Annotated book 39, Penal law N.Y., 1967, გვ. 39.

განზრახი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზე, ხელყოფაში მონაწილეობაზე უარი უნდა იყოს გაცხადებული დანაშაულის ჩადენამდე და ძალისხმევა უნდა იქნეს გაწეული მისი ჩადენის თავიდან ასაცილებლად“ (§40.10, პ.1).

მსგავს დებულებებს შეიცავს ასევე სხვა შტატების სისხლის სამართლის კოდექსებიც. სხვაგვარად განსაზღვრავს თანამონაწილეობას ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსი. §2923.03-ის თანახმად, თანამონაწილედ ითვლება პირი, რომელიც: 1) აქეზებს ან უზრუნველყოფს ხელყოფის განხორციელებას სხვა პირის მეშვეობით; 2) ეხმარება ან აქეზებს (aids or abets) სხვა პირს ხელყოფის განსახორციელებლად; 3) უთანხმდება სხვა პირს ხელყოფის განსახორციელებლად სისხლის სამართლის კოდექსის §2923.01-ის დარღვევით; ან 4) აქეზებს ან აიძულებს არაბრალეულს ან ისეთ პირს, ვისაც პასუხისმგებლობა არ შეუძლება დაეკისროს ხელყოფის ჩასადენად.

თანამონაწილეობის საკანონმდებლო განსაზღვრება თავის თავში მოიცავს ყველა ქმედებას, რომლებიც, ზოგადი სამართლით, ემთხვევა მეორე ხარისხის ამსრულებლისა და დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე დამხმარის ცნებაში ნაგულისხმევ ქმედებებს. ყველზე უფრო თვალსაჩინოდ ეს ჩანს თანამონაწილეობის განსაზღვრების მაგალითზე, ილინოისის შტატის სისხლის სამართლის კოდექსში: „პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება სხვისი ქცევისათვის, თუ ხელყოფის ჩადენამდე ან მისი ჩადენისას, განზრახული აქვს ხელი შეუწყოს ან გაუადვილოს ასეთი ქმედება; იგი აქეზებს, ეხმარება, უზრუნველყოფს, თანხმდება ან ცდილობს დაეხმაროს სხვა პირს ასეთი ხელყოფის დაგეგმვაში ან განხორციელებაში“ (§5-2).

თუმც აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში ხშირად სირთულეს წარმოადგენს საკითხის გადაწყვეტა იმასთან დაკავშირებით, ითვლება თუ არა უმოქმედობა ე.ი. უბრალო ყოფნა დანაშაულის ჩადენის ადგილზე, ასევე მასში თანაამსრულებლობად. მინესოტის შტატის უმაღლესმა სასამართლომ, 1968 წელს, პარკერის საქმის განხილვისას,[365] დაადგინა: ის გარემოება, რომ ბრალდებული ახლო ურთიერთობაში იყო ორ სხვა პირთან და იმყოფებოდა მათთან ერთად გატაცებულ ავტომანქანაში როგორც მანამდე, ისე დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ასევე ის, რომ სამივე დაკავებულ იქნა ამ ავტომანქანიდან გაქცევისას, - ყოველივე ეს „იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ ბრალდებული გაერთიანდა რა ორ სხვა პირთან საერთო მიზნით, განეხორციელებინათ დაზარალებულზე თავდასხმა, გაეძარცვათ იგი და გაეტაცებინათ მისი ავტომანქანა“.[366]

პირს თანამონაწილეობისათვის შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ, თუ ხელყოფა სინამდვილეში განხორციელდა, მაგრამ, ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, პირს შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს

[365] State V.Parker 282 Minn, 343. 164 N.W. 2d 633 (1968).

[366] Jonson Ph. E Criminal Law. Cases, materials and text on the substantive criminal law in its prosedural context. St. Paul, Minn., 1980, გვ. 607-608.

ხელყოფის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის §2923.02 სსკ-ის დარღვევისათვის.

აშშ-ს შტატების უმრავლესობაში ყველა თანამონაწილე, გარდა ზოგიერთი შტატის კანონმდებლობით დადგენილი დანაშაულის ფაქტის შემდგომ დახმარებისა, ექვემდებარებიან ისეთსავე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როგორც ამსრულებლები. ამას ითვალისწინებს ფედერალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა (§2, კარი 18 კანონთა კრებული): „ის, ვინც აშშ-ს წინააღმდეგ ახორციელებს ხელყოფას ან ეხმარება მის განხორციელებას, აქეზებს, იძლევა რჩევებს, ხელმძღვანელობს, იყოლიებს ან უზრუნველყოფს მის ჩადენას, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც მოცემული ხელყოფის ამსრულებელს.

ის, ვინც განზრახ მოუწოდებს ქმედების ჩასადენად, რომელიც უშუალოდ მათ მიერ ან სხვა პირის მიერ იქნება ჩადენილი, ჩაითვლება აშშ-ის წინააღმდეგ ხელყოფად და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ამსრულებელს“.

აშკარა ხარვეზია ამ განსაზღვრების პირველ ნაწილში – მითითებული არ არის ბრალის ფორმა. იგი ივსება სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ საკმარისად თვლიან „გარკვეულ შეგნებულ მონაწილეობას“ დანაშაულის ჩადენაში,[367] ე.ი. გაცნობიერებას იმისას, რომ პირი ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას.

„იმისთვის რომ დაეხმაროს ან წააქეზოს სხვა დანაშაულის ჩასადენად, აშშ-ს უმაღლესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, - აუცილებელია, რომ ბრალდებული რისკავდეს სასურველი შედეგის განხორციელებას, თავისი ქმედებებით მიიღტვოდეს მისი წარმატებით დასრულებისაკენ.“[368]

თანამონაწილეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება ამსრულებლის ქმედებით გამოწვეული იმ შედეგისათვის, რომელიც მას გათვალისწინებული ჰქონდა ან თავდაპირველი განზრახვის მოსალოდნელი შედეგის განხორციელება იცოდა.

რაც შეეხება დანაშაულის ფაქტის შემდგომ დამხმარეს, ამერიკული მოქმედი კანონმდებლობა, უმეტეს შემთხვევაში, განსხვავებით ზოგადი სამართლისაგან, მას არ თვლის დანაშაულში თანამონაწილედ; მხოლოდ მას პასუხისმგებლობა ეკისრება დამოუკიდებელი დანაშაულისათვის – მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლაში. მაგ., ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსით (§2921.32), ეს ითვლება იმ ხარისხის მისდიმინორად, როგორც ჩადენილი დანაშაული; თუ ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაული – ფელონიაა, მაშინ ქმედება ითვლება მეხუთე ხარისხის ფელონიად. ამ კოდექსით (§2921.33) დამოუკიდებელ დანაშაულად ითვლება – სხვა პირის დაპატიმრებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. მსგავსი დანაშაულები გათვალისწინებულია სხვა შტატების სისხლის სამართლის კოდექსებითაც (მაგ., ნიუ-იორკის სს კოდექსის §205.30).

---

[367] United States V.Milby 400F. 2d 702 (6th Cir. 1968) Crimes V. United States, 379 F. 2d 791 (5th Cir. 1967). Bassionni M., Cherif., Substantive criminal law, Springfield, 1978, გვ. 147.

[368] Nye and Nissen V. United States, 336, u.s. 619. 69 S. Ct. 769L. Ed. 919 (1949).

თუ ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსით მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა დასჯადია ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ნიუ-იორკის სისხლის სამართლის კოდექსით, იგი იწოდება „დევნისათვის ხელის შეშლად“, გააჩნია სამი ხარისხი და დასჯადია მხოლოდ ფელონიის ჩადენის შემთხვევაში. არანაკლებ საშიშია – მესამე ხარისხის დანაშაული, A კლასის მისდიმინორი, ე.ი. დასჯადი თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: პირი დამნაშავეა დევნისათვის ხელის შეშლაში... თუ იგი სისხლის სამართლით დასჯად დახმარებას უწევს ფელონიის ჩამდენ პირს“ (§205.55).

B და C კლასის ფელონიის ჩამდენი პირისათვის დახმარების გაწევა ითვლება მეორე ხარისხის დანაშაულად და ითვლება E კლასის ფელონიად, ე.ი. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოთხ წლამდე ვადით (§205.60). A კლასის ფელონიის ჩადენის შემთხვევაში ხელის შეწყობა – პირველი ხარისხის დანაშაულია, რომელიც ითვლება D კლასის ფელონიად, ე.ი. ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდ წლამდე ვადით (§205.65).

„სისხლის სამართლებრივად დასჯადი დახმარების აღმოჩენაში“ იგულისხმება დანაშაულის ჩამდენი პირის დაფარვა, მისი გაფრთხილება შესაძლო დაკავებაზე ან დაპატიმრებაზე, დაკავებისა და დაპატიმრებისაგან გაქცევის უზრუნველყოფა ტრანსპორტით, ფულით ან სხვაგვარი საშუალებებით, მტკიცებულებების შეცვლა ან განადგურება, რომლებიც მის დასაკავებლად და დასაპატიმრებლად ან ბრალის წასაყენებლად მნიშვნელოვანია,[369] დახმარება დანაშაულებრივი გზით ან გამორჩენის მისაღებად მოპოვებული ნივთების შენახვაში; ასევე სხვა ქმედებები, განხორციელებული მისი დაკავების, დაპატიმრების ან სასამართლოსათვის მისი გადაცემისათვის ხელის შეშლის მიზნით, რომელიც, როგორც ბლადებულისთვისაა ცნობილი, ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი აქვს ასეთი დანაშაული, რომელიც ამის გამო იძებნება მართლმსაჯულების ორგანოების მიერ (§205.50). ამგვარად, „დახმარება“ ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსით, ფართოდ არის განხილული. დანაშაულის ფაქტის შემდეგ ჩადენილი „დახმარება“ არსებითად მოიცავს ნაქურდალი ნივთების დაფარვას.

ზოგადი წესიდან განსაზღვრულ გამონაკლისს წარმოადგენს ფედერალური კანონმდებლობა. კანონთა კრებულის კარი 18 § 3-ში არა მხოლოდ დაცულია არქაული ტერმინი „დანაშაულის ფაქტის შემდგომ დამხმარე“, არამედ მოცემულიცაა მისი განსაზღვრებაც: „ის, ვინც იცის აშშ-ს წინააღმდეგ ხელყოფის განხორციელების შესახებ და ფარავს, აადვილებს, მხარს უჭერს ან ხელს უწყობს სამართალდამრღვევს იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს ან დააბრკოლოს მისი დაპატიმრება, სასამართლოსათვის გადაცემა ან დასჯა, ითვლება დანაშაულის ფაქტის ჩადენის შემდგომ დამხმარედ“. იქვე დადგენილია სასჯელი ამგვარი დახმარებისათვის: მაქსიმალური სასჯელის არა უმეტეს ნახევარი, რაც

[369] უნდა აღინიშნოს, რომ ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი (§215.40) ითვალისწინებს პასუხისმგებლობას (თავისუფლების აღკვეთით 4 წლამდე ვადით, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულისათვის) – ოფიციალურ წარმოებაში გამოყენებულ მტკიცებულებათა დაფარვის ან განადგურებისათვის.

გათვალისწინებულია ამსრულებლისათვის, ანდა, თუ ამსრულებელი სიკვდილით ისჯება ან სამუდამო პატიმრობით, მაშინ დამხმარე ისჯება თავისუფლების აღკვეთით 15 წ. ვადით.[370]

შედარებისთვის ავღნიშნოთ, რომ ტენესის შტატის სისხლის სამართლის კოდექსით (§31-112, 39-113) დანაშაულის ფაქტის ჩადენის შემდეგ დამხმარეს ეკისრება თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით საოლქო გამასწორებელ სახლში მოთავსება ან პატიმრობა და (ან) ჯარიმა. თუმც სასჯელი არ უნდა აჭარბებდეს დანაშაულის ამსრულებლისათვის კანონით გათვალისწინებულ მაქსიმუმს.[371]

მრავალი შტატის კანონმდებლობა, მსგავსად ზოგადი სამართლისა, შეიცავს დებულებას, რომლის თანახმადაც დამნაშავე თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ნათესავთა ხელშეწყობისათვის; მიუხედავად იმისა, რომ ნათესავთა წრე საკმაოდ ფართოა, მაგ., როდ-აილენდის შტატში.[372]

თანამონაწილეობის ინსტიტუტის აშშ-ის საკანონმდებლო რეგულირების განხილვა საშუალებას გვაძლევს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნის გასაკეთებლად: ამ სფეროში ამერიკის სისხლის სამართლის „მოდერნიზაციას“, რომლის ძალითაც თანამონაწილეობისთვის პასუხისმგებლობა ვრცელდება მისდიმინორებზეც, გააჩნია მკაფიოდ გამოხატული ტენდენცია სისხლის სამართლის რეპრესიების გამკაცრებისა და გაფართოებისაკენ.

აშშ-ს კანონთა კრებულის კარი 18 პ.4-ის თანახმად: „ის, ვინც იცის ფაქტიურად ჩადენილი ფელონიის შესახებ, რომელიც ექვემდებარება აშშ-ს სასამართლოთა იურისდიქციას, ფარავს და არ აცხადებს, რაც იცის და უმოკლეს დროში არ აუწყებს ამის შესახებ რომელიმე მოსამართლეს ან ხელისუფლების რომელიმე სამოქალაქო ან სამხედრო პირს – ისჯება ჯარიმით, ან პატიმრობით სამ წლამდე ვადით ან ორივეთი ერთად“.[373] ფედერალური კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსი, პასუხისმგებლობას ითვალისწინებს არა მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის, არამედ ჩასადენი ფელონიისთვისაც; თუ პირის მიერ ინფორმაციის გახმაურებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი ახლო ნათესავის დანაშაულში ინკრიმინირება, მაშინ იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან (§29.21.22 ოჰაიოს სსკ).

ფედერალური კანონმდებლობით, შეუტყობინებლობა – ფელონიაა. მაგ., ოჰაიოს შტატში – ესაა მისდიმინორი. შტატების უმრავლესობაში,

---

370 გარდა ამისა, ფედერალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა (კანონთა კრებული კარი 18) ითვალისწინებს დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას: ფელონიის ჩამდენი პირის (რომლის დასაკავებლადაც არსებობს ორდერი ან ბრძანება) დაფარვისათვის – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ვადით და (ან) ჯარიმით (§1071); და პატიმრობიდან გაქცეული პირის დაფარვისათვის - ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით (§1072).

371 ტენესის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი (§31-112, 39-113).

372 როდ-აილენდის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი (§23-101).

373 ფედერალური სისხლის სამართლის კანონმდებლობით, აშშ-ს დალატის ფაქტის შეუტყობინებლობა – ისჯება თავისუფლების აღკვეთით 7 წლამდე ვადით და (ან) ჯარიმით (კანონთა კრებული კარი 18 §2382).

სადაც შესაბამისი კანონმდებლობა არ არის, იგი ძველებურად ითვლება ზოგადი სამართლის მისდიმინორად.[374]

სისხლის სამართლის სანიმუშო კოდექსის (მუხ. 242.5) შესაბამისად, შტატების კანონმდებლობა მოიცავს დანაშაულის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიმართ თავშეკავებისაგან პასუხისმგებლობის შემცველ ნორმებს (ზოგადი სამართლით – მხოლოდ ფელონიისათვის). ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისაგან თავისშეკავება, განხორციელებული გასამრჯელოს სანაცვლოდ, ითვლება A კლასის მისდიმინორად, ე.ი. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით (§215.45), ტენესის შტატის სისხლის სამართლის კოდექსით კი ისევე, როგორც დანაშაულის ფაქტის ჩადენის შემდეგ დახმარებად (§39-3101).

მოპარული ნივთების დაფარვა (მიღება) ამჟამად აშშ-ში ძირითადად ითვლება დამოუკიდებელ დანაშაულად. პირის, მოპარული ნივთების დაფარვაში დამნაშავედ ცნობისათვის, ამერიკული სისხლის სამართალი მოითხოვს, რომ ბრალდებულმა იცოდეს, რომ მის მიერ მიღებული ქონება მოპარული იყო.

ასე მაგ., კალიფორნიის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის (§496, პ.1) თანახმად, „ნებისმიერი პირი, რომელიც იღებს ან ყიდულობს რაიმე ქონებას, რომელიც მოპარული ან მოპოვებული იყო ქურდობის ან გამოძალვის გზით, იცოდა რა, რომ ეს ქონება ასეთი საშუალებით იყო მოპოვებული, ანდა რომელსაც ის მალავს, ინახავს ან ეხმარება ასეთი ქონების დამალვასა და შენახვაში მისი მფლობელისათვის არმისაცემად, ისჯება პატიმრობით...“[375]

„გატაცებული ნივთები“ ხშირად ფართო მნიშვნელობით არის გაგებული. ასე მაგ., ამავე შტატის უმაღლესი სასამართლოს მიერ, 1973 წელს საქმის განხილვისას, წამოიჭრა საკითხი ასეთად უნდა ეცნოთ თუ არა საიდუმლო აგენტთა გასაიდუმლოებული სია, რომელიც იმყოფებოდა ნარკომანიასთან ბრძოლის ბიუროში.[376]

თუმც, როგორც ჩანს, სისხლის სამართლის სანიმუშო კოდექსის (მუხ. 223.6) ზეგავლენით „დაფარვის“ mens rea, ზოგიერთი შტატის კოდექსებში, შედარებით ნაკლებადაა განსაზღვრული. მაგ., ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსში ნათქვამია: „პირმა იცოდა ან ქონდა საფუძველი გაეთვალისწინებინა“, რომ ქონება იყო გატაცებული (§2913.51). მსგავსი ფორმულირება საშუალებას იძლევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს და დაისაჯოს პირი, რომლისთვისაც არ იყო ცნობილი, რომ ქონება მოპოვებული იყო უკანონო გზით, ე.ი. მნიშვნელოვნად ფართოვდება სისხლის სამართლის რეპრესიების ჩარჩოები.

ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დაფარვის სამ ხარისხს. მათგან შედარებით ნაკლებად საშიშია – მეხუთე

---

374 Jonson Ph. E Criminal Law. Cases, materials and text on the substantive criminal law in its prosedural context. St. Paul, Minn., 1980, გვ. 604.

375 იქვე;

376 People V.Kunkin. 9 Cal. Sd 245, 107 cal., Rptr. 184, 507 P. 2d 1392 (1973).

ხარისხის დანაშაული, რომელიც ითვლება A კლასის მისდიმინორად: პირი დამნაშავეა სისხლის სამართლის წესით დასჯადი მოპარული ქონების ფლობაში მეხუთე ხარისხით, თუ მან იცოდა, რომ ფლობდა გატაცებულ ქონებას, აკეთებდა ამას თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის მიღების განზრახვით, არ ითვლება მის მფლობელად (მესაკუთრედ), ან ხელს უშლის ამ ქონების მესაკუთრისთვის დაბრუნება“ (§165.40). ასეთი დაფარვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით.

სხვა ხარისხების დაფარვისთვის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია გატაცებული ქონების ღირებულებაზე: თუ იგი 1000 დოლარზე მეტია, მაშინ ითვლება E კლასის ფელონიად (§165.45), ე.ი. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოთხ წლამდე ვადით; თუ 3000 დოლარს აჭარბებს, მაშინ ითვლება D კლასის ფელონიად (§165.50) და ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდ წლამდე ვადით; თუ 5000 დოლარს აჭარბებს, მაშინ ითვლება C კლასის ფელონიად, ე.ი. ისჯება თავისუფლების აღკვეთით 15 წლამდე ვადით და თუ 1 მილიონ დოლარზე მეტია, ითვლება B კლასის ფელონიად და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 25 წლამდე ვცადით.

ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსით, მნიშვნელობა არა აქვს, რომ: 1) პირი, რომელმაც გაიტაცა ქონება, არ იყო ნასამართლევი ან თუნდაც დადგენილი; 2) დაფარვაში ბრალდებული თავად იღებდა მონაწილეობას ამ ქონების გატაცებაში და გ) გატაცებას ადგილი ჰქონდა ამ შტატის საზღვრებს გარეთ (§165.60).

ფედერალური კანონმდებლობით, გატაცებული ქონების დაფარვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით და (ან) ჯარიმით; ხოლო თუ გატაცებული ქონების ღირებულება არ აღემატება 1000 დოლარს, ისჯება უფრო მსუბუქად – თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით და (ან) ჯარიმით (§662 კარი 18 კანონთა კრებული).

§4. დანაშაულში თანამონაწილეობა საფრანგეთის სისხლის სამართალში

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს თანამონაწილეობის ცნების განმარტებას, მოცემულია მხოლოდ თანამონაწილეთა სახეები. საფრანგეთის სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში, თანამონაწილეობა გაგებულია სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით; განსხვავებით ამსრულებლისა და თანაამსრულებლისაგან, რომლებიც საკუთარი მოქმედებით ან უმოქმედობით ახორციელებენ დანაშაულებრივ ქმედებას და რომელთა მახასიათებლებიც განსაზღვრულია საფრანგეთის სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, თანამონაწილე - არის პირი, რომელიც აქცესორულად უერთდება აღნიშნული პირების დანაშაულებრივ ქმედებას, პროვოცირებს ან აადვილებს მის განხორციელებას. „ჩვენს სამართალში, წერს ჟ.პრადელი – აღიარებულია დანაშაულებრივი ქმედების ერთიანობა და

მის მონაწილეთა სიმრავლე. ერთიან დანაშაულში თანამონაწილეობა – მხოლოდ აქცესორული ელემენტია.[377]

ამგვარად, ფრანგული დოქტრინა გამომდინარეობს თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან და ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში თანამონაწილე „ნასესხებია“. ამ თეზისიდან ფრანგი იურისტები აყალიბებენ შემდეგ დებულებას: ამსრულებლისა და თანამონაწილის ქმედებას გააჩნია ერთი და იგივე კვალიფიკაცია. თანამონაწილეობის არსებობის ან არარსებობის საკითხის გადაწყვეტისას გაითვალისწინება დანაშაულებრივი ქმედების კატეგორია. კანონით, დანაშაულში თანამონაწილეობა ყოველთვის დასჯადია (სკ აბზ. 1. მუხ. 121-7). თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს ზოგიერთ თავისებურებას. წამქეზებლობა, სკ აბზ. 2 მუხ. 121-7-ის თანახმად, ყოველთვის დასჯადია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კერძო ნაწილის სპეციალურ ნორმაში არ არსებობს მითითება.

საპირისპიროდ, თანამონაწილეობა დანაშაულში დახმარების აღმოჩენისა (aide) ან ხელშეწყობისთვის (assistance), როგორც ნალებად საშიში, არ ისჯება. თუმც ზოგიერთ შემთხვევაში დახმარება და ხელშეწყობა ისჯება დამოუკიდებელი დელიქტების სახით. ასე მაგალითად, დარღვევათა მე-5 კლასისადმი მიკუთვნებული ძალადობითი ქმედებების „განზრახ შემსუბუქება დახმარების ან ხელშეწყობის მომზადების ან განხორციელების სახით“ ასევე დასჯადია. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა დაისაჯოს როგორც ამსრულებელი, ასევე ის პირიც, რომელიც ეხმარებოდა დანაშაულის განხორციელებაში. ამასთანავე, აღნიშნული პირების პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაშიც, როცა დანაშაულებრივი ქმედება არ იქნა მიყვანილი ბოლომდე ამსრულებლის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ე.ი. მცდელობისას (იხ. სკ აბზ. 3 მუხ. 625-1). თუ დანაშაულის ჩადენაში დამხმარე ან ხელშემწყობი განიხილება როგორც თანამონაწილე, მაშინ მისი სისხლის სამართლის წესით დევნა შეუძლებელია, რამდენადაც ფრანგული სისხლის სამართალი არ აღიარებს მცდელობისას თანამონაწილეობას.[378]

საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 1952 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით, თანამონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში ყოველთვის დასჯადია. დარღვევათა სფეროში თანამონაწილეობა დასჯადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამის შესახებ პირდაპირ ნათქვამია ნორმატიულ აქტში. ასე, მუხ. R 625-1 ადგენს პასუხისმგებლობას ისეთი დარღვევისათვის, როგორიცაა ძალადობის გამოყენება, რამაც გამოიწვია შრომისუნარიანობის სრული დაკარგვა არა უმცირეს ან არა უმეტეს 8 დღისა, განიხილება როგორც მე-5 კლასის დარღვევა და ეკისრება ჯარიმა. მოცემული მუხლის აბზ. 3-ის თანახმად, იგივე სასჯელი ეკისრებათ მათაც, ვინც განზრახ დახმარება გაუწია ან შეუმსუბუქა დანაშაულის მომზადება ან ჩადენა. სხვა მსგავს მაგალითად ითვლება აბზ. 3 მუხ. R 635-1, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას

---

377 Pradel J. Droit penal. T. 1. Editions Cujas – Paris, 1997, გვ. 473.

378 Stefani G., Levasseur G., Bouloc B., Droit penal général, 15-éd., 1995, გვ. 310.

განზრახ სხვა პირის ქონების განადგურების, დაზიანების ან გაფუჭების ჩადენაში თანამონაწილეობისთვის, რამაც გამოიწვია მხოლოდ უმნიშვნელო ზიანი.

განვიხილოთ ძირითადი პირობები თანამონაწილეობისთვის პასუხისმგებლობისა, რომლებიც მიეკუთვნება დანაშაულის აქტის მახასიათებლებს. პირველ რიგში, მთავარი დანაშაულებრივი ქმედება უნდა იყოს სინამდვილეში ჩადენილი. თუ ამსრულებელმა დანაშაულებრივი ქმედება ბოლომდე არ მიიყვანა და ნებაყოფლობით ხელი აიღო მის ჩადენაზე, თანამონაწილე არ ექვემდებარება პასუხისმგებლობას. თანამონაწილეობა დანაშაულის მომზადების ან მისი განხორციელების სტადიაზე, როდესაც ამსრულებლის ნებით წყდება მისი განხორციელება, შედეგის დადგომამდე, ასევე თანამონაწილეობის მცდელობა არ ისჯება სისხლის სამართლის წესით. ასე, მაგალითად, ფულის გადაცემა იმისათვის, რომ მეორე პირი დაიყოლიოს მკვლელობის ჩასადენად, არ ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ ამსრულებელმა რაიმე მიზეზების გამო არ განახორციელა დანაშაულებრივი ქმედება. ფრანგი იურისტები თვლიან, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარია თანამონაწილეობის მცდელობაზე, რომელიც არ არის დასჯადი. ამასთანავე, ისინი მიუთითებენ თანამონაწილეობის – თანამონაწილეობის მცდელობისაგან გამიჯვნის აუცილებლობაზე, როცა დაწყებული დანაშაულებრივი ქმედება წყდება ამსრულებლის ნებისაგან დამოუკიდებლად, ანუ სასჯელს დაქვემდებარებული ფაქტის არსებობის დროს.[379]

მეორე რიგში, ძირითადი ქმედება უნდა ექვემდებარებოდეს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ანუ ჰქონდეს დანაშაულებრივი ხასიათი. დახმარება ან წამქეზებლობა არადანაშაულებრივი ქმედებისაკენ არ ითვლება თანამონაწილეობად. ასე, მაგალითად, დახმარება იმ პირისათვის, რომელსაც თვითმკვლელობა აქვს გადაწყვეტილი არ განიხილება თანამონაწილეობად, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ იდევნება სისხლისსამართლებრივი წესით; ამ წესიდან არის რიგი გამონაკლისები. ზოგჯერ ფრანგი კანონმდებელი ადგენს დამოუკიდებელ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ისეთი ქმედებისათვის, რომელიც ითვლება წაქეზებად არადანაშაულებრივი ქმედებისაკენ ან ასეთში დახმარების აღმოჩენად. მაგ. სკ მუხ. 223-12 სამი წლით პატიმრობას და ჯარიმას ითვალისწინებს ქალისთვის მატერიალური დახმარებისას აბორტის გასაკეთებლად. იგივე სასჯელი ეკისრება პირს, ვინც წააქეზებს სხვას თვითმკვლელობისაკენ, თუ ასეთმა პროვოკაციამ გამოიწვია შედეგი ან თვითმკვლელობის მცდელობა (სკ მუხ. 223-13). სასჯელი იზრდება ხუთ წლამდე პატიმრობით და ჯარიმით, თუ დაზარალებული არასრულწლოვანია 15 წლამდე ასაკის. მოცემულ შემთხვევებში პირები, რომლებმაც ჩაიდინეს სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული ქმედებები, ითვლებიან დამოუკიდებელი დანაშაულის ამსრულებლებად და არა თანამონაწილეებად.

მესამეც, დანაშაულებრივი ქმედება უნდა იყოს ობიექტურად შესაძლებელი. ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს იმ შემთხვევებში, როცა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის

[379] Pradel J. Droit penal. T. 1. Editions Cujas – Paris, 1997, გვ. 445.

ვადები გასულია, ანდა ქმედება ექვემდებარება ამნისტიას ან სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული გარემოებებით (აუცილებელი მოგერიება, შეცდომა და ა.შ.) გამართლებულია, ანდა დანაშაულის გამოძიება შეუძლებელია იმის გამო, რომ ამსრულებელს იცავს იმუნიტეტი. ასე მაგალითად, პირი რომელმაც ხელი შეუწყო ერთ მეუღლეს მეორის გაქურდვაში არ ექვემდებარება სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რამდენადაც ასეთი ქმედება სკ პუნქტი 2 მუხ. 311-12-ით არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის წესით დასჯადობას.

ამასთანავე, თანამონაწილის პასუხისმგებლობისთვის არ არის საჭირო, რომ დანაშაულებრივი ქმედება იყოს ფაქტიურად დასჯადი. ფრანგი იურისტები თვლიან, რომ თანამონაწილეობის აქტი დაკავშირებულია დანაშაულებრივ ქმედებასთან, მაგრამ არა ამსრულებელთან, ამიტომ ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა არ აბრკოლებს თანამონაწილის განსჯას განსაზღვრულ პირობებში. თუ ამსრულებელი ფაქტის გამო დევნილია (მაგ. ძებნილია) ანდა სამართლის ძალით (ფსიქიკური აშლილობისას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწევლობისათვის, ინდივიდუალური ამნისტიის და ა.შ.), თანამონაწილე შეიძლება განისაჯოს. საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა თანამონაწილეს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უცნობი ამსრულებლის დროს. ამასთანავე, განსჯა ეფუძნება მოსამართლეთა კონსტატაციას ამსრულებლის დანაშაულებრივ ქმედებაში მატერიალური და ლეგალური ელემენტების არსებობის შესახებ. თანამონაწილე ექვემდებარება პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, როცა ამსრულებელს თუმც ეკისრებოდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ საბოლოოდ განთავისუფლდა მისგან რაიმე პირადი ხასიათის მიზეზით (მაგ. ფსიქიკური აშლილობის ან ინდივიდუალური ამნისტიის გამო). თანამონაწილის განსჯას არ აბრკოლებს ამსრულებლისთვის გამოტანილი კანონიერ ძალაში არ შესული გამამტყუნებელი განაჩენი.

ახლა განვიხილოთ თანამონაწილეობის აქტისათვის საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნები. სკ მუხ. 121-7 შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ თანამონაწილეობის აქტი აერთიანებს დანაშაულებრივი ქმედების მატერიალურ და მორალურ მახასიათებლებს.[380]

თანამონაწილეობის მატერიალური ელემენტი, დასახელებული მუხლიდან, მდგომარეობს რომელიმე ქმედების განხორციელებაში. ამგვარი ქმედებების ჩამონათვალი, რომელთა დახასიათებას იხილავთ ქვემოთ, არის დახურული, ამიტომ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა, გამოხატული სხვა ფორმებით, არ ითვლება თანამონაწილეობად და მის ამსრულებელს აქცევს „უბრალო მეორეხარისხოვან პირად“ (comparse).

სკ მუხ. 121-7-ში დასახელებულია თანამონაწილეობის ორი სახე: 1) დახმარება ან ხელის შეწყობა; 2) წამქეზებლობა.

თავდაპირველად განვიხილოთ თანამონაწილეობა, გამოხატული დახმარებით ან ხელის შეწყობით. 1810 წლის საფრანგეთის სისხლის

[380] საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 121-7.

სამართლის კოდექსი, დახმარების და ხელის შეწყობასთან ერთად ასახელებდა კიდევ ერთს, აღნიშნულთან საკმაოდ მსგავსს – საშუალებების მიცემას დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად. საფრანგეთის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ეს ფორმა - „დახმარება და ხელის შეწყობა“ უფრო ფართო მნიშვნელობისაა, რაც მართებულია ფრანგი იურისტებისათვის.[381]

საფრანგეთის სისხლის სამართალში დახმარება ან ხელის შეწყობა ტრადიციულად ხასიათდება ორი მნიშვნელოვანი მომენტით: დახმარება და ხელის შეწყობა უნდა გამოიხატებოდეს მოქმედებაში და არა უმოქმედობაში, და დროში წინ უნდა უსწრებდეს დანაშაულის აქტს (დახმარება) ან, უკიდურეს შემთხვევაში, მის დასრულებას (ხელის შეწყობა).[382]

დახმარება ან ხელის შეწყობა ყოველთვის გამოიხატება აქტიურ მოქმედებებში: მკვლელობის ჩასადენად იარაღის მიწოდება, ყალბი გასაღებები ქურდობისათვის და ა.შ. ამასთანავე, თანამონაწილის პასუხისმგებლობისათვის არ არის საჭირო, რომ ეს საგნები გამოყენებული იქნეს ამსრულებლის მიერ. ეს აიხსნება იმით, რომ საშუალებების მიცემა ან დანაშაულის ჩადენისაკენ შეგულიანება ამსრულებელს უმტკიცებს გადაწყვეტილებას და მზაობას დანაშაულის ჩასადენად. ამგვარად, არსებობს სუბიექტური და ობიექტური საფუძვლები თანამონაწილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.[383]

რაც შეეხება უმოქმედობას, იგი არ შეიძლება განვიხილოთ ზოგადი წესით თანამონაწილეობის სახით. თანამონაწილეობად არ ითვლება, მაგ. დუმილის დაპირება. საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 1948 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით, თანამონაწილედ არ იქნა ცნობილი პირი, რომელმაც დანაშაულის ადგილზე წაასწრო ქურდებს და განსაზღვრული ჯილდოს საფასურად დასთანხმდა მათ, რომ არ ატეხდა ხმაურს და არ შეატყობინებდა სამართალდამცავებს ამის შესახებ. საკასაციო ინსტანციის მიერ მოცემული საქმე შეწყდა იმის საფუძველზე, რომ პირს არ ჩაუდენია არანაირი პოზიტიური ქმედებები დამნაშავეთა დასახმარებლად, და ხელშეწყობა უმოქმედობით კანონით შეუძლებელია. ამასთანავე, ამ წესიდან პრაქტიკაში არის გამონაკლისებიც. ხშირად თანამონაწილედ მიუჩნევიათ პირი, რომელსაც არ ჩაუდენია რაიმე აქტიური ქმედება, მაგრამ მაინც განუხორციელებია გასაკიცხი ქცევა. აქედან გამომდინარე, პრაქტიკაში გამოიყოფა სამი სახის ქცევა, რომლებიც შეიძლება ცნობილ იქნეს თანამონაწილეობად: 1) ფაქტიურად პირი თავისი თანდასწრებით აქეზებს ან ფსიქოლოგიურად მხარს უჭერს ამსრულებელს (საყვარელი ესწრება მისი საყვარლის უკანონო ორსულობის შეწყვეტას); 2) დანაშაულის ჩადენამდე პირი ამსრულებელს უთანხმდება მის ჩადენაზე (საბაჟოს ინსპექტორი „თვალს ხუჭავს“ ამსრულებლის თაღლითურ ქმედებებზე); 3) პირი უმოქმედოდაა, თუმცა პროფესიული ან თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ვალდებული იყო და შეეძლო კიდეც ხელი შეეშალა დანაშაულებრივი ქმედებისათვის

[381] Stefani G., Levasseur G., Bouloc B., Droit penal général, 15-éd., 1995, გვ. 318.
[382] Pradel J. Droit penal. T. 1. Editions Cujas – Paris, 1997, გვ. 468.
[383] Stefani G., Levasseur G., Bouloc B., Droit penal général, 15-éd., 1995, გვ. 320.

(პოლიციის აგენტი გულგრილად ეკიდება მისი კოლეგის მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტს).[384]

უმოქმედობით თანამონაწილეობის ცნობის საკითხის გადასაწყვეტად სასამართლო პრაქტიკა გამოვიდა სისხლის სამართლის დოქტრინიდან, რომელიც აუცილებლად დასჯადად თვლის უმოქმედობას იმ შემთხვევაში, როცა პირს კანონით ევალებოდა აღეკვეთა დანაშაულებრივი ქმედება, შეეძლო შეეჩერებინა ამსრულებელი და, ბოლოს, გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ამ უკანასკნელმა დაიწყო განზრახვის განხორციელება ან უახლოეს მომავალში დაიწყებდა მას.[385]

დანაშაულის შემდეგ განხორციელებული ქმედებები, საფრანგეთის სისხლის სამართლით არ ითვლება თანამონაწილეობად, თუნდაც პირი სხვას დანაშაულებრივ ქმედებას შეუერთდეს. მაშასადამე, დახმარება ან ხელის შეწყობა უნდა იქნეს დაპირებული ან მოსამზადებელ სტადიაზე, ან მცდელობისას ანდა დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისას. დანაშაულებრივი ქმედებებიდან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკა დასჯადად თვლის ისეთ დანაშაულებრივ ქმედებასაც, რომლის დროსაც წინასწარშეპირებული თანხმობა განკუთვნილია დანაშაულის გასაადვილებლად (ავტომობილით დალოდება დამნაშავის გასაქცევად). 1915 წლიდან, წინასწარშეუპირებელი დაფარვა დამოუკიდებელი დელიქტი გახდა. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა დაისაჯონ მფარველები იმ შემთხვევაშიც, როცა ამსრულებელი რაიმე მიზეზით არ ექვემდებარება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.[386]

სკ აბზ. 2 მუხ. 121-7-ს თანახმად, თანამონაწილეს უთანაბრდება პირი, რომელიც საჩუქრებით, დაპირებებით, მუქარით, მოთხოვნით, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით ახდენს დანაშაულის პროვოცირებას ან იძლევა ბრძანებას მის ჩასადენად. ამგვარად, წამქეზებლობა (intigation) შეიძლება განხორციელდეს ორი ფორმით: პროვოკაციის გზით ან ბრძანებით.

პროვოკაცია ითვლება თანამონაწილეობად მხოლოდ სამი პირობის არსებობისას: პირველ რიგში, მის განხორციელებას უნდა ახლდეს ის საშუალებები, რომლებიც მითითებულია სკ 121-7 მუხლში (საჩუქრები, ფული და ა.შ.), ან იმ საშუალებებით, რომლებიც დასახელებულია (დაპირება, მუქარა, მოთხოვნა და ა.შ.). მსგავსი ქმედებების თანამონაწილეობად აღიარებისათვის საკმარისია ჩამოთვლილი გარემოებებიდან ერთ-ერთი, თუმც ხშირად სასამართლო ადასტურებს მათ ერთობლიობას. სასამართლო პრაქტიკაში პროვოკაციად იქნა მიჩნეული საყვარლის ქმედება, რომელიც მისგან დაორსულებულ ქალს აგულიანებდა აბორტისაკენ და პირდებოდა მატერიალურ დახმარებას თანხმობის შემთხვევაში და ემუქრებოდა, რომ მიატოვებდა უარის შემთხვევაში.[387] მეორე პირის შეგულიანება დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად სხვა საშუალებებით ან სხვა გარემოებებში, რაც მითითებულია სკ მუხ. 121-7, პროვოკაციად არ ითვლება.

---

384 Stefani G., Levasseur G., Bouloc B., Droit penal général, 15-éd., 1995, გვ. 322.

385 Pradel J., Droit penal, T. 1, Editions Cujas – Paris, 1997, გვ. 481-482.

386 იქვე, გვ. 484.

387 Crim. 25.02. 1942. D.A., 1942, 91.

მეორეც, ფრანგი იურისტები თვლიან, რომ პროვოკაცია პირდაპირ უნდა აქეზებდეს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისაკენ და მიმართული უნდა იყოს უშუალოდ ამსრულებელზე და არა სხვა პირებზე.[388]

მესამეც, პროვოკაციამ უნდა გამოიღოს შედეგი. მავნე შედეგების არ არსებობისას, ან თუნდაც მცდელობისას, მთავარ ფაქტს არა აქვს ადგილი და ეს იმას ნიშნავს, რომ არ იქნება თანამონაწილეობაც.[389]

ამასთანავე, რიგი სისხლის სამართლებრივი ნორმებისა ასეთ პროვოკაციას მიიჩნევს დამოუკიდებელ დელიქტად, რომელიც არ ახლავს სკ-ის 121-7 მუხლის პირობებს. ასეთ დელიქტებს მიეკუთვნება მაგ. პირდაპირი პროვოკაცია რომელიმე დანაშაულის ჩადენისა, რომელსაც ითვალისწინებს საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის წიგნი IV, თავი „ღალატი და ჯაშუშობა“. ავღნიშნავთ, რომ საუბარია პროვოკაციაზე, რომელსაც არ გამოუწვევია მავნე შედეგები ამსრულებლის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ე.ი. შეუმდგარ პროვოკაციაზე, ასეთი დელიქტის ჩადენის ხერხებს შორის დასახელებულია: ზეგავლენის მოხდენა ან ძალადობითი ქმედებები, რომლებსაც სკ ზოგადი ნაწილი პროვოკაციის ხერხებად არ ითვალისწინებს.

ხშირად, პროვოკაციად ითვლება ისეთი „წაქეზებაც, რომელიც მიმართულია განუსაზღვრელ პირთა ჯგუფზე. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ პროვოკაცია, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია სკ 223-14 მუხლით. სამი წლით პატიმრობითა და ჯარიმით ისჯება ისეთი პროდუქტების, ნივთებისა და მეთოდების პროპაგანდა ან რეკლამირება, რომლებიც რეკომენდირებულია, როგორც თვითმკვლელობის ჩასადენი საშუალებები. გასაგებია, რომ მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ საშუალებებზე ინფორმაციას არ ჰყავს კონკრეტული ადრესატი, წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დადგება სხვა სამართალდარღვევისათვის, რომელსაც ითვალისწინებს სკ 223-13 მუხლი.

პროვოკაციად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ის ქმედებები, რომლებმაც არ გამოიღეს შესაბამისი შედეგი. ზევით უკვე ვისაუბრეთ – სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა პროვოკაციაზე, რომელიც თავისი არსით ითვლება შეუმდგარად. ეს ეხება რიგ სხვა დანაშაულებრივ ქმედებებს, მაგ., წაქეზება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისკენ, რომელიც ექვემდებარება დასჯადობას სახალხო ჯანდაცვის კოდექსის მუხ. L. 630-ით. განხილული „გამონაკლისი წესებიდან“ მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ პასუხისმგებლობა ასეთი პროვოკაციისთვის დგება, როგორც დამოუკიდებელი სამართალდარღვევისთვის და პირი ითვლება მის ამსრულებლად.

პროვოკაციისაგან განსხვავებით, ბრძანების მიცემა არის ამსრულებლისთვის აუცილებელი მონაცემების წარდგენა დანაშაულებრივი ქმედების განსახორციელებლად. მოცემულ შემთხვევაში არ არის ძალდატანება, რომელიც დამახასიათებელია პროვოკაციისთვის. ამასთანავე, თანამონაწილის პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა

---

388 Pradel J., Droit penal, T. 1, Editions Cujas – Paris, 1997, გვ. 486.

389 იქვე;

ის, რომ მისი მითითებები და ინსტრუქციები გამოყენებულ იქნეს დანაშაულის ჩადენისას.[390]

სასამართლო პრაქტიკა მიჯნავს ბრძანებას იმ უბრალო ცნობებისაგან, რომელთა მოპოვებაც არ ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას; თუმც პირველისა და მეორის გამიჯვნა ძალიან რთულია. პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როცა შემდგომში მსხვერპლზე მიღებული მონაცემები შეფასებულ იქნა, როგორც გაცემული ბრძანება. 1966წ. გასამართლებული იქნა მოქალაქე, რომელმაც მეორე პირს უთხრა, რომ მათი საერთო ნაცნობი „კარგია მხოლოდ სასიკვდილოდ“. ეს ნათქვამი აღიარებულ იქნა ბრძანების მიცემად დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსასპობად. სასამართლოს მიერ ამა თუ იმ შეტყობინების „უბრალო ცნობად წარდგენის“ აღიარება იშვიათია. ლიტერატურაში, მაგალითის სახით, მოყვანილია მხოლოდ ერთი: ბრალდებულმა მისთვის დასმულ შეკითხვაზე უპასუხა თავის საყვარელს, რომ მას შეუძლია მუცლის მოშლა ინექციით. სასამართლომ ცნო, რომ ამ შემთხვევაში „იძულება“ იყო იმდენად ზოგადი და განუსაზღვრელი ხასიათისა, რომ ეს ფაქტი საჭიროა ჩაითვალოს „უბრალო ცნობის წარდგენად“.[391]

თანამონაწილეობის მორალური ელემენტის შეფასებისას, ფრანგული დოქტრინა გამოდის იქიდან, რომ თანამონაწილეობა უნდა იყოს გაცნობიერებული მონაწილეობა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. ეს გამომდინარეობს სკ აბზ. 1 მუხ. 121-7, სადაც საუბარია „შეგნებულობაზე“ (sciemment), და იმავე მუხლის აბზ. 2, სადაც საუბარია წამქეზებლობაზე, რომელიც არის მხოლოდ შეგნებული აქტი. პირის ბრალეულობის დადგენა ეყრდნობა ბრალდების მხარეს და მოსამართლეს. ამასთანავე, პრაქტიკა თანამონაწილეობას აღიარებს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით დანაშაულებრივ ქმედებებში. მგზავრი, რომელიც აქეზებს მძღოლს გადაჭარბებული სიჩქარით სვლისაკენ, რის შედეგადაც ზარალდება ფეხით მოსიარულე, ითვლება თანამონაწილედ. ამასთანავე, საფრანგეთის საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში იმეორებს ფორმულას, რომელიც ჩაწერილია 1934 წლის 14 დეკემბრის სისხლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებაში: „მდგომარეობა (თანამონაწილეობის) სკ მუხ. 59, 60 (მხედველობაშია სკ 1810 წ.) ატარებს ზოგად ხასიათს და გამოიყენება ყველა დანაშაულთან დაკავშირებით და მათ შორის გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროსაც“.[392]

სისხლისსამართლებრივი დოქტრინა ასევე ცნობს თანამონაწილეობის შესაძლებლობას გაუფრთხილებლობით დელიქტებში. ფრანგი მეცნიერ-იურისტები თვლიან, რომ წინასწარი შეთანხმება პირებისა რაიმე საშიშ ქცევაზე, რომელიც სისრულეში მოჰყავს ერთ-ერთ მათგანს, იძლევა საფუძველს ორივესთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, რამდენადაც ორივე აცნობიერებდნენ, რომ რისკავდნენ. ამასთანავე, დოქტრინაში აღინიშნება, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ ღირს მივმართოთ თანამონაწილეობის ცოდნას, რამდენადაც ეს პირები

---

[390] Stefani G., Levasseur G., Bouloc B., Droit penal général, 15-éd., 1995, გვ. 314-315.

[391] იქვე, გვ. 317.

[392] Козочкин Н.Д., Уголовное право зарубежных государств, Изд. Зерцало, М., 2001. გვ. 336.

ცნობილი უნდა იქნენ თანაამსრულებლებად და არა თანამონაწილეებად. მეორე პირის ბრალი (მგზავრზე მოყვანილ მაგალითში) ერწყმის დანაშაულებრივი ქმედების შემადგენელ ძირითად მახასიათებლებს, ამიტომ იგი ისეთივე თანაამსრულებელია, როგორც პირველი. სასამართლო პრაქტიკა ნაწილობრივ ამტკიცებას ამას. ასე მაგალითად, ტექნიკურად გაუმართავი სატვირთო მანქანის მესაკუთრე ცნობილ იქნა გაუფრთხილებლობით დანაშაულის თანაამსრულებლად და არა თანამონაწილედ, მისი თანამშრომლის მიერ მესამე პირის სიცოცხლის ხელყოფისთვის. სხვა შემთხვევაში, თანაამსრულებლად იქნა ცნობილი მძღოლი, რომელმაც მეგობარს, რომელსაც არ ჰქონდა მართვის უფლება, გადასცა ავტომანქანა, რამაც გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი.[393]

სასამართლო პრაქტიკაში არანაკლებ პრობლემატურია თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხი ამსრულებლის ექსცესის დროს. თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის თანმიმდევრულ გამოყენებას მივყავართ იქამდე, რომ ამსრულებლის ექსცესი დანაშაულად შეერაცხება თანამონაწილესაც. ძარცვის ფაქტებთან დაკავშირებით, ფრანგი მოსამართლეები თანამონაწილეებს ბრალს დებდნენ ისეთ დამამძიმებელ გარემოებებზე, როგორიცაა: ჯგუფურობა, სატეხი ინსტრუმენტების გამოყენება, საცხოვრებელში შეღწევა, რომელთა შესახებაც არც იცოდნენ თანამონაწილეებმა და არც ჰქონდათ განზრახული. ამასთან დაკავშირებით, ფრანგი მოსამართლეები ადგენენ ამსრულებლის ექსცესის შემდეგ სამ შემთხვევას: 1) ამსრულებელი ახორციელებს აბსოლუტურად სხვა ქმედებას, ვიდრე იგეგმებოდა და წარმოდგენილი ჰქონდათ თანამონაწილეებს; 2) ქმედება მისი განხორციელებისას გართულდა ისეთი გარემოებების გამო, რომლებიც თავდაპირველად არ იყო გათვალისწინებული და არ შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო თანამონაწილისათვის და 3) თანამონაწილეს აქვს განუსაზღვრელი განზრახვა და მზადაა მიუერთდეს ამსრულებლის ქმედებას.[394]

საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკას უკავია პოზიცია, რომლის თანახმადაც, მხოლოდ პირველ შემთხვევაში, თანამონაწილის პასუხისმგებლობა ამსრულებლის ექსცესისათვის გამორიცხულია. დანარჩენ შემთხვევებში იგი სრულ პასუხისმგებლობას აკისრებს თანამონაწილეს ამსრულებლის მიერ განხორციელებულ ქმედებაში, მაშინაც კი, თუ ისინი თანამონაწილეს ობიექტურად შეერაცხება. საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს სისლის სამართლის საქმეთა პალატამ, 1947 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მიუთითა შემდეგი: „თანამონაწილემ უნდა გაითვალისწინოს ყველა მაკვალიფიცირებელი გარემოება, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ჩაფიქრებულ დანაშაულს, ყველა გარემოება, რომლებიც შეიძლება მას თან ახლდეს“. ეს წესი მოქმედია, შესაბამისად გამოიყენება დღესდღეობით და ვრცელდება განუსაზღვრელი განზრახვით თანამონაწილეობისას.[395]

---

[393] Козочкин Н.Д., Уголовное право зарубежных государств, Изд. Зерцало, М., 2001. გვ. 337.

[394] Pradel J., Droit penal, T. 1, Editions Cujas – Paris, 1997, გვ. 477.

[395] Stefani G., Levasseur G., Bouloc B., Droit penal général, 15-éd., 1995, გვ. 325-326.

სისხლის სამართლის დოქტრინაში ასევე ითვლება, რომ თუ სხვაობა ჩაფიქრებულსა და ფაქტიურად ჩადენილ დანაშაულს შორის ეხება დანაშაულებრივი ქმედების ძირითად შემადგენელ ელემენტებს, თანამონაწილე არ ისჯება ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის. თუ სხვაობა ეხება დანაშაულებრივი ქმედების მხოლოდ ცალკეულ გარემოებებს, მაგ. დამამძიმებელს, თანამონაწილე ექვემდებარება პასუხისმგებლობას ამგვარი ქმედებებისთვის.[396]

კიდევ ერთი პრობლემაა დაკავშირებული თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან. ფრანგული კანონმდებლობით არ ისჯება, მაგალითად, ის ვინც დანაშაულის ჩასადენად მიცემულ საშუალებებს შემდეგ ჩამოართმევს და შემდეგში არ ეხმარება ამსრულებელს მისი განზრახვის განხორციელებაში. მართალია, პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ აქტიური ქმედების განხორციელების შემთხვევაში, და არა უმოქმედობისას. პირმა უნდა გააკეთოს ყველაფერი შესაძლებელი, რათა დანაშაულებრივი შედეგი არ დადგეს.[397]

საფრანგეთის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, თანამონაწილე ისევე ექვემდებარება დასჯადობას, როგორც ამსრულებელი. ამასთან კანონი არ იხილავს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ან გამკაცრებას ცალკეული თანამონაწილისათვის მათ მიერ შესრულებულ როლებთან დაკავშირებით.

თანამონაწილეობის შესწავლის შესახებ თეორია გამომდინარეობს მისი ორი პრინციპიდან - „ქმედების გადმოღება“ და „სასჯელის გადმოღება“; ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა მეორე პრინციპზე უარი თქვა. არ შეიძლება ვისაუბროთ სასჯელის გადმოღებაზე, მაგ. იმ შემთხვევაში, როცა ამსრულებელია იურიდიული პირი, რამდენადაც ამ უკანასკნელისათვის სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია სპეციფიკური სასჯელის სახეები, რომლებიც პრინციპში არ შეიძლება დაუნიშნოთ ფიზიკურ პირებს (იურიდიული პირის ლიკვიდაცია და ა.შ.).

საფრანგეთის სისხლის სამართალში, თანამონაწილეობის ინსტიტუტის განხილვასთან დაკავშირებით, საჭიროა რამოდენიმე სიტყვით შევეხოთ ისეთ სპეციფიურ ინსტიტუტს, როგორიცაა სხვათა ქმედებებზე პასუხისმგებლობა. ასეთი პასუხისმგებლობა პრინციპში წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტს და პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშობლებს მათი არასრულწლოვანი შვილების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, თუ ამ ქმედებებმა გამოიწვიეს ზიანი (საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხ. 1384). სისხლის სამართალში, განსხვავებით სამოქალაქო სამართლისაგან, მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი ანუ თითოეული პასუხს აგებს მის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის (სკ მუხ. 121-1).

ამასთანავე, საფრანგეთის სისხლის სამართალი ზღვრულ ფარგლებში უშვებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ერთი პირის დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც სინამდვილეში სხვა პირის მიერაა ჩადენილი. სამაგალითოდ,

---

[396] Pradel J., Droit penal, T. 1, Editions Cujas – Paris, 1997, გვ. 482-483.

[397] იქვე, გვ. 479.

ასეთ შემთხვევებზეა მიღებული საუბარი ფრანგულ სამართალში სხვისი ქმედებების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე (responsabilité penal du fait d'autrui). ახალი სისხლის სამართალის კოდექსის მიღებით, ეს ინსტიტუტი, რომელსაც ფრანგული წარმომავლობა გააჩნია და გამყარებულია სხვა სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემებში, მაგ. ინგლისში vicarious liability სახით, ზემოთ მითითებული სისხლისსამართლებრივი პრინციპებიდან გამონაკლისია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი იურისტი აქ ვერ ხედავს პირადი პასუხისმგებლობის პრინციპის დარღვევას, რამდენადაც ისინი თვლიან, „პასუხისმგებლობა სხვისი ქმედებისათვის წარმოადგენს, სინამდვილეში, პირად ბრალს იმიტომ, რომ პირმა დაარღვია ზედამხედველობის მოვალეობა ამსრულებლის დანაშაულებრივ ქმედებაზე, ანდა იმიტომ, რომ ეს პირი თავად წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების ირიბ ამსრულებელს"[398] - (ე.ი. ჩადის დანაშაულებრივ ქმედებას მესამე პირის მეშვეობით, რომელიც სინამდვილეში უდანაშაულოა).

ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ მისი მეშვეობით საფრანგეთის სისხლის სამართალში ივსება ხარვეზი, რომელიც ზოგადი წესით უმოქმედობის დასჯის ნებას არ იძლევა. უკანასკნელი ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, როცა კანონმდებელი პირდაპირ ითვალისწინებას ამას.

სხვისი ქმედებისათვის პასუხისმგებლობის ინსტიტუტი იძლევა საშუალებას ისეთი უმოქმედობის დასჯისას, რომელიც სპეციალურად არაა დათქმული ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში. სამუშაოს მიმცემი, მაგ. შეიძლება დაისაჯოს დანაშაულისათვის, როდესაც არ ახორციელებს მასზე დაკისრებულ კონტროლსა და ზედამხედველობას მის დაქვემდებარებაში მყოფებზე, ან არ ზემოქმედებს მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე, თუ პირებთან მიმართებაში ხელმძღვანელი ახორციელებს სახელისუფლო უფლებამოსილებას, ან როგორც ფრანგი იურისტები ამბობენ იგი არის მათი ქმედებების „გარანტი". სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როცა იურიდიული პირის გენერალური დირექტორი, რომელიც ფლობდა უძრავ ქონებას, გასამართლებული იქნა უხარისხო სარემონტო სამუშაოებისათვის, რომელმაც გამოიწვია მავნე შედეგები, მიუხედავად იმისა, რომ ეს სამუშაო დავალებული ჰქონდათ მის სპეციალისტ-მუშებს, რომლებმაც არაკეთილსინდისიერად შეასრულეს თავიანთი მოვალეობები.[399] უძრავი ქონების მესაკუთრეები ასევე პასუხს აგებენ მათ მიერ დაქირავებული მუშების მოვალეობების დარღვევის შემთხვევაში. თუ ასეთმა დარღვევებმა გამოიწვია ადამიანთა ჯანმრთელობის დაზიანება ან სხვაგვარი მავნე შედეგები, სამუშაოს მიმცემები პასუხს აგებენ, როგორც უშუალო ამსრულებლები. ამ მესაკუთრეთა განსჯა ეფუძნება მათ ბრალეულობას, ვინაიდან არ განახორციელეს მათზე დაკისრებული კონტროლი.

სხვათა ქმედებებზე პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სხვა შემთხვევებშიც. მაგ., აბზ. 1 მუხ. L. 21-1 (საგზაო კოდექსის) თანახმად, სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეს ეკისრება პასუხისმგებლობა დელიქტისთვის, რომელიც დაკავშირებულია სადგომის წესის

---

[398] Stefani G., Levasseur G., Bouloc B., Droit penal général, 15-éd., 1995, გვ. 336.

[399] Crim. 11.06.1970, B.C. №201.

დარღვევასთან, ფორს-მაჟორული გარემოებების შემთხვევათა გამოკლებით, რომელთა დამტკიცება ან მონაცემების წარდგენა სინამდვილეში სამართალდამრღვევი ამსრულებლის შესახებ ეკისრებათ მათ. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ასევე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა იურიდიული პირებისა, რომლებიც მათი ორგანოებისა და წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის პასუხს აგებენ (სკ მუხლი 121-2).

თანამონაწილეობის თვალსაზრისით, ხელმძღვანელების, მესაკუთრეების, სამუშაოს მიმცემებისა და სხვა პირთა ქმედებები, რომლებსაც შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროთ სხვათა ქმედებებისთვის, პრაქტიკაში სხვადასხვაგვარად კვალიფიცირდება. ერთ შემთხვევაში სასამართლო ასეთ პირებს აღიარებდა თანაამსრულებლებად, სხვა შემთხვევაში – თანამონაწილეებად. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ წინააღმდეგობრივია. ამასთანავე, აღიარებულია, რომ თავისი უფლებამოსილების ნაწილის ხელქვეითისთვის გადაცემა ხელმძღვანელს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. პასუხისმგებლობა არ დგება იმ შემთხვევაშიც, თუ მითითებული პირები დაამტკიცებენ, რომ სხვა პირის მიერ ჩადენილ დელიქტში მათი პირადი ბრალეულობა (გაუფრთხილებლობითაც კი) სავსებით გამორიცხულია.[400]

§5. დანაშაულში თანამონაწილეობა იტალიის სისხლის სამართალში

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი, განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისაგან, არ შეიცავს თანამონაწილეობის ცნების განსაზღვრებას, ფორმებსა და თანამონაწილის სახეებს. თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტაზე იტალიურ სისხლის სამართალში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თანამონაწილეობის ფრანგულმა აქცესორულმა თეორიამ. იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლში მითითებულია, რომ „როდესაც რამდენიმე პირი მონაწილეობს ერთსა და იმავე დანაშაულის ჩადენაში, თითოეული მათგანი იმსახურებს სასჯელს ამ დანაშაულისათვის“. ამგვარად არ ხდება მათი დაყოფა ამსრულებლად, დამხმარედ და წამქეზებლად. თუმც სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლში აღინიშნება, რომ პირობების, ან დამნაშავის პიროვნების ანდა დამნაშავესა და დაზარალებულს შორის ურთიერთობების გათვალისწინებით – რომელიმე თანამონაწილესთან მიმართებაში, იცვლება სისხლის სამართალდარღვევისათვის კვალიფიკაცია, სხვა ყველა თანამონაწილეს კი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ სისხლისსამართლებრივი დარღვევისათვის. ეს მდგომარეობა გამოხატავს თანამონაწილეთა შორის აქცესორულ კავშირს.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი უშვებს თანამონაწილეობას გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში. სს კოდექსის 113-ე მუხლი გვაუწყებს: „გაუფრთხილებლობით დანაშაულში, როდესაც შედეგი

[400] Pradel J., Droit penal, T. 1, Editions Cujas – Paris, 1997, გვ. 459.

გამოიწვია რამდენიმე პირის ურთიერთქმედებამ, თითოეული მათგანი ექვემდებარება დასჯას იმის მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მოცემული დანაშაულისათვის“. ამგვარად, ნებისმიერი პირი, რომლის ქმედებაც მიზეზობრივ კავშირში იყო გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენი სუბიექტის ქმედებასთან, ექვემდებარება პასუხისმგებლობას ამსრულებლის თანაბრად.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას შუალობითი ამსრულებლობის დროს. მაგალითად, როდესაც პირი გამოიყენებს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩასადენად შეურაცხად პირს, რომელსაც გარკვეული გარემოებების გამო არ შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა – პასუხისმგებლობა ეკისრება თვით მას. ამასთანავე სასჯელი იზრდება.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულში თანამონაწილეობის დროს ითვალისწინებს რიგ დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. ასე მაგ., სს კოდექსის 112-ე მუხლის 1 ნაწ. 1 პუნქტით სასჯელი იზრდება, თუ თანამონაწილეთა რიცხვი ხუთი ან მეტია, იმ პირობით თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დანაშაულში ხუთი ან მეტი პირის მონაწილეობის შემთხვევაში, საჭირო არ არის იმის დადგენა ყველა მონაწილე ერთობლივად აცნობიერებდა თუ არა დანაშაულში მონაწილეობის ფაქტს. საკმარისია ხუთი ან მეტი მონაწილე აღმოჩნდეს ერთ ადგილზე დანაშაულის ჩადენის მიზნით.[401]

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხ. ნაწ. 1, პუნ. 2 ითვალისწინებს პასუხისმგებლობის გამკაცრებას იმ პირებისათვის, ვინც ორგანიზება გაუკეთა ან ხელმძღვანელობდა დანაშაულის ჩადენას.

სს კოდექსის 112-ე მუხ. ნაწ. 1, პუნ. 3-ის შესაბამისად, სასჯელი იზრდება იმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ სახელისუფლებლო, ხელმძღვანელობითი ან საზედამხედველო უფლებამოსილებით და აქეზებენ მათზე დაქვემდებარებულ პირებს დანაშაულის ჩასადენად.

მძიმდება პასუხისმგებლობა ასევე პირისა, რომელმაც დანაშაულის ჩასადენად დაიყოლია 18 წლამდე ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანი ანდა ფსიქიკურად დაავადებული, ან განუვითარებელი (სსკ 112-ე მუხ. ნაწ. 1, პუნ. 4). ასეთი ამსრულებელი არ ექვემდებარება პასუხისმგებლობას, ვინაიდან შეურაცხადია ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველია. დანაშაულის წამქეზებელს კი ეკისრება გაზრდილი პასუხისმგებლობა.

თუმც დანაშაულის ჩადენაზე დათანხმების შემთხვევაში, მოსამართლეს შეუძლია მისი მონაწილეებისათვის გამოიყენოს უსაფრთხოების ზომები. დანაშაულის წამქეზებელს შეიძლება შეეფარდოს უსაფრთხოების ზომები, თუ წამქეზებლობა წარუმატებელი იქნა (სსკ 125-ე მუხ. ნაწ. 4).

დანაშაულში თანამონაწილეობისთვის შემამსუბუქებელი გარემოებები გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე

---

[401] Cass. pen., sez. 11, 6 giugno 1983, п 5378 (ud. 30 novembre 1982), LJcciardiello // Cassazione penale, 1984. 1402.

მუხლში. ამ მუხლის პირველი ნაწილით, სასამართლოს უფლება აქვს თანამონაწილეს, რომლის მიერ განხორციელებული ქმედებები უმნიშვნელო ხასიათისაა, შეუმსუბუქოს სასჯელი. სს კოდექსის 114-ე მუხლის საფუძველზე, სასჯელი შეიძლება შეუმსუბუქდეს იმ პირებსაც, რომლებიც დაიყოლია წამქეზებელმა, ასევე 18 წლის ასაკს მიუღწევლებს, გონებრივად ჩამორჩენილებს ან ფსიქიკურ ავადმყოფებს, თუ ისინი არ იყვნენ შეურაცხადები.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამსრულებლის ექსცესის დროს: იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილია ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანამონაწილის განზრახვა, ისიც პასუხს აგებს ამ დანაშაულისათვის, თუ შედეგი გამოიწვია მისმა მოქმედებამ ან უმოქმედობამ. თუ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება უფრო მძიმეა, ვიდრე პირს სურდა, მაშინ სასჯელი ამ პირთან მიმართებაში იკლებს.

ასეთი მიდგომა ცხადყოფს ამსრულებლის მიერ თანამონაწილეთა განზრახვისა და მათთან შეთანხმების გარეშე ჩადენილი ქმედების – თანამონაწილეთა ქმედებასთან ობიექტური შერაცხვის შესაძლებლობას. განვიხილოთ შემთხვევა, როცა ორი პირი შეთანხმდა ქურდობის ჩასადენად. ერთმა გააღო საკეტი და დარჩა გარეთ, ხოლო მეორე შევიდა ნივთების გამოსატანად; შენობაში შესულმა იქ მყოფი არასრულწლოვანი გოგონა გააუპატიურა და ასევე ჩაიდინა ქურდობა. იტალიის სს კანონით, მეორე თანამონაწილემაც პასუხი უნდა აგოს არა მხოლოდ ქურდობისათვის, არამედ გაუპატიურებისთვისაც, რადგან მისი ქმედება ობიექტურად ხელს უწყობდა ამ დანაშაულის ჩადენას, თუმც სასჯელი შეუმცირდება.[402]

იტალიის სს კოდექსის 118-ე მუხლი შეიცავს სპეციალურ მითითებებს დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შესახებ თანამონაწილეობისას ობიექტური შერაცხვის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც: „ობიექტური გარემოებები, რომლებიც ამძიმებენ ან ამსუბუქებენ სასჯელს, მაშინაც კი, თუ ისინი არ იყო ცნობილი ყველა თანამონაწილისათვის (მართლსაწინააღმდეგო ქმედებისას), გაითვალისწინება მათ საწინააღმდეგოდ ან მათ სასარგებლოდ. სუბიექტური გარემოებები, რომლებიც არ ახასიათებს დანაშაულის ჩამდენს და ამძიმებენ სასჯელს ერთი მონაწილისათვის, ისევე გაითვალისწინება სხვა თანამონაწილეებისთვისაც, მაშინაც კი თუ მათ ამის შესახებ არ იცოდნენ, მაგრამ ხელს უწყობდნენ დანაშაულის ჩადენას. სასჯელი ეხება მხოლოდ იმ პირს, ვისთანაც მას აქვს ურთიერთობა“.

ამგვარად, კანონიდან გამომდინარე, თუ მკვლელობა ჩადენილია ქვენა გრძნობებით, ან არასაპატიო მოტივით, რაც სს კოდექსის 61-ე და 576-ე მუხლების შესაბამისად მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებებია, მკვლელობის ხელშემწყობ თანამონაწილეს, რომელმაც არ იცოდა ამსრულებლის ნამდვილი მოტივაციის შესახებ, ეკისრება

---

[402] Cass. pen., sez. 11, 6 giugno 1983, п 5378 (ud. 30 novembre 1982), LJcciardiello // Cassazione penale, 1984. 1402.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის.

ამსრულებლის ქვენა გრძნობის ან არასაპატიო მოტივით მკვლელობისთვის პასუხისმგებლობა ავტომატურად ვრცელდება სხვა თანამონაწილეებზეც, რომლებსაც არ გააჩნდათ მსგავსი მოტივაცია და არ იცოდნენ ამსრულებლის ამ მოტივის შესახებ, ეხმარებოდნენ მას მაგალითად, მეგობრულად.

იტალიის სს კოდექსი თანამონაწილეობასთან ერთად, შეიცავს დანაშაულებრივი გაერთიანების ისეთ სახეს როგორიცაა – მაფია, რომელიც მოცემულია სს კოდექსის კერძო ნაწილის V განყოფილებაში - „საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ დანაშაულები“. სსკ დანაშაულებრივ გაერთიანებაში გულისხმობს სამი ან მეტი პირის შეკავშირებას რამოდენიმე დანაშაულის ჩასადენად. დანაშაულებრივი გაერთიანების ორგანიზატორი ერთი ფაქტისთვისაც კი ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3-დან 7 წლამდე (სსკ 416მ. ნაწ. 1). დანაშაულებრივი გაერთიანების ერთ ფაქტში მონაწილეობისთვისაც კი პირს ეკისრება სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით 1-დან 5 წლამდე (სსკ 416მ. ნაწ. 2).

თუ დანაშაულებრივ გაერთიანებაში გაერთიანდა ათი და მეტი პირი, ამ თანამონაწილეთათვის სასჯელი იზრდება ერთი მესამედით (სსკ 416მ. ნაწ. 4).

1982 წლის 13 სექტემბრის №646 კანონით, იტალიის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 416-ბის მუხლი, რომელმაც განავრცო დანაშაულებრივი გაერთიანების – მაფიის ცნება და მის თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის რეგლამენტაცია. დანაშაულებრივი გაერთიანების – მაფიის ცნებაში იგულისხმება ისეთი ორგანიზაცია, რომელთა მონაწილენიც „ერთიანდებიან სხვა პირების დასაშინებლად, რათა მოიპოვონ ურთიერთთავდებობა და დაიცვან დუმილის კანონი დანაშაულის ჩადენის მიზნით, პირდაპირი ან ირიბი გზებით დაეუფლონ თანამდებობებს, რომელიც საშუალებას მისცემს მათ მართონ ანდა აკონტროლონ ეკონომიკა, გაანაწილონ კონცესიები, გასცენ ნებართვები, დადონ გარიგებები კომუნალურ მომსახურებაზე და ასევე მოიპოვონ უკანონო პრივილეგიები თავიანთთვის ან სხვათათვის“ (სსკ 416-ბის მუხ. ნაწ. 3).

სამი ან მეტი პირისაგან შემდგარი მაფიის ტიპის გაერთიანების მონაწილენი ისჯებიან ასეთ გაერთიანებაში მონაწილეობის თუნდაც ერთი ფაქტისათვის თავისუფლების აღკვეთით 3-დან 6 წლამდე (სსკ 416-ბის მუხ. ნაწ. 1). მაფიის ტიპის დანაშაულებრივი გაერთიანების ორგანიზატორები და წამქეზებლები ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით 4-დან 9 წლამდე (სსკ 416-ბის მუხ. ნაწ. 2.).

§6. დანაშაულში თანამონაწილეობა გერმანიის სისხლის სამართალში

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-3 თავი (§§ 25-31) ეძღვნება დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტის

სამართლებრივი რეგულირების საკითხებს. სისხლისსამართლებრივი დოქტრინა და კანონმდებელი გამოყოფს თანამონაწილეობის ორ ფორმას: ამსრულებლობა (Täterschaft) და წამქეზებლობა, დახმარება (Teilnahme). გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს თანამონაწილეობის ცნების განმარტებას. დოქტრინაში თანამონაწილეობა გაგებულია როგორც რამდენიმე პირის სხვადასხვა სახით მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში. კანონმდებელი გამოყოფს თანამონაწილეობის ორ ძირითად ფორმას: 1) ამსრულებლობა და 2) წამქეზებლობა და დახმარება. ამსრულებლობის ინსტიტუტი განსაზღვრულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §25-ში: ამ ნორმის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ამსრულებლობის სამი ფორმა: ერთპიროვნული ამსრულებლობა (Alleintäterschaft), შუალობითი ამსრულებლობა (Täterschaft) და თანაამსრულებლობა (Mittäterschaft). ამ პარაგრაფიდანვე გამომდინარეობს, რომ ამსრულებლად ითვლება ის, ვინც ჩადის დანაშაულებრივ ქმედებას: 1) თვითონ ან 2) სხვისი მეშვეობით, რომელიც ითვლება დანაშაულის ჩადენის „იარაღად“. გერმანიის სისხლის სამართლის დოქტრინა ამსრულებლის შემდეგნაირ განმარტებას იძლევა: ამსრულებლად ითვლება ის, ვინც განზრახ დანაშაულს ჩადის უშუალოდ საკუთარი სურვილით. თუ ეს სურვილი აერთიანებს რამდენიმე პირს, მაშინ საუბარია თანაამსრულებლობაზე.[403] გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე პარაგრაფის 1 აბზ. ქმნის საკანონმდებლო საფუძველს იმ პირთა ქმედებების სამართლებრივი შეფასებისთვის, რომლებიც ერთსა და იმავე ქმედების შემადგენლობას ახორციელებენ ერთმანეთის პარალელურად (Nebentäterschaft). ასეთი სიტუაცია გვხვდება, როცა რამდენიმე პირი, რომელთაგანაც თითოეული ახორციელებს ქმედების შემადგენლობას, მიისწრაფვის ერთი და იმავე დანაშაულებრივი შედეგისაკენ, თუმც თითოეული მათგანი მოქმედებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მაგ., ა და ბ ერთდროულად ესვრიან გ-ს მოსაკლავად. ა-მ და ბ-მ არ იციან ერთმანეთის არსებობა. ა და ბ არიან ეგრეთ წოდებული ამსრულებლები.

თანაამსრულებლობა განიმარტება, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების რამდენიმე პირის მიერ ერთობლივად ჩადენა. გერმანიის სისხლის სამართლის დოქტრინაში მოცემული ნიშანი განიხილება, როგორც შეგნებული და სასურველი ურთიერთქმედება.[404]

თანამონაწილეობის მეორე ფორმას წარმოადგენს წამქეზებლობა (§26) და დახმარება (§27). ამ ფორმის ძირითადი განსხვავება ამსრულებლობისაგან მდგომარეობს იმაში, რომ წამქეზებელს და დამხმარეს, როგორც წესი, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ძირითადი მნიშვნელობა კი არ გააჩნიათ, არამედ აქვთ მხოლოდ დაქვემდებარებული, თუმც არატოლფასოვანი მნიშვნელობა. გერმანიის სისხლის სამართლის დოქტრინაში და სასამართლო პრაქტიკაში „ამსრულებლობა მოიცავს მთელს დანაშაულებრივ ქმედებას“. წამქეზებლობისა და დახმარების როლი სხვადასხვაგვარია.[405]

---

403 Gropp W., Strafrecht, Allgemeiner Teil, 2. Aufl., Berlin: Springer, 2001, გვ. 298.

404 იქვე, გვ. 300.

405 Kühl K., Strafrecht, Allgemeiner Teil, München: Vahlen, 1994, გვ. 679.

წამქეზებლად ითვლება ის, ვინც განზრახ აგულიანებს პირს განზრახი დანაშაულის ჩასადენად, ხოლო დამხმარეა ის, ვინც ხელს უწყობს სხვას განზრახი დანაშაულის ჩადენაში. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §26 ადგენს, რომ წამქეზებლის პასუხისმგებლობა ისეთივეა, როგორც ამსრულებლის. სისხლის სამართლის კოდექსის §27-ის საფუძველზე, დამხმარის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. ამ კავშირიდან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებაზე.

გერმანიის სისხლის სამართლის დოქტრინა წამქეზებლობაში გულისხმობს სხვა პირის განზრახ შეგულიანებას დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად. გერმანიის სასამართლო პრაქტიკა, როგორც წესი, მოცემულ სიტუაციაში გამოდის იქიდან, რომ წამქეზებელმა უნდა ჩამოუყალიბოს პირს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის განზრახვა. მოცემულ სიტუაციაში წამქეზებლობად შეიძლება აღიარებულ იქნეს ასევე პირისთვის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის „გამყარება“, თუ მისი ჩადენის განზრახვა ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო ჩამოყალიბებული.[406]

ამგვარად, წამქეზებლობა ხასიათდება ობიექტური და სუბიექტური მახასიათებლებით: ა) სულ მცირე, განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედების მცდელობა ან დამთავრებული განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება; ბ) ქმედების ჩადენისაკენ შეგულიანება, მისი ჩადენის გადაწყვეტილების აღძრა. წამქეზებლობის სუბიექტური მახასიათებელია მისი ორმხრივი განზრახვა – შეგულიანება განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად და მისი ჩადენის გადაწყვეტილების განმტკიცება.

დახმარება გულისხმობს ნებისმიერი ფორმით ხელის შეწყობას დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად.

ამსრულებლობისაგან დახმარება განსხვავდება ობიექტური მახასიათებლებით: დამხმარე არ ასრულებს გადამწყვეტ როლს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. მისი „წვლილი“ შემოიფარგლება მხოლოდ ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად ხელის შეწყობაში. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს, რომ დამხმარე ისჯება შედარებით მსუბუქად, ვიდრე წამქეზებელი (§49, აბზ.1).

ამგვარად, დახმარება, ისევე როგორც წაქეზება, ხასიათდება ობიექტური და სუბიექტური მახასიათებლებით: ა) სულ მცირე, განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მცდელობა და დამთავრებული განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება; ბ) ქმედების განხორციელებაში ხელის შეწყობა. დახმარების სუბიექტური მახასიათებელია ორმხრივი განზრახვის არსებობა – დახმარება განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების დამთავრებაში და აღნიშნული ქმედების ჩადენაში ხელის შეწყობა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს თანამონაწილის ისეთ სახეს როგორიცაა ორგანიზატორი (განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისაგან, სადაც თანამონაწილის ერთ-ერთ სუბიექტს ორგანიზატორი წარმოადგენს,

406 Joecks W., Steuerstrafrecht, Köln: Otto Schmidt Verlag, 2003, გვ. 140.

რომლის დანაშაულებრივი ქმედებები ითვალისწინებენ განსხვავებულ სისხლის სამართლებრივ შეფასებას). ამაშია დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტის სპეციფიკა გერმანიის სისხლის სამართალში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ეგრეთ წოდებული „ორგანიზატორი“ ითვლება დანაშაულის სხვა თანამონაწილედ, როგორიცაა: ამსრულებელი, წამქეზებელი და დამხმარე. ყველაზე ხშირად იგი ითვლება ამსრულებლად (თანაამსრულებლად) დანაშაულებრივი ქმედებისა, ანუ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანაშაულში ამსრულებლობის ცენტრალური ფიგურაა. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულებრივი და ტერორისტული გაერთიანებების შექმნისთვის (§§129, 129ა).

თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედების დასრულებამდე. დასრულების შემდეგ კი უკვე საქმე გვაქვს სხვადასხვა სახის დაფარვებთან, რომლებიც ითვლებიან დამოუკიდებელი სახის დანაშაულებად და რომელთათვისაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი ნორმებით.

რაც შეეხება თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, შეიძლება ავღნიშნოთ შემდეგი:

1) თითოეულ თანამონაწილეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება მისი ბრალის შესაბამისად (§29 სსკ);
2) თუ ამსრულებლის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია მისთვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობა (§14, აბზ. 1, ე.ი. გააჩნია კანონით განსაზღვრული სპეციალური სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნები), და ასეთი ნიშნები არ არსებობს სხვა თანამონაწილეებთან (წამქეზებლის ან დამხმარის), მაშინ სასამართლო ვალდებულია ამ უკანასკნელებს შეუმსუბუქოს სასჯელი;
3) თუ წამქეზებლობას და დახმარებას ადგილი აქვს თანამონაწილეობის მცდელობაში (§30 სსკ), მაშინ მათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ დანაშაულის მცდელობისათვის; ამასთანავე სასამართლო უმსუბუქებს მათ სასჯელს; ეს სამართლებრივი მიდგომა არის იმ პირებთან მიმართებაშიც, რომლებიც „გამოხატავენ მზადყოფნას დანაშაულის ჩასადენად, ვინც იღებს სხვის წინადადებას ან ვინც თანხმდება სხვა პირებს, ჩაიდინოს დანაშაული ან იყოლიებს დანაშაულის ჩასადენად“;
4) რიგ შემთხვევებში, შეიძლება ადგილი ჰქონდეს თანამონაწილეობის მცდელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, რაც არ იწვევს სისხლის- სამართლებრივ პასუხისმგებლობას (§32 სსკ).

§7. დანაშაულში თანამონაწილეობა იაპონიის სისხლის სამართალში

იაპონიის სისხლისსამართლებრივი დოქტრინა განიხილავს თანამონაწილეობის ორ სახეს - „აუცილებლობით გამოწვეული თანამონაწილეობა“ და „ნებაყოფლობითი თანამონაწილეობა“. პირველ სახეს მიეკუთვნება შემთხვევა, როდესაც დანაშაული არ შეიძლება ჩადენილ იქნეს სხვაგვარად თუ არა თანამონაწილეობით. მეორე სახეში იგულისხმება შემთხვევები, როდესაც დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს ერთი ამსრულებლის მიერ. იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი მოიცავს მხოლოდ „ნებაყოფლობით თანამონაწილეობას“ და ხშირად თანამონაწილეობის ხსენებისას მხედველობაში აქვთ ზუსტად „ნებაყოფლობითი თანამონაწილეობა“. „აუცილებლობით გამოწვეული თანამონაწილეობა“ - არის კატეგორია, რომელიც გამომდინარეობს კერძო ნაწილის ნორმებიდან და ზოგადი ნაწილის დებულებები „ნებაყოფლობით თანამონაწილეობის“ შესახებ მასზე არ ვრცელდება.

„ნებაყოფლობითი თანამონაწილეობის“ ფორმებია: თანაამსრულებლობა, წამქეზებლობა, დახმარება, რომლებიც განიხილებიან სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის შესაბამის მუხლებში – 60, 61, 62. სუგიამა და ვატი ამ ფორმებად დაყოფის კრიტერიუმად თვლიან თანამონაწილეობის „ხარისხს“. „პირი, რომელიც ინდივიდუალურად ახორციელებს დანაშაულებრივ ქმედებას, იწოდება ამსრულებლად, თუკი დანაშაული ჩადენილია რამოდენიმე მონაწილის მიერ, საუბარია თანამონაწილეობაზე. ეს უკანასკნელი, თანამონაწილეობის ხარისხიდან გამომდინარე, იყოფა: თანაამსრულებლად, წამქეზებლად და დამხმარედ“.[407]

კერძო ნაწილის მუხლების უმრავლესობაში განიხილება ერთი ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულები. როგორც სუგიამა და ბაგი აღნიშნავენ - „დანაშაულთა შემადგენლობები გათვალისწინებულია დანაშაულთა განხორციელების პრინციპის მიხედვით, როგორც ერთი პირის მიერ ჩადენილი ქმედება“.[408]

„თანაამსრულებლობა მდგომარეობს იმაში, რომ ორი ან მეტი პირი ერთობლივად ახორციელებს დანაშაულს (სკ მუხ. 60). ყველანი ერთად კი არიან ამსრულებლები“.[409] თანაამსრულებლობის შესახებ არსებობს ორი მიდგომა: დანაშაულთა ერთობლიობის თეორია, რომლის თანახმადაც მონაწილენი ერთად ახორციელებენ განსაზღვრულ ქმედებას; ქმედების ერთობლიობის თეორია, რომლის მიხედვითაც გაერთიანებულ მონაწილეთაგან თითოეული ახორციელებს თავის ქმედებას. გაბატონებულად ითვლება პირველი თეორია.

არსებობს ამსრულებლობის სუბიექტური და ობიექტური პირობები. სუბიექტური თვალსაზრისით აუცილებელია ორი ან მეტი პირის საერთო დანაშაულებრივი განზრახვის არსებობა; ობიექტური თვალსაზრისით კი აუცილებელია ქმედებათა ერთობლიობა. სასამართლო პრაქტიკა

---

[407] Сугиама., Баги., Гэндай хораку гайрон, გვ. 163. In: Козочкин И.Д., Уголовное право зарубежных государств, Изд. Зерцало, М., 2001.

[408] Сугиама., Баги., – იქვე;

[409] Сугиама., Баги .,– იქვე, გვ. 164.

ერთობლიობას ფართოდ განიხილავს: თუ იყო შეთანხმება, ხოლო ქმედება დავალებული ჰქონდა ერთს, პასუხისმგებლობა თანაამსრულებლობისთვის ეკისრება შეთანხმების ყველა მონაწილეს – ყველა ისინი ერთად ითვლებიან „ერთიანი განზრახვის სუბიექტად“. სასამართლო პრეცენდენტად აღიარებულია თანაამსრულებლობის კატეგორია შეთანხმებაში.[410]

ეს კატეგორია ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რამდენიმე პირი შეთანხმდა და მხოლოდ ნაწილმა განახორციელა დანაშაულებრივი ქმედება, თანაამსრულებელია ყველა, ვინც კი მონაწილეობდა შეთანხმებაში. პრეცენდენტები თეორიულად ასაბუთებენ ამას შემდეგის მითითებით: ადრე ითვლებოდა, რომ შეთანხმების გზით სუბიექტს უყალიბდება ერთობლივი ნება მსგავსად - „ერთ სულ – ერთ ხორცისა“, მაგრამ პრაქტიკულად ამ ერთობლივი ქმედების სუბიექტად ითვლება განხორციელებული ქმედების მხოლოდ ნაწილი, რაც შედიოდა შეთანხმებაში, მოგვიანებით უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1958 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით, „ნერიმას საქმესთან“ დაკავშირებით აღიარებულ იქნა თანაამსრულებლობა შეთანხმებაში და ამის საფუძველზე გამოყენებულ იქნა ანალოგია ირიბი ამსრულებლობისა. ამასთანავე მეცნიერულ თეორიებში ჭარბობს უარყოფითი დამოკიდებულება შეთანხმებაში ამგვარი თანაამსრულებლობის მიმართ. ეს მიდგომა მწვავე კრიტიკას ექვემდებარება. მეცნიერებაში სათავეს იღებს საპირისპირო – რომლის თანახმადაც უბრალო მონაწილეობა შეთანხმებაში წარმოშობს წაქეზებას ან დახმარებას.[411]

დღესდღეობით აქტუალურია „ირიბი ამსრულებლის პრობლემა, ანუ პირისა, რომელმაც განახორციელა დანაშაული ფაქტის სრულიად არმცოდნე მესამე პირის მეშვეობით. მაგ. ექიმი, რომელმაც მიიღო მკვლელობის ნებელობითი გადაწყვეტილება, აგულიანებს მისი განზრახვის არმცოდნე ექთანს, რომ გააკეთოს საწამლავი ნივთიერების შემცველი ინექცია. ამ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, თითქოს ექიმს არ ჩაუდენია მკვლელობის არანაირი ქმედება, მაგრამ მან ჩაიდინა ქმედება, გამოიყენა რა ექთანი იარაღად. ეს ექიმი არის მკვლელობის ირიბი ამსრულებელი“.[412]

ეს ავტორები ირიბი ამსრულებლობის ანალოგიად განიხილავენ იმ შემთხვევასაც, როცა დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი მიიღებს გადაწყვეტილებას ჩაიდინოს დანაშაული შერაცხად მდგომარეობაში და დანაშაულის ჩადენისას კი სპეციალურად ჩაიგდებს თავს შეურაცხად მდგომარეობაში: „მაგ. დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილი ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში, არ ეფუძნება მისი ჩამდენი პირის ნებას, არ შეიძლება ეწოდოს ქმედება და არ წარმოშობს დანაშაულს. მაგრამ ითვლება, რომ ემთხვევა დანაშაულის შემადგენლობას, ვინაიდან პირმა გადაწყვიტა დანაშაულის ჩადენა, რომელმაც ისარგებლა სიტუაციით, მიიღო გადაწყვეტილება დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად ალკოჰოლის მიღებამდე და განახორციელა ქმედება ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში. მსგავს შემთხვევებში პირი თვითონ იყენებს

[410] Козочкин Н.Д., Уголовное право зарубежных государств, Изд. Зерцало, М., 2001. გვ. 482.

[411] იქვე;

[412] Сугиама., Баги., Гэндай хораку гайрон, In: Козочкин Н.Д., Уголовное право зарубежных государств, Изд. Зерцало, М., 2001. გვ. 163.

თავს როგორც იარაღს მსგავსად ირიბი ამსრულებლისა, რომელსაც შევეხეთ ზემოთ“.[413]

„წამქეზებელია – ის, ვინც აქეზებს პირს, აღუძრავს მას დანაშაულის ჩადენის სურვილს (სკ მუხ. 61)“. წამქეზებლობა განმარტებულია, როგორც მდგომარეობა, რომელიც ადამიანს აღუძრავს დანაშაულებრივი აქტის განხორციელების გადაწყვეტილებას; მისთვის სანქციის შეფარდების ორი შეხედულება არსებობს: აქცესორობის თეორია – წამქეზებელი დასჯადია, თუ აქტი, რომლისკენაც იგი აქეზებდა, შედგა; დამოუკიდებელი დანაშაულის თეორიით დასჯადია თვით წამქეზებლობა. პრაქტიკაშიც და მეცნიერებაშიც ბატონობს აქცესორობის თეორია. წამქეზებლისა და ამსრულებლის სანქციები თანაზომიერია (სკ მუხ. 61, ნაწ. 1; ასევე იხ. მუხ. 64).

ამასთანავე ზოგიერთ შემთხვევაში წამქეზებლობა დასჯადია როგორც დამოუკიდებელი დანაშაული. მაგ. სახელმწიფო და ადგილობრივი სახელმწიფო თანამდებობის პირების შესახებ კანონის თანახმად (მუხ. 61, პუნქტი 4) სახელმწიფო და მუნიციპალური პერსონალი, განსაზღვრულ შემთხვევებში, ექვემდებარებიან დასჯადობას, მაგ. გაფიცვების მოწოდებისთვის, საბოტაჟისთვის და ა.შ.

„დამხმარეა – ის, ვინც ეხმარება დანაშაულის განხორციელებაში ან უადვილებს მის ჩადენას (სკ მუხ. 62)“. დახმარება განმარტებულია, როგორც სხვა პირების დახმარება მათ დანაშაულებრივ საქმიანობაში და მისი გაადვილება. დახმარების ფორმისგან (ფიზიკური თუ ფსიქიკური, მოქმედებით თუ უმოქმედობით) დამოუკიდებლად, იგი უნდა შედგეს მანამდე ან მასთან ერთად. ამასთანავე აუცილებელია, რომ ქმედება რეალურად განხორციელდეს და დამხმარეს შეგნებული ჰქონდეს მისი დანაშაულებრივი ხასიათი. დამხმარე ისჯება მსუბუქად, ვიდრე ამსრულებელი (სკ მუხ. 62, 63).

იაპონიაში არ გაიზიარეს შემდგომი დახმარების იდეა. მაგ. დამნაშავის დაფარვა ქმედების შემდეგ, ფაქტების განადგურება სისხლის სამართლის კოდექსით განმარტებულია როგორც დამოუკიდებელი დანაშაულები.

თანამონაწილეობის „აუცილებლობით გამოწვეული“ სახეობა გულისხმობს ორ ვარიანტს: „გაერთიანებული ტიპის დანაშაულები“ და „საპირისპირო ტიპის დანაშაულები“. „გაერთიანება“ ნიშნავს ორი ან მეტი პირის ერთი მიზნით ქმედებას, მაგ. შიდა აჯანყება (მუხ. 77 სკ) და არეულობა (მუხ. 106). ამასთან სასჯელი დიფერენცირებულია მონაწილეთა კატეგორიების მიხედვით (მუხ. 77); ხელმძღვანელები (სიკვდილით დასჯა ან თავისუფლების აღკვეთა იძულებითი შრომის გარეშე სამუდამოდ), შეთქმულების მონაწილენი (თავისუფლების აღკვეთა იძულებითი შრომის გარეშე სამუდამოდ ან არაუმცირეს სამი წლის ვადით), სხვა მოვალეობების შემსრულებელი პირები (თავისუფლების აღკვეთა იძულებითი შრომის გარეშე 1 წლიდან 10 წლამდე), რიგითი

[413] Сугиама., Баги., Гэндай хораку гайрон, In: Козочкин Н.Д., Уголовное право зарубежных государств, Изд. Зерцало, М., 2001, გვ. 165.

მონაწილენი (თავისუფლების აღკვეთა იძულებითი შრომის გარეშე სამ წლამდე).[414]

„საპირისპიროდ“ იწოდება ორი ან მეტი პირის დანაშაულებრივი ქმედება, რომლებსაც გააჩნიათ თანმხვედრი კავშირები. რიგ შემთხვევებში ისჯება ორივე მხარე, მაგ. მრავალცოლიანობისას (სკ მუხ. 184) ან მექრთამეობისას (მუხ. 179 და ა.შ.). სხვა შემთხვევებში – ერთი მხარე არ ისჯება, მაგ. უხამსი შინაარსის ტექსტის გაყიდვისას (მუხ. 175).

რამდენადაც თანამონაწილეობის „სავალდებულო“ ტიპი ფიგურირებს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში, ამდენად საკითხი საკამათოა; გამოვიყენოთ თუ არა ამ სფეროში ზოგადი ნაწილის ნორმები, რომლებიც ეხება „ნებაყოფლობით“ ტიპს. გაბატონებული თვალსაზრისით – არ უნდა გამოვიყენოთ, როცა საუბარია დასჯად ჯგუფურ ქმედებებზე („გაერთიანება“); რაც შეეხება „თანხვედრ“ დანაშაულებს („საპირისპირო“), სადაც დასჯადია მხოლოდ ერთი მხარე, აქ კი – პოზიციები იცვლება. მაგ. ბევრი თვლის, რომ ნორმა წამქეზებლობაზე სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილიდან გამომდინარე გამოიყენება მყიდველის მიმართ, რომელიც განაწყობს პირს უხამსი შინაარსის მქონე ტექსტების საყიდლად. მეორეს მხრივ, სუგიამა და ბაგი მიუთითებენ: „ბუნებრივია, რომ „გაყიდვის“ ზოგადი ცნება გულისხმობს ყიდვას ან ყიდვაზე თხოვნას; ამიტომ სასჯელის ობიექტად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ გამყიდველის ქმედება და იგულისხმება, რომ ზოგადი ნაწილის ნორმები აქ არ გამოიყენება“. [415]

[414] Сугиама., Баги., Гэндай хораку гайрон, In: Козочкин Н.Д., Уголовное право зарубежных государств, Изд. Зерцало, М., 2001, გვ. 166.

[415] იქვე, გვ. 253.

დ ა ს კ ვ ნ ა

თანამონაწილეობას სისტემური ხასიათი აქვს და იგი უნდა მივიჩნიოთ როგორც სოციალური ურთიერთქმედების ფენომენი. თანამონაწილეობა როგორც სისტემა (განსაზღვრული მთლიანობა) იძენს ახალ ხარისხობრივ თვისებებს, მისი ელემენტების თვისებებისაგან განსხვავებულს და ელემენტთა თვისებების ჯამის გადამჭარბებელს; მეორეც, სისტემას თავისი ქცევის კანონები გააჩნია, რომლებიც არ შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ მისი ელემენტების ქცევის კანონებად. თანამონაწილეობის მახასიათებლები განისაზღვრება არა მხოლოდ და არა იმდენად ცალკეულ თანამონაწილეთა თვისებებით, რამდენადაც მთელი მისი სტრუქტურის თვისებებით, მისი განსაკუთრებული მაინტეგრირებელი კავშირებით. თანამონაწილეობას ახასიათებს ხარისხობრივად ახალი ნიშნები, რომლებიც არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ცალკე ნებისმიერ თანამონაწილეს.

თანამონაწილეობა, როგორც სისტემა განცალკევებული კომპონენტების შემთხვევითი ერთობლიობა კი არ არის, არამედ „შერჩევით ჩაბმულთა“ ერთობლიობაა (კომპლექსი). ესაა განსაკუთრებული, სპეციალურად შერჩეული კომპონენტები (თანამონაწილენი) და არსებობს შერჩევის გასაგები მიზეზიც. თანამონაწილეებს გააჩნიათ ერთობლივად დანაშაულის განხორციელების სურვილი. ეს არის მათი გაერთიანების მოტივაციის მადომინირებელი. თანამონაწილენი თავიანთი თავისუფლების ნაწილს კარგავენ, ან ზღუდავენ, ხდებიან რა განსაზღვრულად ერთმანეთზე დამოკიდებულნი, და იმავდროულად, თავიანთი ძალების გაერთიანებით, იფართოვებენ შესაძლებლობებს დასახული მიზნის მისაღწევად. თითოეული მათგანი საკუთარი ინტერესებისა და მიზნების მიღწევის შესაძლებლობას ხედავს ერთობლივი ქმედების შედეგად. მათი ინდივიდუალური ინტერესები და მიზნები ტრანსფორმირდება ჯგუფში. ჯგუფური ინტერესები და მიზნები ერთდროულად აღიქმება როგორც საერთო, ისე პირადი. ეს არის მათი ურთიერთქმედების მიზეზი. ამგვარად, ურთიერთქმედება გამოდის „სისტემაშემქმნელ ფაქტორად“, რომელიც განსაზღვრავს შერჩევით ჩაბმულ წევრებს და როლთა განაწილების პირობებს. სისტემაში და მხოლოდ ასეთ ურთიერთდამოკიდებულებაში შედიან მხოლოდ ის თანამონაწილენი, რომლებსაც გააჩნიათ კონკრეტული დანიშნულება საქმეში საჭირო შედეგის მისაღწევად და უზრუნველყოფენ ამ სისტემის სიცოცხლისუნარიანობას.

ამგვარად, თანამონაწილეობა, როგორც სოციალური ურთიერთქმედების ფენომენი, წარმოადგენს „შერჩევით ჩაბმულ“ პირთა სისტემას, რომლებიც დარწმუნებულნი არიან ერთმანეთის არსებობაში, ურთიერთმოქმედებენ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად როგორც ჯგუფი, რომელიც იღწვის თავისი დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად.

თანამონაწილეობის ასეთი (სისტემური) კონსტრუქციის დროს და თანამონაწილეობის სოციალური ურთიერთქმედების ფენომენად აღიარებით, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დამატებითი ან პირიქით, დამოუკიდებელი ხასიათის საკითხები, მოხსნილია.

დანაშაულში თანამონაწილეობის მნიშვნელოვანი ნიშანია ერთობლიობა. ერთობლიობა წარმოადგენს თანამონაწილეობის მთლიან,

მაინტეგრირებელ მახასიათებელს, რომელიც არც ცალკე რომელიმე თანამონაწილისათვის არის დამახასიათებელი და არც თანამონაწილეთა თვისებების მარტივი ჯამია. ეს მთელის თვისებაა, რომელიც წარმოიშვება თანამონაწილეთა ურთიერთქმედების შედეგად და იძენს თავის მახასიათებელ თვისებებს. ამგვარად, ერთობლიობა - თანამონაწილეობის ხარისხობრივი ნიშანია.

იურიდიულ ლიტერატურაში, ერთობლიობა სხვადასხვაგვარადაა გაგებული, მაგრამ ამასთანავე, ყველა ავტორი მიუთითებს თანამონაწილეთა ცალკეულ ქმედებაზე და არავინ გამოყოფს თანამონაწილეთა ქმედებების ინტეგრაციას, რითაც იგნორირებენ ახალი თვისებების გამოვლენას.

ერთობლიობის პირველი ფაქტორია დანაშაულის ყველა თანამონაწილის ინტეგრირებული ქმედება.

თანამონაწილეთა ინტეგრირებული ქმედება უნდა გავიგოთ არა როგორც თითოეული თანამონაწილის ფუნქციების განხორციელება სხვა თანამონაწილეთა ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ როგორც თანამონაწილეთა ფუნქციების დაკავშირება ერთ მთლიანად. თანამონაწილეობა თავისთავად წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული თანამონაწილეების ერთობლიობას, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ერთიანი მიზნითა და ფუნქციონალური მთლიანობით, ამასთანავე, თანამონაწილეობის თვისებები არ დაიყვანება თანამონაწილეთა თვისებების ჯამამდე. მაშასადამე, საერთი შედეგი მიიღწევა არა ამსრულებლის ხელით (როგორც თანამონაწილეობის აქცესორული თეორია ამტკიცებს), არამედ თანამონაწილეთა ინტეგრირებული ქმედებებით.

საერთო შედეგი არ შეიძლება დაიყოს ცალკეულ, დამოუკიდებელ ნაწილებად, თანამონაწილეთა რაოდენობისდა მიხედვით; ასეთ შემთხვევაში, შეუძლებელია თანამონაწილეთა ინტეგრირებულ ქმედებათა, როგორც თითოეულ თანამონაწილეთა დამოუკიდებელ ქმედებათა მექანიკურ ჯამად წარმოდგენა. მაშასადამე, თანამონაწილეობის ბუნება არ შეიძლება აიხსნას არც თითოეული თანამონაწილის დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედების პოზიციით.

ამგვარად, ერთადერთ მისაღებს წარმოადგენს თანამონაწილეობის სისტემური კონსტრუქცია, რომელიც თანამონაწილეობას განიხილავს, როგორც ინტეგრირებული თვისებებით განსაზღვრულ მთლიანობას (სისტემას).

ერთობლიობის მეორე ფაქტორად უნდა ვაღიაროთ ყველა თანამონაწილის ინტეგრირებული ქმედებების მიმართულება საერთო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად. ყველა თანამონაწილე მოქმედებს ერთობლივად, მათი ქმედება მიმართულია რა ერთიანი შედეგისაკენ, თითოეული თანამონაწილე უნდა აცნობიერებდეს ამას.

ერთობლიობის მესამე ფაქტორია მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილის (და არა თანამონაწილეთა ცალკეული ქმედებების) ქმედებასა და საერთო დანაშაულებრივ შედეგს შორის.

თანამონაწილეობის სისტემური ბუნებიდან გამომდინარე, დანაშაულში თანამონაწილეობის დროს, მიზეზობრივ კავშირში

იგულისხმება ობიექტურად არსებული გენეტიკური კავშირი თანამონაწილეთა ინტეგრირებულ ქმედებებსა და დამდგარ შედეგებს შორის, როცა ასეთი ქმედებები წარმოადგენენ სისტემურ მიზეზს, შედეგები კი აუცილებლობით (და არა შემთხვევით) კანონზომიერად გამომდინარეობენ ამ ქმედებებიდან.

აქედან გამომდინარეობს, რომ ცალკეული თანამონაწილის ქმედება არ უნდა განვიხილოთ როგორც საერთო შედეგის დამოუკიდებელი მიზეზი ან პირობა. თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილეთა თვით ინტეგრირებული ქმედებები სისტემური ხასიათისაა და ამიტომ წარმოადგენენ დამდგარი შედეგის სისტემურ მიზეზებს. თანამონაწილეთა ინტეგრირებული ქმედებებიდან ამსრულებლის (ან სხვა თანამონაწილის) ქმედებების ამორიცხვა, მათი მხოლოდ მიზეზად დასახელებით - არ შეიძლება. დანაშაულებრივი შედეგის მიზეზია არა ცალკეული თანამონაწილის ქმედება, არამედ თანამონაწილეთა ურთიერთქმედება.

დანაშაულში თანამონაწილეობის დროს განზრახვა, ისევე როგორც ერთი პირის მიერ ჩადენილ დანაშაულში, მოიცავს ინტელექტუალურ და ნებელობით ელემენტებს; მაგრამ რამდენადაც თანამონაწილეობისას დანაშაული ჩაიდინება ორი ან მეტი პირის მიერ, განზრახვის ორივე ელემენტს გააჩნია თავისებური სპეციფიკა.

ინტელექტუალური ელემენტის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილე აცნობიერებს არა მხოლოდ მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობას, არამედ ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობასაც. თანამონაწილე ამასთანავე ითვალისწინებს ამსრულებლის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანამონაწილე ითვალისწინებს, რომ ამსრულებლის ქმედება გამოიწვევს მათ მიერ განზრახული დანაშაულის შედეგს.

დანაშაულში თანამონაწილეობის დროს, განზრახვის სახე განისაზღვრება ნებელობითი დამოკიდებულებით არა დანაშაულის შედეგისადმი, არამედ დანაშაულის ერთობლივად ჩადენის ფაქტისადმი და შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ სურვილში, ანუ მეტყველებს პირდაპირ და არა ევენტუალურ განზრახვაზე. მისი ინტელექტუალური ელემენტი მოიცავს: 1) ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას; 2) დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობის ხერხის ან ამსრულებელზე ზემოქმედების ხერხის გაცნობიერებას (ანუ სხვა პირებთან ერთად დანაშაულში მონაწილეობის ფაქტს და ხასიათს; 3) ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გაცნობიერებას (რაც მოიცავს ასევე მატერიალური შემადგენლობის დანაშაულებში მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინებას). თანამონაწილეთა განზრახვის ნებელობითი ელემენტი მდგომარეობს მხოლოდ სურვილში ზუსტად არჩეული ხერხით მიიღონ მონაწილეობა მოცემული დანაშაულის ერთობლივად ჩადენაში.

თანამონაწილეობის დროს განზრახვის ნებელობითი ელემენტი, უპირველეს ყოვლისა, შეიცავს შედეგის დადგომის სურვილს, როდესაც ყველა თანამონაწილეს სურს შედეგის დადგომა, რომელსაც ამსრულებელი თავისი უშუალო მოქმედებებით ცდილობს მიაღწიოს.

ფორმალური შემადგენლობის დანაშაულში თანამონაწილეებს სურთ ამსრულებელმა განახორციელოს მათ მიერ განზრახული დანაშაულებრივი ქმედება.

არ არის მისაღები თანამონაწილეთა ქმედებებში ევენტუალური განზრახვის შესაძლებლობა, იმ მოტივაციით, რომ ზოგიერთი მათგანი შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგს. ამ ფორმულირების ხარვეზი არის ის, რომ იგი არ არის უნივერსალური. აღნიშნული პოზიციის მომხრეების მიერ შემოთავაზებული ევენტუალური განზრახვის შინაარსის კონსტრუქციაში, მცდარობა აშკარა ხდება, თუ თანამონაწილეთა შორის წინასწარი შეთანხმების საგანი იქნება ფორმალური შემადგენლობის დანაშაულის ჩადენა. ამგვარი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგი შემადგენლობის ჩარჩოებს მიღმა რჩება, განუსაზღვრელი ხასიათის მატარებელია, ამიტომ ამ პირთა პირდაპირი განზრახვის შინაარსის განსაზღვრისას, საჭიროა თანამონაწილეთა მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულების გარკვევა ქმედების მიმართ და არა ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მიმართ. სავსებით ნათელია, რომ ამ შემთხვევაში თანამონაწილეთა ქმედება ჩაიდინება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

მატერიალური შემადგენლობის დანაშაულის ჩადენისას, თითოეული თანამონაწილე (თანაამსრულებელი, დამხმარე, წამქეზებელი) მოქმედებს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, სხვაგვარად ქრება თანამონაწილეობის აუცილებელი ნიშანი – ქმედების ერთობლიობა და განზრახვის ერთიანობა. ერთიანი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, არ შეიძლება იმოქმედო და იმავდროულად წარმართო საკუთარი ძალისხმევა სხვადასხვა შედეგის მიღწევისაკენ, ამასთანავე გულგრილად ეკიდებოდე სხვა პირთა ქმედების შედეგებს. მაშინ იქნება სხვადასხვა პირთა ქმედების უბრალოდ დამთხვევა დროსა და ერთ ადგილზე, რაც არ შეიძლება თანამონაწილეობად ვაღიაროთ. ურთიერთქმედება როგორც თანამონაწილეობის ნიშანი, მიიღწევა მხოლოდ მიზნის ერთიანობისა და თანამონაწილეთა მისწრაფების საფუძველზე.

არ არის გასაზიარებელი ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობის მომხრეთა პოზიცია პრაქტიკული თვალსაზრისით. წამქეზებლისა და დამხმარის ქმედებათა სუბიექტური მხარის დახასიათებისას, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ მათი ქმედება პირდაპირ არ არის დაკავშირებული ამსრულებლის მიერ დანაშაულებრივი ქმედების შედეგთან. არის კიდევ რაღაც შუალედური რგოლი მათ ქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის, რასაც არ ითვალისწინებენ ევენტუალური განზრახვის მომხრენი – ეს არის ამსრულებლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა; და ზუსტად ეს ფაქტი არასდროს არ იქნება სულერთი დამხმარისა და წამქეზებლისათვის. დამხმარეს, მოამზადა იარაღი და გადასცა რა ამსრულებელს შემდგომი შეიარაღებული თავდასხმისათვის, არ აინტერესებს იარაღის გამოყენების დეტალები: ამსრულებელი მოკლავს ამ იარაღით ვინმეს, ან დაჭრის დაზარალებულს, ან მხოლოდ დაემუქრება მას ქონების დაუფლების მიზნით; ამიტომ დამხმარეს არ შეუძლია გაითვალისწინოს ერთობლივი დანაშაულებრივი შედეგი, რაც მნიშვნელოვანია ევენტუალური განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის დასახასიათებლად. იგი ითვალისწინებს მხოლოდ იმ ფაქტს,

რომ მის მიერ დამზადებული იარაღი კონკრეტულ ამსრულებელს პირობას უქმნის დანაშაულის ჩასადენად. დამხმარე აცნობიერებს, რომ ეხმარემა მას, ითვალისწინებს, რომ იარაღი გამოყენებული იქნება დანაშაულებრივი მიზნებისათვის და სურს ამ ქმედებათა ჩადენა, ე.ი. ამსრულებლის დახმარება.

გარდა ამისა, მოცემული თეორიული პოზიცია წინააღმდეგობრიობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან. საქ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მესამე ნაწილში, ევენტუალური განზრახვის ნებელობითი ელემენტის დახასიათებისას, მითითებულია, რომ პირი არა უბრალოდ შეგნებულად უშვებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არამედ უწინარეს ყოვლისა, პირს არ სურს ეს შედეგი, რაც რა თქმა უნდა მტკიცდება მისი ქცევით. თუ კონკრეტულად განვსაზღვრავთ ევენტუალური განზრახვის შინაარსს, ჩავრთავთ ინტელექტუალურ ელემენტს დამხმარისა და წამქეზებლის კონკრეტული ქმედებების დასახასიათებლად და ნებელობით ელემენტს განვსაზღვრავთ სსკ მე-9 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყალიბდება უაზრო ფორმულირება. ერთის მხრივ, დამხმარე აცნობიერებს, რომ ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას თავისი რჩევებით, იარაღის მიცემით ან სხვა ხერხებით, ეხმარება ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში, და მეორეს მხრივ, არ სურს, რომ ამსრულებელმა ჩაიდინოს დანაშაული. კიდევ უფრო უაზრო ხდება წამქეზებლის ქმედება, რომელიც აცნობიერებს, რომ აქეზებს სხვა პირს დანაშაულის ჩასადენად და იმავდროულად არ სურს, რომ მის მიერ დაყოლიებულმა პირმა ჩაიდინოს დანაშაული.

მეცნიერები, რომლებიც თვლიან, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია ევენტუალური განზრახვით, მექანიკურად იყენებენ განზრახვის საკანონმდებლო ფორმულირებას თანამონაწილეობის დროს ბრალის შინაარსის დასადგენად, არ ითვალისწინებენ რა თანამონაწილეობის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების განსაკუთრებული ფორმის ხარისხობრივ სპეციფიკას.

ამგვარად, ნებისმიერი თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული, პირველ ყოვლისა, გულისხმობს ყველა თანამონაწილის მხოლოდ პირდაპირ განზრახვას.

საქართველოს სისხლის სამართლისათვის შეუთავსებლად მიმაჩნია ლიმიტირებული აქცესორულობა. უპირველს ყოვლისა, გამომდინარე საკანონმდებლო ფორმულირებიდან, რომლის თანახმადაც - „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მოანწილეობას განზრახ დანაშაულის ჩადენაში“ (საქ. სსკ 23-ე მუხლი). კანონში პირდაპირ არის მითითებული დანაშაულის და არა უმართლობის ჩადენაზე. რა არის დანაშაული და რა არის უმართლობა? რა სხვაობაა მათ შორის? საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად - „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. საქ. სს კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.“ აქედან გამომდინარე დანაშაულს ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის გარდა აქვს მესამე ნიშანი – ბრალი. ამ სამივე ნიშნის არსებობა კი წარმოადგენს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს.

ლიმიტირებული აქცესორობის პრინციპით კი თანამონაწილის პასუხისმგებლობისათვის საკმარისია ამსრულებელმა განახორციელოს ქმედების შემადგენლობა, რომელიც არის მართლსაწინააღმდეგო. რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი უმართლობის ცნებას, იგი მოიცავს დანაშაულის ორ ნიშანს: 1) სისხლის სამართლის კანონით აღწერილ ქმედებას და 2) მართლწინააღმდეგობას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, თუ პირმა ჩაიდინა უმართლობა და არ დადგინდა მისი ბრალეულობა, არ შეიძლება პირს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთი უმართლობისათვის, ბრალის გარეშე შეუძლებელია პირს დავაკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ეს წინააღმდეგობაში მოდის ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთანაც. ამდენად, რადგან ბრალის გარეშე არ არსებობს დანაშაული, არ არსებობს მასში თანამონაწილეობაც. ჩვენი კანონმდებლობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გავიაზროთ ლიმიტირებული აქცესორობა, ეს იქნება ანალოგის გამოყენება პირის საზიანოდ.

საქ. სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის ანალიზი დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ კანონმდებელი თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის ორ ასპექტს გამოყოფს, თუმც, თუ ერთ შემთხვევაში ნამდვილად ადგილი აქვს თანამონაწილეობას, მეორეში – თანამონაწილეობა, როგორც ასეთი, არ არის და ამიტომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე საუბარი არ შეიძლება. ამასთან დაკავშირებით სასურველი იქნებოდა საქ. სსკ 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის შემდეგი სახით წარმოდგენა: „თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის“. მითითებულ შემთხვევაში მოცემულია თანამონაწილეობა.

ხოლო, რაც შეეხება საქ. სსკ 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის ახლანდელ რედაქციას - „დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად“, სრულიად ზედმეტია, ყოველ შემთხვევაში თანამონაწილეობის ჩარჩოებში, რამდენადაც აქ თანამონაწილეობა არ გვაქვს. გარდა ამისა, თუ მაინცდამაინც ამგვარი შემთხვევის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამატებითი რეგლამენტირება უნდა მოხდეს, მაშინ ეს უნდა გავაკეთოთ იმ პირებთანაც დაკავშირებით, რომლებმაც ვერ შეძლეს დანაშაულის ორგანიზება. საერთო ჯამში უნდა ვაღიაროთ, რომ შეუმდგარი წამქეზებლობა და ორგანიზება წარმოადგენს სხვას არაფერს, თუ არა დანაშაულის მომზადებას; ამიტომ აღნიშნულ პირთა პასუხისმგებლობა რეგლამენტირებულ უნდა იყოს „დაუმთავრებელი დანაშაულის“ თავში (საქ. სსკ. თავი VI - დაუმთავრებელი დანაშაული).

ერთობლივი ქმედება უნდა განიხილებოდეს ჯგუფის მთავარ სისტემაშემქმნელ ნიშნად. ჯგუფი უნდა განისაზღვროს, როგორც ერთობლივი ქმედების ერთიანი სუბიექტი, რამდენადაც მხოლოდ ჯგუფური სუბიექტი ფლობს მისთვის დამახასიათებელ მაინტეგრირებელ

თვისებებს, რომლებიც წარმოიშობა ერთობლივი ქმედებების საფუძველზე.

ინდივიდუალური მოთხოვნილებები, ინტერესები და მიზნები ტრანსფორმირდება ჯგუფურ მოთხოვნილებებად, ინტერესებად და მიზნებად, რამდენადაც მათი ერთობლივი ქმედებით მიღწევა უფრო ადვილია, სწრაფია და ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს. ყოველივე ამის შედეგად, საერთო მიზანი ხდება ერთობლივ ქმედებაში მონაწილეობის ინდივიდუალური მოტივაციის საფუძველი, ფსიქოლოგიური ერთობის ღერძი.

წინასწარი შეთანხმების გარეშე პირთა ჯგუფის ფსიქოლოგია ხასიათდება შემდეგნაირად: ასეთი ჯგუფის წევრთა შორის ფსიქოლოგიური კავშირები სუსტადაა გამოხატული. ეს იმითაა განპირობებული, რომ ჯგუფის წევრებმა არ იციან პარტნიორთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მათ ქმედებათა დეტერმინანტები. ჯგუფის წევრთა ქმედება სუსტად კოორდინირებულია, ქმედებათა შეთანხმება ხორციელდება სტიქიურად. ჯგუფის წევრთა ქცევა ეფუძნება ერთ ინტეგრირულ ფუნქციას. დანაშაული ხორციელდება წინასწარი შეთანხმების გარეშე. ჯგუფს არ გააჩნია იერარქიული სტრუქტურა. ასეთი დანაშაულის განხორციელება ხორციელდება დანაშაულის ჩადენისას. ამ დროს დანაშაულის ჩადენა მოულოდნელია. მსგავს შემთხვევებში ერთგვაროვანი ქმედებები მიმართულია ერთი ან რამოდენიმე მიზნის მიღწევისაკენ და ხორციელდება ერთდროულად. მიუხედავად ამისა, ასეთი ჯგუფის ქმედება ხასიათდება, როგორც ერთობლივი, ხოლო თავად ჯგუფი განიხილება როგორც ერთობლივი ქმედების ერთიანი სუბიექტი.

წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის ფსიქოლოგია ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: რამდენადაც ასეთი ჯგუფის წევრები წინასწარ თანხმდებიან დანაშაულის ჩასადენად, ამდენად თითოეული მათგანის ქმედება საერთო ჯამში მოტივირებულია ჯგუფის სხვა წევრებთან ოპტიმალური ურთიერთქმედებით; ჯგუფური გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც წესი, ემოცია მეტია, ვიდრე ინდივიდუალურის შემთხვევაში, მაგრამ ეს ემოციები ასახავენ ჯგუფის ერთიან ნებას, უტოლდებიან რა სიტუაციისა და საბოლოო შედეგის შეფასებას. ჯგუფის გადაწყვეტილება ნაკლებად სუბიექტურია, მეტად ზუსტია და შორსმჭვრეტი. ასეთ ჯგუფებში უკვე არსებობს, თუმც ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული, ფსიქოლოგიური სტრუქტურა; ამიტომ ისინი განსხვავდებიან მისი წევრების როგორც თვითნებობით, ისე მიზანმიმართულებით. ფუნქციათა შეთანხმება იწვევს გარკვეულ სირთულეებს და როგორც წესი, სტიქიური ხასიათის მატარებელია. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ჯგუფში ჯერ კიდევ არ არის ყველას მიერ არჩეული ლიდერი და დაქვემდებარების მკაცრი სისტემა, თუმც ჯგუფის წევრთაგან რომელიმე უკვე გამოირჩევა თავისი აქტიურობით. ჯგუფის წევრები ურთიერთობას აგებენ ემოციური სიახლოვისა და პირადი სიმპათიების საფუძველზე.

წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფი არის უფრო მეტად შეკრული, ვიდრე წინასწარი შეთანხმების გარეშე ჯგუფი, ვინაიდან მათი გაერთიანება ხდება წინასწარი შეთანხმების დროს, თუმც არ არის მუდმივი ხასიათისა და იშლება დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედება – ესაა ჯგუფური სუბიექტის ქმედების უმაღლესი დონე, რომელიც ხასიათდება აქტიური ჯგუფური ფსიქოლოგიის გაცნობიერებული ორგანიზაციით. ეს არის ჯგუფის წევრთა ნებელობითი ქმედების მარეგულირებელი, რომლითაც მიიღწევა მთელი ჯგუფისა და მისი თითოეული წევრის ოპტიმალური მიზნები. ორგანიზებული ჯგუფის წევრები გაერთიანებულნი არიან საერთო ღირებულებების, მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც მთლიანად ჯგუფისთვის, ისე ცალკე თითოეული მისი წევრისათვის; ამიტომ მათ შორის დამოკიდებულება მნიშვნელოვნად უტოლდება ჯგუფს და ღირებულია ერთობლივი ქმედებისთვის. ამასთან დაკავშირებით, ორგანიზებული ჯგუფები წარმოადგენენ მთლიან ფსიქოლოგიურ ფენომენთა ერთობლივ სუბიექტს; ერთობლივი, ანუ რომელიც არ არის დაშლილი ჯგუფის ცალკეულ წევრთა ინდივიდუალურ თვისებებად და მათგან არ გამომდინარეობს. ეს კი ნიშნავს, რომ ჯგუფის ლიდერთა მოტივები და განზრახვა ინდივიდის ქმედების განმსაზღვრელია. მთლიანისა და ნაწილის შესახებ კანონზომიერება ასეთია: რაც უფრო ძლიერია და რთულია კავშირი ნაწილებს შორის, მით უფრო მეტია მთლიანის როლი მის ნაწილებთან მიმართებაში და მაშასადამე, შედარებით ნაკლებია მთელისაგან ნაწილების დამოკიდებულება. ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ორგანიზებული ჯგუფი ხასიათდება ერთობლივი ქმედების მაღალი დონით და წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების ერთიან (საერთო) სუბიექტს.

საერთაშორისო სისხლის სამართლით, დანაშაულის თანამონაწილეებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა სხვათა დანაშაულში მონაწილეობისათვის და არა მათი ზემოქმედებით და ხელშეწყობით ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ იმისთვის, რომ მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ერთობლივ საქმიანობაში, ვინაიდან თითოეული მათგანი თავად ხელყოფს სისხლის სამართლის კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ამგვარი გაგებიდან გამომდინარეობს ე.წ. ამსრულებლის ექსცესის საკითხის გადაწყვეტაც, რომლის ქვეშაც იგულისხმება ამსრულებლის ისეთი დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც სცდება თანამონაწილეთა საერთო გეგმის ჩარჩოებს, ე.ი. მათი შეთანხმებისაგან დამოუკიდებლად; მაგ., კონტრაბანდული საქონლის გადატანისას (რაც იყო დაგეგმილი), ამსრულებელმა მოკლა მესაზღვრეც.

რამდენადაც თანამონაწილეობა არის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა და ამსრულებლის ექსცესისას განზრახვა არ არსებობს, ამიტომ თანამონაწილეებს არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროთ ამსრულებლის ისეთი ქმედებისათვის, რომლის შესახებაც მათ არ იცოდნენ და არც შეთანხმებულან. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე – პირს პასუხისმგებლობა ეკისრება მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

ა ბ რ ე ვ ი ა ტ უ რ ე ბ ი

ქართულ ენაზე:

ა.შ.	–	ასე შემდეგ
გამომ.	–	გამომცემლობა
გამოც.	–	გამოცემა
გვ.	–	გვერდი
ე.ი.	–	ესე იგი
ე.წ.	–	ეგრეთ წოდებული
იხ.	–	იხილეთ
მაგ.	–	მაგალითად
სსკ	–	სისხლის სამართლის კოდექსი
სხვ.	–	სხვა
ტ.	–	ტომი
ციტ.	–	ციტირებულია

უცხოურ ენებზე:

Изд.	–	Издательство
Канд. дисс.	–	кандидатская диссертация
Л.	–	Ленинград
М.	–	Москва
СПб	_	Санкт-Петербург
ч.	–	часть
Aufl.	–	Auflage
Cass. pen.	–	Cassazione penale
Crim.	–	criminal
éd.	–	édition
L.	–	London
N.Y.	–	New York
n.	–	numero
op. cit.	_	opus citatum
sez.	–	sezione
T.	–	Tome
U.S.	–	United States

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

1. გამყრელიძე ო., დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, „მეცნიერება“, 1974.
2. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი 2005.
3. გამყრელიძე ო., სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989.
4. გვენეტაძე ნ., დანაშაულის ორგანიზატორი, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1994.
5. დვალიძე ი., დანაშაულის პროვოცირების პრობლემა სისხლის სამართალში, “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2005, N1.
6. დვალიძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.
7. ებრალიძე თ., წამქეზებლის ფიგურა სისხლის სამართალში, “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2003, N3.
8. ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორი ი.დვალიძე, თბილისის უნივერსიტეტის გაგამომცემლობა, 2010.
9. კრიმონოლოგია და სამართალდამცავი სისტემა აშშ და საქართველო, მთ. რედ.: გ.ღლონტი, 2003.
10. ნაჭყებია გ.ი., სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება (ლექციების კურსი), თბილისი, 2002.
11. ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2004, თავი XII.
12. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, რედ. პროფ. გ.ტყეშელიაძე. წიგნი I, თბილისი, 2006.
13. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედაქტორები: გ.ტყეშელაძე, გ.ნაჭყებია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.
14. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი; დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თავი XXII–XXIV) რედაქტორი გამყრელიძე ო., გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი, 2008.
15. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეშვიდე გამოცემა, თბილისი, 2008.

16. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940წ.
17. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1964.
18. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთ. რედაქტორი ირ. აბაშიძე, ქ.თბილისი, ტ. VI, 1983.
19. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთ. რედაქტორი ირ. აბაშიძე, ქ.თბილისი, ტ. VII, 1984.
20. შალიკაშვილი მ., კრიმონოლოგია, თბილისი, 2010.
21. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII. თბილისი. 1984.
22. წერეთელი თ., თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965.
23. ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (გამოცემის მეცნიერული რედაქტორი: თედო ნინიძე), 1995.
24. Андреева Г.М., Социальная психология. М., 1980.
25. Антонян Ю.М., Причины преступного поведения. М., 1992.
26. Анохин П.К., Теория функциональной системы // Успехи физиологических наук. ტ. I. 1970.
27. Безверхов А.Г., Имущественные преступления. Самара, 2002.
28. Белогриц-Котляревский А.С., Учебник русского уголовного права. Киев. 1903.
29. Берестовой Н.П. Соучастие в преступлении и особенности установления его признаков в условыях деятельности органов внутренных дел. М., 1990.
30. Беспалов Б.И., Действие. Психологические механизмы визуального мышления. М., 1984.
31. Блауберг И.В., Садовский В.Н., Юдин Э.Г., Системный подход: предпосылки, проблемы, трудности. М., 1969.
32. Блауберг И.В., Юдин Э.Г., Становление и сушность системного подхода. М., 1973.
33. Блищенко И.П., Солнцева М.М., Мировая политика и чеждународное право, М., 1991.
34. Боголюбов Н.Н., Проблемы современной физики, №2, М., 1960.
35. Бородин С.В., Преступления против жизни. М., 1999.
36. Бородин С.В. Квалификация убийства по действующему законодательству. М., 1966.
37. Брайнин Я.М., Уголовный закон и его применение, М., 1967.
38. Буева Л.П., Деятельность как объект социальной психологии // Методологические проблемы социальной психологий. М., 1975.
39. Бурчак Ф.Г., „Учение о соучастии по советскому уголовному праву“, Киев, 1969.

40. Васильев В.Л., Психологические аспекты преступнных формирований и расследования совершаемых ими преступлений, СПБ., 1994.
41. Волков Б.С. Мотив и квалификация преступлений. Казан. 1968.
42. Вышинский А.Я., Вопросы Теории государства и права. М., 1949.
43. Галиакбаров Р., „Советская Юстиция“, 1970, №20.
44. Ганин А.А., Угаловный кодекс РСФСР в вопросах и ответах, М., 1927.
45. Гаухман Л.Д., Насилие как средство совершения преступления. М., 1974.
46. Гаухман Л.Д., Квалиыикация преступлений: закон, теория, практика. М., 2001.
47. Говорухина Е. В., Понятие и правовые последствия провокации в уголовном праве России: Дис…. канд. юрид. наук. Ростов н / Д, 2002.
48. Гришаев П.И., Кригер Г.А., Соучастие по уголовному праву. М., 1959.
49. Дагель П.С., Классификация мотивов и ее криминологическое значение // Некоторые вопросы социологии права. Иркутск, 1967.
50. Донцов А.И., Психология коллектива. М., 1984.
51. Дурманов Н.Д., Советский уголовный закон, М., 1967.
52. Злобин Г.А., Никифоров Б.С. Умысел и его формы. М., 1972.
53. Зелинский А.Ф., Соучастие в преступлении. Волгоград. 1971.
54. Зеленов Л.А., Введение в общую методологию, Нижний Новгород. 2002.
55. Жалинский А.Э., Рёрихт А.А., Введение в немецкое право. М., 2001.
56. Иванов Н.Г., Понятие и формы соучастия в советском уголовном праве, М., 2007.
57. Иванов Н.Г., Понятие и формы соучастия в советском уголовном праве. Онтологический аспект. Саратов. 1991.
58. Иванов В. Д ., Правовые последствия оперативного эксперимента // Северный Кавказ: борьба с преступностью. Ростов- на- Дону: РВШ МВД России, 1997.
59. Ивченко О.С., Проблема мотива и цели убийства в уголовном праве России. Автореф. дисс. канд. юрид. наук. М., 2002.
60. Карпец И.И., Преступления международного характера. М., 1969.
61. Карташев В.А., Система систем. М., 1995.
62. Кенни К., Основы уголовного права. М., 1949.
63. Квашис В.Е., Преступная неосторожность. Социально-правовые и криминологические проблемы.. Владивосток, 1986.
64. Ковалев М.И., Соучастие в преступлении. Екатеринбург, 1999.
65. Ковалев М.И., Соучастие в преступлении, ч.I, Свердловск, 1960.

66. Ковалев М .И., Соучастие в пруступлении, ч. 2: Виды соучастников и формы участия в преступной деятельности. Свердловск, 1962.
67. Ковалев М.И., Соучастие в преступлении. 2001.
68. Козлов А.П., Соучастие: традиции и реальность. СПБ., 2001.
69. Козочкин Н.Д., Уголовное право зарубежных государств, Изд. Зерцало, М., 2001.
70. Колоколов Г.Е., О соучастии в преступлении. М., 1881.
71. Кондрашова Т.В., Проблемы уголовной ответственности за преступления против жизни, здоровья, половой свободы и половой неприкосновенности. Екатеринбург. 2000.
72. Конспект по угаловного праву и процессу, составленный по лекциям профессоров Фойницкого, Случевского, Сергеевского и др. Одесса, 1898.
73. Крилова Н.Е., Новый Уголовный кодекс Франции. Государство и право, 1994. №12.
74. Крилова Н.Е., Серебренникова А.В. Уголовное право зарубежных стран. М., 1998.
75. Кричевский Р.А., Дубовская Е.М., Психология малой группы. М., 1991.
76. Кугушев С. В., “Провокация преступления: проблемы уголовно - правовой квалификации “ - статья, “Российский следователь “, № 10, 2005.
77. Кудрявцев В.Н., Общая теория квалификации преступлений, М., 1972.
78. Куринов Б. А., Квалификация преступлений, совершенных в соучастии, М., 1984.
79. Логика научного иследования. Под ред. В.Н.Садовского, М., 1979.
80. Ломов Б.Ф., К проблеме деятельности в психологии // Психологический журнал. 1981. №5.
81. Лясс Н.В. Проблемы вины и уголовной ответственности в современных буржуазных теориях. – Л., 1997.
82. Малахов И.П., Соучастие в воинских преступлениях в свете общего учения о соучастии по советскому уголовному праву, М., 1960, автореферат канд. дисс.
83. Малинин В.Б., Причинная связь в уголовном праве. С-Пб., 2000.
84. Малинин В.Б., Философские, исторические и теоретические основы причинной связи в уголовном праве. С-Пб., 1999.
85. Мастерков А. А., Уголовно правовые и криминологические аспекты провокационной деятельности: Автореф. дис …. канд. юрид. наук. Владивосток, 2000.
86. Международное уголовное право. Учебн. посоьие / под общей ред. В.Н. Кудрявцева, 2-е изд. М., Наука, 1999.

87. Механизм преступного поведения отв. ред. В.Н.Кудрявцев. М., 1981.
88. Миненок М.Г., Проблемы борбы с организованной преступностью / Сборник научных трудов. Организованная преступность. Уголовно-правовые и криминологичесские проблемы. Калининград, 1999.
89. Мустафа-заде А.Г., Квалификация убийства по мотиву и цели. дисс. канд. юрид. наук. М., 2004.
90. Наумов А.В., Российское угаловное право. Курс лекций. т.1. Общая часть. М., 2004.
91. Немировский Э.Я., Советское уголовное право, Одесса, 1926.
92. Номоконов В.А. Преступное поведение: детерминизм и ответственность. Владивосток. 1989.
93. Ньюком Т., Понятие согласия / Социология сегодня. М., 1965.
94. Овруцкий А. В., Психология провокации // Психопедагогика в правоохранительных органах, 1995, № 1.
95. Петровский А.В., Личность. Деятельность. Коллектив. М., 1982.
96. Пионтковский А.А., Уголовное право РСФСР М., 1924.
97. Пионтковский А.А., Курс советского уголовного права, М., 1970.
98. Платонов К.К., Структура и развитие личности. М., 1986.
99. Попов А.Н., Убийства при отягчающих обстоятельствах. СПБ., 2003.
100. Поспелов Г.С., Ириков В.А., Програмно-целевое планирование и управление. М., 1976.
101. Прангишвили И.В., Системный подход и общесистемные закономерности. М., 2000.
102. Рогинский Г.К, Уголовный кодекс РСФСР, Л., 1928.
103. Рарог А.И., Настольная книга судьи по квалификации преступлений: Практическое пособие. – М., ТК Велби, Изд-во Проспект, 2006.
104. Рарог А.Н., Уголовное право Российской Федерации. Общая часть. учебник. М., 2007.
105. Российское уголовное право. Общая часть. под ред. Рарога А.И., (автор главы – В.С. Комиссаров). М., 2005
106. Рыжов Р.С., Уголовная ответственность соучастников преступления, Рязан, 2003.
107. Сергеев В.В., Косвенный умысел при соучастии // Вестник МГУ. Серия II. Право. М., 1971.
108. Системность – способ организации бытийстования объектов вселенной. Ставрополь. 1998.
109. Слободкин Ю.М., Соучастие по уголовному праву ФРГ, М., 1971.
110. Сугиама, Баги - Гэндай хораку гайрон. In: Козочкин Н.Д. Уголовное право зарубежных государств. Изд. Зерцало. М., 2001.

111. Спасович В.Д., Учебник уголовного права. С-П6., т.I. 1863.
112. Таганцев Н.С., Русское угаловное право, часть общая, т. I, изд. „Автограф“, 2001.
113. Таганцев Н. С., Лекции, Часть общая, т. 1, М., 1994.
114. Тельнов П.Ф., Ответственность за соучастие в преступлении. М., 1974.
115. Теоретическая и прикладная психология. М., 1986.
116. Тер-Акопов А.А., Преступление и проблемы нефизический причинности в уголовном праве. М., 2003.
117. Тихомиров О.К., Психология мышления. М., 1984.
118. Трайнин А.Н., Угаловное право. Общая часть, М., 1929
119. Трайнин А.Н., Защита мира и уголовный закон. М., 1969.
120. Трайнин А.Н., Уголовная ответственность гитлеровцев, М., 1944.
121. Трайнин А.Н., Учение о соучастии. М, 1970.
122. Угаловное право Российской Федерации. Общая часть / под. ред. Р.Р.Галиакбарова. Саратов, 1997.
123. Ушаков А.В., Основание и пределы ответсевенности соучастников по советскому уголовному праву, автореферат канд. дисс., М., 1971.
124. Фатеев Н. М., Влияние особенностей управления на социально - психологический климат коллектива, Вопросы психологии, 1986, №1.
125. Филановский И.Г., Социально-психологическое отношение субьекта к преступлению. Л., 1970.
126. Флетчер Дж., Наумов А.В., Основные концепции современного уголовного права. М., 1998.
127. Фойницкий. Уголовно-правовая доктрина о соучастии // Юридеческий вестник. М., 1891. №1.
128. Шаргородский М.Д., „Вопросы общей части уголовного права“, Л., 1955.
129. Шаргородский М.Д., Некоторые вопросы общего учения о соучастии, „Правоведение“, 1960, №1.
130. Шеслер А.В., Уголовно-правовые средства борьбы с груповой преступностью. Красноярск. 1999.
131. Церетели Т.В., Причинная связь в уголовном праве. М., 1963.
132. Харазишвили Б.В., Вопросы мотива поведения преступника в советском праве. Тбилиси. 1963.
133. Хейфец И.Я., Подстрекательство к преступлению. М., 1914.
134. Жиряев А.П., О стечении нескольких преступников при одном и том же преступлений. С-П 6. 1850.

135. Черных А.В., Участники совершения преступления по английскому уголовному праву. Правоведение, 1985. №3.
136. Эстрин А.Я., Начала советского уголовного права, М., 1930.
137. Bassioni M. Cherif, Substantive criminal Law, Springfield, 1978.
138. Baumann J., Einführung in die Rechtswissenschaft. Ein Studienbuch. München, 1967.
139. Card, Cross and Jones., Introduction to Criminal Law, 1998.
140. Cass. pen., sez. 11, 6 giugno 1983. п 5378 (ud. 30 novembre 1982). LJcciardiello // Cassazione penale. 1984. 1402.
141. Clark W. and Marahall W.A treatise on the law of crimes. Mundelein (III), 1967.
142. Dunnington [1984] QB 472 (Smith and Hogan. Criminal Law. Cases and Materials. 1993.
143. Feurbach A., Lehrbuch gemeinen in Deutschland gultigen Peinlichen Rechts. Gisen. 1828.
144. Gallas W., Beitrage zur Verbrechensehre. Berlin, 1968.
145. Geyer I., Holtzendorfs handbuch, 1859.
146. Gillies P., The Law of criminal complicity. Sydney, 1980.
147. Gropp W., Strafrecht. Allgemeiner Teil. 2 Aufl. Berlin. Springer, 2001.
148. Haft F., Strafrecht. Allgemeiner Teil. 8 Aufl. München: Beck, 1998.
149. Hallschner. Gerichtssaal. 1873.
150. Halsbury's. Laws of England. London, 1976. v. 11.
151. Henke., Handbuch des kriminalrechts, Berlin, 1823.
152. Jescheek H.H., Lehrbuch des Strafrechts. Allgemeiner Teil. 4 aufl., Berlin:Dunker and Humblot,1988.
153. Joecks W., Steuerstrafrecht. Köln: Otto Schmidt Verlag, 2003.
154. Jonson Ph. E Criminal Law. Cases, materials and text on the substantive criminal law in its prosedural context. St. Paul, Minn., 1980.
155. Kenny., Outlines of Criminal Law, 1965.
156. Kestlin R., Neue Revision. Tubungen, 1858.
157. Krey V., Deutsches Strafrecht. Allgemeiner Teil. Band II. Stuttgart – Berlin – Köln: W.Kohlhammer GmbH, 2001.
158. Kühl K. Die Bedeutung der Rechtsphilosophie für das Strafrecht. Baden-Baden: Nomos. 2001.
159. Kühl K.Strafrecht. Allgemeiner Teil. München: Vahlen, 1994.
160. LaFave Wayne R., Scott Austin W. Criminal Law. West Publishing Co. St. Paul, Minn., 1991 (1999).
161. Maurach R., Deutsches Strafrect. Allgemeiner Teil. Karlsruhe, 1958.

162. Mckinneys Consolidated laws of New York: Annotated book 39. Penal law N.Y., 1967.
163. Moehring V., Commonwealth, 223 Va, 564. 290 S.E. 2d 89.1 (1982).
164. Naucke W., Strafrecht. Eine Einführung. 10 Aufl. Neuwied; Krieftel: Luchterhand, 2002.
165. Nye and Nissen V. United States, 336, u.s. 619. 69 S. Ct. 769L. Ed. 919 (1949).
166. Pradel J. Droit penal. T. 1. Editions Cujas – Paris, 1997.
167. Rein. Das Kriminalrecht der Römer 1844.
168. Roxin C., Strafrecht. Allgemeiner Teil. Band II. München: C.H.Beck, 1994.
169. Roxin C., Zur Entwicklung des Strafrechts in Komenden Jahrhundert // Aktualne problem prawa karnego i Kriminologii /Red. Emil W. Plywaczewski. Bialistok: Wyd. Uniwersitet. 1998.
170. Schmidt R., Strafrecht. Allgemeiner Teil. Grundtagen der Strafbarkeit. Aufbau des strafrechtlichen Gutachten. 2 Aufl. Grasberg (bei Bremen), 2003.
171. Smith and Hogan, Criminal Law, 1996.
172. Stefani G., Levasseur G., Bouloc B. Droit penal général. 15-éd. 1995.
173. Trebutien, Cours de droit criminel, Paris, 1854.
174. Tröndle-Fischer. Strafgesetzbuch und Nebengesetze. 51 Aufl. München: C.H.Beck, 2003.
175. United States V.Milby 400F. 2d 702 (6th Cir. 1968) Crimes V. United States, 379 F. 2d 791 (5th Cir. 1967).
176. Wachter., Lehrbuch des romisch-deutschen Strafrechts, Stuttgart, 1825.
177. Wessels J., Beulke W., Strafrecht. Allgemeiner Teil. 32 Aufl. Heidelberg: C.F.Müller Verlag, 2002.
178. Willams G., Criminal Law, L., 1961

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ცვლილებებითა და დამატებებით 2010 წლის 1 ოქტომბრამდე).
2. Strafgesetzbuch (StGB), in der Fassung der Bekanntmachung vom 10. Marz 1987.
3. Code pénal. Nouveau code pénal. Dalloz. 1992-1993.
4. Penal Law (Includes NCIC Codes). Database for NYS – Published December 2002 by Looseleaf Law Pubns Corp.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე № 789 ას–09, ქ. თბილისი.